

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**რომანული ფილოლოგია
(ფრანგული ენა)**

დარეჯან ლაბუჩიძე

**ფრანგულ-ქართული თარგმანის ადეკვატურობის
პრობლემატიკა ფილოსოფიურ ტექსტში**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის
დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ციური ახვლედიანი



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2009

სარჩევი

შესავალი	4
I თავი – მთარგმნელობითი მოღვაწეობის წვლილი ქართული კულტურისა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ჭრილში	9
1). უცხოურ თხზულებათა თარგმნა – ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების პირობა	10
2). უცხოურ თხზულებათა თარგმანები – ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნისა და ქართული ფილოსოფიური ენის განვითარების პირობა	13
3). „ევროპეიზმის“ გავლენა XVIII-XIX საუკუნეების ქართულ სასულიერო და საერო აზროვნებაზე; ა)ფრანგული ფილოსოფიური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიისათვის	17
4). მთარგმნელობითი მოღვაწეობის პერსპექტივა	37
II თავი – თარგმანის თეორიისა და ფუნქციონალურ სტილთა ურთიერთმიმართება	41
1). აზროვნების სტილი – ტექსტის ენობრივი სპეციფიკის განმსაზღვრელი პირობა; ფილოსოფიური ტექსტის სპეციფიკა	43
2). ტექსტის (ფილოსოფიური ტექსტის) ჟანრობრივი თავისებურება და ადეკვატური თარგმანის კრიტერიუმები	47
III თავი – ტერმინოლოგიური სიზუსტე – ფილოსოფიური ტექსტის ადეკვატური თარგმანის არსებითი პირობა	57
1). ქართული სიტყვები და ტერმინები ფრანგული ფილოსოფიური ტექსტის ქართულ თარგმანში	60
2). უცხო სიტყვები და ტერმინები ფრანგული ფილოსოფიური ტექსტის ქართულ თარგმანში	70
IV თავი – გრამატიკული პრობლემატიკა ფრანგული ფილოსოფიური ტექსტის ქართულ თარგმანში	78
1). არტიკლის რეფერენცია	78
2). ზმნა და თარგმანის ადეკვატურობა	94

3). ზმნის დროთა შეთანხმება ქართულ თარგმანში	101
4). სინტაქსთან დაკავშირებული პრობლემები	110
V თავი – ლექსიკური პრობლემატიკა ფრანგული ფილოსოფიური	
ტექსტის ქართულ თარგმანში	120
1). პოლისემიის პრობლემა	123
2). სინონიმის პრობლემა	133
3). ანტონიმის პრობლემა	143
დასკვნა	153
გამოყენებული ლიტერატურა	157

შესავალი

თანამედროვე ეპოქაში თარგმანის ადეკვატურობის პრობლემასთან დაკავშირებულმა საკითხთა კვლევამ (მით უფრო არამონათესავე ენებში) კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შეიძინა. გასულ საუკუნეში აღნიშნული პრობლემის კვლევისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან თეორიული ხასიათის ნაშრომთაგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. იუმპელტის, ჯ. კეტვორდის, თ. სავორის, ე. კარის, ჟ. მუნენის, ჟ. ლადმირალის, მ. ბლანშოს, ე. ეტკინდის, ი. კაშკინის, ვ. კომისაროვის, ი. რეცკერის, ა. ფედოროვის, კ. ჩუკოვსკის, ა. შვეიცერის, ასევე ქართველი მეცნიერების ც. ახვლედიანის, გ. გაჩეჩილაძის, კ. კეკელიძის, ვ. კოტეტიშვილის, ნ. ნათაძის, ნ. საყვარელიძის, დ. ფანჯიკიძის, ი. ფხაკაძის, გ. წიბახაშვილის და სხვათა მიერ თარგმანის თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების თაობაზე შექმნილი ნაშრომები.

თარგმანის კრიტერიუმების შესწავლა კონცეპტური სქემების იგივეობის კრიტერიუმების ძიების საშუალებაა; წინამდებარე ნაშრომში ჩვენი კვლევის საგანია ფრანგულიდან ქართულად ფილოსოფიური ტექსტის (სათარგმნი მასალის ერთ-ერთი სახეობის) თარგმანთან დაკავშირებული პრობლემატიკა. უფრო სპეციფიკურად: საკითხთა ფართო წრე, რომელიც უკავშირდება ფილოსოფიური ლიტერატურის ფრანგული ენიდან მის არამონათესავე ენაზე – ქართულ ენაზე – თარგმნის სემანტიკური და სტილისტური ადეკვატურობის პრობლემას. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით კვლევა საინტერესო და ღირებულია იმდენად, რამდენადაც საშუალებას გვაძლევს ხელახლა გავიაზროთ, ერთი მხრივ, მთარგმნელობითი საქმიანობის, როგორც ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების, და არა „მექანიკური აღქმის პროცესის“, ერთი ვექტორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველი ერის კულტურული წინსვლის ჭრილში (კონკრეტულად ფრანგული ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმანის სახით); ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმანის წვლილი ქართული ენის ტერმინოლოგიური ლექსიკით გამდიდრების, ქართული ენის შემდგომი განვითარებისა და წინსვლის თვალსაზრისით; მეორე მხრივ, ფილოსოფიური ლიტერატურის ენობრივი გამოხატულების სპეციფიკურობის გათვალისწინებით – [კერძოდ: ა) გონისმეცნიერებათა სფეროში ფილოსოფიის განსაკუთრებულობა; ბ) სამეცნიერო ნაშრომთა ენისაგან განსხვავებით, ფილოსოფიურ თხზულებათა ენისათვის ნიშანდობლივი ლექსიკის სიმდიდრე; გ) ილუსტრაციის მიზნით ლიტერატურულ ციტატათა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან მოხმობილი მასალის სიუხვე; დ)

აზრის სიცხადისა და გამჭვირვალობის მიზნით სხვადასხვა სტილისტური შეფერილობის მქონე სინონიმთა გამოყენების სისშირე; ე) სინტაქსური კონსტრუქციების სირთულე – ფუნქციონალური სტილის მიხედვით, ფილოსოფიური ლიტერატურის ადგილის განსაზღვრა სათარგმნი მასალის თვისობრივი სახეობის სხვაობის საფუძველზე არსებულ ტრადიციულ კლასიფიკაციაში; ფრანგული ფილოსოფიური ლიტერატურის ქართულად თარგმნის პრაქტიკული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, ადეკვატური თარგმანის შესაძლებლობისა და ამ უკანასკნელის მისაღწევ კრიტერიუმთა ნათელყოფა.

ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმანის მნიშვნელობის კვლევას (კულტურული და ისტორიული კუთხით) მრავალი ნაშრომი მიეძღვნა როგორც ჩვენში, ისე დასავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. და მაინც, საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: ფილოსოფიური ლიტერატურის მთარგმნელობითი კულტურის დიდი ტრადიციის მიუხედავად, თეორიული ხასიათის ნაშრომებში ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმანი ძალზე ზოგადად და მწირად იხსენიება; გამოკვლევა, ძირითადად, მიმოხილვითი ხასიათისაა; ჩვეულებრივ, მას (ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმანს) არამხატვრულ ან სამეცნიერო-საქმიან ტექსტთა სათარგმნ ჯგუფს მიაკუთვნებენ, რითაც შესაბამისად არ არის პრობლემატიზებული ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმანთან დაკავშირებულ ლინგვისტურ საკითხთა ფართო წრე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, თარგმანის თეორიაში შექმნილ ლიტერატურაში სადისერტაციო ნაშრომის თემა უმართებულოდ არის უგულებელყოფილი.

კვლევის მიზანია ფილოსოფიური ტექსტის თარგმანის ადეკვატურობასთან დაკავშირებული პრობლემის ასპექტთა ექსპლიციტური ფორმულირება; ფრანგულიდან ქართულად თარგმნილი ფილოსოფიური ტექსტის ნიმუშად მოხმობილი მაგალითებით, სემანტიკური და სტილისტური ადეკვატურობის მიღწევის შესაძლებლობის მაქსიმალურად კოჰერენტულად წარმოდგენა. კვლევის ამოცანაა თარგმანის ენაზე ორიგინალის სადარი ფილოსოფიური ტერმინებისა და შესაბამისი გრამატიკული და ლექსიკური გამოხატულების ფორმის საფუძველზე, საკვლევი საკითხის ცენტრალური კომპონენტის – სტილისტური და სემანტიკური შესაბამისობის – გამოკვლა. აღნიშნულთან დაკავშირებით სხვადასხვა შესაძლო ინტერპრეტაციათა შეჯამება და შეფასება; ასევე, გასული საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბებულ იმ თეორიულ თვალსაზრისთა (კერძოდ, ლ. ვიტგენშტაინის, ე. კარის, ჟ. ლადმირალის, ჟ. მუნენის, ი. ნაიდას, ჯ. ოსტინის, ი. რეცკერის, ა.

შვეიცერის, გ. გაჩეჩილაძის, ნ.საყვარელიძის, დ. ფანჯიკიძის, გ. წიბახაშვილის) წარმოდგენა, რომლებიც რელევანტურია აღნიშნული პრობლემისათვის.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ როგორც თეორიული ხასიათის შრომები იმ მეცნიერებისა, რომელთაც განსაზღვრეს ფილოსოფიურ ნაშრომთა თარგმანების ღირებულება ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების, ქართული ენის გამდიდრებისა და წინსვლის თვალსაზრისით (კ.კეკელიძე, ი. ჭავჭავაძე, შ. ნუცუბიძე, ნ. მარი, ლ.ასათიანი), ასევე, თარგმანის თეორიის ანალიზის მიზნით შექმნილი ლიტერატურა (ქართულ, რუსულ, ფრანგულ ენებზე) და იმ ლინგვისტთა შრომებიც, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება თარგმანის თემას, მაგრამ არსებითი დახმარება გაგვიწია კვლევის დროს (ა.შანიძე, გ. რამიშვილი, ლ. კვაჭაძე, არნ. ჩიქობავა, ჟ. ვანდრიესი, დ. ლოტე, მ. ბრეალი, ლ. ტენიერი, ს. ულმანი).

ძირითადი პოსტულატი, რომელსაც ეფუძნება ჩვენი კვლევა ესაა თარგმანის თეორიის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლის, ამჟამადაც მოღვაწე თანამედროვე ფრანგი მეცნიერის, ჟან რენე ლადმირალის შრომებში გამოთქმული სრულიად მართებული მოსაზრება უშუალოდ ფილოსოფიური ტექსტის თარგმანის ადგილის თაობაზე. კერძოდ: ფილოსოფიური ტექსტის თარგმანი ქმნის ცალკე ქვეჯგუფს თარგმანის არამხატვრულ და მხატვრულ სახეთა შორის.

ნებისმიერი ჟანრის „დედნისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომის საილუსტრაციოდ ყველაზე უფრო ხელსაყრელია ერთი და იმავე დედნის რამდენიმე თუ არა, ორი თარგმანი მაინც. სამწუხაროდ, თითებზე ჩამოითვლება ის ნაწარმოებები, მათი ერთზე მეტი თარგმანი რომ მოგვეპოვებოდეს“ (ფანჯიკიძე 1995: 166).

საბედნიეროდ, ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია დეკარტის „მეტაფიზიკური მედიტაციები“-ს ქართულენოვანი თარგმანის ორი ვერსია – ერთი შესრულებული ს. დანელიას მიერ (1955), მეორე ჩვენ მიერ (2001).

ენის არავითარი ინტუიციური შესწავლა არ იძლევა მასში ღრმად ჩასაწვდომად ისეთ მდიდარ მასალას, როგორსაც ორიგინალის ტექსტისა და ამ უკანასკნელის თარგმანის (თუ თარგმანის ვერსიათა) ანალიზი და შედარება. „ყოველი მთარგმნელი დარწმუნებულია, რომ მან მოახერხა, შეძლო თავის ენაზე ნამდვილი ეკვივალენტების მოძებნა და დედნის სრულფასოვანი ამეტყველება [-] თარგმანის აკარგიანობის საიმედო ნიშნების ძებნისას ერთმანეთს ეჯაჭვება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები – ის, რაც შეიძლება დავადგინოთ ლოგიკური მსჯელობის წესით, და ის, რაც მხოლოდ შემფასებლის ერუდიციითა და გემოვნებით იზომება

და სხვა, ყველასათვის გასაგები კრიტერიუმებით ვერ მოწმდება“ (წიბახაშვილი 2000: 57)

მსჯელობა განყენებული რომ არ გამოგვივიდეს, შევეცდებით კონკრეტული მასალის, ძირითადად, რ. დეკარტის ხსენებული თხზულების ქართულენოვანი თარგმანებიდან მოტანილი მაგალითების საფუძველზე განვიხილოთ ის, რაც, ჩვენი აზრით, ღირებული იქნება ფილოსოფიური ტექსტის – როგორც სამეცნიერო ტექსტის ერთ-ერთი სახეობის – თარგმანთან დაკავშირებულ თავისებურებათა ნათელსაყოფად.

რენე დეკარტი (1596-1650), ახალი ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, სრულიად სამართლიანად ითვლება ფილოსოფიური აზრის რეფორმატორად და ნოვატორად. დეკარტმა უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო პერიოდის დასავლეთ ევროპის ფილოსოფიურ აზროვნებაზე. მისმა იშვიათმა ნიჭმა წარუშლელი კვალი დატოვა მეცნიერების მრავალ დარგში; დიდია მისი წვლილი მათემატიკის, ფიზიკის, ასტრონომიის, ფსიქოლოგიის განვითარებაში; ფილოსოფიას კი დეკარტის სახით მოევლინა ღრმა, ნათელი, უდავო მტკიცებების მოყვარული მოაზროვნე, რომლის მოძღვრება ფილოსოფიური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშად რჩება.

რ. დეკარტი ერთ-ერთ ძირითად წესად მიიჩნევს შემდეგს: ჭეშმარიტებად მიიღება მხოლოდ ის, რაც ცხადად არის შეცნობილი, რაც გონებას ისე ნათლად და გარკვევით წარმოუდგება, რომ ყოველგვარ ეჭვს სპობს. ამ წესის ნათელი დასტურია მისი თხზულება „მეტაფიზიკური მედიტაციები“ – ფილოსოფოსის უდიდესი გონიერებისა და განსჯითი ნიჭის ნაყოფი, – რომელიც საღი აზრების საოცარ სიმდიდრეს ფლობს. ნაშრომი 1641 წელს გამოქვეყნდა ლათინურ ენაზე (ჩვეულებრივ, დეკარტი და მისი თანამედროვენი ლათინურად წერდნენ) სათაურით: „მედიტაციები პირველი ფილოსოფიის შესახებ“. 1647 წელს ჰერცოგმა ლიუენმა ნაშრომი ფრანგულ ენაზე თარგმნა; დეკარტმა თარგმანი წაიკითხა, შეასწორა და იმავე წელს, პარიზში, თხზულების ფრანგული თარგმანი გამოქვეყნდა სათაურით „მეტაფიზიკური მედიტაციები“.

1996 წელს იუნესკოს ეგიდით ფართოდ აღინიშნა 400 წელი დეკარტის დაბადებიდან. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ს. წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის ინიციატივით ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა რ. დეკარტის შრომა „მსჯელობა მეთოდის შესახებ“ (1637), განმეორებით ითარგმნა „მეტაფიზიკური მედიტაციები“ (შესრულებული ფრანგული დედნიდან Descartes R. "Méditations

métaphysiques,» Paris, 1990, Librairie générale Française); 2001 წელს აღნიშნულ თხზულებათა ქართულენოვანი თარგმანები ერთ წიგნად გამოქვეყნდა. ს. დანელიასეული თარგმანი სათაურით: „მეტაფიზიკური განაზრებანი“ (შესრულებული – Oeuvres choisies de Descartes. Nouvelle édition revue d’après les meilleurs textes. Paris, Garnier frères, გამოცემის მიხედვით), 1955 წელს დაიბეჭდა.

*„ქართული დიდებული ენაა, მოქნილი,
სრულყოფილი და ამ ენაზე ნებისმიერი
აზრი ლაღად, ძალდაუტანებლად
გამოითქმება.“ მარი ბროსე*

I თავი

მთარგმნელობითი მოდგაწეობის წვლილი ქართული კულტურისა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ჭრილში

ერთ-ერთი დეფინიციის თანახმად, რომელსაც ფრანგული ენის კლასიკური ტიპის ლექსიკონი „პატარა რობერი“ გეთავაზობს, სიტყვა „კულტურა“ ერთი რომელიმე ცივილიზაციისათვის (ან ერთი რომელიმე ხალხისათვის) ნიშანდობლივ ინტელექტუალურ ასპექტთა ერთობლიობაზე მიუთითებს. ყოველი კულტურის შემოქმედი სუბიექტია, კულტურათა შორის სხვაობის საფუძველი კი ის რეალობა, თუ როგორ ესმის ამა თუ იმ კულტურის სუბიექტს სუბიექტურობა სამყაროსთან მიმართებაში.

ქართველების განვითარებულ კულტურასა და სააზროვნო დონეზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქართულ ენაზე შეიქმნა უმდიდრესი ლიტერატურა-როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი. ეს ლიტერატურა ჟანრობრივადაც მრავალფეროვანია: რელიგიური, ფილოსოფიური, ისტორიული, მხატვრული და სხვა. ასე რომ, მთარგმნელობა სცილდება წმინდა ლინგვისტური ურთიერთობის ზღვრებს და „გარკვეულ ფარგლებში, უდაო მაჩვენებელია სააზროვნო მოვლენების არსებობისა. (ჩვენში) დროის პირობების მიხედვით, ასეთი აზროვნების გასაქანი და საზომი უსათუოდ სხვადასხვა იყო“ (ნუცუბიძე 1956: 12)

საქართველოში, ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმნის ტრადიციის განხილვის ფონზე, იკვეთება ორი არსებითი საკითხი: 1. უცხოურ თხზულებათა თარგმნა – ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების პირობა; 2. უცხოურ თხზულებათა თარგმანები – ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნისა და ფილოსოფიური ენის განვითარების პირობა.

1). უცხოურ თხზულებათა თარგმნა – ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების პირობა

საგულისხმოა, რომ საქართველოში მთარგმნელობითი საქმიანობის ხარისხი და ღირებულება ორიგინალური ლიტერატურის დონემდე იყო აყვანილი. თარგმნილი ლიტერატურა, ძირითადად, მიზნად ისახავდა საქართველოში ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცებას. თარგმნიდნენ რელიგიურ თხზულებებს, ცხადია, ბიბლიის ყველა წიგნს და სასულიერო ლიტერატურის ყველა ჟანრის თხზულებებს. ინტენსიური სამეცნიერო და მთარგმნელობითი საქმიანობა წარმოებდა როგორც ჩვენში არსებულ, ისე საქართველოს საზღვრებს გარეთ დაარსებულ საგანმანათლებლო ცენტრებში. რვა საუკუნის განმავლობაში /IV-XII/ საქართველოს ჰქონდა რამდენიმე ასეთი ცენტრი, რომლებიც კულტურის მძლავრ კერებად ითვლებოდა და იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა ქართველი ერის ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ვითარება.

ნათარგმნი ძეგლების მიხედვით, ძველი ქართველების კულტურული ურთიერთობის არედ, უპირველეს ყოვლისა, წარმოგვიდგება საბერძნეთი. ხშირად, ერთი და იგივე თხზულება ორ – ქართულსა და ბერძნულ – ენაზე იქმნებოდა. ორენოვან მწიგნობარ-მოაზროვნეთა არსებობის ფაქტი მოწმობს, რომ საქართველოში ჩინებულად ფლობდნენ ბერძნულ ენას და დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ამ ენაზე შექმნილ ფილოსოფიურ ძეგლებს.

გარდა საბერძნეთისა, საქართველოს კულტურული ურთიერთობა ჰქონდა სირიასთან, პალესტინასთან, ბიზანტიასთან, ირანთან, არაბულ სამყაროსთან. ასე რომ, საერო ლიტერატურას ქართველები თარგმნიდნენ არა მხოლოდ ბერძნულიდან, არამედ სირიულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან და სომხურიდან. ამა თუ იმ თხზულების თარგმნის არჩევანს განაპირობებდა ის ფაქტი, რომ ქართველი მოაზროვნეები სწორედ „მასში ხედავდნენ და პოულობდნენ პასუხს მათთვის საჭირობოროტო და სასიცოცხლო საკითხებზე“ (კეკელიძე 1951: 172).

XI საუკუნეში უკვე ითარგმნება ფსევდო დიონისე არეოპაგელის შრომები და იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“ („დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“). XII საუკუნეში, დიონისე თრაკიელისა და აპოლონიოს დისკოლოს გრამატიკათა საფუძველზე, ძირითად საკითხებს განიხილავენ ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი. აღნიშნულმა განხილვამ დიდი ფილოსოფიური (ტერმინოლოგიური) კვლევა-ძიებაც გამოიწვია. მათვე (ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწს) დიდი მეცნიერული მუშაობა

აქვთ ჩატარებული ქართული ფილოსოფიური და სამეცნიერო ტერმინების შესაქმნელად და დასადგენად. ამავე საუკუნეებში ქართველები ფილოსოფიის სფეროში სწავლობენ იმ საკითხებს, რომლებიც აინტერესებდათ მაშინდელი კაცობრიობის მოწინავე ადამიანებს, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. „განსხვავებით დანარჩენებისაგან, მაგალითად, ევროპელებისაგან, იმდროინდელი ქართველები სხვებზე ადრე გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს მაშინდელი ფილოსოფიური აზრის ახალი მიმდინარეობის შესახებ. ამავე დროს ისინი შეიარაღებული იყვნენ იმ დროისათვის სანიმუშო ტექსტუალური კრიტიკის იარაღით და მუშაობდნენ უშუალოდ ბერძნულ ორიგინალებზე“ (Mapp 1909: 10).

XI-XII საუკუნეები ჩვენში ეს არის ეპოქა ერის კულტურული წინსვლის, სამეცნიერო აზრის, მწიგნობრობისა და მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარებისა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხენებულ საუკუნეთა გამოჩენილი მოაზროვნეებისა და მწიგნობრების იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების მოღვაწეობა – სკოლა ორმხრივი მთარგმნელობითი საქმიანობისა, რადგან ისინი თარგმნიდნენ ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად. ამავე სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები არიან საკუთარი მთარგმნელობითი თეორიის შემქმნელი, ფილოსოფოსი და ფილოლოგი ევრემ მცირე, გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, ფილოსოფოსი და მწერალი არსენ იყალთოელი.

აღსანიშნავია, რომ წინათ მთარგმნელობით ძეგლებს არ ენიჭებოდა ის მნიშვნელობა, რომელიც დღეს წარმოგვიდგენია. სულხან-საბა თარგმანის ცნებას ასე განმარტავს: „იგავიანის სიტყვის გაცხადება“ (ორბელიანი 1991: 301).

თარგმანში იგულისხმებოდა ის, რასაც დღეს განმარტებას, გაგებას, ინტერპრეტაციას ვუწოდებთ. რაკი თარგმნისას ქართველები იშვიათად მიმართავდნენ დედნის უცვლელად გადმოცემას, ხშირ შემთხვევაში, ქართული თარგმანები უცხოური ძეგლების ინტერპრეტაცია გახლავთ. თავისუფალი თარგმანის პრინციპით შესრულებული უცხოური თხზულების თარგმანი პასუხობდა თანამედროვეობის მოთხოვნილებას და ორგანულად უკავშირდებოდა ქართულ კულტურას. უდავოა, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა თავისუფალ თარგმანთა სიჭარბე. მაგალითად, ექვთიმე მთაწმიდელმა თავისი მრავალრიცხოვანი თარგმანები შეუფარდა იმუამინდელ თანამემამულეთა სულიერ მოთხოვნილებებსა და სპეციფიკურ ხასიათს, რითაც, კ. კეკელიძის აზრით, თავისი დროის პირობებში, თარგმანს მიანიჭა დიდი სოციალური და მორალური ფუნქცია.

თვით ეს გადმოლება-გადმოთარგმნა არ გახლდათ მარტივი გადმოცემა, იგი შეიცავდა განმარტებას, კომენტარს, რაც ტექსტთან საკმაოდ თავისუფალ მოპყრობას გულისხმობდა, და ან მის შემოკლებას იწვევდა და პირდაპირ ასევე შემოკლებად იწოდებოდა, ან მის გადიდებას იწვევდა და განვრცობად იწოდებოდა. ამა თუ იმ მთარგმნელსაც დასახელებული მეთოდისადმი მისი დამოკიდებულების მიხედვით ახასიათებდნენ. ასე მაგალითად, XI საუკუნის ქართველი მოაზროვნე ეფრემ მცირე წერდა ექვთიმე მთაწმიდელის შესახებ, რომ მას „ხელეწიფებოდა კლებაი და შემატებაი.“

კ. კეკელიძის თანახმად, „ქართველები საეკლესიო-დოგმატური ხასიათის თხზულებათა თარგმანშიც კი იჩენდნენ იმდენ თავისუფლებასა და თავისებურებებს, რომ ეს თარგმანი ორიგინალური, ქართული ძეგლის მიჯნებს უახლოვდება [...] და თუ ასეთი იყო მდგომარეობა ეკლესიური მწერლობის დარგში, რაღა უნდა ყოფილიყო საერო ლიტერატურის ძეგლთა თარგმნისას“ (კეკელიძე 1951: 190).

თავისუფალი თარგმანის მაგალითად კ. კეკელიძე ასახელებს გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიულ კრებულს „თთუენი“ და დავითის „კატენებს“. იგი აქვე იხსენიებს ბიბლიის „კატენებსაც“, რომელთაც, მისი აზრით, ქართულ რედაქციაში იმდენად სრული სახე მიუღია, რომ მთელ საქრისტიანო მწერლობაში ამის მსგავსი არ მოიპოვება; თავისუფალი თარგმანის ჩინებული ნიმუშია იოანე დამასკელის ფილოსოფიური შრომა „გარდამოცემა“, თარგმნილი ერთ შემთხვევაში „დაკლებით“ (ექვთიმე), მეორე შემთხვევაში კი „შმატებით“ (გიორგი მთაწმიდელი). პეტრიწის მიერ თარგმნილი პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“-ს თარგმანს ახლავს ქართველი ფილოსოფოსის ორიგინალური კომენტარი, რომელმაც ეს თარგმანი ქართული ლიტერატურის ძეგლად აქცია და მომდევნო საუკუნეებში ბერძნულისაგან გასარჩევად „ქართულ კავშირს“ უწოდებდნენ როგორც ქართველები, ისე სომეხი დიოფიზიტები.

არსებითი მაინც ისაა, რომ ასეთი მეთოდით (შემოკლება ან განვრცობა) შესრულებული თარგმანი არ აუქმებდა საკუთარ დამოუკიდებელ აზროვნებას; უცხოური თხზულების თარგმნა საქართველოში იყო არა „მექანიკური აღქმის პროცესი“, არა მხოლოდ სხვათა აზრის პასიური გადმოცემა, არამედ ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების, უცხოთა ნააზრევის შემოქმედებითი გადამუშავებისა და „თავის საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუების“ პროცესი. ქართველებს თარგმნილ თხზულებებში შეჰქონდათ ეროვნული პრობლემების სული, შეგნება, კოლორიტი, თვით ტემპერამენტიც კი. თავისუფალი თარგმანის

გაბატონებული პრინციპი თარგმნულ ნაწარმოებთა ეროვნული მიზნებისათვის გამოყენების საშუალებასაც იძლეოდა. თუმცა თავისუფალ და განვრცობილ თარგმანთა არსებობა მხოლოდ მკითხველის მოთხოვნებით როდი აიხსნება; კ. კეკელიძის აზრით, ხშირ შემთხვევაში, ეს განპირობებულია არამონათესავე ენათა ურთიერთმიმართებით.

თავისუფალი თარგმანის გარდა ქართველი მთარგმნელები ადეკვატური თარგმანის მეთოდითაც რომ ხელმძღვანელობდნენ, ეს დასტურდება სახარების ტექსტის შედარებით დედანთან და რამდენიმე უცხოურ თარგმანთან. ამ შესაძლებლობის საბუთად გ. გაჩეჩილაძეს ქართული ენის რესურსების სიმდიდრე მიაჩნია; „ქართულ თარგმანში დაცულია არა მარტო შინაგანი აზრი და გარეგანი ფორმა, არამედ აგრეთვე ის სპეციფიკური ამადლებული სტილიც, რომელიც ამგვარ საკრალურ ნაწარმოებს აძლევდა საყოველთაოდ დამახასიათებელ ჟღერადობას და მორწმუნეებზე საჭირო შთაბეჭდილებას ახდენდა“ (გაჩეჩილაძე 1966: 64)

2). უცხოურ თხზულებათა თარგმანები – ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნისა და ქართული ფილოსოფიური ენის განვითარების პირობა

ფილოსოფიური აზროვნება ყოველთვის განსაზღვრული, ნათლად გამოკვეთილი ენის ტერმინებში ყალიბდება; ამდენად, ფილოსოფიური ტექსტის აზრობრივი შინაარსის რეპროდუცირებაში დიდია ფილოსოფიურ ტერმინთა ხვედრითი წილი. ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გარეშე, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა ფილოსოფიური თხზულებების შექმნაც და თარგმნაც.

„არც ერთ ენაში არ არის წინასწარ მოცემული ფილოსოფიურ ცნებათა გამომხატველი მზამზარეული ტერმინი, მაგრამ ყველა ენაში არსებობს მათი შექმნის საშუალებები: ახალ სიტყვათა წარმოების სხვადასხვა ხერხი. ფილოსოფიური და მეცნიერების სხვა რომელიმე სპეციფიკური ტერმინოლოგია იქმნებოდა და ყალიბდებოდა თაობიდან თაობაში, წლებისა და საუკუნეების მანძილზე ადმიანთა აზროვნების, ადამიანთა საზოგადოების ეკონომიკურ-პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების განსხვავებასთან დაკავშირებით, მათი მოთხოვნების შესაბამისად, იქმნებოდა იგი ენაში არსებული წესების მიხედვით“ (კეკელიძე 1958: 8).

ბერძნული თეოლოგიური თუ ფილოსოფიური ნაწარმოების თარგმნისას, კომენტარების დართვისას თუ ორიგინალური თხზულებების შექმნისას, შესაშური ხელოვნებით ქმნიდნენ ჩვენში ქართულ ფილოსოფიურ ტერმინებს; სწორედ

თარგმანის ამოცანისადმი ამგვარმა მიდგომამ განაპირობა ქართულ ენაზე რთული ფილოსოფიური და თეოლოგიური ტერმინოლოგიის დამოუკიდებლად შექმნა; თანამედროვე ქართულმა სალიტერატურო ენამ მემკვიდრეობით მიიღო და წარმატებით იყენებს ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ ტერმინებს.

ტერმინოლოგიის თანადროულად ვითარდებოდა ფილოსოფიური ენაც; ამ პროცესში ასევე დიდ როლს ასრულებდა თარგმნილი ლიტერატურა, რომელიც არა მხოლოდ ახალი იდეებით ამდიდრებდა ქართულ კულტურას, არამედ მთლიანად ენასაც სრულყოფდა. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში (X–XII სს.) ქართული ენის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ მას შესწევდა უნარი გადმოეცა მაშინდელი განვითარებული აზროვნების თითქმის ყველა ნიუანსი. გ. ქიქოძის თქმით, „ბევრი ქართველობა ენერგიული ერების რიცხვს ეკუთვნის. მისი ენერგია გამოიხატა არა მარტო მის მიერ გათხრილ არხებსა, მის მიერ აგებულ ტაძრებსა და ციხე-კოშკებსა, მის მიერ განცდილ ომებში: ეს ენერგია მის ენასა და ლიტერატურაშიც გამოაშკარავდა [...] თვით ნასესხებ, უცხოეთიდან გადმოტანილ ლიტერატურაში მან ძლიერი ნაციონალური ელემენტები შეიტანა“ (ქიქოძე 1964: 100).

ქართული ფილოსოფიური და სამეცნიერო ტერმინების შესაქმნელად ღრმა მეცნიერული მუშაობა აქვთ ჩატარებული XI–XII საუკუნეების მოღვაწეებს ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწს. ეფრემ მცირეს თარგმანში დიდი რაოდენობითაა მოხერხებულად წარმოქმნილი ახალი სიტყვები, ფილოსოფიური ტერმინები. თუმცა ქართული ფილოსოფიური ენის (ასევე ფილოსოფიური ტერმინოლოგიის) შექმნას იოანე პეტრიწს უნდა ვუმადლოდეთ. კ. კეკელიძის თანახმად, „იოანე პეტრიწი სამართლიანად ითვლება ქართული ფილოსოფიური ენის შემქმნელად“ (კეკელიძე 1941: 292).

„მოძმეთაგან თანადგომასა და შეწევნას“ მოკლებულმა ქართველმა ფილოსოფოსმა შეძლო ბერძნული ენის რთული ფილოსოფიური ტერმინების მიხედვით ქართული ტერმინოლოგიის მთელი სისტემის შექმნა, რომელიც „ქართული ძირებით არაჩვეულებრივად ზუსტად გადმოსცემს ყველა ტერმინს, რომელიც ევროპულ ენებზე ბერძნული ან ლათინური ნასესხების სახით არსებობს [...] შეიძლება მხოლოდ გაკვირვებას მიეცე იმ ამოუწურავი მარაგის გამო, იმ პირდაპირ ჯადოქრული ძალების გამო, რომლებსაც იგი ფლობდა, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ეპოვა ქართულ ენაში საჭირო მასალა აზრთა ყველა უმცირესი ნიუანსისა და ნაირგვარობის გადმოსაცემად ბერძნული ენის ნიმუშის

მიხედვით, უაღრესად განყენებული და რთული დიალექტიკის ყველა სიძნელის გადასალახავად“ (კეკელიძე 1958: 34).

ნ. მარის აზრით, „პეტრიწისეული სიტყვაწარმოება არის შესანიშნავი მაგალითი ენაში არსებული მასალის ვირტუოზული გამოყენებისა ენის ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად [...] პეტრიწი მოხერხებულად იყენებს ახალ სიტყვათა წარმოებისას ქართული სიტყვათწარმოების ბუნებრივ საშუალებებს [...] მან შესანიშნავად შეძლო შეექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია ისე, რომ ქართული ენის ბუნებისა და სტრუქტურისათვის არ ეღალატა“ (კეკელიძე 1958: 72).

ფილოსოფიური ცნების სადარი მნიშვნელობის ტერმინის შესაქმნელად, პეტრიწს შესაძლებლად მიაჩნია მეტყველების ნებისმიერი ნაწილის გასუბსტანტივება. სიტყვაწარმოების ეს საშუალებაც ქართული ენის ერთ მეტად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს, რასაც ი. ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება. „ჩვენ არა გვგონია, რომ ენას წარუმატებლობაში ჩამოერთვას, როცა სხვა სიტყვების ჩაუმატებლად და აუჭრელბლად, მარტო ერთი ფლექსიის შემწეობით, ამისთანა სახსარს იძლევა აზრის მიმოხერისა და განცხადებისათვის“ (ჭავჭავაძე 1953: 95-96).

თანამედროვე ქართულმა სალიტერატურო ენამ მემკვიდრეობით მიიღო და დღესაც იმავე მნიშვნელობით იხმარება ექვთიმე მთაწმიდელის, ეფრემ მცირესა და, განსაკუთრებით, იოანე პეტრიწის მიერ შემოღებული ტერმინები; კერძოდ: „არსი“, „არსება“, „არსებითი“, „გონება“, „გონი“, „გონიერი“, „განცდა“, „გრძნობა“, „მგრძნობელობა“, „ნივთი“, „ნივთიერი“, „ცნობიერება“, „მოძღვრება“, „ჭეშმარიტება“, „უმეცრება“, „სისრულე“, „სიმარტივე“, „სივრცე“, „სულიერი“, „უგუნური“, „უგუნურება“, „მდგომარეობა“, „მოდრაობა“, „უძრაობა“, „ქმნადობა“, „რომელობა“, „რაოდენობა“, „მიმართება“ და მრავალი სხვა.

დასახელებულ მოღვაწეთა მემკვიდრეობა, თარგმანების ენა და ტერმინოლოგია, ისევე როგორც ქართული საგანმანათლებლო ცენტრების ისტორია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, საგანგებოდ იქნა შესწავლილი ქართველი მეცნიერების ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, ა. შანიძის, აღ. ბარამიძის, ი. აბულაძის, ვ. წერეთლის, დ. მელიქიშვილის და სხვათა მიერ.

VII-XII საუკუნეების განმავლობაში სალიტერატურო ენის უდიდესმა წინსვლა-განვითარებამ შესაძლებელი გახადა ქართული ენის ისეთი შედევრების შექმნა, როგორიცაა მიქელ მოდრეკილის კრებული (X ს.), დავით აღმაშენებლის „გალობანი“ (XII ს.), რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (XII ს.). მეცნიერული ენის განვითარებასა

და ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას ასევე დიდად შეუწყო ხელი ქართული ენის მონუმენტურმა ძეგლმა „ქართლის ცხოვრება.“

მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში, როდესაც მწერლობასთან ერთად აღორძინდა ფილოსოფიური აზროვნება, ლიტერატურა, წარმატებით გაგრძელდა სიტყვათა წარმოების აღნიშნული ტრადიცია და მთარგმნელობითი საქმიანობაც; იქმნებოდა ფილოსოფიური და მეცნიერების სხვა დარგების ტერმინოლოგია, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთარგმნელობითმა საქმიანობამ. აღნიშნულ პერიოდში შექმნილი ტერმინები დღესაც იმდროინდელი მნიშვნელობითაა გავრცელებული.

ქართული ენის ტერმინოლოგიური ლექსიკით გამდიდრების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ ლექსიკოგრაფს სულხან-საბა ორბელიანს, რომლის ლექსიკონში – „სიტყვის კონა“ – უხვადაა წარმოდგენილი წინა ეპოქების ქართველი მეცნიერებისა და მთარგმნელების ნაშრომებში შექმნილი ფილოსოფიური (ასევე გრამატიკული, რიტორიკული, ასტრონომიული, მათემატიკური და მუსიკალური) ტერმინოლოგია. სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის გასრულებაში უშუალოდ მიიღო მონაწილეობა ვახტანგ VI (სწორედ მან შეარქვა საბას ლექსიკონს „სიტყვის კონა“); ვახტანგ VI-მ შექმნა ეროვნული სტამბა, სადაც სხვა წიგნებთან ერთად სამეცნიერო და თარგმნილი ლიტერატურაც იბეჭდებოდა.

საგანგებოდ აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანის ტრადიციების ნიჭიერი გამგრძელებლების ვახუშტი ბატონიშვილის, ანტონ I-ის, დავით რექტორის, დავით და იოანე ბატონიშვილების, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების მთარგმნელობითი და ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა. დახვეწილი ფილოსოფიური ტერმინოლოგიით გამოირჩევა პირველი ქართველი ნეოკანტიანელის ს. დოდაშვილის სასკოლო გრამატიკა: „შემოკლებული ქართული დრამმატიკა.“

XIX საუკუნეში ი. ჭავჭავაძის შემოღებულადაა მიჩნეული დღესდღეობით ჩვენში დამკვიდრებული ტერმინები: „მიმართულება“, „ღირებულება“, „უარყოფა“, „თვალთახედვა“, „სინამდვილე“, „უფლება“, „შინაარსი“ და მრავალი სხვა.

ამგვარად, დროის პირობების მიხედვით მთარგმნელობა (გარკვეულ ფარგლებში), მართლაც, უდაო მაჩვენებელია სააზროვნო მოვლენების არსებობისა. ფაქტობრივად, სწორედ თარგმანის ამოცანისადმი ამგვარმა მიდგომამ განაპირობა როგორც რთული ფილოსოფიური და თეოლოგიური ტერმინოლოგიის დამოუკიდებლად შექმნა, ასევე ფილოსოფიური ენის შემდგომი განვითარება და წინსვლა; ხოლო თავისუფალი თარგმანის გაბატონებული პრინციპი, რომელიც

თარგმნილ ნაწარმოებთა ეროვნული მიზნებისათვის გამოყენების საშუალებასაც იძლეოდა, გარკვეულწილად, ქართულ ორიგინალურ ლიტერატურასაც ამდიდრებდა.

3. „ევროპეიზმის“ გავლენა XVIII-XX საუკუნეების ქართულ სასულიერო და საერო აზროვნებაზე.

ფრანგული ფილოსოფიური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიისათვის

XVI–XVII საუკუნეებში საქართველოში კათოლიკე მისიონერები მომრავლდნენ; ევროპელები ჩვენში სასურველი სტუმრები იყვნენ, მათ მიმართ კეთილი განწყობა სუფევდა. შარდენის მოგზაურობის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ევროპისათვის საქართველოს დაწვრილებითი გაცნობაც გახლდათ.

სენებული ეპოქის ევროპის დიდ მოაზროვნეთა, კერძოდ კი ფრანგთა, ინტერესის ნათელი დასტურია მათ შრომებში მოცემული ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ. „ქართველოლოგიის დარგში ფრანგმა საზოგადო მოღვაწეებმა წინ გაუსწრეს თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის წარმომადგენლებს. ისინი თითქმის პირველები არიან, რომელთა შრომებშიც მათი ხალხი პირველად გაეცნო და ეზიარა ქართულ კულტურასა და ლიტერატურას, ქართველი ხალხის წარსულსა და აწმყოს“ (ფანჩულიძე 1969: 7).

XVII საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი კლოდ დიურე ერთ-ერთ თავის თხზულებაში, წერის სხვადასხვა მანერაზე საუბრისას, ბერძნებთან, ლათინებთან და ა.შ., ანუ ევროპელებთან ერთად ქართველებსაც იხსენიებს. „ენები თავიანთი მატერიალური აგებულებით, არქიტექტურით გამოსახავენ ჯვარს, რომლითაც ისინი სამყაროს სწორედ იმ მოსვლას აუწყებენ, რასაც თავის მხრივ წმინდა წერილი და წმინდა სიტყვა წინასწარმეტყველებს [...] ბერძნები, ქართველები, მარონიტები, იაკობიტები, კოპტები, ცერვიანელები, პოზნანელები და, რა თქმა უნდა, ლათინები და ევროპელები წერენ მარცხნიდან მარჯვნივ, მიჰყვებიან რა დინებასა და მოძრაობას მეორე ზეცისა და შვიდი პლანეტის ერთობლივ სვლას“ (Duret 1613: 40)

ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი მამათავარი შ. ლ. მონტესკიე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „კანონთა გონი“ კოლხეთის შესახებ წერს: „წარმოუდგენელია, რომ დღევანდელი კოლხეთი, რომელიც სხვა არაფერია თუ არა

ერთი ვრცელი ტყე, სადაც მოსახლეობა დღითიდღე კლებულობს, თავის თავისუფლებას მხოლოდ იმისათვის იცავს, რომ ნაწილ-ნაწილ მიჰყიდოს თავი თურქებსა და სპარსელებს; წარმოუდგენელია, რომ ამ მხარეში რომაელთა ეპოქაში უხვად იყო ქალაქები, სადაც კომერცია მსოფლიოს ყველა ერს უხმობდა. აქ იმდროინდელი არცერთი ძველი აღარ შემორჩა, მისი ძლიერების კვალს მხოლოდ პლინიუსთან და სტრაბონთან ვხვდებით“ (მონტესკიე 1994: 426).

დიდროს ენციკლოპედიურ ლექსიკონში საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ გამოქვეყნდა სტატია, რომლის ავტორია ენციკლოპედიის ერთ-ერთი თანამშრომელი, ფრიად განათლებული პიროვნება ლუი დე შოკური. ჩვენი ქვეყნის შესახებ მისი მონათხრობი ემყარება როგორც ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების თხზულებებში მოცემულ მონაცემებს, ისე ახალი დროის ევროპელი მოგზაურების – შარდენის, ტავერნიეს, ტურნეფორის, ლამბერტისა და სხვათა მონათხრობს. შოკურის სტატიაში მოცემულია ცნობები საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური წყობის, რელიგიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, მთავარი ქალაქების შესახებ. მაგალითად, იგი წერს, რომ მდ. მტკვრის სანაპიროზე გაშენებულ ქალაქ თბილისში შემონახულია უძველესი ციხესიმაგრე, წარმოებს გაცხოველებული ვაჭრობა; მასვე მოხმობილი აქვს მონტესკიეს ზემოხსენებული ციტატაც.

საფრანგეთში საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ ბევრი საინტერესო ცნობა გამოაქვეყნეს მარი ბროსემ, ალექსანდრე დიუმამ (მამა), ჟორჟ მურიემ, ბარონ დე ბაიმ, ჟაკ ფრანსუა გამბამ.

ახალ საუკუნეებში საქართველომ თითქოს ინსტინქტურად იგრძნო, რომ თავისი რწმენით, კულტურული ფესვებითა და განვითარების ტენდენციებით უფრო დასავლეთს ეკუთვნოდა, ვიდრე აღმოსავლეთს. აკად. გ. თევზაძის თანახმად, „ქართული კულტურისა და მეცნიერების მესვეურნი ხედავდნენ, რომ მომავალი იმ ერს ეკუთვნის, რომელიც ევროპულ მეცნიერებასა და განათლებას ეზიარება“ (თევზაძე 2005:11). საქართველოს ახალი პოლიტიკური ორიენტაცია სიმბოლურად გამომჟღავნდა სულხან-საბას მოგზაურობით საფრანგეთსა და იტალიაში.

XVIII-XIX საუკუნეებში ქართული მწერლობისა და ფილოსოფიური აზროვნების აღორძინება, არსებითად, „ევროპეიზმის“ დანერგვის მოსურნე პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო და საერო პირთა საგანმანათლებლო-მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ განაპირობა. მთარგმნელობით საქმიანობას მეტი ინტენსივობა შესძინა თბილისსა (1755) და თელავში (1782) დაარსებული სასულიერო სემინარიებისათვის

სახელმძღვანელოთა შექმნის აუცილებლობამ; სწორედ ამ მიზნით თარგმნა რუსულიდან გერმანელი ფილოსოფოსების ქრისტიან ვოლფის (1679–1754) „ფიზიკა“, „ექსპერიმენტული ფიზიკა“ და ქრისტიან ბაუმისტერის (1709–1785) სახელმძღვანელოები: „მეტაფიზიკა“, „ლოლიკა“, „ფიზიკა“, „ეთიკა“, „ზედადგინება ფილოსოფიისა“, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა (1744 წლიდან) ანტონ I-მა (1720-1788). მასვე ეკუთვნის ორმოცდამეათე ფსალმუნის განმარტება და „თარგმანება რომაელთა მიმართ ეპისტოლისაი“. ანტონ პირველმა არაერთი თხზულება ათარგმნინა სხვა ენებიდანაც; ასე მაგალითად, კირილე ალექსანდრიელის (V ს.) თხზულების თარგმანი „განძი“ (981) მან ხელახლა ათარგმნინა ფილიპე ყაითმაზაშვილს (ფილოსოფოსი, გაიოზ რექტორის მოწაფე) სომხური ენიდან და მას „საუნჯე“ უწოდა.

ავტორისეული მოსაზრებების ილუსტრაციისა, ანდა მათგან განსხვავებული საკუთარი შეხედულებების წარმოსაჩენად, ანტონ I თავის თარგმანებს ხშირად ურთავდა კომენტარებსა და შენიშვნებს. ასე მაგალითად, ბაუმისტერის „მეტაფიზიკის“ თარგმანში ავტორი წერს, რომ გონება არ შეიძლება იყოს შეცდომის წყარო, რომ გონება არ ცდება. ანტონ I შენიშნავს, რომ გონების როლის მეტისმეტად ამადლება ეწინააღმდეგება რელიგიას; საღვთო წერილში გონებას ასე ძალიან არ აქებენო. ასეთივე სახის შენიშვნები აქვს გამოთქმული „ეთიკის“ ქართულ თარგმანშიც. ანტონ I თავისი ეპოქის ქართული ფილოსოფიური მწერლობის წარმომადგენელიცაა; მან შეადგინა თავისებური ფილოსოფიური კომპენდიუმი „სპეკალი“.

XVIII საუკუნის სასულიერო მოღვაწეთაგან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გაიოზ რექტორის (დაახლ. 1746-1821) ღვაწლი. გაიოზმა მრავალი თხზულება თარგმნა რუსულიდან; მათგან აღსანიშნავია: მარკუს ავრელიუსის (121-180) ეთიკური ხასიათის თხზულება „საყოფაცხოვრებო სჯა“; ბერძენი მწერლის ალაპიტე არქიდიაკონის „სამეფო ქარტა ანუ ტომარი“, რომელიც ეხება მეფის მოვალეობებს; აკად. კ. კეკელიძის თანახმად, „სამეფო ქარტა ანუ ტომარი“ შევიდა როგორც ნაწილი „სიბრძნე ბალაგარიანის“ შემადგენლობაში. გაიოზ რექტორმა რუსულიდან თარგმნა უცნობი ავტორის თხზულება „კიტაის სიბრძნე“ (წიგნში განხილულია დამოკიდებულება მეფესა და ქვეშევრდომებს შორის. ავტორი მომხრეა ადამიანთა შორის არსებული სოციალური უთანასწორობისა, მაგრამ მოითხოვს ექსპლოატაციის შერბილებას), ამბროსი მედიოლანდელის თხზულებანი, თარგმანები

სოლომონის სიბრძნეთა, ეპისტოლენი ბასილი დიდისა, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, ევროპის ქალაქთა ლექსიკონი და სხვა.

ამავე პერიოდის ფრიად მაშვრალი მოღვაწეა მწიგნობარი და მკვლევარი, სამეფო კარის მოძღვარი იონა (იოანე) ხელაშვილი (1772-1837), რომელიც აქტიური წევრი იყო პეტერბურგის ქართული სალიტერატურო სკოლისა. მისი ღვაწლი და განსწავლულობა აღწერა იოანე ბატონიშვილმა თავის ცნობილ „კალმასობაში“. იონა ხელაშვილმა თარგმნა (XIX საუკუნის პირველი მეოთხედი) განმარტება ძველი აღთქმისა (დღემდე მიუკვლეველი ნაწარმოები).

ცნობილმა დრამატურგმა და მთარგმნელმა გიორგი ავალიშვილმა (1769-1850) რუსული ენიდან ქართულად თარგმნა ერაზმ როტერდამელის (1466-1536) რამდენიმე შრომა; კერძოდ, რელიგიური ზნეობის ქადაგების (ნუ იქურდებ, ნუ იცრუებ, და სხვა, რამეთუ იმქვენიური სასჯელი გელის) შემცველი „შემოკლებული ზნეობითი სწავლა ქრისტიანებრი“; „კატასკეველი“, რომელიც ერთგვარი პასუხია კითხვებზე: ვინ შექმნა სოფელი, რა არის პირველი ცოდვა და ა.შ.

XVIII-XIX საუკუნეებში საქართველოში დიდად გავრცელებული ყოფილა დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის კრებულები საერთო სახელწოდებით „აპოფთეგმები“ (ცნობილ ადამიანთა, ფილოსოფოსთა, მეფეთა გამოთქმები, აფორიზმები). პოლონელი მწერლის ბენიაშა-ბუდნის ერთი ასეთი კრებულის მოკლე ვერსია მეფე ვახტანგ VI-ის დავალებით თარგმნა ქართველმა მწიგნობარმა ერასტი თურქისტანიშვილმა (დ.წ. უცნობია-1735) მოსკოვში. თავისუფალი სტილით შესრულებულ თარგმანში, მთარგმნელმა, ძირითადად, ფილოსოფოსთა და გამოჩენილ ადამიანთა მახვილგონიერი, ბრძნული გამონათქვამები თარგმნა; მან, თავისი შეხედულებისამებრ, ზოგი რამ შეცვალა, ზოგი დაუმატა, ზოგიც, საერთოდ, ამოიღო. „აპოფთეგმატა“ გალექსა ვახტანგ VI (1675-1737) და მას „სიბრძნე მაღალბეელი“ უწოდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბატონიშვილთა ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე. მათმა ორიგინალურმა თხზულებებმა და მათ მიერ ქართულ ენაზე გადმოღებულმა ევროპულ მოაზროვნეთა ეპოქალურმა თხზულებებმა გაამდიდრა ჩვენი კულტურის საუნჯე და ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას.

1682 წელს არჩილ მეორე მთელი ოჯახითა და ამალით რუსეთს გადავიდა. მას თან ახლდა აღექსანდრე ბატონიშვილიც (1674-1711), რომელიც 1685 წლიდან მოსკოვს დაემკვიდრა. მას რუსულიდან ქართულად უთარგმნია „სადიდებელნი

გალობანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესნი“ და ბიზანტიელი იმპერატორის ბასილ მაკედონელის (813-886) თხოვნა „ტესტამენტი“ ანუ იმპერატორის დარიგება შვილის, ლეონისადმი. განათლებული მონარქიის მომხრე ალექსანდრე ბატონიშვილი თარგმანის ბოლოსიტყვაობაში წერს: „კეთილშესწორებულ არს სამეფო იგი, რომელსაცა შინა სიბრძნის მოყვარენი მეფობენ, ანუ მეფენი სიბრძნეს მოყვარეობენ“.

ეროვნულ თავისუფლებას მოწვევრებულ პროგრესულად მოაზროვნე ქართული საზოგადოების ინტერესის განსაკუთრებული საგანი გახლდათ ეპოქის სულისკვეთების ამსახველი აქტუალური სოციალური საკითხები (სამოქალაქო და ბუნებითი თავისუფლება, იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობა, დემოკრატიული მმართველობის სისტემის არსი, ხელისუფლებათა განაწილების მიზანი დემოკრატიულ სახელმწიფოში და ა.შ.). გ. ქიქოძის თანახმად, „დიადი საკითხი, რომელიც XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისევე მწვავედ დაისვა, როგორც ის ყველგან იდგა კულტურულ კაცობრიობაში, სოციალური საკითხი იყო, ე.ი. ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა და უფრო სამართლიანი, ნათელი და ჰარმონიული საზოგადოების შექმნა, ვიდრე კაპიტალისტური საზოგადოებაა [...] ქართველ მკითხველს იმდენად რითმის სიმდიდრე და მეტაფორული წყობის ორიგინალურობა არ ხიბლავდა, რამდენადაც ნაციონალური და სოციალური იდეების სიმახვილე და მოქალაქეობრივი პრინციპულობა“ (ქიქოძე 1964: 223).

ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა იქონია განმანათლებლების საუკუნის მოაზროვნეთა ფილოსოფიურმა ქმნილებებმა. ფრანგული ფილოსოფიით გატაცების მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენში მთელი ეპოქა, კერძოდ, XVIII–XIX საუკუნეები „ვოლტერისანობის“ სახელით იხსენიება; ამ ცნებაში მოიაზრება ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაზე ფრანგული განმანათლებლობის გავლენა, რომელმაც დასავლეთ ევროპის ხალხთა კულტურის ისტორიაში ყველაზე პროგრესული როლი შეასრულა. ხსენებული იდეოლოგიის დედაპარღვია პიროვნების თავისუფლების იდეა, – ეპოქის სულისკვეთების ამსახველი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების ბუნებრივი ანარეკლი, რომელიც საერო აზროვნებაში დემოკრატიული ჰუმანიზმის სახით გამოვლინდა.

ფრანგ განმანათლებელთა თხოვნებებს ქართველები, ძირითადად, არა დედნიდან, არამედ რუსული თარგმანებიდან თარგმნიდნენ. აღნიშნულის მიუხედავად, მათ მაინც ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ: ისინი შეესაბამებოდნენ ეპოქის ძირითად ტენდენციებს, ახალი იდეებითა და მხატვრული სახეებით ამდიდრებდნენ

ქართველი ხალხის კულტურას, იმავდროულად მკითხველს მისთვის უცხო სამყაროსაც აცნობდნენ. ითარგმნება მონტესკიეს, ვოლტერის, რუსოს, მარმონტელის, კონდილიაკის, ანსილიონის, ასევე რასინის, კორნელის, მოლიერის და სხვათა თხზულებები. ერთი სიტყვით, კულტურათა დიალოგის თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნისათვის ახალ დასავლურ კულტურასა და ძველ ქართულ კულტურას შორის ერთგვარი შუამავალი თარგმანი შეიქნა.

1787 წელს არქიმანდრიტმა გაიოზმა, დიდად განათლებულმა პიროვნებამ, თარგმნა ფრანგი ენციკლოპედისტის ჟან ფრანსუა მარმონტელის (1723-1799) „ველიზარიანი“, თხზულება, რომელიც საფრანგეთში იდევნებოდა. მარმონტელის აზრით, სახელმწიფოში მმართველის მხრიდან ადამიანების მიმართ ტირანია დაუშვებელია; საზოგადოებისათვის ყველაზე საუკეთესო წყობად მას მიაჩნია რეპუბლიკური მმართველობა, მაგრამ თუ მისი დამყარება შესაძლებელი არ არის, მაშინ ყველაზე კარგი განათლებული მონარქიაა, რომლის სათავეში მყოფი განსწავლული, ბრძენი მეფე კანონებით ხელმძღვანელობს; მარმონტელის რწმენით, ყოველგვარი მდგომარეობის გამოსწორება ერთი ადამიანის – მეფის სურვილითაა შესაძლებელი. აღნიშნული წიგნის თარგმანმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართველ მოაზროვნეებზე. ტრ. რუსხაძის თქმით, „გეორგიანულ ისტორიაში“ აღ. ამილახვრის თვალსაზრისი და მარმონტელისა ერთნაირია.

1839-1840 წლებში გიორგი ავალიშვილმა თარგმნა კამბრეს არქიეპისკოპოსის, ფრანგი მწერლისა და პედაგოგის ფრანცისკ სალინიაკ ფენელონის (1651-1715) შრომა „მოკლე აღწერა ძუჭლთა ფილოსოფოსთა ჰრჩეულთა ჰაზრებითა დამოკიდებულებითა და ყოფაქცევითა სწავლითა მათითა“, რომელიც მანამდე, 1789 წელს გაიოზ რექტორმა თარგმნა. აღნიშნული ნაშრომით ქართველ მკითხველს საშუალება ეძლეოდა გაცნობოდა როგორც ადრევე ცნობილ, ისე ზოგიერთი უცნობ ბერძენ ფილოსოფოსთა (თალესი, პითაგორა, ჰერაკლიტე, ანაქსაგორა, არისტოტელე და სხვათა) ბიოგრაფიას, მათ აზრებსა და შეხედულებებს.

1794 წელს სარიდან ჩოლოყაშვილმა თარგმნა ფენელონის რომანი „თავგადასავალი ტელემაკისა“. ულისის შვილის, ტროას ომის გმირის ტელემაქეს თავგადასავლის თხრობის ფონზე, ავტორი გადმოგვცემს თავის პოლიტიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს ქვეყნის მმართველის – მეფის – შესახებ. მისი აზრით ბედნიერია ის ხალხი, ვისაც მართავს ბრძენი მეფე, რომელიც იცავს ზომიერებას და თავისუფალია შიშის გრძნობისაგან.

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი იყო 1823 წელს ილია ბაგრატიონის მიერ თარგმნილი „ლაიბნიცისა და კლარკის მიმოწერა“ (კლარკის ხუთი, ლაიბნიცის სამი და მათზე კლარკის სამი საპასუხო წერილი). კლარკისა და ლაიბნიცის მიმოწერა ეხება ღმერთისა და სამყაროს, ღმერთისა და სულის, სივრცისა და დროის ბუნების პრობლემას და სხვა. აღნიშნულ მიმოწერას გამოეხმაურა ქართველი იდეალისტი იონა ხელაშვილი და მას თავისი მოსაზრებებიც დაურთო. ლაიბნიცისაგან განსხვავებით, იონა ხელაშვილს მათემატიკური და მეტაფიზიკური გზით ღმერთის არსებობის მტკიცება არამართებულად მიაჩნია. მისი აზრით, ღმერთის არსებობის დამტკიცება გონებას საერთოდ არ ძალუძს; ამას ადასტურებს არა გონების სიბრძნე, არამედ ქვეყნის არსებობის ფაქტი, სამყაროს კანონზომიერება.

აღნიშნული მოსაზრების ნათელსაყოფად, იონა ხელაშვილმა სე. ვაჩნაძეს ფრანგული ენიდან 1807 წელს რუსულად თარგმნილი შოტლანდიელი ფილოსოფოს-მორალისტისა და ისტორიკოსის ადამ ფერგიუსონის (1723-1816) თხზულების – „სწავლა ზნეობითი და კანონი პატიოსანი კაცისა“ (I და II წიგნი) – თარგმნა დაავალა. ამ წიგნის თანახმად, მორალის საფუძველია რელიგია; ღმერთის არსებობა და სულის უკვდავება ყველა პატიოსან ადამიანს სწამს, ისინი ყველა ადამიანის გულშია, მათ მტკიცება არ სჭირდება. ერთ-ერთ წერილში იონა თავის ძმისწულს აღნიშნული წიგნის არა თუ კარგად შესწავლას, არამედ უმეტესის ზეპირად დასწავლასაც ურჩევს. 1826 წელს იმავე ავტორის მთავარი თხზულების „ზნეობითი ფილოსოფიის“ ნაწილი თარგმნა იოანე ბატონიშვილმა. ნაშრომის თანახმად, არსებითა არა ცალკეულ ადამიანთა, არამედ საყოველთაო ბედნიერების მიღწევა. არსებობს ბუნების კანონები და ზნეობის კანონები; საზოგადოებრივ ყოფაში ადამიანთა მიერ კანონების დაცვა უმაღლესი სიკეთეა, მათი დარღვევა კი ბოროტებაა. აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია ფერგიუსონის პოლიტიკური დოქტრინაც, რომელიც, ძირითადად, მონტესკიეს მოძღვრებას ეფუძნება.

დასავლეთ ევროპის დიდ მოაზროვნეთა მოძღვრებასა და პოლიტიკურ შეხედულებებს ჩინებულად იცნობდა გაიოზ რექტორისა და უცხოელ (გერმანელ და ავსტრიელ) პედაგოგთა მიერ აღზრდილი დავით ბატონიშვილი (1767-1819) – პოეტი, მთარგმნელი, ქართველ ვოლტერიანელთა პირველი წარმომადგენელი. 1815 წელს პეტერბურგში მან ქართულ ენაზე თარგმნა ფრანგი ფილოსოფოსის ჟან პიერ ანსილიონის (1767–1837) ნაშრომი „ესტეტიკური განსჯანი“ („ესთეტიკური განსჯანი“, რომელიც უძღვნა დავით მესხიშვილს) და ცალკე წიგნად გამოქვეყნებული

„პაექრობა“ (ანუ „ბაასი უფლის თეოფილაქტე ექსარხოსისა და არქიერის ფილარეტისა რაოდენთამე შენიშვნათა ზედა უფლის ანსილიონისა აღნაქესისა შინათა“). ანსილიონის ნაშრომი ეძღვნება არსის თვისებებისა და საგანთა წარმოების პრობლემას. ავტორის თანახმად, ადამიანის სულისათვის ნიშანდობლივია დაუოკებელი სწრაფვა უსასრულოსადმი; ხელოვნების უდიდესი საიდუმლოება სასრული საგნების საშუალებით ადამიანის სულში არსებულ უსასრულობის გრძობაზე ზემოქმედებაა, რომელიც მიიღწევა მუსიკითა და პოეზიით; ეს განაპირობებს ამ უკანასკნელთა უმჭიდროეს კავშირს რელიგიასა და ღვთისმსახურებასთან. ანსილიონის ნაშრომში არის ზოგიერთი ათეისტური აზრის მქონე მონაკვეთი, რის გამოც თხზულება აიკრძალა. მაგალითად, ავტორის აზრით, „ადამიანისათვის, ვინც თავს განათლებულად მიიჩნევს, რელიგია არის ძველი გადმოცემა, დაძველებული იარაღი, რომელიც ახლა საჭირო აღარ არის“. აღნიშნულის გამო, ნაშრომი ორი მაღალი რანგის სასულიერო პირის – თეოფილაქტე ექსარხოსისა და ფილარეტ არქიერის – პაექრობის საბაბი გახდა. თავისი დამოკიდებულება ანსილიონის მსჯელობებისადმი დავით ბაგრატიონს გამოთქმული აქვს „პაექრობის“ თარგმანის შენიშვნებში.

დავით ბაგრატიონს ეკუთვნის შარლ ლუი მონტესკიეს (1689–1755 წ.) ეპოქალური თხზულების “De l’Esprit des Lois” („კანონთა გონი“) თარგმანი სათაურით „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“. დავითისავე სიტყვებით „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა ქმნილი უფლისა მონტესკიესაგან არს [...] ერთი უმჯობესთა წერილთაგან ყოველსა ევროპასა შინა.“ ფრანგული განმანათლებლობის ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მეცნიერულ-ფილოსოფიურ თხზულებაში ავტორი მიზნად ისახავს შეისწავლოს და მეცნიერულად გააშუქოს კანონისა და კანონმდებლობის წარმოშობა და განვითარება, ნათელყოს მათი შეპირობება, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი კომპლექსით (ეკონომიკურ-პოლიტიკური, მორალურ-რელიგიური ფაქტორები და ა.შ.), ხოლო მეორე მხრივ, ბუნებრივი ფაქტორებით (გეოგრაფიული მდებარეობა, ჰავა, ფლორა, ფაუნა და ა.შ.). პროგრესული ჰუმანისტური იდეებით აღსავსე ნაშრომმა მონტესკიე დიდების შარავანდელით შემოსა.

დავით ბაგრატიონს მონტესკიეს ნაშრომის რუსულენოვანი თარგმანი შეუდარებია დედანთან, რის შესახებაც ერთ-ერთ შენიშვნაში იგი წერს: „მთარგმნელთა არა სცოდნიათ კარგად ფრანციცული და რუსულზე ბრჯგუდ გადმოედოთ, რომელშიც ძნელად იყო მისახვედრი მრავალი აზრი“. ასეთი ადგილები

დავით ბაგრატიონს ფრანგულის მიხედვით შეუსწორებია. ქართველი მთარგმნელი არ დასჯერდა მხოლოდ ტექსტისა და ავტორისეული შენიშვნების გადმოქართულებას, მან თარგმანს საკუთარი კომენტარები და კრიტიკული შენიშვნებიც დაურთო. ასე მაგალითად, ცივი და ცხელი ჰავის მკვიდრ ხალხებზე მსჯელობისას, მონტესკიე წერს: „ცხელი ქვეყნების ადამიანები მოხუცებით გაუბედავნი არიან, ცივი კლიმატის ადამიანები კი ახალგაზრდებით მამაცნი“ (მონტესკიე 1994: 253). ასეთი მსჯელობით უკმაყოფილო დავით ბაგრატიონი წერს: „აქა სცთების ავტორი [...] არავინ არს ეგრეთ შურისმგებელ, გულმანკიერ, იჭვნეულ მზაკვარ, მცბიერ და უყვარულ, ვითარცა ცივსა ჰაერსა შინა მცხოვრებნი ანუ ჩრდილოელნი [...] სცთები, უფალო მონტესკეუ! იარანალ რტიშჩევი და კრონინგი არიან მცხოვრებნი ცივისა კლიმატისანი და ბონაპარტე და მარშალ ნეი ცხელისა კლიმატისანი. ნუუმე ზემონი სჯობდნენ ქვემოთა ბიჭად და ანუ სარდლად?“ (დედაბრიშვილი 1973: 109). მონტესკიეს მსჯელობებისადმი ასეთი სახის კრიტიკული შენიშვნები არაერთგზის გვხვდება დავით ბაგრატიონის კომენტარებში.

1813 წელს დ. ბაგრატიონმა თარგმნა ვოლტერის დეისტური ხასიათის სტატია „შობისათვის“. ესაა ბუნებისა და ფილოსოფიის დიალოგი; ფილოსოფია მიმართავს ბუნებას თხოვნით განუმარტოს – ქმედითა ბუნება თუ პასიური, არის თუ არა ბუნებაში მისი ქმედებების მმართველი სულიერი ძალა; ბუნების პასუხის თანახმად, ბუნება ხელოვნებაა, მის მრავალფეროვნებაში დავანებულია უხილავი ძლიერი არსების, მისი შემოქმედის ნება. ამავე სტატიაში საუბარია დიდი რელიგიური დღესასწაულის – ქრისტეს შობის თარიღის (სხვადასხვა წყაროების მიხედვით განსხვავებულ თარიღებზე) შესახებაც. დავით ბაგრატიონი თხოვნით მიმართავს დავით რექტორს შეაჯეროს ვოლტერის თხზულებაში მითითებული ადგილები წმ. წიგნებიდან ამ წიგნებს და წერს: „წარმოკლებული თვით უნდა მიიწიოს ზესმიწვენილებაზედ და ნანდვილისა ცნებაზედ“ (დედაბრიშვილი 19743: 109).

დავით ბატონიშვილმა პირველმა შემოიტანა რამდენიმე ახალი ცნება და ტერმინი, მაგალითად, „ხელოვნება“ (მხატვრული შემოქმედების მნიშვნელობით), „ესთეტიკა“, კრიტიკა“. ლ. ასათიანის თანახმად, „დავითის ცხოვრება და ლიტერატურა არის ერთი საინტერესო დასაწყისი ფურცელთაგანი დასავლეთ ევროპული იდეების გავლენათა ისტორიიდან ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში“ (ასათიანი 1958: 76).

ქართველ უფლიწულთა შორის იოანე ბაგრატიონს (1768-1830) „როგორც მამამისი, გიორგი მეფე, ისე მიუკერძოებელი უცხოელი დესპანები და მოგზაურები

ყველაზე უფრო კეთილგონიერად და განათლებულად სთვლიდნენ ქართველ უფლისწულთა შორის [...] ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ჩინებული პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის ნიჭი გამოავლინა და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა თავისი ცოდნით, სიღინჯით და ზომიერებით“ (ქიქოძე 1985: 293).

იოანე ბატონიშვილს ეკუთვნის კონდილიაკის (1715-1780) ორი ნაშრომის თარგმანიც. 1792 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა კონდილიაკის ნაშრომის “L’art de raisonner” (რუსულად ითარგმნა სათაურით „ლოგიკა“) რუსულენოვანი თარგმანი, რომელიც იოანე ბატონიშვილის მიერ ქართულ ენაზე ითარგმნა სათაურით „ლოლიკა აბბატ კონდილიაკისა, ჩლენისა ფრანციისა, გერმანიისა, პარიზისა და ლიონის აკადემიათა“. თუმცა, რეალურად, აღნიშნული შრომა წარმოადგენს არა ლოგიკას, არამედ ფიზიკას. კონდილიაკის აზრით, არსებობს ერთი მეცნიერება – ბუნების ისტორია. მასში გვხვდება მოქმედება ან განყენებული ცნებები; პირველს სწავლობს ფიზიკა, მეორეს – მეტაფიზიკა. 1805 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა კონდილიაკის მეორე შრომა „ლოგიკა“ („La logique“), რომელშიც გადმოცემულია კონდილიაკის შემეცნების თეორია. ამ წიგნის ორი თავის ქართულენოვანი თარგმანი შეტანილია ი. ბატონიშვილის „კალმასობაში“, რაც იმის დასტურია, რომ იოანე ბატონიშვილმა დაიწყო აღნიშნული წიგნის თარგმნა, მაგრამ, როგორც ჩანს, თარგმანი არ დაუსრულებია. მოგვიანებით, „ლოგიკაში“ მოცემულმა კონდილიაკის დეისტურმა შეხედულებებმა სამყაროს პირველი მიზეზის შესახებ სათანადო ასახვა ჰპოვა იოანე ბატონიშვილის ფილოსოფიურ ნაშრომებში.

იდეალისტი იონა ხელაშვილი, რომლისთვისაც მიუღებელი იყო ლოკის და, საერთოდ, მატერიალისტების შეხედულებებთანაა მონათესავე კონდილიაკის ნააზრევი, აღნიშნული ნაშრომის თარგმანს უარყოფითად შეხვდა. კონდილიაკი ავითარებს ლოკის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც არა მარტო სული, არამედ გრძნობები, იდეათა წარმოქმნის ხელოვნება, გრძნობადი აღქმის ხელოვნება გამოცდილებისა და ჩვეულების საქმეა; შესაბამისად, ადამიანის განვითარება მთლიანად აღზრდასა და გარემოებებზეა დამოკიდებული. აკად. შ. ნუცუბიძე წერს: „ამ თვალსაზრისზე იდგა იოანე ბატონიშვილი. მხედველობაში მისაღებია მისი როგორც თარგმნითი, ისე დამოუკიდებელი სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობა. რუსული ფილოსოფიის გავლენით მას შეთვისებული აქვს სენსუალისტური თვალსაზრისი, რაც ერთგვარი საფეხური უნდა ყოფილიყო მატერიალისტური თვალსაზრისის შეთვისებისათვის, საითაც მიდიოდა რუსული თანამედროვე აზროვნება“ (ნუცუბიძე 1958: 454).

1826 წელს იოანე ბატონიშვილმა ფერგიუსონის მთავარი თხზულების „ზნეობითი ფილოსოფიის“ ნაწილი თარგმნა. ავტორის თანახმად, არსებობს ბუნების კანონები და ზნეობის კანონები; არსებითია არა ცალკეულ ადამიანთა, არამედ საყოველთაო ბედნიერების მიღწევა. აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია ფერგიუსონის პოლიტიკური დოქტრინაც, რომელიც, ძირითადად, მონტესკიეს მოძღვრებას ეფუძნება. ფერგიუსონი ეთანხმება მონტესკიეს მოსაზრებას: „ჩვენ თავისუფალნი ვართ იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო კანონების ძალაუფლებაში ვიმყოფებით; თავისუფლება იმის კეთების უფლებაა, რაც კანონით დასაშვებია“ (მონტესკიე 1994: 180) და აცხადებს: საზოგადოებრივ ყოფაში ადამიანთა მიერ კანონების დაცვა უმაღლესი სიკეთეა, მათი დარღვევა კი ბოროტებაა.

იოანე ბატონიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან დიდად პოპულარულია ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „კალმასობა“ (1813-1828), რომელსაც, მართალია, ავტორი „ხუმარსწავლას“ უწოდებს, მაგრამ თხზულების ძირითადი ტონი მაინც დიდად სერიოზულია. ეს ღრმა პატრიოტული და ჰუმანისტური ტენდენციებით დაწერილი წიგნი, თავისებური ენციკლოპედიაა, რომელშიც ავტორი ცდილობს თავისი დროის მეცნიერების მიღწევები ხელმისაწვდომი გახადოს ქართველი მკითხველისათვის. „კალმასობას“ ევროპელი მეცნიერების, განსაკუთრებით ფრანგი ენციკლოპედიტების ძლიერი ზეგავლენა ეტყობა; ნაშრომს გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობაც უძევს; კერძოდ, ავტორი ეთანხმება სენსუალისტებს, რომ როგორც გარეშე სამყაროს, ისე თავის თავს ადამიანი შეგრძნებათა შემწეობით შეიცნობს; მას თანდაყოლილი იდეები არა აქვს. „კალმასობაში“ საქართველოს რღვევისა და დაუძღვრების მიზეზად ავტორს ქვეყნის გათიშულობა, განათლების მოშლა და მორალურ-სარწმუნოებრივი სისუსტე მიაჩნია. იგი ვოლტერისეული გონებამახვილობით ამხელს ქართველი ფეოდალების მანკიერ მხარეებს, მათ უმეცრებას, დაუნდობლობას, ძალმომრეობას, გაუმაძღრობას; აღწერს სამღვდლოების უვიცობისა და ვერცხლისმოყვარეობის კონკრეტულ მაგალითებს; ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობას ჰუმანისტური კანონების უქონლობით ხსნის; „თავადაზნაურული ჰუმანიზმის“ პოზიციებიდან მოითხოვს გლეხთა შეწყალებას. გ. ქიქოძის აზრით, „კალმასობას“ საინტერესო საკითხავ წიგნად ხდის მისი მხატვრული ნაწილიც, სადაც იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი და ადამიანების ფსიქოლოგიაა ასახული.

ორიგინალური თხზულებებითა და თარგმანებით (ფერგიუსონის „მოძღვრება ზნეობითი ფილოსოფიისა“, აბატ კონდილიაკის „ლოლიკა“, პ. ჰოფმანის „საექიმო

ნაშრომი“, გ. დერჟავინის ლექსი „ღმერთი“, „სამიჯნურო მიწერ-მოწერა იულიასთან“, სპარსულიდან „სეილანიანის“ გადმოღებით), ასევე რამდენიმე დარგის (გრამატიკა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) სახელმძღვანელოს, ენციკლოპედიისა და მრავალტომიანი ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენით, იოანე ბატონიშვილმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას. მან ერთგვარ სისტემაში მოიყვანა ძველ ქართულ მწერლობაში შემუშავებული ცოდნა და ახალ ტენდენციებსაც დაუდო სათავე.

თეიმურაზ ბაგრატიონმა (1782-1846) სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გაატარა რუსეთში, პეტერბურგში, სადაც ნაყოფიერ მეცნიერულ-ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. 1831 წელს იგი ჩაირიცხა პარიზის სააზიო საზოგადოების ნამდვილ წევრად და ამ საზოგადოებაში აქტიური მოღვაწეობით ხელი შეუწყო ქართველოლოგიის განვითარების საქმეს; კერძოდ, მან დიდი დახმარება გაუწია ფრანგ ქართველოლოგს მარი ბროსეს, რომელიც თავს თეიმურაზის მოწაფედ მიიჩნევდა და დიდ პატივს სცემდა თავის მასწავლებელს. 1837 წელს თეიმურაზ ბაგრატიონი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს. თეიმურაზმა აღზარდა ცნობილ ქართველ მოღვაწეთა პლეადა, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლი, პირველი ქართველი ნეოკანტიანელი ს. დოდაშვილი, რომლის ფილოსოფიური მოღვაწეობა ნათლად მეტყველებს XIX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების დონეზე. „სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ მან პირველმა შექმნა კანტზე ორიენტირებული ლოგიკა რუსული სასწავლებლებისათვის. მანვე შესანიშნავად წამოსწია კანტის მრავალფეროვანი პრობლემატიკიდან მშვიდობის პრობლემა. კანტის ცნობილი ნაშრომის – „ანთროპოლოგია პრაგმატისტული თვალსაზრისით“ – კვალად, ს. დოდაშვილი ფილოსოფიის ძირითად მიზნად ადამიანის გაგებას თვლის. მისთვის შემეცნებელი ადამიანი შემეცნების უმაღლესი საგანიც არის, ხოლო მიზანი – მშვიდობა, როგორც ჰარმონია, თანხმობა ჩვენი ცნობიერების განსხვავებულ შინაარსებს შორის, რაც ადამიანსა და სამყაროს შორის ჰარმონიის საფუძველია. ამით საინტერესოდ გაერთიანდა კანტის გაგლება და საქართველოში ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ორიენტაცია მშვიდობაზე [...] თავისი მოძღვრების დასასაბუთებლად ს. დოდაშვილმა გამოიყენა მაშინდელი ევროპული ფილოსოფიის საუკეთესო გამოცდილება, კერძოდ, დიდი გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის (1724-1804) და მისი დიდი მემკვიდრეების (ი. გ. ფიხტე, ფ. ვ. ი. შელინგი, გ. ვ. ფ. ჰეგელი და სხვა) მონაპოვარი“ (თევზაძე 2003: 12; თევზაძე 2005: 5).

თეიმურაზ ბატონიშვილის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გვხვდება როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ასევე, არისტოტელეს, ტაციტუსის, ციცერონის, ვოლტერის, ნაპოლეონის, დოსითეოზ პატრიარქისა და სხვათა თხზულებების თარგმანები. პეტერბურგში თეიმურაზ ბაგრატიონმა რუსულიდან თარგმნა არისტოტელეს ნაშრომი „განსჯანი არისტოტელისანი კეთილისა და ბოროტისათვის“, რომელიც 1818 წელს დაიბეჭდა. ამ მცირე მოცულობის თარგმანში მოცემულია არისტოტელეს სწავლება კეთილისა და ბოროტის შესახებ, ასევე სათნოებისა და მანკიერების ცალკეული მაგალითების ჩამონათვალი. გონიერებამ უნდა გაარჩიოს ბოროტი კეთილისაგან და აარჩიოს აქედან გზა. თეიმურაზ ბატონიშვილს ეკუთვნის ვოლტერის პიესა „ალათოკლეს“ თარგმანი.

განმანათლებლობის სულისკვეთება – პიროვნების თავისუფლების იდეა – ორიგინალურად აისახა „თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა ქომაგის“ ჟან ჟაკ რუსოს (1712-1778) შემოქმედებაში, რომლის პოლიტიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატები აზრის ისტორიაში რუსოიზმის სახელით შევიდა. გალაქტიონის თქმით „რუსოს ქარიშხლიანმა გენიამ, მისმა მხურვალე მჭევრმეტყველებამ [...] ქვეყნის განმაახლებელ ურავანად, მარსელიოზის ხმებით გადაიგრიალა საფრანგეთზე“ (ტაბიძე 1975: 574).

1800 წელს მეფე ერეკლე მეორის უმცროსმა ვაჟმა ფარნაოზ ბაგრატიონმა (1772-1852წწ.) გადმოიღო „პაზრნი ჟან ჟაკ რუსოსი სხვადასხვა საგანთათვის“, რომელშიც მოცემულია რუსოს შეხედულებები დემოკრატის, სინდისის, სათნოების, კეთილმოქმედებისა და სხვა საკითხებზე.

1849 წელს დავით ციციშვილმა ქართულად თარგმნა რუსოს ტრაქტატი „ხელი შეუწყო თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებამ ზნეობის განწმენდას“. რუსოს აზრით, ადამიანის დენატურალიზაციისა და ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე, კულტურის ზრდას კაცობრიობა ზნეობის დაცვამდე მიყავს; ზნეობა იხრწნება იმ ზომით, რა ზომითაც სრულიყოფა მეცნიერება და ხელოვნება. რუსოს აღნიშნული ნაშრომის თარგმანს ქართული საზოგადოება უარყოფითად შეხვდა. ლ. ასათიანის აზრით, „XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული სინამდვილისათვის კულტურისა და სწავლა-განათლების უარყოფით გავლენაზე ლაპარაკი ცოტა უცნაური გაუგებრობა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, რუსოს ქართულად თარგმნა მაინც სიმპტომატური იყო იმ დროს“ (ასათიანი 1958: 97).

დიდმა ფრანგმა განმანათლებელმა ვოლტერმა (1694-1778) თავისი ფილოსოფიური და პოლიტიკური იდეები სადა ენითა და ბრწყინვალე ლიტერატურული

ფორმით დაწერილ ფილოსოფიურ მოთხრობებში ჩამოაყალიბა. საქართველოში ვოლტერის აზრებს იზიარებდნენ და მის თხზულებებს თარგმნიდნენ დავით რექტორი, დავით და თეიმურაზ ბაგრატიონები, გიორგი ავალიშვილი, იესე გარსევანიშვილი, ალ. ჭავჭავაძე, დ. ფურცელაძე, დ. ზუბალაშვილი და სხვანი.

1818 წელს გ. ავალიშვილმა თარგმნა ვოლტერის „ქვეყანა ვითარცა არს ანუ ხილვა ბაბუკისა“ და პიესა „ოიდიპოსი“; ვოლტერის პიესა „ფანტაზმა ანუ მაჰმად წინასწარმეტყველი“ თარგმნა დ. ზუბალაშვილმა, ხოლო – „აღათოკლე“ თეიმურაზ ბატონიშვილმა.

1838 წელს სამეფო კარის დეკანოზმა იესე გარსევანიშვილმა რუსულიდან თარგმნა ვოლტერის ისტორიული შრომა „ლუი XIV მეფობის ისტორია.“ ნაშრომში მოცემულია ვოლტერის შეხედულებები ისტორიაზე; მსოფლიო ისტორიაში ვოლტერი გამოყოფს ოთხ პერიოდს (ანტიკური საბერძნეთის, რომის, კონსტანტინოპოლის აღებიდან იტალიის აყვავების პერიოდამდე და ლუი XIV მეფობის პერიოდს). ისტორიის ვოლტერისეული პერიოდიზაცია ეფუძნება მეცნიერების, ხელოვნებისა და ადამიანის აზროვნების პროგრესის ეპოქებს.

ამავე ეპოქის მოღვაწეთაგან ცალკე უნდა აღინიშნოს ალ. ჭავჭავაძე (1786-1846), როგორც ვოლტერის თხზულებათა (ტრაგედიები „ზაირა“ და „აღზირა“) პირველი, უშუალოდ დედნიდან მთარგმნელი საქართველოში. ალ. ჭავჭავაძის მიერ შესრულებულმა მაღალმხატვრულმა თარგმანებმა დიდად შეუწყო ხელი ქართული საზოგადოების ინტერესის გაღვივებას ფრანგული ფილოსოფიისადმი. ალ. ხახანაშვილს აღექსანდრე ჭავჭავაძის უდიდეს დამსახურებად მიაჩნია ის, რომ „მან შეისისხლხორცა საფრანგეთის ფილოსოფოსის ვოლტერის ეჭვიანობა და სკეპტიციზმი. გარდა ამისა, სახელი მოიხვეჭა როგორც ფრანგულ ნაწარმოებთა მთარგმნელმა“ (ხახანაშვილი 1913: 24).

ვოლტერის პიესა „ფანტაზმა ანუ მაჰმად წინასწარმეტყველი“ თარგმნა დ. ზუბალაშვილმა. იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულად ითარგმნა ვოლტერის ფილოსოფიური მოთხრობები „ზადივი“ (თარგმანი ა. ახნაზაროვისა) და „უმანკო“ (თარგმანი თ. სახოკიასი). ამ მოთხრობებში ვოლტერის მიერ გამოთქმული აზრები ნათლად გამოხატავს განმანათლებელთა სულისკვეთებას. ავტორის თანახმად, საზოგადოებაში ფიზიკური და სოციალური ხასიათის ბოროტება აღქმული უნდა იქნეს ემპირიულ ფაქტად; საჭიროა ბრძოლა, რათა აღზრდის შედეგად ადამიანი უფრო სამართლიანი და კეთილგონიერი, ხოლო ბრძნული კანონმდებლობის მეშვეობით საზოგადოება უფრო ჰარმონიული გახდეს.

ფრანგ განმანათლებელთა იდეების გავლენით, ალექსანდრე ამილახვარმა (1750-1802) პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი), თავისი დროის უაღრესად განათლებულმა ადამიანმა, დაწერა პოლიტიკური ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა.“ ფრანგი მწერლების კორნელის, ლაფონტენის, რასინისა და ვოლტერის მთარგმნელ პოეტ ალ. ჭავჭავაძეს რუსოს თხზულებები არ უთარგმნია, მაგრამ „ამ დიდი მოაზროვნის გავლენა და სიყვარული ეტყობა მის ზოგიერთ ლექსს; სწორედ ამის გამო თარგმნა მან გრაფ ვოლნეის ტრაქტატი „ნანგრევები ანუ ფიქრები იმპერიის აყვავებასა და დაცემაზე“, რომელსაც თავიდან ბოლომდე გასდევს უან უაკ რუსოს იდეები. აღნიშნული ტრაქტატის ერთი თავი ალ. ჭავჭავაძემ ქართულად გადმოაკეთა და მას „ახლოთ განხილველი კაცი“ უწოდა“ (ნატროშვილი 1969: 143).

ვოლტერის დეისტური რელიგიისა და მონტესკიეს იდეათა გავლენა ჩანს უან უაკ რუსოს „ახალი ელოიზას“ მიხედვით შექმნილ რომანში „ახალი შიხი“ (სპარსელი ყმაწვილის – შიხისა და ქართველი გოგონას ფერიას მიმოწერა), რომელსაც დავით ბატონიშვილმა ქართული ელფერი მისცა. მონტესკიესა და რუსოს შეხედულებებმა კანონის რაობასა და კანონმდებლობის წარმოშობაზე სათანადო ასახვა ჰპოვა დავით ბაგრატიონის ნაშრომში „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა“.

XVIII-XIX საუკუნეების თარგმნილი და ორიგინალური თხზულებები ნათელი დასტურია იმისა, თუ „რა იდეები, აზრები და საკითხები იპყრობდნენ მის [ქართველი ხალხის] ყურადღებას, როგორ ითვისებდა ის ამ იდეებს და აზრებს, ერთი სიტყვით, როგორი იყო მისი გონებრივი და ზნეობრივი დონე, მისი ესთეტიკურ-მხატვრული გემოვნება და ლიტერატურული განვითარება“ (კეკელიძე 1941: 1).

XIX საუკუნის დასასრულისათვის განმანათლებელთა მოძღვრებისა და თხზულებათა გამო ჩვენში არა მხოლოდ წერდნენ და მსჯელობდნენ, არამედ ქართული კულტურის მოღვაწეთ უშუალო ნაცნობობა და ურთიერთობაც ჰქონდათ საფრანგეთის ინტელინგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, მათთან პირადად კამათობენ ფილოსოფიის, ხელოვნების, ლიტერატურისა და სხვა საკითხებზე. მათ რიცხვს განეკუთვნებიან ალ. ჭავჭავაძე, გ. ერისთავი, გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე (რუსოს „აღსარება“ ილიას სამაგიდო წიგნი გახლდათ), ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, თ. სახოკია, ზ. ჭიჭინაძე, ნ. ხიზანიშვილი, გ. წერეთელი, ეკ. გაბაშვილი, ი. მეუნარგია, ს. მესხი, კ. მესხი, პ. მირიანაშვილი, ივ. მაჭავარიანი და სხვები. ი. ჭავჭავაძე ახალგაზრდობას

მოუწოდებდა შეძლებისდაგვარად ძირეულად შეესწავლა ევროპული მეცნიერება, რათა „წინ გაემძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს [...] ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას“ (ჭავჭავაძე 1955 : 98).

გასული საუკუნის დასაწყისში ევროპაში განსწავლულმა ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილებმა: კ. გამსახურდიამ, დ. კასრაძემ, კ. კაპანელმა, გ. რობაქიძემ, თ. სახოკიამ, ე. ტატიშვილმა, გ. ქიქოძემ არაერთი შესანიშნავი თარგმანი შესძინეს ქართულ კულტურას. ევროპული ენებისა და კულტურის ღრმა მცოდნენი საკაცობრიო ღირებულების მქონე ყოველი ნაშრომის გათავისების საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და უპირატესობას ორიგინალიდან თარგმნის საქმეს ანიჭებდნენ, მთარგმნელს კი იმ გამრჯე ფუტკარს ადარებდნენ, რომელსაც „სხვა ენებსა და ერებს შორის მიმოჰქონდა მადლიანი სურნელება და ანაყოფიერებდა ამა თუ იმ ნაციონალურ კულტურას“ (გამსახურდია 1965: 462).

ამავე პერიოდიდან შეიმჩნევა ფრანგული ლიტერატურის თარგმანთა სიმრავლე და მრავალფეროვნება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თ. სახოკიას მიერ „განასაცვიფრებელი მხატვრული ტაქტით“ თარგმნილი მოპასანის მოთხრობები, ჰიუგოს, ბარბიუსის თხზულებები. სარგის ცაიშვილი სახოკიას შესახებ წერს: „თედო რამდენიმე ევროპულ ენას ფლობდა, მაგრამ მისი, როგორც მთარგმნელის უპირველესი ღირსება მხოლოდ აქ არ უნდა ვეძიოთ. იგი კარგი მოქართულე იყო და შესანიშნავად გრძნობდა მშობლიური ენის დედაბუნებას“ (ცაიშვილი 1982: 7).

გ. ქიქოძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შეფასებისას, ნ. ნათაძე სრულიად მართებულად აცხადებს: „აღნიშნული პერიოდის თარგმნილი ლიტერატურის დონეს გ. ქიქოძის მიერ შესრულებული (ბალზაკის, სტენდალის, მერიმეს, ან. ფრანსის, ალ. დოდეს ნაწარმოებთა) მაღალ-მხატვრული თარგმანები განსაზღვრავს. მისი თარგმანები ქართული თარგმნილი პროზის, როგორც ასეთის, პრესტიჟსა და სახელს ქმნის“ (ნათაძე 1969: 102).

XX საუკუნის მეორე ნახევარში ფრანგულ-ქართული კულტურული ურთიერთობის (ფილოსოფიის კუთხით) ტრადიციის გაგრძელების ნათელი ნიმუში მერაბ მამარდაშვილის მოღვაწეობა გახლავთ. ქართველი ფილოსოფოსის თანახმად, მისი მსოფლმხედველობისა და აზროვნების ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია ფრანგულმა კულტურამ და ფილოსოფიამ.

მ. მამარდაშვილის შეფასებით, „ეს იყო ჭეშმარიტად კარტეზიული ფილოსოფია, ფრანგული კულტურა და ფილოსოფია, რამაც მე შემიქმნა მენტალურად... ის, რაც მე მიზიდავს ფრანგული აზრის ისტორიაში, გახლავთ იმგვარ მოაზროვნეთა სიმრავლე, ვინც საკუთარი ნაჭუჭის გამომსხვრევა გაბედა და სიცოცხლის საფრთხე შეიცნო. მათ გაბედეს უმაღლეს სამყაროს წიგნიდან ესწავლათ, ვიდრე ელაპარაკათ იმ წუთების მიხედვით, რომლებიც მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. ამ მხრივ დეკარტი და პრუსტი გაცილებით მეტს მასწავლიან, ვიდრე მონობის მწარე თუ სულის შემძვრელი მხილებანი“ (ლაბუჩიძე 2003: 5). 1997 წელს საფრანგეთში გამოქვეყნდა მ. მამარდაშვილის „კარტეზიული მედიტაციები“ (“Méditations Cartésiennes”, SOLIN, ACTES SUD, 1997).

ჩვენში ფილოსოფიური ლიტერატურის მთარგმნელობითი კულტურის ტრადიციის მიუხედავად, XX საუკუნეში, ფრანგულ მხატვრულ პროზასთან შედარებით, ფრანგ ფილოსოფოსთა თხზულებების თარგმანთა ისეთივე სიჭარბე არ შეინიშნება. 1955 წელს ს. დანელიამ თარგმნა რ. დეკარტის „მეტაფიზიკური განაზრებანი“; ლაიბნიცის „მონადოლოგია“; იმავე საუკუნის 60-იან წლებში რ. დოდაშვილმა თარგმნა ვოლტერის ფილოსოფიური მოთხრობა „კანდიდი“, ხოლო ნ. ქადეიშვილმა ბაბილონის პრინცესა“; მათვე ხელმეორედ თარგმნეს „ზადიგი“ (თავი I–XI ნ. ქადეიშვილმა, თავი XII–XXI რ. დოდაშვილმა). 1981 წელს ბ. ბრეგვაძემ თარგმნა ბ. პასკალის „აზრები“, ხოლო 1984 წელს ა. ბერგსონის „ცნობიერების უშუალო მონაცემები“.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დასავლეთ ევროპის ფილოსოფიური ლიტერატურის (ცხადია, ფრანგ ფილოსოფოსთა თხზულებების) თარგმნის ტრადიციის გაგრძელება ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტმა იტვირთა. ნიკო ჭავჭავაძემ (იმხანად ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა) ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმნა ინსტიტუტის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად აქცია. ამ მიზნით ინსტიტუტში საგანგებოდ შეიქმნა კლასიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის თარგმანის განყოფილება; ქართულად პირველად ითარგმნა გერმანულ, ფრანგ, ინგლისულ ფილოსოფოსთა არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი და გამოქვეყნდა ჟურნალ „მაცნეს“ (ფილოსოფიის სერია) ფურცლებზე, ზოგი თარგმანი ცალკე წიგნად გამოიცა.

ჩვენი საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, ყურადღებას მხოლოდ ფრანგი ფილოსოფოსების თხზულებების ქართულ თარგმანებზე გავამახვილებთ. 1982-83 წლებში ჟურნალ „მაცნე“-ში (ფილოსოფიის სერია) გამოქვეყნდა რ. დეკარტის (1596-

1650) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომის – „მსჯელობა მეთოდის შესახებ“ – ჩვენ მიერ შესრულებული პირველი ქართული თარგმანი. ნაშრომში მოცემულია ავტორის მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რა მიაჩნია მას საჭიროდ კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად, ჭეშმარიტების საძიებლად. დეკარტის თანახმად, აზროვნების თავისუფლება პიროვნების თავისუფლების საფუძველია; გონება უნდა დაეყრდნოს მხოლოდ თავის თავს, რადგან იგი შემეცნების, ცოდნის ერთადერთი წყაროა. რამდენიმე წლის შემდეგ მეორედ ითარგმნა დეკარტის „მეტაფიზიკური მედიტაციები“ (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. დანელიას მიერ შესრულებული თარგმანი სათაურით „მეტაფიზიკური განაზრებანი“ 1955 წელს გამოქვეყნდა). ამ ნაშრომში ფრანგი ფილოსოფოსი დაეჭვების გზით შეეცადა აღმოეჩინა ერთი ცხადი და უდავო ჭეშმარიტება და ამ უკანასკნელის საფუძველზე აეგო ფილოსოფიური მოძღვრების შენობა. დეკარტის აღნიშნული თხზულებები მისი, როგორც ფილოსოფოსის უდიდესი გონიერებისა და განსჯითი ნიჭის ნაყოფი, საღი აზრების საოცარ სიმდიდრეს ფლობს. 2001 წელს ამ თხზულებათა თარგმანები ერთ წიგნად გამოქვეყნდა (გამომცემლობა „ნეკერი“).

1991-93 წლებში ჟურნალ „მაცნეს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა აღორძინების ეპოქის ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ დე მონტენის (1533-1592) „ესეები“-ს პირველი ქართული თარგმანი. „ესეები“ ფილოსოფიური ენციკლოპედიაა, რომლის დედააზრიც გონების უზენაესობაა. 1999 წელს ფრაგმენტები მონტენის „ესეები“-დან სათაურით „მშვენიერი ბრძნული მსჯელობები“ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა (გამომცემლობა „ლომისი“); იმავე თხზულების ფრაგმენტები დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (2000, №9-10), კრებულებში „ახალი თარგმანები“ (2005) და „ევროპული ძიებანი“ (2008).

XX საუკუნის დასასრულს, ეროვნული ცნობიერების აღორძინებისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში, ძალზე მნიშვნელოვნად მივიჩნევთ ფრანგული განმანათლებლობის უდიდესი წარმომადგენლების შარლ ლუი მონტესკიესა (1689-1755) და ჟან ჟაკ რუსოს (1712-1778) ეპოქალური თხზულებების გაცნობა ქართული საზოგადოებისათვის. 1994 წელს გამოქვეყნდა ორიგინალიდან თანამედროვე ქართულ ენაზე შესრულებული შ. ლ. მონტესკიეს „კანონთა გონი“ (1748); გამომცემელი: „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი“, ხოლო 1997 წელს ჟან ჟაკ რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ (1762); პირველი ქართული თარგმანი, გამომცემელი: „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი“. აღნიშნულ თხზულებებში მოცემულია მონტესკიესა და რუსოს პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები ჩვენი

საზოგადოებისათვის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: სამოქალაქო და ბუნებრივი თავისუფლება, იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობა, დემოკრატიული მმართველობის არსი, ხელისუფლების განაწილების პრინციპი, კანონისა და საკანონმდებლო სისტემის მიზანი დემოკრატიულ სახელმწიფოში და ა.შ.

2001 წელს გამომცემლობა „იოანე პეტრიწმა“ გამოაქვეყნა ფრანგული სოციოლოგიის ფუძემდებლის ემილ დიურკემის (1858-1917) ნაშრომის – „სოციოლოგიის მეთოდის წესები“ (1895) – პირველი ქართული თარგმანი; აღნიშნულ ნაშრომში ავტორი ადგენს იმ მეთოდსა და წესებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სოციალური მოვლენების განსაკუთრებული ბუნების შეცნობა და შეფასება; 2004 წელს იმავე გამომცემლობის ინიციატივით დაიბეჭდა ემილ დიურკემის მეორე შრომა „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“ (1912). დიურკემს რელიგია საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად მიაჩნია; სწორედ ამ მიზნით იკვლევს იგი რელიგიის დასაბამს, მის რაობას და ცდილობს აღმოაჩინოს რელიგიური ცხოვრების საერთო საძირკველი იმ მდიდრული საფარველის ქვეშ, მას რომ ფარავს.

მიშელ ფუკო (1926-1984) გასული საუკუნის ერთ-ერთი იმ მოაზროვნეთაგანია, ვისმა სახელმაც საერთაშორისო რეზონანსი ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე მოიპოვა. ფუკოს შრომები მსოფლიოს 60-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი. ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება პირველად ქართულ ენაზე გვეთარგმნა მისი ნაშრომი „სიტყვები და საგნები“, რომელიც 2004 წელს გამომცემლობა „ლიოგენე“-ს ინიციატივით გამოქვეყნდა. ნაშრომში „სიტყვები და საგნები“ (1966) ფუკო განიხილავს ევროპული აზროვნების ძირითად ეტაპებს XVI საუკუნიდან XX საუკუნის 80-იან წლებამდე.

2007 წელს გამომცემლობა „აგორა“-მ გამოაქვეყნა ფრანგული ფენომენოლოგიის ფუძემდებლის მორის მერლო-პონტის (1908-1961) ნაშრომის – „თვალი და გონება“ (1960) – პირველი ქართული თარგმანი. „თვალი და გონება“ ესაა მედიტაცია მხატვრობაზე, რომლის მეშვეობითაც ფრანგი ფილოსოფოსი მიუთითებს საზღვრებს მიღმა ფენომენოლოგიის გასვლის დასაწყისზე და ახალი ონტოლოგიის შექმნის მოთხოვნილებაზე.

2007 წელს გამომცემლობა „არხე“-ს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა ანრი ბერგსონის (1859-1941) ნაშრომის – „ცნობიერება და სიცოცხლე“ (1911) – პირველი ქართული თარგმანი. ნაშრომში ბერგსონის რეფლექსიის საგანია ცნობიერება,

სიცოცხლე და მათი ურთიერთმიმართება; საკითხი განხილულია ბუნების მეცნიერებათა, ფილოსოფიისა და რელიგიის ჭრილში.

2007 წელს გამომცემლობა „იმპრესის“ ინიციატივით დაიბეჭდა წარმოშობით ლიბანელი სოციოლოგის, პარიზში მოღვაწე ფრანგულენოვანი ავტორის ამინ მაალუფის (1949) „დამღუპველი იდენტობები“-ს (1996) პირველი ქართული თარგმანი. თხზულებაში ავტორი მიზნად ისახავს გვიჩვენოს, თუ რა ესახება მას სიბრძნის გზად, რათა რთულ ისტორიულ ვითარებაში – გლობალიზაციის თანამდევ თავბრუდამხვევ ცვლილებათა პროცესში – შევძლოთ კულტურათა მრავალფეროვნების შენარჩუნება და მოდერნიზება ჩვენთვის იდენტობის დაუკარგავად.

2009 წელს გამომცემლობა „Carpe diem“ გამოაქვეყნა ჟან ჟაკ რუსოს ნაშრომის – „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ“ (1755) – პირველი ქართული თარგმანი; ნაშრომში ავტორის მიზანია საზოგადოების ევოლუციის კვალობაზე წარმოაჩინოს ადამიანთა შორის პოლიტიკური უთანასწორობის დასაბამის საფუძვლები.

2002 წლიდან ჟურნალ „მაცნეს“ (ფილოსოფიის სერია) ფურცლებზე ყოველწლიურად იბეჭდება ფრანგული პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, შედარებითი სოციოლოგიის კლასიკოსის ალექსი კლერელ დე ტოკვილის (1805-1859) ფუნდამენტური ნაშრომის – „დემოკრატია ამერიკაში“ (1835) – პირველი ქართული თარგმანი. ტოკვილის ნაშრომმა, რომელშიც მან ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებები დემოკრატიული მმართველობის შესახებ, დიდი გავლენა მოახდინა დემოკრატიის ზოგადი თეორიისა და თანამედროვე ლიბერალურ-პოლიტიკური ფილოსოფიის ფორმირებაზე.

ის დიდი ინტერესი, რაც საზოგადოებაში ფრანგ ფილოსოფოსთა ნაშრომების ჩვენ მიერ შესრულებულმა თარგმანთა გამოქვეყნებამ გამოიწვია, ცხადყოფს, რომ ფილოსოფიურ თხზულებათა თარგმნა ყოველთვის ეთანადება ეპოქის მოთხოვნებს. ასეთი სახის ნაშრომთა თარგმანები დიდ დახმარებას უწევს იურიდიული, სოციალურ-პოლიტიკური, ჰუმანიტარული ფაკულტეტების (ფილოსოფიის, რომანისტიკის, ამერიკანისტიკის და ა.შ. მიმართულებათა) სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს; ასევე, ზოგადად პოლიტიკური ფილოსოფიის, სოციოლოგიის, დემოკრატიული მმართველობის საკითხებითა და ლიბერალურ-პოლიტიკური თეორიებით დაინტერესებული საზოგადოების ფართო მასებს; ვფიქრობთ, ამგვარი სახის თხზულებათა თარგმანები მნიშვნელოვნად შეუწყობს

ხელს ადამიანთა მომზადებას გონივრული საზოგადოებრივი წყობის დასამყარებლად.

4. მთარგმნელობითი მოღვაწეობის პერსპექტივა

„თარგმანი ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა და მის შესახებ უზრმაზარი ლიტერატურაა შექმნილი უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე. და მაინც ინტერესი თარგმანის ფენომენის მიმართ კი არ ნელდება, არამედ უფრო ძლიერდება“ (წიბახაშვილი 2000: 10).

მშობლიურ ენაზე მეტყველ ყოველ ერს საკუთარი სინკრეტული მსოფლშეგრძნება აქვს, ყოველ ენას – რეალობასთან მიმართებისა და დენოტაციურ დონეზე მისი აღნიშვნის საკუთარი ხერხი და ფორმა. ენათა შორის არსებული სხვაობა მხოლოდ ღვთიური სიტყვის სიმდიდრეს წარმოაჩენს და ყველა პირობას ქმნის, რათა თითოეულმა მათგანმა თავისი პოტენციული გამოავლინოს. ენა რაღაცას გამოთქვამს, წარმოაჩენს, მსოფლმხედველობა კი ასაგნებს სამყაროსაც და ენასაც ანუ აქცევს მას ნიშანთა სისტემად და ამ უკანასკნელის მეშვეობით აღბეჭდავს სამყაროს სურათის მონაკვეთებს. ასე რომ, „ენათა სიმრავლე დედამიწაზე კაცობრიობის არაპრაქტიკული და, მით უფრო, საზიანო დაყოფა-დანაწევრება როდია, არამედ ადამიანური გონის ნაირგვარი გამოვლინებაა. იგი ადამიანთა სულის დაქუცმაცებულ სილატაკეს კი არ მოასწავებს, არამედ აზრსავსე მრავალფეროვნებას... ერების, ენებისა და კულტურის გონით ერთიანობას“ (რამიშვილი 1995: 11; 116).

ოქტავიო პასის მართებული მოსაზრების თანახმად, „ენათა სიმრავლეს თუ ნაწარმოების უნიკალობას არც უკიდურეს ნაირგვარობასთან მიყვავართ და არც არეულ-დარეულობასა და დომხალთან. პირიქით, იქმნება რაღაც ურთიერთკავშირების სამყარო და იქმნება იგი წინააღმდეგობებისა და შეუსაბამობებისაგან, მიახლოებებისა და დაშორებებისაგან“ (პასი 2002: 18).

ენათა სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურის სხვაობის მიუხედავად, ნებისმიერ ორ ენაში შეიძლება წარმოიშვას იდენტური ინფორმაციის მქონე ტექსტი, რაც ვ. ფონ ჰუმბოლდტის აზრით, ყველა ენის ზოგადი ნათესაობისა და ცნებათა და მათ ნიშანთა მოქნილობის შედეგია; თქმულის ნათელი დასტურია სხვადასხვა ენაზე

თარგმნის გამოცდილება. კულტურათა შორის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი შეხებაც ხომ სწორედ თარგმნილი (მათ შორის ფილოსოფიური) ძეგლებით დასტურდება.

თუ უწინ თარგმანის მიზანი იყო ადამიანთა შორის მსგავსების, და არა განსხვავებულობის გამოვლენა, „ახლა სამყარო კულტურად და ბუნებად არის გახლეჩილი, ხოლო კულტურა თავის მხრივ მთელ რიგ კულტურებადაა დაყოფილი, უამრავ ენად და ადამიანთა უამრავ თანასახოგადობად, სადაც თითოეული ენა სამყაროს თავისებური ხედვაა, ხოლო თითოეული ცივილიზაცია – თავისებური სამყარო“ (პასი 2002: 8-9).

თარგმანი მართლაც რეალურად წარმოადგება იმ საშუალებად, რომლის მეშვეობითაც ხერხდება აღმოფხვრა როგორც ენათა შორის განსხვავებისა, ისე მისივე (განსხვავების) კიდევ უფრო ნათლად გამოაშკარავება. „თარგმანი არასოდეს ისახავს მიზნად განსხვავების გაუქმებას. პირიქით, იგი ამით თამაშობს კიდევ: მუდამ მასზე მიანიშნებს, ხან მალავს, ხანაც აშიშვლებს, ზოგჯერ კი ხაზსაც უსვამს ხოლმე ამ განსხვავებას; თარგმანი ამ განსხვავების ხორცშესხმას წარმოადგენს. იგი ამაში ხედავს თავის უზენაეს დანიშნულებას და ამავე დროს, დაუძლეველ ცდუნებასაც, როცა სიამაყით აღვსილი, ორ ენას აკავშირებს“ (ბლანშო 2002: 24)

თარგმანის თაობაზე „საკუთარი თეორიები არ დაუტოვებია“ გ. ქიქოძეს, მაგრამ მას ეკუთვნის ერთი შესანიშნავი გამოთქმა: „როცა უცხოელი მწერლის რომელიმე ფრაზას თარგმნით ქართულად, წარმოიდგინეთ, როგორ დაწერდა ამ ფრაზას ავტორი, ის რომ ქართველი ყოფილიყო“ (ჭელიძე 1987: 390-391).

მსოფლიოს ენათა შორის ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ენაა, რომელმაც, გ. ქიქოძის აზრით, „წარსულში სტიქიონური ძალების შემოტევას და ქარტეხილებს გაუძლო. მას ძალიან მაგარი ჩონჩხი აქვს. მისი შემწვობით ენერგიულად და ლაკონიურად შეიძლება აზრის გადმოცემა. ამ ენის სახით ჩვენმა წინაპრებმა ეროვნული ვინაობის თავდაცვის იარაღი გვიანდერძეს, შეუდარებელი თავისი გამძლეობის თვალსაზრისით. მათ ამ ენაზე გამოთქვეს უღრმესი რელიგიური და ფილოსოფიური იდეები და უძლიერესი სიყვარულის და სიძულვილის გრძნობები“ (ქიქოძე 1964: 207)

ქართული ენითა და ქართველი მთარგმნელის ოსტატობით აღტაცებული ოლივერ უორდროპი 1896 წლის 28 მაისს ივანე მაჩაბელს წერდა: „თქვენს მიერ

თარგმნილ „იულიუს კეისრით“ შეგიძლიათ იამაყოთ. ეს თქვენს გენიალობასაც ამტკიცებს და თქვენი ენის საოცარ სიმდიდრესაცო“.

საუკუნეთა მანძილზე ორიგინალის სადარმა ჩინებულმა ქართულმა თარგმანებმა ჭკმშარიტად მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული კულტურა, ბევრი თაობის ადამიანი აზიარა უცხოეთის დიდ მოაზროვნეთა ფილოსოფიურ თხზულებებს, ლიტერატურასა თუ პოეზიას. „ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლები მანვენებლები არიან იმ კულტურული სამყაროსი, რომელთანაც კავშირსა და ურთიერთობაში იმყოფებოდა ესა თუ ის ხალხი და კულტურულ ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდა. ასეთი ურთიერთობა ხალხთა შორის მუდამ ყოფილა და იქნება. ადამიანთა საზოგადოების ისტორიამ არ იცის მაგალითი აბსოლუტურად იზოლირებული კულტურის განვითარებისა“ (კეკელიძე 1958: 5-6).

დღესდღეობით სულ უფრო მეტი და მეტი ითარგმნება. გ. წიბახაშვილის სრულიად მართებული მოსაზრების თანახმად, „თარგმანის განვითარება დიდ გავლენას ახდენს ქართული ენის შემდგომ დახვეწა-სრულყოფაზე. ეს გავლენა დადებითი უნდა იყოს და არის კიდევაც. არასოდეს ქართული ენა არ ყოფილა ისე მოქნილი, მდიდარი, დახვეწილი და მეტყველი, როგორც დღესაა. ნებისმიერი ძველი და ახალი მეცნიერების ყველაზე ღრმა და ორიგინალური აზრი, აზრის ელფერი, ნიუანსი ზუსტად შეიძლება გამოიხატოს დღევანდელი ქართულით. ამ სიმაღლემდე ქართული ენის აყვანაში უდიდესი როლი შეასრულა თარგმანმა – მხატვრულმა და სამეცნიერომ, რომელიც ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე და მოჰქონდა ქართულ ლიტერატურასა და ქართულ ენაში ფასდაუდებელი სიმდიდრე და სიახლე. ამას აკეთებდა კარგი თარგმანი. ცუდი „ნათარგმანები“ კი ანგრევდა და ანგრევს საუკუნეებისა და თაობების მიერ დიდი სიყვარულითა და შრომით ნაგებ-ნაჭირნახულევს“ (წიბახაშვილი 2000: 125).

ზემოთქმულიდან ნათელია: ენას, ნებისმიერი ხალხის ყველაზე უფრო შენაწევრებულ გამოხატულებასა და მისი იდენტობის ერთ-ერთი უმთავრეს განმსაზღვრელ კუთვნილებას, აქვს დანიშნულება რჩებოდეს კულტურული იდენტობის საყრდენად, ხოლო ლინგვისტურ მრავალფეროვნებას – მთელი მრავალფეროვნების საყრდენად. გლობალიზაციის ეპოქაში, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის (მათ შორის საქართველოსთვისაც) „დომინირებულ“ კულტურებთან ურთიერთობა და მათთვის „ღიად“ ყოფნა გარდუვალი და აუცილებელი პროცესია არა მხოლოდ კულტურის გამდიდრების, არამედ მისი გადარჩენის მიზნითაც: ნებისმიერი კულტურა, ისევე როგორც ენა,

რაკილა ერთხელვე აღარ დაექვემდებარება ცვლილებას, აღარ მოერგება ახალ რეალობებს, განწირულია უძრობისა და, მაშასადამე, დაღუპვისათვის.

თანამედროვე ეპოქაში, კულტურათა დიალოგის თვალსაზრისით, აღნიშნული ვითარება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს მთარგმნელობით საქმიანობას.

იმ ტრადიციის მიუხედავად, რაც ფილოსოფიური ლიტერატურის მთარგმნელობით კულტურას გააჩნია ჩვენში, ქართულად ჯერ კიდევ თარგმნილი არ არის მრავალი ფილოსოფიური თხზულება, რომელთა სრული გათავისების გარეშე ვერც ერთი ერი ვერ ჩაითვლება მაღალი კულტურის მეტრად. ამდენად, ვფიქრობთ, „დიდათ სასარგებლო იქნებოდა ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის უფრო ხშირად რომ ითარგმნებოდეს იმისთანა თხზულებანი, რომელნიც ან ხასიათის გაუმჯობესებაში გამოადგება ჩვენს საზოგადოებას, ან ურგო ჩვეულებების მიტოვებისათვის, ახალი კაცობრივი წესის შემოღებისათვის, ანდა გაუხსნიან იმას გონებას, დააჩვევენ უკეთესის სურვილს, სიბოროტის ძულილს, და ამ რიგად, ნელ-ნელა, ცოტ-ცოტა დაამზადებენ ჩვენი ხალხისათვის უკეთეს მომავალს“ (ნიკოლაძე 1962: 21).

II თავი

თარგმანის თეორიისა და ტექსტის ფუნქციონალურ სტილთა ურთიერთმიმართება

კაცობრიობის სულიერი ერთობის პოსტულატი სწორედ იმ ფაქტს ემყარება, რომ დედამიწაზე ენათა სიმრავლე, ერთი მხრივ, ადამიანთა გონითი ერთიანობის, მეორე მხრივ, მათი სულის აზრსაგსე მრავალფეროვნების გამოვლინებაა. ენის ყველაზე გავლენიანი თანამედროვე ფილოსოფოსები კვლავ დიდ ყურადღებას უთმობენ მნიშვნელობისა და რეფერენციის საკითხს. თარგმანის შესაძლებლობაც ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებას ეფუძნება; თქმულის დასტურია თარგმანის (ენათა რადიკალური სხვაობის მიუხედავად) პრაქტიკულად არსებული კრიტერიუმები „რომ არ არსებობდეს ენისა და აზროვნების დიალექტიკური უნარი, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა“ (ფანჯიკიძე 1995: 21).

ვერბალური თვალსაზრისით ორი ენის სიტყვათა სემანტიკის არაიდენტურობისა და ენათა სემანტიკურ-სინტაქსური სტრუქტურის სხვაობის მიუხედავად, ნებისმიერ ორ ენაში შეიძლება წარმოიშვას იდენტური ინფორმაციის მქონე ტექსტი. ზოგადად ენათა ნათესაობის, ცნებათა და მათ ნიშანთა მოქნილობის დასტურია ის, რომ „თუმცა სხვადასხვანაირი წარმატებით, მაგრამ ყველა ენაში ხერხდება ყველანაირი იდეის გამოხატვა, რასაც სხვადასხვა ენაზე თარგმნის გამოცდილება ადასტურებს“ (Гумбольдт 1985: 16).

„მთარგმნელობითმა პრაქტიკამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ცოცხალი საქმისაგან მოწყვეტილი თეორიული დისკუტები არაფერს მატებენ მეცნიერებას. უფრო მეტიც – ხელს უშლიან, აბნევენ პრაქტიკოს-მთარგმნელებს, რომლებიც თავისი მოღვაწეობის შედეგებით ერთგვარად მაგალითს აძლევენ თეორეტიკოსებს, როგორ უნდა შეხამდეს სხვადასხვა მოსაზრებათა პრაგმატული მიღწევები, რათა მკითხველმა მიიღოს სრულფასოვანი თარგმანი, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნება დედანთან და ნაკლებად გამოჩნდება ის „მესამე პირი“ – მთარგმნელი, რომლის სამსახურის აუცილებლობას განაპირობებს თვით თარგმანის ბუნება“ (წიბახაშვილი 2000: 61-62).

მართალია, ერთსა და იმავე ენობრივ ამოცანას სხვადასხვა ენა სხვადასხვა ლინგვისტური საშუალებით წყვეტს, მაგრამ ახალ ენობრივ სისტემაში ტექსტის გადატანა ანუ თარგმნა ტექსტს მისთვის უჩვეულოს არაფერს ახვევს თავს და

სემანტიკურ-სტილისტური თვალსაზრისითაც ისეთსავე ასოციაციას იწვევს, როგორსაც ორიგინალის ენაზე, რამეთუ კარგი თარგმანი ორიგინალის სრულფასოვანი ასლია.

ნობელის პრემიის ლაურეატის (1990), მექსიკელი პოეტის, ესსეისტის, ლიტერატურის კრიტიკოსისა და მთარგმნელის ოქტავიო პასის აზრით, „მთარგმნელობითი პრობლემისადმი მეცნიერული მიდგომა არამარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც. მაგრამ, ისე როგორც ლიტერატურა, ანუ სიტყვიერებაა მეტყველების განსაკუთრებული ფუნქცია, ასევე თარგმანიც ლიტერატურის ანუ სიტყვიერების განსაკუთრებული ფუნქციაა“ (პასი 2002: 14).

თავისი ბუნებით, თარგმანი ამბივალენტურია. ფაქტობრივად, „თარგმანში შერწყმულია ორი მომენტი – უცხო შინაარსი და მშობლიური ენობრივი საშუალებებით განსხვავებული ფორმა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თარგმანი არის ორი სტრუქტურის სინთეზი, სადაც უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისობრიობად არის ქცეული“ (ფანჯიკიძე 1995: 89).

ნებისმიერი სახის თარგმნილი ტექსტისათვის ნიშანდობლივია ინვარიანტულ პრაგმატულ ნიშანთა ისეთი ერთობლიობა როგორცაა: „ორიგინალის შინაარსობრივი ინვარიანტის შენარჩუნება მეორე ენის ნიშნებში კოდიფიცირებულ ტექსტში და თარგმანის ტექსტის დამუშავების საჭიროება, განპირობებული, ერთი მხრივ, შეპირისპირებულ ენათა სისტემების არაიზომორფულობით, მათი ზოგადსტილისტური მახასიათებლების სპეციფიკურობით და, მეორე მხრივ, გარეენობრივი ფაქტორების (მათ შორის თარგმანის ადრესატის ფაქტორის) განსხვავებულობით. ეს ის მოთხოვნებია, რომლებიც თარგმანის ნებისმიერ ჟანრულ სახეობაში მეტ-ნაკლებად მოქმედებს და ამყარებს კომუნიკაციურ-პრაგმატულ წონასწორობას ორიგინალისა და თარგმანის ტექსტებს შორის (საყვარელიძე 1975: 33-34).

თარგმანის ფრანგი თეორეტიკოსის ედმონ კარის თანახმად, „სხვადასხვა ჟანრის თარგმანთა შედარებისას, უპირველეს ყოვლისა, თითოეულის თავისებურება ვლინდება“ (Cohen 1977: 16), რაც გამოიხატება იმაში, რომ თარგმნისას – დედნის ადეკვატური შთაბეჭდილების შესაქმნელად საუკეთესო ენობრივი საშუალებების მოსაძებნად – შესაბამის ფუნქციონალურ, და არა ფორმალურ ენობრივ შესატყვისებს ითხოვს აზროვნების სტილი, რომელიც „თარგმნისას მკაცრად უნდა

იყოს დაცული [...] მათი (სხვადასხვა სტილის) ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია“ (კოტეტიშვილი 2002: 9).

თარგმანი არ არის ენობრივ შესატყვისთა ძიების პრიმიტიული პროცესი. თარგმნის პროცესში მთარგმნელის წინაშე უპირველესად დგას სტილისტური პრობლემა ანუ ლექსიკისა და გრამატიკული შესაძლებლობების ისეთი შერჩევა, რომელიც განპირობებულია დედნის ჟანრობრივ-სტილისტური თავისებურებით. სწორედ ამ უკანასკნელის მიხედვით უნდა იქნეს დაცული ის ენობრივი ნორმა, რომელიც არსებობს უშუალოდ ამ ჟანრისათვის იმ ენაში, რომელზეც ვთარგმნით. ფედოროვისა და ბარხუდაროვის ძირითადი დებულების თანახმადაც, თარგმნა, როგორც ენათშორისი ტრანსფორმაციის პროცესი, უნდა ეფუძნებოდეს ფუნქციური შესატყვისობის პრინციპს; ჟანრის ფაქტორს, როგორც ეკვივალენტობის არსებით პირობას, მთარგმნელი გვერდს ვერ აუვლის. „ენათშორისი კომუნიკაციის პროცესში დედნისა და თარგმანის ტექსტი „ერთენოვანი“ ტექსტის ორ კომუნიკაციურ იპოსტასს ეთანადება“ (Комиссаров 1973: 31).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი სახის სათარგმნ ტექსტთან მიმართებით უწინარესად იკვეთება შემდეგ საკითხთა წრე: 1. აზროვნების სტილი – ტექსტის ენობრივი სპეციფიკის განმსაზღვრელი პირობა; ფილოსოფიური ტექსტის სპეციფიკა. 2. ტექსტის (ფილოსოფიური ტექსტის) ჟანრობრივი თავისებურება და ადეკვატური თარგმანის კრიტერიუმები.

1. აზროვნების სტილი – ტექსტის ენობრივი სპეციფიკის განმსაზღვრელი პირობა; ფილოსოფიური ტექსტის სპეციფიკა

ადამიანის ყოფნის წესი აზროვნებას გულისხმობს; აზროვნების ნებისმიერ პროცესს, ნებისმიერ აზრობრივ მოღვაწეობას თავისი სტილი აქვს. აზროვნების სტილი – აზრის მოძრაობის, მისი განვითარების გარკვეული ტიპია. თავის მხრივ, აზროვნების სტილის კომპონენტები ქმნიან რთულ იერარქიულ სისტემას, რომლის საფუძველშიც გარკვეულ კატეგორიათა ერთობლიობა ძევს და, ენობრივი თვალსაზრისით, სათანადო ფორმალური გამოვლინებაც გააჩნია. აზროვნების

სხვადასხვა სტილთა მნიშვნელობა დიდია შემეცნებაში, იგი თავად ცნობიერების ფორმათა არსებობისა და განვითარების საშუალებას წარმოადგენს.

უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან განასხვავებენ საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის დამახასიათებელ და ინდივიდუალური ცნობიერებისათვის დამახასიათებელ აზროვნების სტილს. თუმცა „სტილი მუდამ კოლექტიური მოვლენაა, იგი ენიდან ენაში მომთაბარეობს. ნაწარმოები თავისი ფესვებით ყოველთვის საკუთარი სიტყვიერების ნიადაგშია ჩაზრდილი, [...] იგი ერთია, მაგრამ არა ცალკე მდგომი, ვინაიდან ყოველი ნაწარმოები იბადება და ცოცხლობს სხვა ენებზე დაწერილ ნაწარმოებებთან ურთიერთკავშირში“ (პასი 2002: 18).

ინდივიდუალური სტილი ერთი რომელიმე ადამიანის, პიროვნების (მწერლის, მეცნიერის, ფილოსოფოსის) აზროვნების სტილია, მისი საკუთრებაა, რომელიც მაქსიმალურად ობიექტურად უნდა იყოს წარმოჩენილი თარგმანში.

საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების მიხედვით, ზოგადად, აზროვნების სამ – მხატვრული აზროვნების, რელიგიური აზროვნების და მეცნიერული აზროვნების – სტილს განასხვავებენ.

მხატვრული აზროვნების სტილი ესაა სამყაროსთან ადამიანის ემოციური მიმართება, გარკვეული ესთეტიკური იდეალის პოზიციებიდან ობიექტური სინამდვილის წვდომის თავისებური ფორმა; დიდწილად სწორედ ამის გამოა მხატვრული შემეცნება მეტაფორული. იგი ხელოვნებად გადაიქცევა მაშინ, როდესაც ადამიანისათვის ხელმისაწვდომ საშუალებებში – ქვაში, ბეგრაში, ფერსა თუ სიტყვაში – განვითარდება, გაობიექტიურდება, ანუ როცა შეიქმნება მხატვრული ღირებულება. ერთი სიტყვით, მხატვრული აზროვნების სტილი არის სინამდვილის ესთეტიკური გააზრებისა და მხატვრულ სახეებად გადამუშავების ფორმა.

რელიგიური აზროვნების სტილი, რომლის მიზანიც აბსოლუტური ჭეშმარიტების წვდომა და ადამიანური გამოცდილების მიღმა არსებული ტრანსცენდენტური სინამდვილის შემეცნებაა, ქმნის რელიგიურ დებულებებს, თეოლოგიურ სისტემებს. რელიგიური აზროვნების სტილის საფუძველს წარმოადგენს რწმენის კატეგორია, რომლის საფუძველზე ვითარდება რელიგიური წარმოდგენები და შეხედულებები – როგორც საზოგადოებრივი, ისე ინდივიდუალური ცნობიერების დონეზე. ერნსტ კასირერი წერს: „რელიგიური აზროვნება არამც და არამც არ უპირისპირდება რაციონალურ აზროვნებას [...] თუმცა რელიგიური ჭეშმარიტება ზებუნებრივია და ზეგონებრივი, იგი

„ირაციონალური“ მაინც არ არის, ვინაიდან, მართალია, ჩვენც არ ძალგვიძს მარტოოდენ გონებით ჩაგწვდეთ რწმენის მისტერიებს, მაგრამ ამის გამო ისინი კი არ ეწინააღმდეგებიან გონებას, არამედ გონებრივ ხედვას სრულყოფენ და აღრმავენ“ (კასირერი 1968: 122).

მეცნიერული აზროვნების, ლოგიკური აბსტრაქტული აზროვნების უმთავრესი თავისებურება არის ის, რომ იგი ანგარიშს არ უწევს სუბიექტის მიმართებას შესამეცნებელი ობიექტისადმი; ყურადღებას არ აქცევს იმას, თუ როგორ აღიქვამს, განიცდის, აფასებს მას სუბიექტი. მეცნიერული აზროვნებისათვის არსებითია სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური სამყაროს იმანენტური კანონზომიერებების წვდომა. ამდენად, იგი საჭიროებს განყენებული აზროვნების განვითარებას, რათა ადამიანის ცნობიერებამ შეძლოს თავისთავისაგან ბუნებისა და საზოგადოების განყენება და წმინდა ობიექტური ყოფიერების წვდომა. ფაქტობრივად, მეცნიერული აზროვნების სტილი არის მეცნიერული აზროვნების პროცესის დახასიათება, მისი საფუძველი კი იმ ცოდნის შინაარსია, რომელიც გამოხატულია გარკვეული სპეციფიკური კატეგორიების ფორმით. ეს კატეგორიები ახასიათებს როგორც გარკვეული ტიპის შინაარსს, ისე მისი ორგანიზაციის სპეციფიკას. ცხადია, სამეცნიერო ტექსტის ცნება არ არის ერთგვაროვანი, იგი მოიცავს მთელ რიგ სახეობებს ცოდნის ამა თუ იმ დარგის მიხედვით.

საკვლევი ობიექტის საფუძველზე მეცნიერული სტილის სხვადასხვა სახე ორ დიდ ჯგუფად ერთიანდება: ბუნებისმეცნიერებებად და გონისმეცნიერებებად. „ბუნებისმეცნიერებანი ის მეცნიერული დისციპლინებია, რომლებსაც განსხვავებული საგნების მიუხედავად, ერთი ტიპის, ერთი „სიბრტყის“ საკვლევი ობიექტები აქვთ. ყოველი მათგანი სწავლობს ბუნების მოვლენებს, მათ კანონზომიერებებს [...] გონისმეცნიერებანი იმით განსხვავდებიან ბუნებისმეცნიერებათაგან, რომ მათი საგანი ბუნების მოვლენა კი არ არის, არამედ ისეთი არსებულება, რომელსაც ადამიანის გონითი მოღვაწეობის კვალი ატყვია, რომელშიც რაიმე ფორმით გამოხატულია ადამიანის შემეცნებითი თუ პრაქტიკული ქმედება. გონისმეცნიერებათა ჯგუფში შემავალ ყოველ დისციპლინას აქვს მიმართება ერთსა და იმავე ფაქტთან: ადამიანთან, კაცობრიობასთან [...] ბუნებისმეცნიერებას ეძლევა გრძნობადი მასალა და იგი ახსნის საშუალებით ცდილობს დაადგინოს კანონები, მიზეზობრივი კავშირები. გონისმეცნიერების სპეციფიკის თანახმად, ამ სფეროში ყოველთვის გვეძლევა სამი კომპონენტის კავშირი, სახელდობრ, კავშირი

სიცოცხლისა, გამოსახულებისა და გაგებისა. ყოველ ცალკეულ გონის მეცნიერებას თავისი საკუთარი საგანი აქვს, მაგრამ მათ აქვთ საერთოც – ყოველი მათგანი ადამიანის ნაღვაწს სწავლობს“ (ბუაჩიძე 1991: 9).

გონისმეცნიერებათა სფეროში ფილოსოფია – მეცნიერება სინამდვილის უზოგადესი კანონზომიერების შესახებ, რომელსაც მორჩილებს როგორც ყოფიერება, ისე ადამიანის აზროვნება, შემეცნების პროცესი – საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა. მისივე სპეციფიკის გამო იგი განსაკუთრებულ მეცნიერებად მიიჩნევა.

იმ. კანტის თანახმად, „ფილოსოფიური შემეცნება არის გონებითი შემეცნება ცნებათა მეშვეობით [...] ფილოსოფია ეყრდნობა მხოლოდ ზოგად ცნებებს, ხოლო მათემატიკა ვერაფერს მიაღწევს მხოლოდ ცნებათა მეშვეობით და მაშინვე გადადის განჭკვრეტაზე, რომლითაც იგი განიხილავს ცნებებს“ (Кант 1969: 600).

ჰეგელისათვის ფილოსოფია ცნებებით აზროვნებაა, ხოლო ცნება გამორიცხავს ინდივიდუალობას „თავისი კერძო უნარებით, მიდრეკილებებით და ა.შ.“. ცნებაში იშლება კონკრეტულად ჩემი, შენი, მისი (ვთქვათ, ტკივილი, ან სიხარული და ა.შ.). ცნებამ იცის მხოლოდ ზოგადი“ (Гегель 1974: 13).

ფილოსოფია წმინდად კონცეპტუალური, ემპირიული კვლევებისაგან არსებითად განსხვავებული დისციპლინაა, რომელიც „თითქოს ზემოდან დაჰყურებს სამყაროს, არკვევს კულტურის ყოველი დარგის ადგილს სამყაროში, ყოველი სპეციალური მეცნიერების ძირითად მიზანს.. ფილოსოფია მიანიშნებს არა მარტო კერძო მეცნიერებათა ადგილს სამყაროში, არამედ იკვლევს თავისი თავის ადგილსაც, თავის რაობასაც. ფილოსოფია რეფლექსურია, თავის საკუთარ თავზეცაა მიმართული. სწორედ ამიტომ ყოველი დებულება ფილოსოფიის რაობის, საგნის, მეთოდის და ა.შ. შესახებ ფილოსოფიურია“ (ბუაჩიძე 2005: 350).

ფილოსოფიური აზროვნების სტილი – როგორც მეცნიერული აზროვნების სტილის ერთ-ერთი სახეობა – გულისხმობს აზრის განვითარების ისეთ პროცესს, როდესაც ხდება თითოეული საკვლევი მოვლენისათვის მისი ადგილის მოძიება მოვლენათა კლასების ცნობილ სისტემაში; როდესაც ეს არ ხერხდება, მეცნიერები ქმნიან ახალ ცნებებს; ამის საშუალებას იძლევა მხოლოდ ობიექტის არსების წედომა და გარკვევა, რაც ფილოსოფიის ძირითად მიზანს წარმოადგენს.

ცხადია, აღნიშნული თავისებურებები უშუალოდ განსაზღვრავს ფილოსოფიური ტექსტის ენობრივ სპეციფიკას, ფილოსოფიური აზროვნების სტილისათვის

დამახასიათებელ გამოსატვის სათანადო ხერხებსა თუ შეფასების განსაკუთრებულ კრიტერიუმებს.

მეორე მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ აბსტრაქტული ტერმინებით მდიდარი ფილოსოფიური ტექსტის ენა, რომელიც მხოლოდ მის ტერმინებშია ინტელიგიბელური, საერთო-სალიტერატურო ენის ერთი დამოუკიდებელი ფუნქციური სახესხვაობაა ანუ დამოუკიდებელი ქვესისტემა, რომელზეც, ცხადია, ასევე ვრცელდება ენობრივი კანონზომიერებები. ასე რომ, ფილოსოფიური თხზულების თარგმნის დროს აღმოცენებული სპეციფიკური ენობრივი პრობლემები, აზროვნების ამ სტილისათვის ნიშანდობლივი თავისებურებების გათვალისწინებით უნდა გადაიჭრას.

2) ტექსტის (ფილოსოფიური ტექსტის) ჟანრობრივი თავისებურება და ადეკვატური თარგმანის კრიტერიუმები

მსოფლმხედველობა ასაგნებს სამყაროს და ასაგნებს ენას; ობიექტივაცია სპეციფიკური აქტია; „ობიექტივაცია კი არ ქმნის ობიექტებს, წერს დ. უზნაძე, – ობიექტივაციის აქტი, პირიქით, გულისხმობს ობიექტთა არსებობას სინამდვილეში“ (უზნაძე 1977: 139)

ადამიანი მნიშვნელობას ანიჭებს და ასახლებს სამყაროში ფენომენს, რომელიც მის გარეშე, თავისთავად არარაა. ამის მიზეზი უშუალოდ ცალკე გრძნობასა, ან აზროვნებაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მათ მიმართებაში ერთმანეთთან, რომელიც უცვლელია და ამდენად წარმოადგენს ზოგადმნიშვნელოვან წესს.

ნებისმიერი ჟანრის ტექსტში, ცხადია, ენის ზოგადი ლექსიკა ქმნის იმ საფუძველს, იმ ფონს, რომლის მეშვეობითაც მყარდება გარკვეული მიმართება სხვადასხვა ენობრივ (მათ შორის ტერმინოლოგიურ) ელემენტს შორის. ყველა ეს ელემენტი, როგორც საერთო ენის ლექსიკის შემადგენელი ნაწილი, ბუნებრივი ენის კანონების მიხედვით ფუნქციობს. მეორე მხრივ, მშობლიურ ენაზე მეტყველ ყოველ ერს საკუთარი სინკრეტული მსოფლშეგრძნება აქვს; ყოველი ეროვნული ენის საფუძველად ძვეს თავდაპირველი ანუ წინარემეცნიერული აღქმა, რომელიც არა მარტო საგნებსა და მათ ურთიერთდამოკიდებულებებს ასახელებს, არამედ გარკვეულწილად ახარისხებს და ახასიათებს კიდევ მათ. ეს ვითარება სიტყვათა

ფართო მნიშვნელობის საფუძველია და სიტყვათა სხვადასხვა კომპლექსის კონტექსტშია განტოტვილი, რაც, უდავოდ, გასათვალისწინებელია თარგმნის დროს.

უწინარესად, სიტყვა ჩვენ გვესმის როგორც შინაარსობრივი ფორმა. გამოთქმა: „ქართულში არა გვაქვს ესა და ეს სიტყვა“ ნიშნავს, რომ ქართულში არა გვაქვს ესა და ეს შინაარსობრივი ფორმა. მაგრამ, გარკვეულ პირობებში, შესაძლებელია მისი აღწერა; მიმართებათა ამ შრეს განსაზღვრავს სწორედ ადამიანის გონება, რომელსაც საგნის განსაზღვრების უნარს უწოდებენ.

დედნის შინაარსობრივად ადეკვატური კონკრეტიზაციის შესაძლებლობას წარმოშობს თარგმანი, რომლის ყოველგვარი ფორმა – საქმიანი, საინფორმაციო, სამეცნიერო, პოლიტიკური, ისტორიული, მხატვრული თუ სასაუბრო – ემყარება ორი ენის ურთიერთობას ანუ თარგმნისას ერთი ენის ეროვნული სტრუქტურით გამოთქმული შინაარსის მეორე ენის ეროვნული სტრუქტურით გამოთქმა ხორციელდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მრავალფეროვნების მიუხედავად, თარგმანის ყველა ჟანრს საფუძველად უდევს საერთო კანონზომიერებები. ასე რომ, თარგმანს ძალუძს ნებისმიერი შინაარსის დაქვემდებარება.

მართალია, ენაზე მუშაობის პრინციპი თარგმანის ყოველგვარი სახეობისათვის საერთოა, მაგრამ ჟანრობრივ თავისებურებათა მიხედვით, თარგმნის პროცესში ყოველი სახის სათარგმნი მასალა მოითხოვს გარკვეულ მიდგომას ანუ ლექსიკისა და გრამატიკული შესაძლებლობების ისეთ შერჩევას, რომელიც განპირობებულია, ერთი მხრივ, დედნის ზოგადი მიზანმიმართულებითა და ჟანრობრივი თავისებურებებით, ხოლო მეორე მხრივ, იმ ნორმათა დაცვით, რომელიც არსებობს უშუალოდ ამ ჟანრისათვის იმ ენაში, რომელზეც ვთარგმნით. თარგმნილი ტექსტის ლინგვისტური ანალიზი მასალისადმი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ვ. კომისაროვის თანახმად, „თარგმანის ლინგვისტურმა აღწერამ უნდა მოიცვას არა მხოლოდ ენათშორისი კომუნიკაციის ზოგადი კანონზომიერებანი, არამედ მისი ტიპებისა და ნაირსახეობების თავისებურებანიც“ (Комиссаров 1973: 118-119).

რეცკერი ადგენს სამი კატეგორიის კანონზომიერ შესატყვისებს: თარგმანი ეკვივალენტების, ანალოგებისა და ადეკვატური შეცვლის საშუალებით. „შესატყვისობათა ეს სამი სახეობა გამოიყენება როგორც ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ელემენტების, ისე სინტაქსური ფორმებისა და სტილისტური საშუალებების გადმოცემისას და წარმოადგენს სხვადასხვა გზას, რომელთაც ერთი მიზნისაკენ – თარგმანის ადეკვატურობის მიღწევისაკენ მიყვავართ“ (Рещер 1974: 74).

თარგმანის თეორიაში სათარგმნ მასალას თვისობრივი სახეობის საფუძველზე ჩვეულებრივ, ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: მხატვრული და არამხატვრული (ანუ ზოგადად სამეცნიერო ლიტერატურა, საგაზეთო-საინფორმაციო (საქმიანი) ტექსტები). უანრულ-სტილისტური ასპექტის მიხედვით, ყველა სახის არამხატვრულ თარგმანს კომისაროვი „ინფორმაციულს“ უწოდებს. ამგვარი კლასიფიკაციის საფუძველი გახლავთ სტილისტური კრიტერიუმი ანუ იმის გათვალისწინება, თუ რა როლს ასრულებს ენობრივ საშუალებათა ესა თუ ის კატეგორია (ტერმინი, ფრაზეოლოგია, სინტაქსური კონსტრუქციები, ლექსიკის მხატვრულ-ემოციური ელემენტები და ა.შ.) ტექსტში.

ვ. კოტეტიშვილის კლასიფიკაციის თანახმად, „გვაქვს თარგმანის ორი უმთავრესი სახეობა: მხატვრული და არამხატვრული თარგმანი. მათ შორის უმთავრეს სხვაობას სიზუსტის კრიტერიუმების განსხვავებულობა ბადებს: არამხატვრულ თარგმანში სიზუსტე სიტყვათა სემანტიკურ იგივეობას, იდენტურობას ნიშნავს, მხატვრულ თარგმანში კი მხატვრულ ადექვატობას, მსგავსებას, ემოციურ შესატყვისობას“ (კოტეტიშვილი 2002: 8),

მხატვრული თარგმანის კრიტერიუმად მიჩნეულია ის, თუ რამდენად შეესაბამება მხატვრული თვალსაზრისით თარგმანი დედნის მხატვრულ ღირებულებას, ანუ რამდენად ახდენს თარგმანის რეცეპტორზე დედნის სადარ ესთეტიკურ ზემოქმედებას. ვ. გაჩეჩილაძის თანახმად, „მხატვრული თარგმანი არის შემოქმედება და როგორც ასეთი, ემორჩილება მთარგმნელის მსოფლმხედველობას და მის შესაბამის მხატვრულ მეთოდს“ (გაჩეჩილაძე 1966: 171).

პოლ ვალერის ზუსტსა და ამომწურავ ფორმულას თუ გავიხსენებთ, მხატვრული თარგმანის მიზანი ისაა, რომ თარგმანმა მკითხველზე ისეთივე ზემოქმედება მოახდინოს, როგორსაც დედანი ახდენს, ოღონდ სხვა საშუალებებით. ხშირ შემთხვევაში სიტყვის (ზოგჯერ ტერმინის) თარგმნადობა არ მოასწავებს ამ სიტყვის შემცველი გამონათქვამის თარგმნადობას. ერთსა და იმავე მხატვრულ ამოცანას სხვადასხვა ენა სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით წყვეტს; ყოფითი ტექსტებისაგან განსხვავებით, მხატვრულ ტექსტში საკუთრივ ენის ხვედრითი წილი მეტია, ენობრივი გეზიც აქ უკეთ წარმოჩინდება. ასე რომ, მხატვრული თარგმანი და მხატვრული შემოქმედება მუდმივად ერთმანეთს ავსებს და ამდიდრებს.

სათარგმნი მასალის მთელი რიგი საერთო ნიშნების საფუძველზე პუბლიცისტური ლიტერატურა მოიცავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ

ლიტერატურას, საკუთრივ პუბლიცისტიკას და ორატორულ სიტყვას. ამ ჯგუფის ტექსტის თარგმნის ამოცანა გახლავთ დედნის ექსპრესიულობის, თხრობის ლაკონური სტილის შენარჩუნება, ტექსტის პროპაგანდისტული მიზნის შეთავსება როგორც სამეცნიერო სტილის თავისებურებებთან (ტერმინოლოგია, ლექსიკა, სინტაქსური კონსტრუქციების მწიგნობრული სტილი და ა.შ.), ისე მხატვრული სტილის თავისებურებებთან (ხატოვანი გამოთქმები, სიტყვის გამოყენება ემოციური შეფერილობით და ა.შ.). საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტექსტის თარგმნის პროცესში ჭარბობს ანალოგიის მეთოდი ანუ რამდენიმე შესაძლო სინონიმთაგან ერთ-ერთის შერჩევა. ცხადია, უხეში შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ესა თუ ის ხერხი მხოლოდ რომელიმე ერთი სახეობის სათარგმნ მასალაში შეიძლება გამოვიყენოთ. ეკვივალენტების გამოყენება შეიძლება დაგვეჭირდეს მხატვრული ლიტერატურის თარგმანში (მაგალითად, როცა საუბარია სამეცნიერო ტერმინებზე), ხოლო სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტის თარგმანის დროს – ადეკვატური შეცვლა და ა.შ.

სამეცნიერო ტექსტის ცნება არაერთგვაროვანია: იგი მოიცავს მთელ რიგ სახეობებს ამა თუ იმ დარგის მიხედვით. ფაქტობრივად, ყველა დარგის ვიწრო სპეციალისტს თავისი „ენა“ სჭირდება, რომელიც მოცულობის თვალსაზრისით, მეცნიერების პროგრესის კვალობაზე პერმანენტულად იზრდება; მეცნიერების განუწყვეტელი დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პირობებში კი სულ უფრო იზრდება ახალი ცნებებისა და ტერმინების საჭიროება, ვინაიდან „სალი აზროვნება ყოველთვის განსაზღვრული, ნათლად გამოკვეთილი ენის ტერმინებში ყალიბდება [...] მწიგნობართა ენა უწინარეს ყოვლისა აბსტრაქტული ტერმინებითაა მდიდარი“ (ქიქოძე 1985: 158-159).

სტილის ერთიანობის თვალსაზრისით, სამეცნიერო ტექსტისათვის უცხოა ემოციური შეფერილობა. საერთო-სალიტერატურო ენასთან შედარებით, მეცნიერების ენა უფრო ვიწრო ცნებაა, რადგანაც მას არა აქვს ყველა ის ფუნქცია, რომელიც აქვს სიტყვას სალიტერატურო ენაში. მეცნიერების ენისათვის არსებითია გნოსეოლოგიური, ინფორმაციულ-ლოგიკური ანუ ინტელექტუალურ-კომუნიკაციური ფუნქცია, რაც ნაკლებ მნიშვნელოვანია საერთო-სალიტერატურო ენის სხვა სახეობებისათვის. მას ასევე აკლია ზოგი ის ფუნქცია – ემოციურ-ექსპრესიული ფუნქცია –, რაც სალაპარაკო და მხატვრული ლიტერატურის ენას აქვს. მეორე მხრივ, მეცნიერების ენა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საერთო-სალიტერატურო ენა,


რადგანაც იგი მოიცავს სამეცნიერო ცნებათა გამომხატველ სპეციალურ ტერმინოლოგიას.

სამეცნიერო ხასიათის მასალის თარგმნისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტერმინოლოგიურ ეკვივალენტებს ანუ იგივეური მნიშვნელობის შესაბამისობებს; არსებითად სწორედ ამ ტიპის ტექსტის თარგმნის პროცესში წარმოიშობა სრული მოცულობით ტერმინოლოგიური საკითხი. სამეცნიერო ტერმინოლოგია მეცნიერების ენას განეკუთვნება; ტერმინი უშუალოდ არის დაკავშირებული სამეცნიერო ტექსტის თემატიკასთან და იცვლება ცოდნის დარგის შესაბამისად, რომელსაც ეკუთვნის ტექსტი. ტერმინთა შერჩევასა საჭიროა მაქსიმალური სიზუსტის დაცვა, ტერმინის არჩევანს კი განსაზღვრავს იმ ენის ტერმინოლოგიური ნორმა, რომელზეც ვთარგმნით.

ასეთი „მკაცრი სტილის“ დედნის სტილისტური თავისებურება გასათვალისწინებელია თარგმნის პროცესში თუნდაც იმიტომ, რომ თარგმანის ენაზე ტექსტის კონსტრუირებისას არ დაირღვეს ის ნორმა, რომელიც არსებობს ამგვარი ტექსტისათვის თარგმანის ენაში, და თითოეული ცნება მისი საკუთარი მნიშვნელობის მომცველი ტერმინით იქნეს გადმოცემული.

თარგმანის გერმანელი თეორეტიკოსი იუმპელტი მართებულად შენიშნავს, რომ ენობრივი თვალსაზრისით, გონისმეცნიერებათა ლიტერატურა განსხვავდება ბუნებისმეცნიერებათა ლიტერატურისაგან. მართალია, ჟანრობრივი თავისებურების მიხედვით, გონისმეცნიერებათა ლიტერატურის ერთ-ერთ განშტოებად გამოყოფენ ფილოსოფიურ ტექსტსაც, მაგრამ თარგმანის თეორიაში ამ სახის ტექსტი მოიხსენიება ზოგადად.

სათარგმნი მასალის ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, ძალზე სწორი კლასიფიკაცია წარმოადგინა გასული საუკუნის 70-იან წლებში ფრანგმა მეცნიერმა ჟ. რ. ლადმირალმა ერთ-ერთ თავის სტატიაში (Ladmiral 1975: 23). მისი აზრით, ფილოსოფიური ტექსტის – კულტურულ-რაციონალური დისკურსის – თარგმანი ქმნის ცალკე ქვეჯგუფს, ერთგვარ შუალედურ რგოლს თარგმანის არამხტვრულ და მხატვრულ სახეთა შორის. იმავე სტატიაში ჟ. ლადმირალს თავისი მოსაზრება სქემის სახით ასე აქვს წარმოდგენილი:



ასეთი კლასიფიკაცია სავსებით მართებულად მიგვაჩნია, მით უფრო თუ გაითვალისწინებთ, რომ, ტრადიციულად, ფრანგი (და არა მხოლოდ ფრანგი) ფილოსოფოსები დახვეწილი ლიტერატურული კულტურით გამოირჩევიან; მაგალითად დავასახელებდით მონტენს, ვოლტერს, რუსოს, დიდროს და ა.შ. რომ არაფერი ვთქვათ ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მფლობელებზე ლევი-სტროსზე, სარტრზე, კამიუსა და თვით ბერგსონზეც.

ფილოსოფიას საკმაოდ სპეციფიკური, რთული ენა აქვს; თემის სირთულის ხასიათსა და ენობრივ საშუალებათა ხასიათს შორის სრული თანაფარდობაა: ერთი მხრივ, ესაა ფილოსოფიური ტექსტის ენობრივი სპეციფიკა, მეორე მხრივ, ფილოსოფიურ ენაზე ვრცელდება ენობრივი კანონზომიერება.

ფილოსოფიური ენის ძირითად კომპონენტს, ცხადია, წარმოადგენს სპეციალური ფილოსოფიური ტერმინოლოგია, ანუ სიჭარბე ისეთი სიტყვა-ტერმინებისა, რომლებიც ზუსტად ასახავენ საგანსა და მის თვისებას, მოვლენას ან განყენებულ ცნებას; ფილოსოფიური ტერმინოლოგია ის სპეციფიკური ენაა, რომლითაც იგება ფილოსოფიური მსჯელობები, ხოლო სტილისტური თავისებურებები, რომლებსაც ახალი სემასიოლოგიური ერთეულების შემოტანა ქმნის, ამდიდრებენ ენას. მის (ფილოსოფიური ტერმინოლოგიის) გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ფილოსოფიური თხზულების შექმნაც, თარგმნაც და, საერთოდ, ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობაც.

ენის ზოგადი ლექსიკის საფუძველზე ტერმინთა უმრავლესობა თანდათან, თანამიმდევრულად ავითარებს აზრს. ყოველი კონტექსტის ფრაზეოლოგიური მოთხოვნები შეესაბამებიან უფრო დიდი ერთიანობის – წინადადებათა ჯაჭვის – სემანტიკურ მოთხოვნებს. ხშირად ერთი და იგივე სიტყვა (ზოგჯერ ტერმინიც) იცვლის ლექსიკურ მნიშვნელობას, რაც, არსებითად, კონტექსტითაა განპირობებული.

ტერმინთა შორის სემანტიკურ და სინტაქსურ მაკავშირებლებად ხშირია ისეთი ზმნების გამოყენება, როგორცაა: „არის“, „წარმოადგენს“, „გამომდინარეობს“, „აღნიშნავს“, „მოწმობს“, „ასაბუთებს“ და ა.შ.

მკაცრი მეცნიერული სტილისაგან განსხვავებით, ლექსიკური თვალსაზრისით, ფილოსოფიური ტექსტისათვის ძალზე ნიშანდობლივია პარალელიზმები, შინაარსობრივად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიტყვებისა და შესატყვისების გამოვლენა; ილუსტრაციის მიზნით, ფართოდ გამოიყენება მასალა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, ასევე ლიტერატურული ციტატები, ისტორიული ფაქტები. ამ სახის ტექსტისათვის არც სამეტყველო სტილის ელემენტები თუ ხატოვანი საშუალებებია უცხო; აღნიშნულის საფუძველზე, უკან იხევს მკაცრი მეცნიერული სტილის თავისებურებები, რაც მას (ფილოსოფიურ ტექსტს) აახლოვებს მხატვრულ ლიტერატურასთან.

ფილოსოფიური ენის დამახასიათებელი ნიშანია სინტაქსური კონსტრუქციების სირთულე. ეს თავისებურებაც ფილოსოფიურ თხზულებათა შინაარსიდან მომდინარეობს. ჩვეულებრივ, ამგვარ თხზულებებში მოცემულია მტკიცება და დასკვნები, მიზეზებისა და შედეგების მთელი ჯაჭვი. შინაარსის ზედმიწევნით ზუსტად, ორაზროვნების გარეშე გადმოცემა განაპირობებს სინტაქსის სირთულეს, რაც ვლინდება რთული ქვეწყობილი წინადადებების განსაკუთრებულ სიხშირეში. სტრუქტურის თვალსაზრისით, რთული წინადადება ძალზე მრავალფეროვანი, მოცულობით კი იმდენად დიდია, რომ ზოგჯერ იქმნება ერთმანეთთან დაკავშირებულ წინადადებათა მთელი ჯაჭვი; ეს წინადადებები გადატვირთულია კავშირებითა და მაკავშირებელი სიტყვებით; წინადადებათა ტიპების სხვადასხვაობის გამო კავშირთა შემადგენლობაც მეტად მრავალფეროვანია.

ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებში, წინადადებათა თავში ხშირად ვხვდებით გარკვეული ტიპის მაკავშირებელ სიტყვებს, ე.წ. ჩართულებს, რომელთა დანიშნულებაც წინა წინადადებებთან კავშირის დამყარებაა. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, დანასკვი უკავშირდება წინამძღვრებს, შედეგი – მთელ წინამავალ მსჯელობას თუ მტკიცებას. თანამედროვე ქართულ ენაში ასეთ მაკავშირებელ სიტყვებად იხმარება: „ამგვარად“, „მამასადამე“, „აქედან გამომდინარე“ და ა.შ. ფილოსოფიურ თხზულებაში ამ ტიპის მაკავშირებელ სიტყვათა სიჭარბე ფილოსოფიური ენის უცილობელი, ძალზე დამახასიათებელი და, ამდენად, მეტად ნიშანდობლივი კომპონენტია.

ფილოსოფიურ თხზულებაში ხშირად ვხვდებით დანართს; ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რთული ქვეწყობილი წინადადებები „შემოკლებულია“ განსაკუთრებული განსაზღვრებით, დანამატითა თუ ჩართულით. ამ გზით ისინი (ქვეწყობილი წინადადებები) ერთგვარად განიტვირთებიან ხოლმე. ჩვენი აზრით, რთული ქვეწყობილი წინადადებების ასეთი განტვირთვა – „შემოკლება“ საჭიროა, რადგან კონსტრუქციების ხშირი მონაცვლეობა რთულ ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობას მეტ დინამიურობასა და სიცხოველეს სძენს.

როდესაც ფილოსოფიურ თხზულებაში გადმოცემულია სხვისი აზრი, ხშირია წინადადება ჩართულის ფუნქციით. ჩართული წინადადება ცვლის ფრაზის, კონტექსტის კონსტრუქციას; აქედან გამომდინარე, აუცილებელია სასვენი ნიშნების ზუსტად და სწორად დაცვა, რათა დაწერილი წავიკითხოთ სწორად; თუ დამოკიდებულ წინადადებებში ჩართულ მთავარ წინადადებას, ან, პირუკუ, მთავარ წინადადებაში ჩართულ დამოკიდებულ წინადადებას (თუ წინადადებებს) სასვენი ნიშნებით არ გამოვყოფთ, აზრის წვდომა მეტად გაჭირდება.

ფილოსოფიურ ტექსტში გვხვდება ხატოვანი ელემენტებიც. მხატვრული სახეების, შედარებებისა თუ მეტაფორების გამოყენებით რთულ ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობის წარმართვა, ფილოსოფიური აზროვნების სტილისათვის ერთი მეტად ნიშანდობლივი ნიშან-მახასიათებელია. ხშირ შემთხვევაში ამგვარ სტილისტურ საშუალებათა მნიშვნელობა მათ მიერ მხატვრულ ლიტერატურაში შესრულებული ფუნქციის ტოლფასია; გარდა ამისა, გვხვდება ტერმინოლოგიურ და ხატოვან ელემენტთა ისეთი შეხამებაც, რომელიც – როგორც ერთთა, ისე მეორეთა უდიდესი მნიშვნელობის წყალობით – ქმნის რთულ ჰარმონიულ თანაფარდობას მეტყველების ამ ორ ელემენტს შორის. ასე რომ, თხრობის სამეცნიერო-ტერმინოლოგიური მხარე და ემოციურ-ხატოვანი მომენტი ერთობლივად ქმნის ისეთ მთელს, რომელშიც ორივე საწყისი არსებითი და ღირებულია.

რაც შეეხება თხრობის სტილს, იგი შესაძლოა იცვლებოდეს ერთი ფილოსოფიური ნაშრომის ფარგლებშიც; ასე მაგალითად, მკაცრ, ობიექტურ ტონს – ფაქტების კონსტატაციას ყოველგვარი ემოციური შეფერილობის გარეშე – შესაძლოა ენაცვლებოდეს პოლემიკური მსჯელობა, ხატოვანი შედარებები თუ გამოთქმები, რაც, უმეტეს წილად, გამოხატავს რაიმე ფაქტის ან რომელიმე საკითხისადმი ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას ანდა, უბრალოდ, ეხმარება მას ამა თუ იმ აზრის კონსტატაციაში. ამ მხრივ თხრობის მონოტონურობა და

ერთფეროვნება მოხერხებულადაა გადალახული, ხოლო მთლიანი თხრობის სტილში დისონანსის შეტანით მას (თხრობის სტილს) მოხდენილსა და მიმზიდველს ხდის.

ყველა ზემოხსენებული პარამეტრით აშკარაა, რომ ფილოსოფიური ტექსტი, თავისი პოლიფუნქციური ხასიათით, წარმოადგენს პროზაული ქსოვილის განსაკუთრებული კომპოზიციური ორგანიზაციის ფორმას, რომელიც თარგმანის პრაგმატული ასპექტების გასაანალიზებლად უხვ და მრავალფეროვან მასალას უნდა შეიცავდეს. თარგმნის შემთხვევაში, „საუბარი ეხება ერთ ნაწარმოებს, რომელიც ორ სხვადასხვა ენაზე არსებობს და არსებობს სწორედ მათი განსხვავებულობის წყალობით, იმის გამო, რომ იგი აშიშვლებს სხვაობას, რომელიც ნაწარმოებს საკუთარ თავთან აშორებს, სხვად აქცევს მას; საუბარია ძვრაზე, საიდანაც აუცილებელია ნათელი მოვიპოვოთ, რათა მისი მეშვეობით გაცისკროვნდეს გამჭირვალე, სხვისთვის გახსნილი თარგმანი“ (ბლანშო 1991: 25).

საკუთრივ ფილოსოფიური ტექსტის ენისათვის ნიშანდობლივი სპეციფიკის სემიოლოგიური ასპექტით ანალიზისას, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „სხვადასხვა ენაში განსხვავდება არა მხოლოდ აღმნიშვნელები (ბგერითი ფორმა), არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, აღსანიშნებიც (შინაარსი)“ (რამიშვილი 1979: 8). მოხმობილი შეფასების თანახმად, თარგმნის დროს განსახორციელებელი ტრანსფორმაციები უნდა ეფუძნებოდეს ქართული ფილოსოფიური ენის ლექსიკის (ლიტერატურას) არსენალს; მშობლიური ენის სტილისტური და სემანტიკური საშუალებებისადმი უნდობლობის ან მათი უგულებელყოფის თუ მთარგმნელის მოჭარბებული ინიციატივის გამო, ადეკვატური თარგმნის ნაცვლად, ზოგჯერ ხელთ დედნის ფოტოასლი გვაქვს.

ფილოსოფიური ტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმანი ან ნაკლებად გასაგებია, ან პლეონაზმია ან, უბრალოდ, ეწინააღმდეგება თარგმანის ენის ნორმას. აღნიშნული სახის თარგმანის შემთხვევაში, დედნის ტყვედ ქცეული მთარგმნელის მიერ უგულებელყოფილია შემოქმედებითი საწყისი; აქედან გამომდინარე, მცირდება თარგმანის ღირებულება, მახინჯდება წარმოდგენა დედანზე და იკარგება მისი არსებითი მხარე. ოქტავიო პასის სრულიად მართებული მოსაზრების თანახმად, „სიტყვასიტყვითი თარგმანი, საერთოდ თარგმანი არ არის – იგი მხოლოდ სიტყვების მწკრივია და მხოლოდ გვეხმარება უცხო ენაზე დაწერილი ტექსტის წაკითხვაში; [...] თარგმანი კი არა, რაღაც ლექსიკონის მაგვარი უფროა, ვინაიდან თარგმნა ყოველთვის შემოქმედებითი პროცესია და მაშინაც კი, როდესაც მხოლოდ აზრის

გადმოცემაა საჭირო, როგორც ეს სამეცნიერო შრომების თარგმნისას ხდება: მთარგმნელს ტექსტის გარდასახვა უწევს. ტექსტის ამგვარი გარდასახვა მუდამ ლიტერატურულ ხასიათს ატარებს და, ცხადია, ეს სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რამეთუ ყველა სახის თარგმნა პროცესია“ (პასი 2002: 10). (თარგმანისადმი სწორედ ასეთი მიდგომაა ჩვენი, როგორც პრაქტიკოსი მთარგმნელის, სახელმძღვანელო პრინციპი).

ცხადია, იგულისხმება შემოქმედებითი პროცესი, რომლის დროსაც ლინგვისტური ცოდნის საფუძველზე „მთარგმნელმა, თავისი უნარითა და ინიციატივით, ტექსტის დენოტატური მნიშვნელობები ადეკვატურად უნდა ასახოს თარგმანის ენაზე. იპოვოს საკმარისი და სათანადო რესურსები; „მთარგმნელი ენობრივ განსხვავებათა იდუმალი მეუფეა, მაგრამ მისი ამოცანა ამ განსხვავებათა გაუქმება როდია, არამედ იგი იყენებს მას, რათა მკვეთრი ან მსუბუქი ძვრებით მშობლიურ ენაში „დააარსოს“ ის, რითაც თავისი დასაბამიერი უცხოობით ორიგინალი ხასიათდება“ (ბლანშო 2002: 25).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფილოსოფიური ტექსტის თარგმანი ბუნებრივია, თუ აზრის მდინარება თარგმანის ენაზეც ლაღად და ძაღდაუტანებლად ვითარდება, თუ თარგმანი არ ეწინააღმდეგება იმ ენის ბუნებას (ჰუმბოლდტის თქმით „ენის გეზს“), რომელზეც ვთარგმნით და მთარგმნელის განზრახვას გამოიწვიოს დედნის ადეკვატური ეფექტი მეორე სუბიექტში – მკითხველსა თუ მსმენელში.

ჩვენი მხრივ, ამგვარი შეფასებისა და დასკვნების გამოტანის საფუძველი გახლავთ ის გამოცდილება, რომელიც ფრანგ ფილოსოფოსთა – მონტენი, დეკარტი, მონტესკიე, რუსო, ტოკვილი, დიურკემი, ბერგსონი, მერლო-პონტი, ფუკო – ნაშრომთა ფრანგულიდან ქართულად შესრულებულმა თარგმანებმა შეგვიძინა.

III თავი

ტერმინოლოგიური სიზუსტე – ფილოსოფიური ტექსტის ადეკვატური თარგმანის არსებითი პირობა

ნებისმიერი სახეობის ტექსტის „თარგმანის სტრატეგიის სწორი არჩევანი და რეზულტატის სრულყოფილება დამოკიდებულია ტექსტის ღირებულებათა საერთო სკალაზე, იმ ფუნქციურ დომინანტთა გამორჩევასა და გააზრებაზე, რომლებიც, ენათშორისი კომუნიკაციის კატეგორიულ ნიშანთა საერთოობის მიუხედავად, თარგმანის ერთ უანრულ სახეობას მაინც განასხვავებს მეორისაგან“ (საყვარელიძე 2001: 52).

ფილოსოფია აზროვნების პროცესია; აზრის სიცხადისა და გარკვეულობისათვის ფილოსოფიას სხვა არა გააჩნია რა, გარდა სიტყვისა. ზოგიერთი ფილოსოფიური განზოგადება მხოლოდ ენის ბაზაზე და ენის საშუალებით არსებობს (მაგალითად, „არსი“, „სუბსტანცია“, „აბსოლუტი“ და ა.შ.). აღნიშნულის გამო, მთარგმნელი, ასე ვთქვათ, „შებოჭილია“ ორიგინალის ცნებითი აპარატით. ამ სირთულის წარმატებით დასაძლევად, თარგმანის ენაზე საჭიროა ისეთ სიტყვათა თუ შესატყვისთა მოძიება, რომლებიც ორიგინალის ცნებითი აპარატის ადეკვატურია და, იმავედროულად, ენაში ტრადიციულად დამკვიდრებულ გრამატიკულ და სემანტიკურ ნორმათა ბუნებას ეთანადება.

ტექსტის აზრობრივი შინაარსის რეპროდუცირების თვალსაზრისით, დიდია ფილოსოფიურ ტერმინთა ხვედრითი წილი; ამდენად, თარგმანისას სრულფასოვნების ერთ-ერთი უმთავრესი და უპირველესი კრიტერიუმია არსებითი კომპონენტის – ტერმინოლოგიის სიზუსტე, ტერმინის (სიტყვის) მნიშვნელობის სიცხადე და მნიშვნელობათა შეერთების უნარმქონე სიტყვათა დაკავშირება. თარგმანის ენაზე წინადადების მნიშვნელობის აღქმა ბრკოლდება, თუ წევრთა მნიშვნელობები არ ესადაგება, არ უკავშირდება ერთმანეთს.

ტერმინის მთავარი დანიშნულებაა ორაზროვნების თავიდან აცილება. პურისტების მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, უმეტესწილად სწორედ ამიტომ იყენებენ ტერმინებად ლათინურ ან ბერძნულ სიტყვებს და არა საკუთარ ენობრივ ლექსიკას.

ნომინაციური ფუნქცია სიტყვასა და ტერმინს საერთო აქვთ. მაგრამ საერთო ენის სიტყვისაგან განსხვავებით, ტერმინი ესაა სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც მეცნიერების ამა თუ იმ დარგის გარკვეულ ცნებას გამოხატავს. სამეცნიერო ტერმინის, ზოგადად ტერმინოლოგიის აუცილებელი ნიშან-თვისებაა ნეიტრალურობა

და მკაცრი ინტელექტუალური შინაარსი. ტერმინოლოგიაში წამყვანი როლი ეკისრება არსებით სახელებს და მის ბაზაზე შედგენილ სიტყვებს, ასევე ზედსართავ სახელებს (ამაში შედის, რასაკვირველია, მიმღობებიც) და მოქმედების აღმნიშვნელ სახელებს (მაგალითად, დეფინიცია). მკვლევართა უმრავლესობის მიერ ზმნები მართებულად არაა მიჩნეული ტერმინებად, მიუხედავად იმისა, რომ ცნებათა რთულ სისტემაში პროცესების აღმნიშვნელი კატეგორია ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. ამავე აზრისაა რეფორმატსკიც (Реформатский 1967: 6).

ტერმინის მეორე თავისებურებად მიჩნეულია ის, რომ საერთო ენის სიტყვასთან შედარებით, ტერმინს აქვს მეტი სემანტიკური დამოუკიდებლობა, შინაარსობრივი სიცხადე, ზუსტი დეფინიცია, რომელიც უნდა გავიგოთ როგორც წინასწარ შეთანხმებული, მკაცრად დათქმული განსაზღვრება, რაც კვლავ პირობითობას გულისხმობს. აკად. დ. ლოტეს თანახმად: „ტერმინის აზრობრივი შინაარსი განპირობებულია იმ ცნებით, რომელსაც მოცემული ტერმინი უნდა გამოხატავდეს. მისი მნიშვნელობა არ შეიძლება იყოს დამოკიდებული იმ წინადადებაზე, რომელშიც იგია ნახმარი. იგი უნდა განისაზღვროს ცნებათა მთელი სისტემის მიერ და მოცემული დისციპლინის, ცოდნის დარგისა და მისთანათა შესაბამისად“ (Лотте 1961: 73-74).

ტერმინები ცალკე არ არსებობენ „ისინი აუცილებლად გაერთიანებული და მოწესრიგებული არიან, მაგრამ ეს გაერთიანება და მოწესრიგებულობა მათი იმანენტური ენობრივი მდგომარეობა კი არ არის, არამედ ადამიანის მოღვაწეობის იმ დარგის რეალობისა და ცნებების მდგომარეობის ამსახველი, რომელიც ფიქსირებულია დარგობრივ ტერმინოლოგიაში“ (Дониленко 1977: 52).

ტერმინოლოგიურ სისტემად ერთი რომელიმე კონკრეტული დარგის ტერმინთა ერთობლიობა ივარაუდება. ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ „ტერმინთა ერთობლიობა დენოტაციური და სიგნიფიკაციური ფუნქციით შეადგენს ტერმინოლოგიას“ (Реформатский 1967: 71-91).

რეფორმატსკი სრულიად მართებულად მიიჩნევს ტერმინოლოგიას საერთო ენის ლექსიკის შემადგენელ ნაწილად, ვინაიდან ყოველი კერძო მეცნიერების ტერმინოლოგია, როგორც მეცნიერების ანუ ინტელექტუალურად ორგანიზებული სოციალური სინამდვილის თვისება და მეცნიერების ენის ლექსიკის შემადგენელი ნაწილი, საერთო-სალიტერატურო ენის ბაზაზეა აღმოცენებული და, ბუნებრივია, მის საფუძველს საერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკა, სიტყვაწარმოება და გრამატიკა შეადგენს. თუმცა მეცნიერების ენას აქვს დამატებითი საშუალებებიც, რომლითაც

იგი სცილდება როგორც საერთო ეროვნულს, ისე საერთო სალიტერატურო ენას და ვითარდება სხვა კანონებისა და პროცესების მიხედვით; თავის მხრივ, იგი გავლენას ახდენს საერთო ენის ლექსიკისა და სიტყვაწარმოების განვითარების ტენდენციებზე.

სტრუქტურული თვალსაზრისით, სამეცნიერო ტერმინები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. ერთსიტყვიანი ტერმინები (ერთსიტყვიანი ტერმინები შეიძლება იყოს მარტივი, ნაწარმოები ან რთული სიტყვა) და 2. შესიტყვებები ანუ ტერმინოლოგიური გამოთქმები. შესიტყვება შეიძლება იყოს: ა) ანალიტიკური. ასეთ შემთხვევებში ცალკეული კომპონენტი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა და კომბინაციურად სხვადასხვა სიტყვასთან შეიძლება შეგვხვდეს. სხვაგვარად, ამას თავისუფალი ანუ დენოტაციური შესიტყვება ეწოდება; ბ) არათავისუფალი შესიტყვება, რომლის შემადგენლობაში შემავალი კომპონენტები შეიძლება არ იყოს ტერმინები; გ) სინთეზური ანუ იდიომატური შესიტყვებები, რომლის დაყოფა ცალკეულ ნაწილებად არ შეიძლება. ფილოსოფიურ ტექსტში გვხვდება სამივე ტიპის შესიტყვება-ტერმინი. ჩვეულებრივ, გავრცელებულია ბინარული (მსაზღვრელ-საზღვრულიანი) შესიტყვება-ტერმინი.

ფილოსოფიური ტექსტის ქართულად თარგმნისას ტერმინთა შერჩევა განპირობებულია როგორც დედნის უანრობრივი თავისებურებებით, ისე ქართულ ენაში ამ უანრისათვის არსებულ სტილისტურ ნორმათა დაცვით ანუ არსებითა არა ის, რაც ყველა ენათა ზოგადი ნათესაობისა და ცნებათა და მათი ნიშნების მოქნილობის შედეგად ენას შეიძლება თავს მოვახვიოთ, არამედ ის, რისკენაც ქართული ენის ბუნება გვიბიძგებს.

ოქტავიო პასის თანახმად, „ყველა ტექსტი არის ორიგინალური და ყოველ თარგმანს თავისი განსხვავებული სახე აქვს, [...] ყოველი თარგმანი გარკვეულწილად ვიღაცის შემოქმედებაა და როგორც ასეთი, უნიკალურია“ (პასი 2002: 10).

თარგმანი შემოქმედებითი პროცესია, რომლის დროსაც, ცხადია, გადამწყვეტი მანც მთარგმნელის ინიციატივაა. „ოდითგანვე ცნობილია, რომ თარგმანი აზრობრივი სიზუსტის გარდა სტილისტური ადეკვატობის დაცვასაც მოითხოვს; მთარგმნელი ეყრდნობა პირად აღლოს და გემოვნებას, რომელიც ყოველთვის არ არის და ვერც იქნება სანდო“ (ნათაძე 1986: 3).

ფილოსოფიური ტექსტის თარგმნის პროცესში ტერმინებთან დაკავშირებით იკვეთება ორი არსებითი საკითხი: 1.რა შემთხვევაში უნდა მიენიჭოს უპირატესობა ქართულ ფილოსოფიურ ტერმინებსა თუ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს; 2.რა

შემთხვევაში ჯობს უცხოურ ტერმინთა თუ ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა გამოყენება.

1) ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია ადეკვატური თარგმანის გარანტი

ოდითგანვე თარგმანის აკარგიანობის საზომად სამი რამ მიიჩნეოდა: აზრობრივი სიზუსტე, სტილისტური დახვეწილობა და ემოციური ტოლფასოვნება. ნებისმიერი ჟანრის ტექსტის დარად, ქართულად ფილოსოფიური ტექსტის ადეკვატური თარგმანის შესაძლებლობის გარანტი, ვფიქრობთ, უნდა იყოს (და არის კიდევ) ქართული ენის შესახებ ფრანგი მეცნიერის მარი ბროსეს მიერ გამოთქმული შეფასება, რომელიც ეპიგრაფად წავუძღვარეთ სადისერტაციო ნაშრომს.

„მეტაფიზიკური მედიტაციები“ დეკარტის, როგორც ფილოსოფოსის უდიდესი გონიერებისა და განსჯითი ნიჭის ნაყოფი, საღი აზრების საოცარ სიმდიდრეს ფლობს. ენობრივი თვალსაზრისით, აზრის გადმოცემის ფორმალურ-სტილისტურ საშუალებებსა და გამოსახატავ შინაარსს შორის სრული ჰარმონიაა; სემანტიკურად და სტილისტურად მართებულ სიტყვათა კომბინაციით შექმნილი, ფრანგულისათვის ნიშანდობლივი თხრობის რიტმი და კილო თხზულების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი და ავტორის აზროვნების ინდივიდუალური სტილის, მისი წერის მანერის, თვით ნაწარმოების ჩანაფიქრის ორგანული ნაწილია. ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობა, ნაშრომის არასრულყოფილად თარგმნას ნიშნავს.

თანამედროვე ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია იყენებს ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ ტერმინებს, რომელთა შექმნასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთარგმნელობითმა საქმიანობამ; X-XII საუკუნეებში ქართული ენის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ მას შესწევდა უნარი გადმოეცა მაშინდელი განვითარებული აზროვნების თითქმის ყველა ნიუანსი; შეექმნა ახალი ცნებების გამომხატველი ქართული შესიტყვებები. სიტყვათა წარმოების ხსენებული ტრადიცია წარმატებით გაგრძელდა XVII–XIX საუკუნეებშიც. მრავალი ფილოსოფიური ტერმინი დღესაც იმდროინდელი მნიშვნელობითაა გაგრძელებული.

თუმცა დროის კვალობაზე იცვლება ტერმინოლოგიურ ნორმათა მოთხოვნაც. თარგმანის ჩვენ ვერსიაში მრავალი ტერმინი თუ ტერმინოლოგიური შესიტყვება

ამჟამად მიღებული ტერმინოლოგიური ნორმების სტილისტური და სემანტიკური მოთხოვნის შესაბამისად შევცვალეთ; ასე რომ, „მეტაფიზიკური მედიტაციები“-ს ქართული თარგმანის ორი ვერსია მნიშვნელოვნად სხვაობს ერთმანეთისაგან; შესაძლოა, ყველა შემთხვევაში ჩვენი არჩევანი უკეთესი არაა, მაგრამ დასანანი, როდესაც ნაშრომის ქართულ თარგმანში ტერმინებად (ან ტერმინოლოგიურ შესიტყვებებად) გვხვდება ენობრივად არზუსტი და არამართებული სიტყვები. მაგალითად,

L'étendue „განფენილობა“ თარგმნილია „ვრცეულობად.“ (დეკარტი 1955: 5,11, 20, 86).

„**De ce genre des choses est la nature corporelle en général et son étendue**“ (Descartes 1990: 124).

„საგანთა ამ გვარისაა საზოგადოდ ნივთიერი ბუნება და მისი ვრცეულობა“ (დეკარტი 1955: 5).

იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

„ამ სახისაა საერთოდ სხეულებრივი ბუნება და მისი განფენილობა“ (დეკარტი 2001: 110).

La durée „ხანგრძლივობა“ თარგმნილია „გრძეობად“ (დეკარტი 1955: 5, 38, 40).

...„**le temps qui mesure leur durée**“ (Descartes 1990: 124).

...„დრო, რომელიც ზომავს მათ გრძეობას“ (დეკარტი 1955: 5).

დროსთან მიმართებით ქართულად მეტყველი ადამიანი უმაღლეს სიტყვა „ხანგრძლივობას“ ხმარობს; თარგმანის ჩვენი ვერსიაა:

...„მათი არსებობის ხანგრძლივობას“ (დეკარტი 2001: 110).

Limité „შეზღუდული“ თარგმნილია „განსაზღვრულად.“

...„**elle est d'une fort petite étendue et grandement limitée**“ (Descartes 1990: 177).

„იგი (გაგების ნიჭი) ძალიან მცირე მოცულობისაა და ფრიად განსაზღვრულია“ (დეკარტი 1955: 58).

ამ შემთხვევაში სიტყვა არასწორადაა შერჩეული; კონტექსტიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, უფრო ზუსტი და ბუნებრივია ასეთი თარგმანი:

„იგი (გაგების უნარი) ჩემში ძალზე უმნიშვნელო, შეზღუდულია“ (დეკარტი 2001: 148).

L'expérience „გამოცდილება“, „ცდა“, თარგმნილია „დაკვირვებად.“

”**Mais, par après, plusieurs expériences ont peu à peu ruiné toute la créance**” (Descartes 1990: 203).

„მაგრამ შემდეგ, მრავალმა დაკვირვებამ ნელ-ნელა დაანგრია მთელი ჩემი ნდობა“ (დეკარტი 1955: 83).

ტექსტში ავტორის მიერ იგულისხმება უმაღლესი გამოცდილებით, და არა დაკვირვების შედეგად გამოტანილი დასკვნა. ამიტომ იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

„მაგრამ შემდეგში მრავალმა გამოცდილებამ თანდათანობით დაანგრია მთელი ის ნდობა“... (დეკარტი 2001: 169).

La privation „ნაკლი“ თარგმნილია „დანაკლისის“, „მოკლებულობის“ მნიშვნელობით [გვ. 55, 62, 63, 64].

...”pour la privation dans laquelle seule consiste la raison formelle de l’erreur et du péché” (Descartes 1990: 182).

... „რაც შეეხება დანაკლისს, რომელიც მარტოა შეადგენს შეცდომისა და შეცოდების ფორმალურ საბუთს“ (დეკარტი 1955: 63).

ჩვენი აზრით, სიტყვათა ასეთი კომბინაცია ქართულისათვის ძალზე ხელოვნურ ელფერს დაიკრავს; აზრობრივად უფრო ბუნებრივი, ზუსტი და ადეკვატურია ასეთი თარგმანი:

...„რაც შეეხება ნაკლს, ერთადერთი რაშიცაა ფორმალური მიზეზი ცდომილებისა და ცოდვისა“ (დეკარტი 2001: 152).

Le degré „ხარისხი“ თარგმნილია „საფეხურის“ მნიშვნელობით.

...”le plus bas degré de liberté” (Descartes 1990: 178).

... „თავისუფლების უმაღლესი საფეხური“ (დეკარტი 1955: 59).

ქართველი მკითხველისათვის თარგმანი ბუნებრივი იქნება, თუ სიტყვა „თავისუფლებასთან“ მიმართებით „საფეხურის“ ნაცვლად ვიხმართ სიტყვას „ხარისხი“ და წინადადებას ვთარგმნით მაგალითად, ასე:

...„ყველაზე დაბალი ხარისხი თავისუფლებისა“ (დეკარტი 2001: 149).

Affirmer „ამტკიცებს დადებითად“, თარგმნილია „ჰოჰყოფის“ მნიშვნელობით

...”qui affirme, qui nie“ (Descartes 1990: 135).

...„რომელიც ჰოჰყოფს, რომელიც უარჰყოფს“ (დეკარტი 1955: 17).

„ჰოჰყოფა“ ისეთი ნეოლოგიზმია, რომელიც არ დამკვიდრდა ქართულ ენაში; ამიტომ ჩვენ უფრო მართებულად მივიჩნიეთ ასეთი თარგმანი:

...„რომელიც ამტკიცებს დადებითად, უარყოფს“ (დეკარტი 2001: 119).

Inséparable „განუყოფელი“ თარგმნილია „გამოუყოფელობის“ მნიშვნელობით.

...”elle n’a pu faire que je les (perfections) comprisse toutes jointes ensemble et inséparables” (Descartes 1990: 167).

„რომ მე შემძლებოდა შემეცნო ყველა სისრულის ერთობა და გამოყოფელობა“ (დეკარტი 1995: 48).

ჩვენი აზრით, სტილისტურად და აზრობრივად ბევრად ადეკვატურია თარგმანის შემდეგი ვერსია:

„რომ მე ვერ მოვიაზრებდი ერთად ყველა სრულყოფილებას – გაერთიანებულსა და განყოფილებულს ერთმანეთისაგან“ (დეკარტი 2001: 141).

ხშირ შემთხვევაში, მთლიანი ტექსტის ფონზე ამა თუ იმ კონტექსტში არაადეკვატური მნიშვნელობით წარმოდგენილი ტერმინები თუ სიტყვები აზრის ბუნდოვანებას იწვევს და თარგმანის ენაზე მის (აზრის) წვდომას აბრკოლებს. მაგალითად,

la perception „აღქმა“ თარგმნილია შემდეგი მნიშვნელობით: „წარმოდგენა“, „შენიშვნა“ (დეკარტი 1955: 21, 23, 24, 27).

l'image „ხატი“ თარგმნილია: „წარმოდგენა“, „სურათი“ (დეკარტი 1955: 5,58).

rien „არაფერი“ თარგმნილია: „არარაობა“ (დეკარტი 1955: 12).

comprendre „გაგება“ თარგმნილია: „წვდომა“ (დეკარტი 1955: 22)

l'entendement „გონება“ თარგმნილია: „გაგების უნარი“ (დეკარტი 1955: 25,53,56,59,60,61,65).

le sujet „სუბიექტი“ თარგმნილია: „ქვემდებარე“ (დეკარტი 1955: 30).

un apparence „გარეგანი ფორმა“ თარგმნილია: „გარეგნულობა“ (დეკარტი 1955: 33).

infini „უსასრულო“ თარგმნილია: „უსაზღვრო“ (დეკარტი 1955: 34,41,42,54,55,58).

fini „სასრული“ თარგმნილია: „დაბოლოვებული“ (დეკარტი 1955: 34,41).

parfait „სრულყოფილი“ თარგმნილია: „სრული“ (დეკარტი 1955: 37,39,42,45,49,51,47,48,55,58,65).

infinité „უსასრულობა“ თარგმნილია: „უსაზღვრობა“ (დეკარტი 1955: 43).

imparfait „არასრულყოფილი“ თარგმნილია: „ნაკლოვანი“ (დეკარტი 1955: 50).

la foi „რწმენა“ თარგმნილია: „სარწმუნოება“ (დეკარტი 1955: 51).

la faculté „უნარი“ თარგმნილია: „ნიჭი“ (დეკარტი 1955: 53,56,58,62,86,87).

le défaut „ნაკლი“ თარგმნილია: „დანაკლისი“ (დეკარტი 1955: 54,64).

la conjecture „გარაუდი“ თარგმნილია: „მოსაზრება“ (დეკარტი 1955: 61).

l'intelligence „გაგების უნარი“ თარგმნილია: „ფართო ჭკუა“ (დეკარტი 1955: 62).

l'univers „სამყარო“ თარგმნილია: „მსოფლიო“ (დეკარტი 1955: 64).

la négation „უარყოფა“ თარგმნილია: „ნაკლი“ (დეკარტი 1955: 64).

la dureté „სიმკვრივე“ თარგმნილია: „სიმკვრივე“ (დეკარტი 1955: 81).

connaître „გაგება“ თარგმნილია: „ცნობა“ (ვინმეს) (დეკარტი 1955: 86) და ა.შ.

ცხადია, რაც უფრო სხარტი და ეკონომიურია ტერმინი, მით უფრო მეტია მისი, როგორც ენობრივი ნიშნის ღირებულება. თუმცა ფილოსოფიურ ტექსტში (ზოგადად

სამეცნიერო ლიტერატურაში) ტერმინის სახით ხშირად გამოიყენება შესიტყვება. ერთსიტყვიან ტერმინთან შედარებით, შესიტყვებას ტერმინის ფუნქციით ის უპირატესობა აქვს, რომ შინაარსის გამჭვირვალობით ხასიათდება. აზრის სიზუსტითა და ობიექტზე სწორი ორიენტაციის თვალსაზრისით, შესიტყვება ისეთსავე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, როგორც ერთი ლექსემისაგან შემდგარი ტერმინი. დეკარტის თხზულებაში „მეტაფიზიკური მედიტაციები“ ერთი ლექსემისაგან შემდგარი ტერმინის დარად, ფრანგულისათვის სემანტიკურად და სტილისტურად მართებულ სიტყვათა კომბინაციაც თხრობის რიტმისა და კილოს შემქმნელი ძირითადი კომპონენტია; ავტორის აზროვნების მანერის, მისივე ნაშრომის ჩანაფიქრის ორგანული ნაწილია. ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობა, თხზულების არასრულყოფილად თარგმნას ნიშნავს. სავსებით ვიზიარებთ გ. წიბახაშვილის მოსაზრებას, რომ „მთავარია მთარგმნელს ზუსტად ესმოდეს სიტყვის მნიშვნელობაც, უღერადობაც და სხვა სიტყვებთან მისი კავშირის სემანტიკური და სტილისტური შესაძლებლობებიც. ტექსტის სტილისტური უღერადობის უშეცდომო აღქმა, როგორც ჩანს, არის ის უმთავრესი გასაღები, რომლის გარეშეც შეუძლებელია სრულფასოვანი თარგმანის ცხრაკლიტულში შეღწევა“ (წიბახაშვილი 2000: 50).

დეკარტის თხზულების ქართულ თარგმანში მრავალი კომბინაცია, რომელიც აზრობრივად და სტილისტურად არაზუსტ ან ბუნდოვან შესიტყვებად გვეჩვენა, სემანტიკურად და სტილისტურად ქართულისათვის ბუნებრივი ფორმებით შევცვალეთ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ კონკრეტულ მაგალითებს. კერძოდ:

„**je demeurerai obstinément attaché à cette pensée**“ (Descartes 1990: 128).

„მე დაჟინებით ჩავეჭიდები ამ აზრს“ (დეკარტი 1995: 9).

ჩვენ ვთარგმნეთ:

„ასეთ მედიტაციას ჯიუტად მივეცემი“ (დეკარტი 2001: 112).

...„**les anciens et ordinaires opinions**“ (Descartes 1990: 126).

...„ძველი და ჩვეულებრივი შეხედულებები“ (დეკარტი 1995: 7).

ამგვარ თარგმანს ჩვენ ვამჯობინეთ შემდეგი:

...„ნაცადი-ძველი შეხედულებები“ (დეკარტი 2001: 111).

... „**mes anciens et mes nouveaux préjugés**“ (Descartes 1990: 127).

...„ჩემი ძველი და ჩემი ახალი ყალბი შეხედულებები“ (დეკარტი 1995: 8).

კონტექსტიდან გამომდინარე სიტყვა **”les préjugés”** უნდა ითარგმნოს „ახალი ვარაუდები“, და არა – „ყალბი შეხედულებები“.

...„ორივე სახის – ძველ და ახალ ვარაუდებს“ (დეკარტი 2001: 112).

...”**elle (la pensée) seule ne peut être détaché de moi**” (Descartes 1990: 133).

„მხოლოდ აზროვნება არ შეიძლება იქნეს ჩემგან მოცილებული“ (დეკარტი 1995: 14).

„აზროვნების მოცილება“ – ასეთი თარგმანი ძალზე არაბუნებრივია თარგმანის ქართული რეცეპტორისათვის; თარგმანის ჩვენი ვერსიაა:

„იგი (აზროვნება) ერთადერთია, რომლის განცალკევებაც ჩემგან არ შეიძლება“ (დეკარტი 1955: 117).

...”**deux et trois joints ensemble formeront toujours le nombre de cinq, et le carré n’aura jamais plus de quatre côtés**” (Descartes 1990: 124).

...„ორისა და სამის შეერთება ყოველთვის იქნება რიცხვი ხუთი და კვადრატს არასოდეს არ ექნება ოთხზე მეტი მხარე“ (დეკარტი 1955: 5).

„ორისა და სამის შეერთება“-ს თუ ვთარგმნით: „ორს მიუმატოთ სამი“, „კვადრატის მხარეს“ კი „ოთხკუთხედის გვერდად“, თარგმანი აზრობრივადაც და ენობრივადაც საესებით სწორ ფორმას მიიღებს;

...„ორს მიმატებული სამი მაინც ყოველთვის ხუთია, ოთხკუთხედს კი ოთხზე მეტი გვერდი არა აქვს“ (დეკარტი 2001: 110).

”**Diverses propriétés de ce triangle**” (Descartes 1990: 187).

„სამკუთხედის მრავალი თვისება“ (დეკარტი 1955: 67).

უნდა ითარგმნოს:

„სამკუთხედის სხვადასხვა თვისება“ (დეკარტი 1955: 156).

”**L’expérience me fait connaître**” (Descartes 1990: 173).

„გამოცდილება მეუბნება“ (დეკარტი 1955: 54, 97).

უმჯობესია ითარგმნოს: „გამოცდილება მარწმუნებს“ (დეკარტი 2001: 145).

ერთსიტყვიანი ტერმინის მსგავსად, ტერმინოლოგიური შესიტყვების თარგმნისას ადეკვატურობის მისაღწევად საჭიროა თარგმანის ენაზე სიტყვათა სწორად შერჩევა, ვინაიდან მხოლოდ სემანტიკურად და სტილისტურად მართებულ სიტყვათა კომბინაციით იქმნება ქართულისათვის ბუნებრივი ტერმინოლოგიური შესიტყვება. არაშეერთების უნარმქონე სიტყვათა ერთმანეთთან დაკავშირებით წინადადების აღქმას ე.ი. აზროვნებას დაბრკოლება ექმნება. თარგმანი ან არაადეკვატურად ასახავს, ან არ ეთანადება აზრის გამოსატვის ქართული ენის სტრუქტურას და

აზრი გაუგებარი ან ბუნდოვანი რჩება. ტექსტში არაადეკვატურადაა თარგმნილი მრავალი შესიტყვება; მაგალითად,

les choses extérieures თარგმნილია: „გარეგნული საგნები“(დეკარტი 1955: 8, 30); უნდა იყოს: „გარე ნივთები“.

les choses corporelles „სხეულებრივი ნივთები“; თარგმნილია: „ნივთიერი საგნები“ (დეკარტი 1955: 16,18,26,38,40,52,77,78,79,87).

les notions générales „ზოგადი ცნებები“; თარგმნილია: „ზოგადი წარმოდგენები“ (დეკარტი 1955: 19)

les perceptions des sens „გრძნობითი პერცეფციები“. თარგმნილია: „გრძნობის განცდები“(დეკარტი 1955: 92).

les choses sensibles „გრძნობადი ნივთები“. თარგმნილია: „გრძნობისეული საგნები“ (დეკარტი 1955: 73).

le sens commun „ზოგადი გრძნობა“; თარგმნილია: „საზოგადო გრძნობა“ (დეკარტი 1955: 23, 96).

l'inspection de l'esprit „გონითი ჭკერეტა“; თარგმნილია: „გონებით ხილვა“ (დეკარტი 1955: 21).

la nature corporelle „სხეულებრივი ბუნება“; თარგმნილია: „ნივთიერი ბუნება“ (დეკარტი 1955: 5,60,61,80).

une certaine opinion „უტყუარი აზრი“; თარგმნილია: „რადაც შეხედულება“ (დეკარტი 1955: 5).

les substances finies „სასრული სუბსტანციები“; თარგმნილია: „დაბოლოებული სუბსტანციები“ (დეკარტი 1955: 34).

la cause efficiente et totale „მოელი მოქმედი მიზეზი“; თარგმნილია: გამომწვევი და მთლიანი მიზეზი“ (დეკარტი 1955: 35).

une liberté imaginaire „წარმოდგენითი თავისუფლება“. თარგმნილია: „მოჩვენებითი თავისუფლება“ (დეკარტი 1955: 9).

corps exclu „გამორიცხული სხეული“; თარგმნილია: „გამოდენილი სხეული“ (დეკარტი 1955: 13).

justes bornes de la verité „ჭეშმარიტების ზუსტი საზღვრები“; თარგმნილია: „ჭეშმარიტების სწორი საზღვრები“ (დეკარტი 1955: 18).

la perfection des choses „ნივთთა სრულყოფილება“. თარგმნილია: „საგანთა სისრულე“(დეკარტი 1955: 37).

იგივე ითქმის შემდეგ შესიტყვებებზეც:

savoir parfaitement „სრულყოფილად ცოდნა“, და არა „სრული ცოდნა“(დეკარტი 1955: 73).

une substance infinie „უსასრულო სუბსტანცია“, და არა „უსაზღვრო სუბსტანცია“ (დეკარტი 1955: 41).

un être fini „სასრული არსება“, და არა „განსაზღვრული არსება“ (დეკარტი 1955: 41).

la nature de l'infinie „უსასრულოს ბუნება“, და არა „უსაზღვროს ბუნება“(დეკარტი 1955: 42).

une infinité de changement „უსასრულო ცვლილებები“, და არა „უსაზღვრო ცვლილებები“ (დეკარტი 1955: 20).

le concept formel „ფორმალური ცნება“, და არა „გაფორმებული კონცეპტი“ (დეკარტი 1955: 86).

la faculté de concevoir „შემეცნების უნარი“, და არა „გაგების ნიჭი“ (დეკარტი 1955: 58).

me conserve „მე მიცავს“, და არა „ჩემს შენარჩუნებას ახერხებს“ (დეკარტი 1955: 48).

une vraie et certaine science „ჭეშმარიტი და უტყუარი ცოდნა“ (კონტექსტის მიხედვით), და არა „ჭეშმარიტი და სარწმუნო მეცნიერება“ (დეკარტი 1955: 75).

la certitude et la vérité de toute science „ყოველი ცოდნის (კონტექსტის მიხედვით) უტყუარობა და უეჭველობა“, და არა „ყოველი მეცნიერების სიცხადე და ჭეშმარიტება“ (დეკარტი 1955: 76)

l'application intérieure de mon esprit „გონითი მზერა“, და არა „შინაგანი მიმართვა“ (დეკარტი 1955: 78).

les choses corporelles ou étendues „სხეულებრივი ანუ განფენილი ნივთები“, და არა „ნივთიერი ან განფენილი საგნები“ (დეკარტი 1955: 96).

les images des choses sensibles „გრძობადი ნივთების ხატები“, და არა „გრძობისეულ საგანთა სახეები“ (დეკარტი 1955: 44).

les idées sont au moins comme des images „იდეები არიან ერთგვარი ხატები“, და არა „იდეები სურათებს ჩამოგავენ“ (დეკარტი 1955: 37).

tomber sous l'attouchement „შეხებით აღიქმებიან“ (თვისებები), და არა „შეხებას ექვემდებარებიან“ (თვისებები) (დეკარტი 1955: 81).

la raison formelle de l'erreur et du péché „ფორმალური მიზეზი ცდომილებისა და ცოდვისა“, და არა „შეცდომისა და შეცოდების ფორმალური საბუთი“ (დეკარტი 1955: 63) და ა.შ.

ქართულად მეტყველი ადამიანი „მსჯელობასთან“ მიმართებით უმაღლ იტყვის „მსჯელობის უნარი“; შესაბამისად, ასე უნდა ითარგმნოს ფრანგულიდანაც **la faculté de juger** (და არა „მსჯელობის ნიჭი“, როგორც ეს თარგმანშია გვ. 53); რაიმე აზრთან, ან დაშვებასთან თუ ვარაუდთან მიმართებით ქართულად მეტყველი ადამიანი იყენებს სიტყვას „მცდარი“ და არა „ყალბი“ („მცდარი აზრი“, მაგრამ „ყალბი პათოსი“). ასე რომ, **les fausses suppositions** უნდა ითარგმნოს „მცდარი დაშვებები“, და არა „ყალბი ნაგარაუდები“ (როგორც ეს თარგმანშია გვ. 72). ანალოგიურად: **la fausseté matérielle** „მატერიალური მცდარობა“ და არა „მატერიალური სიყალბე“ [გვ. 39,42].

იგივე ითქმის შემდეგ შესიტყვებებზეც:

examiner les raisons „განვიხილავ იმ საფუძვლებს“, და არა „გავსინჯავ იმ საბუთებს“ (დეკარტი 1955: 80).

Venant à conciderer quelles sont mes erreurs, უნდა ითარგმნოს: „გამოვიკვლიე რა სახისაა ჩემი შეცდომების ბუნება“, და არა – „ვისინჯავ რა ჩემს შეცდომებს“ (დეკარტი 1955: 56).

Je concluerai „დასკვნა უნდა გამოვიტანო“, და არა – „დასკვნას გამოვიყვან“ (დეკარტი 1955: 37, 53).

Je donne mon jugement „ვიმსჯელებ“, და არა – „ვაკეთებ მსჯელობას“ (დეკარტი 1955: 63).

Les corps de figure triangulaires უნდა ითარგმნოს: „სამკუთხედი ფორმის მქონე სხეულები“, და არა „სამკუთხიანი აღნაგობის მქონე სხეულები“ (დეკარტი 1955: 68).

le compose de l'esprit et du corps „გონისა და სხეულის ერთიანობა“, და არა „გონებისა და სხეულის ნაერთი“ (დეკარტი 1955: 91).

tirer son idée „მისი იდეის გამოხმობა“, და არა ამოვიღო მისი იდეა“ (დეკარტი 1955: 71).

un air délié „გაიშვიათებული აირი“, და არა „გათხელებული ჰაერი“ (როგორც ეს თარგმანშია დეკარტი 1955: 13).

notions nées avec moi „თანდაყოლილი ცნებები“, და არა „ცნებები, რომლებიც დაბადებულია ჩემთან ერთად“ (დეკარტი 1955: 33).

cette idée est née avec moi „თანდაყოლილი იდეა“, და არა „იდეა, დაბადებულია ჩემთან ერთად“ (დეკარტი 1855: 49).

ნიმუშად მოხმობილ შესიტყვებებში სიტყვათა შეთანხმებები ატიპურია ქართულისათვის; სტილისტურად უფრო სხარტად, სრულყოფილად შეიძლება შემდეგი შესიტყვებებისა თუ ფრაზების თარგმნაც. მაგალითად,

l'esprit en concevant „გონითი შემეცნებისას“, და არა როგორც თარგმნილია: „როდესაც გონება გააზრებას აწარმოებს“ (დეკარტი 1955: 79).

conclure dans les méditations precedentes „ამ ბოლო დროს მედიტაციით დავადგინე“, და არა როგორც თარგმნილია: „წინამორბედ განაზრებებში გამოვიყვანე“ (დეკარტი 1955: 69).

par la vision des yeux „თვალისმიერი ხედვით“, და არა „თვალების ხედვით“ (დეკარტი 1955: 22).

être souvereraimnet parfait თარგმნილია: „უუსრულესი არსება“ (დეკარტი 1955: 69). თარგმანის ჩვენი ვერსიაა: „უაღრესად სრულყოფილი არსება“.

ენათა სხვაობის გამო, აზრთა გადმოცემის ვერბალური ხერხებიც დიდად განსხვავებულია. შესაბამისად, თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში ყველაზე მეტად ყურადღება გამახვილებულია სიტყვის პარტნიორობის უნარზე. ენას მიეწერება გარკვეული მიმართულება, გეზი; გარკვეულ სიტყვათა კომბინაცია ბუნებრივია ერთი ენისათვის, მაგრამ არა მეორისათვის (მით უფრო არამონათესავე ენისათვის). სიტყვა-სიტყვით თარგმნისას, ტერმინთა და სიტყვათა არაბუნებრივი

კომბინაციით თარგმანის ენას მისთვის ხელოვნურ ყალიბში ვაქცევთ, თარგმანი ყურს ჭრის და აზრის ლაღად მდინარებას ეწინააღმდეგება. მაგალითად,

résulte de la terminaison de cette extension „ამ განფენილობის დაბოლოების შედეგია“ (დეკარტი 1955: 38). ამგვარ თარგმანს ჩვენ ვამჯობინეთ შემდეგი: „მიიღება ამ განფენილობისათვის საზღვრის დადებით“.

ils ont mis quelques dispositions dans cette matière თარგმნილია: „მათ ერთგვარი განწყობილებები შეიტანეს ამ მატერიაში“ (დეკარტი 1955: 49). ვფიქრობთ, უმჯობესია ითარგმნოს ასე: „მათ შესძინეს გარკვეული მიდრეკილებანი ამ სუბსტანციას“.

expérimentons nous des maintenant qu’une semblable méditation თარგმნილია: „ჩვენ ახლავე განვიცდით, რომ ამგვარი ფიქრები“ (დეკარტი 1955: 51). იგივე ჩვენ ვთარგმნეთ შემდეგნაირად: „ამჟამად, გამოცდილებით ვრწმუნდები, რომ ჩვენეულ ჭერეტას“.

des raisons très fortes et mûrement considérées თარგმნილია: „ძალიან მძიმე და დინჯად აწონილ-დაწონილი საბუთების მიხედვით“ (დეკარტი 1955: 7). „მყარ და მოფიქრებულ საფუძვლებზე დაყრდნობით“.

reçues par les sens „გრძნობებით აღქმული“ (ნივთები). ჩვენი აზრით, ასეთი თარგმანი უფრო ბუნებრივია ქართულისათვის, ვიდრე „გრძნობათა საშუალებით მიღებული“ (დეკარტი 1955: 80).

de donner mon jugement ou de ne le pas donner „გამოვთქვა ან არ გამოვთქვა აზრი“. თარგმნილია: „დავცე მსჯელობა ან არ დავცე იგი“ (დეკარტი 1959: 63).

j’étais encore fortement attaché aux objets des sens „...როდესაც ჯერ კიდევ ძლიერ შეზღუდული ვიყავი გრძნობადი ობიექტებით“. ჩვენი აზრით, თარგმანის ასეთი ვერსია აზრობრივად ბევრად უფრო ცხადია, ვიდრე „...გრძნობისეულ საგნებზე ვიყავი ჯერ კიდევ ძლიერ მიკრული“ (დეკარტი 1955: 68).

ამგვარად, ნიმუშად მოხმობილი ტერმინები და ტერმინოლოგიური შესიტყვებები ნათლად მოწმობს, რომ ფილოსოფიური ტერმინოლოგია ის სპეციალური ენაა, რომლითაც იგება ფილოსოფიური მსჯელობები. ფილოსოფიურ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინების თარგმანი გამართლებულია, თუ ეს უკანასკნელი არაა უცხო და ხელოვნური თარგმანის ენისათვის; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ქართულად თარგმნილ ტექსტში ფილოსოფიური აზრის გამომთქმელი სიტყვები, ტერმინები და გამოთქმები, რომლებიც არ ეთანხმება აზრის გამომხატვის ქართული ენის სტრუქტურას ან სავსებით გაუგებარი რჩება, ან უცხო სიტყვის დარად მათი გაგება „თარგმნას“, სწორ ქართულ ფორმაზე დაყვანას ითხოვს.

2) უცხო სიტყვები და ტერმინები ქართულ თარგმანში

ენის ლექსიკის შევსების ერთ-ერთ წყაროა ექსტრალინგვისტური ვითარება, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც ენის, ისე მისი ცალკეული ერთეულების განვითარებაზე. სიტყვათსესხების საფუძველია ხალხთა შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთობა და, ცხადია, მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელსაც „როგორც ენათშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის აქტს, უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება, რაც დასტურდება მისი რეალიზაციის ნებისმიერ სახეობაში, საგანგებო მტკიცებას არ საჭიროებს“ (საყვერელიძე 2001: 180).

არ არსებობს ისეთი ენა, რომელშიც არ იყოს ნასესხები სიტყვები; სესხება და ენის საკუთარი ლექსიკა კორელაციური ცნებებია. „ენა, როგორც ნაგრძნობ-ნაფიქრალის გამომხატველი იარაღი ადამიანის განვითარებას თან მოჰყვება და მიტოვაც თანდათან ივსება და მდიდრდება [...] ძვირად დარჩენილა ენა, რომელსაც არ შემოეწიროს ჩვენთვის რამდენიმე სიტყვა. ჩვენს ენაში ვხედავთ სხვადასხვა ენების სიტყვებს: სპარსულს, არაბულს, ებრაულს, სომხურს, ბერძნულს, თათრულს, რომაულს და სხვ. [...] საკვირველი ეს არის, ამდენ ვაი-ვაგლახში ჩვენი ქართული ენა არ გადასხვაფერებულა. ვერც ერთ ენის ძალას ვერ დაურღვევია ჩვენი ენის კანონები, ვერ გაღურვია, ვერ გაღურჯულებია, დაუთმია ჩვენი ენისათვის და ჩვენკენ თვითონ გადმორჯულებულა“ (კეკელიძე 1953: 135-136).

ქართულ ფილოსოფიურ ნაშრომებში (როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ თხზულებებში) ხშირად გვხვდება უცხო ანუ „ინტერნაციონალური“ სიტყვები. ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მრავალი უცხო ლექსიკური ელემენტი უმთავრესად მწიგნობრული გზით შემოვიდა ქართული ენის ლექსიკაში; ძირითადად, ესაა ბერძნულ-ლათინური ენების ლექსიკიდან დამკვიდრებული აბსტრაქტული ცნებები და ე.წ. „კულტურის სფეროს“ სიტყვები. ახალი საუკუნეებიდან კი სესხების წყარო ევროპული ენებია.

„მთარგმნელი შემოქმედია, მაგრამ იგი მიჯაჭვულია დედანზე და მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს დედანთან მაქსიმალური მიახლოება. ყოველი მთარგმნელი თავისებურად ცდილობს კიდევ მიუახლოვდეს დედანს, მაგრამ მაინც არ არსებობს ორი აბსოლუტურად იდენტური თარგმანი, თუმცა ყოველ სათარგმნ ნაწარმოებში არის ისეთი კომპონენტები, რომლებიც ყველა თარგმანში ერთნაირად შეიძლება იყოს რეპროდუცირებული – ეს არის სტილის აბსტრაქტული ნიშნები, რომლებიც

ფუნქციური კომპენსაციას ემორჩილება და თარგმანის სიზუსტეც მათ ზუსტ თუ მიახლოებით გადმოტანაზეა დამოკიდებული“ (ფანჯიკიძე 1995: 49).

საერთოდ, თარგმანში (თუნდაც ფილოსოფიურ ტექსტში) საჭიროების გარეშე უცხოურ სიტყვათა ხშირი ხმარება არასასურველია, რადგან ეს არაბუნებრივ იერს სძენს თარგმნილ ტექსტს; მაგრამ არც საერთაშორისო ლექსიკის ტერმინების ხელაღებით უარყოფა იქნება (მით უფრო ფილოსოფიურ ტექსტში). ორიგინალის შესატყვისი გამომსახველობითი საშუალებების ძიებისას, ლექსიკისა და ტერმინოლოგიის შერჩევასთან დაკავშირებული სტილისტური პრობლემა უანრობრივი თავისებურებითაა განპირობებული; თუმცა სტილისა და ადეკვატობის თვალსაზრისით, „ოქროს შუაღედის“ მოძიებას სიტყვის – მშობლიური თუ უცხოური – არჩევანისას, მთარგმნელის ენობრივი ალლო განაპირობებს. ზოგ შემთხვევაში, მართლაც უმჯობესია ქართულ ლექსიკაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვის (ტერმინის, ტერმინოლოგიური შესიტყვების) უთარგმნელად გადმოტანა, რაც, ასევე, მშობლიური ენის გეზითაა ნაკარნახევი. მაგალითად,

”le **sujet de l'action de mon esprit** თარგმნილია” – „ჩემი გონების მოქმედების ქვემდებარე“ (დეკარტი 1955: 30).

ჯობს ითარგმნოს ასე: „ჩემი აზროვნების სუბიექტი“.

”**une substance intelligente**” თარგმნილია – „გაგების მქონე სუბსტანცია“ (დეკარტი 1955: 86,87). რაკი ქართული ენის ლექსიკაში ორივე ეს სიტყვა გამოიყენება, ჩვენი აზრით, მათი უთარგმნელად გადმოტანა – „ინტელექტუალური სუბსტანცია“ – უფრო მართებულია:

ანალოგიური ვითარებაა შემდეგ შემთხვევებშიც:

”**Et toute la force de l'argument dont j'ai ici usé pour prouver l'existence de Dieu**”... (Descartes 1990: 169).

„მთელი ძალაც იმ საბუთისა, რომელიც მე აქ გამოვიყენე ღმერთის არსებობის დასამტკიცებლად“... (დეკარტი 1955: 50).

ჩვენი აზრით უმჯობესია ითარგმნოს ასე:

„მთელი ძალა ამ არგუმენტისა ის არის, რომ მე ვაღიარებ ღმერთის არსებობას“... (დეკარტი 2001: 142).

ანდა:

...”ne puis - je pas tirer de ceci **un argument** et une preuve démonstrative de l'existence de Dieu”? (Descartes 1990: 188).

...განა არა მაქვს უფლება გამოვიყენო ეს ღმერთის დამამტკიცებელ საბუთად?“ (დეკარტი 1955: 69).

იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

...„აქედანვე ხომ არ მიიღება ისეთი არგუმენტი, რომელიც ღმერთის არსებობას ადასტურებს?“ (დეკარტი 2001: 157).

ანდა:

”**mais parce que ce sont seulement de certains modes de la substance** “ (Descartes 1990: 159).

...„მაგრამ, რამდენადაც ისინი სუბსტანციის ესა თუ ის სახეცვლილებებია“ (დეკარტი 1955: 40).

თარგმანის ჩვენი ვერსიაა:

...„მაგრამ, რადგან ჩამოთვლილი თვისებები მხოლოდ სუბსტანციის გარკვეული მოღუსებია“ (დეკარტი 2001: 135).

ანდა:

...”**d’où je conçois qu’elles sont distinctes de moi comme les modes le sont des choses**” (Descartes 1990: 206).

...„აი, აქედან მესმის, რომ ისინი იმნაირადვე განსხვავდებიან ჩემგან, რადასადაც საგნის სახეცვლილებანი განსხვავდებიან საგნისაგან“ (დეკარტი 1955: 86).

ამ შემთხვევაშიც უცხოური ტერმინის უთარგმნელად გადმოტანა ვამჯობინეთ და იგივე წინადადება ვთარგმნეთ ასე:

...„აქედან მე ვიმეცნებ, რომ ისინი (წარმოდგენა და შეგრძნება) განსხვავდებიან ჩემგან, როგორც მოღუსები – ნივთისაგან“ (დეკარტი 2001: 171).

ვფიქრობთ, სიტყვა „მედიტაცია“ ასევე უთარგმნელად უნდა გადმოტანილიყო სათაურში („მეტაფიზიკური მედიტაციები“) და ტექსტშიც, რადგან სიტყვები – „მეტაფიზიკური“ და „მედიტაცია“ ქართულში (მით უფრო ფილოსოფიურ ტექსტში) თავისუფლად იხმარება. მაგალითად,

”**tous ce que je conclu dans les Méditations precedentes**”... (Descartes 1990: 188).

...„რომლებიც მე წინამორბედ განაზრებებში გამოვიყვანე“ (დეკარტი 1955: 69).
თარგმანის ჩვენი ვერსიაა:

...„რაც მე ამ ბოლო დროს მედიტაციით დავადგინე“ (დეკარტი 2001: 157).

”**par la longueur de ma meditation**” (Descartes 1990: 143).

...„ფიქრის გახანგრძლივების გზით“ (დეკარტი 1995: 25).
უმჯობესია ითარგმნოს:

„ხანგრძლივი მედიტაციით“ (დეკარტი 2001: 124).

ქართულად მეტყველი ადამიანი არ იტყვის:

„ფიქრმა, რომელსაც გუშინ ჰქონდა ადგილი, აღმივსო მე გონება იმდენი ეჭვით, რომ აწ ჩემ ძალთ არ არის მათი დავიწყება“ (დეკარტი 1955: 10).

”**La méditation que je fis hier m’a remplir l’esprit de tant de doutes qu’il n’est plus désormais et ma puissance de les oublier**” (Descartes 1990: 129).

ქართულად ბევრად ბუნებრივია იმავე წინადადების ასეთი თარგმანი:

„გუშინდელმა მედიტაციამ ეჭვებით ისე აღმივსო გონება, რომ ამიერიდან მათი დავიწყება აღემატება ჩემს ძალას“ (დეკარტი 2001: 114).

ანდა:

”**Car d’où est-ce que l’effet peut tirer sa réalité, sinon de la cause**”? (Descartes 1990: 153).

„რადგან საიდან მოიტანდა შედეგი თავის სინამდვილეს, თუ არა თავისი მიზეზისაგან“? (დეკარტი 1955: 35).

ამ კონკრეტულ წინადადებაშიც სიტყვის – რეალობა – უთარგმნელად გადმოტანა ვამჯობინეთ და იგივე წინადადება ვთარგმნეთ ასე:

„საიდან უნდა იღებდეს თავის რეალობას შედეგი, თუ არა მიზეზიდან“? (დეკარტი 2001: 131).

და პირუკუ: მართალია, საუკუნეთა მანძილზე ქართული ენის ლექსიკა იცვებოდა უცხო ენათა ლექსიკიდან შემოსული ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, მაგრამ ქართულმა ენამ ბრწყინვალედ შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი, არ დაუკარგავს თავისი ეროვნული თვითმყოფადობა; იგი თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით განაგრძობდა წინსვლასა და სრულყოფას. აკაკი წერეთელი სასტიკი წინააღმდეგი იყო ქართულში უცხოური ენიდან შემოსული იმ სიტყვების დამკვიდრებისა, რომლებიც იწვევდნენ ენის „დანაგვიანებას“. ილიასთან ერთად იგი დაუნდობლად ებრძოდა ყველას, ვინც თავის ნაწერებში უმართებულო ენობრივ ფორმასა და ლექსიკას მიმართავდა; „ტკბილ-ქართულის“ სიწმინდისა და ღირსების დაცვა, აზრის სწორად, გამართული ენით გადმოცემა, დედაენის სრულყოფისათვის დაუნდავი ზრუნვა ილიასა და აკაკის ჭეშმარიტი მწერლის საპატიო მოვალეობად მიაჩნდათ.

ჩვენი აზრით, ქართული ენის სიწმინდისა და ღირსების დაცვა ერთ-ერთი იმ მოთხოვნათაგანია, რაც თარგმნის პროცესში ყველაზე მეტადაა გასათვალისწინებელი; თუ ქართულში გვაქვს ერთი რომელიმე საერთაშორისო სიტყვის შესაბამისი სიტყვა, რომელიც ზუსტად გამოხატავს მის შინაარსს,

სასურველია, თარგმნის დროს ვიხმაროთ საკუთარი ენობრივი ნიშანი. მაგალითად, კონტექსტიდან გამომდინარე, სიტყვა *intimement* ვფიქრობთ, უმჯობესია, ითარგმნოს შესაბამისი ქართული სიტყვით.

...”qu’une certaine application de la faculté qui connaît, au corps qui lui est intimement présent” (Descartes 1990: 197).

„თუ არა შემეცნებითი უნარის გარკვეული გამოყენება სხეულის მიმართ, რომელიც უშუალოდ წარმოუდგება მას“ (დეკარტი 2001: 164);

და არა როგორც თარგმნილია:

„თუ არა შემეცნების ნიჭის ერთგვარი მიყენება სხეულისადმი, რომელიც მის წინაშე ინტიმურად დგას“ (დეკარტი 1955: 77).

თარგმანის ადეკვატურობის თვალსაზრისით (ასევე კონტექსტიდან გამომდინარე), უცხო სიტყვა „ფანტასტიკური“ ყურსაც უხეშად ხვდება და აზრობრივადაც არაზუსტია. სიტყვა „*imaginaire*“ შესაბამისი ქართული სიტყვით – „გამოგონილი“ – გადმოვიტანეთ და იგივე წინადადება ვთარგმნეთ ასე:

”ces opinions sont entièrement fausses et imaginaires” (Descartes 1990: 127).

„ყველა ეს შეხედულება მცდარი და გამოგონილია“ (დეკარტი 2001: 112).

და არა როგორც თარგმანშია:

„ყველა ეს შეხედულება ყალბი და ფანტასტიკურია“ (დეკარტი 1955: 8).

როდესაც ერთი რომელიმე საერთაშორისო სიტყვის შესაბამისი ქართული სიტყვა ზუსტად გამოხატავს მის შინაარსს, სასურველია თარგმნის დროს ვიხმაროთ საკუთარი ენობრივი ნიშანი, ან, სტილის მრავალფეროვნების მიზნით, მონაცვლეობით ვიხმაროთ როგორც უცხო, ისე ქართული ტერმინი. მაგალითად,

„...სხეული, რომელიც ჯერ ერთი სახის მოდალობებით წარმომიდგებოდა, ამჟამად კი სხვა თვისებებით (მოდალობებით) წარმომიჩნდა“ (დეკარტი 2001: 121).

ამგვარად, ნიმუშად მოხმობილი წინადადებები ნათელი დასტურია იმისა, რომ ფილოსოფიურ ცნებათა ტერმინების თარგმნა შესამჩნევად გასხვავდება, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი სიტყვათა თარგმანისაგან. იდეალურად მიჩნეულია ისეთი ტერმინი, რომელიც შინაარსით გამჭვირვალეა და მისი შესაბამისი ცნების მნიშვნელობის ადეკვატურად ამოკითხვის საშუალებას უზრუნველყოფს.

უცხოურ სიტყვასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია სიტყვის აკუსტიკური უღერადობაც, მისი ფონეტიკური მხარე, რომელსაც ყოველი ენა თავის ფონეტიკურ კანონზომიერებას უმორჩილებს ანუ მასზეც ვრცელდება ენაში მოქმედი ფონეტიკური ნორმები. „ახალ სიტყვას ისევე ეპყრობა ენა, როგორც საკუთარს და ამის შედეგია მისი ფონეტიკური გარსის მოდიფიკაცია [...] თითოეულ ენაში

თავისებურია წესი უცხოური სიტყვის ფონეტიკური სახეცვალებებისა, შეფარდებული მთლიანად და სავსებით ამ ენის ფონეტიკური სისტემის სპეციფიკასთან“ (ძიბიგური 1982: 47).

ქართულ სალიტერატურო ენაში თავდაპირველად არასწორი ფონეტიკური ფორმით დამკვიდრებული მრავალი სიტყვა – (მაგალითად, „გ“-ს შემცველი საერთაშორისო სიტყვები: გრამატიკა (დრამატიკა), კატეგორია (კატილორია), ლოგიკა (ლოლიკა); ს. დოდაშვილის ნაშრომი თავდაპირველად სწორედ „ლოლიკად“ იწოდებოდა, ხოლო ივ. მაჩაბლის თარგმანებში „ტრაგედიის“ ნაცვლად გვხვდება „ტრადედია“) – მოგვიანებით ენაში მოქმედ ფონეტიკურ კანონზომიერებას დაემორჩილა. იგივე ითქმის რუსულის მეშვეობით შემოსულ ბევრ საერთაშორისო სიტყვაზეც; ის საერთაშორისო სიტყვები, რომლებიც წყარო ენაში „ჰ“-თია წარმოდგენილი, ქართულშიც „ჰ“-თი უნდა გადმოვიდეს, ხოლო ლათინურის გავლენით სიტყვა არა “ჰ“-იანი, არამედ “ფ“-იანი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, თარგმანში სიტყვა **la perception** არასწორი ფონეტიკური ფორმითაა წარმოდგენილი

...„რომლებიდანაც მომდინარეობენ ეს ნაირ-ნაირი პერცეპციები“ (დეკარტი 1955: 90).

„გრძნობათა ამ ნაირ-ნაირი პერცეპციებისაგან“ (დეკარტი 1955: 90).

არასწორია სიტყვების – **passif** (პასიური) და **actif** (აქტიური) „ე“-იანი ფორმა. მაგალითად,

„მაქვს რაღაც პასიური უნარი შეგრძნებისა“ (დეკარტი 1955: 86).

...„მაგრამ ეს აქტიური უნარი არ შეიძლება მოიპოვებოდეს ჩემში“ (დეკარტი 1955: 87).

ასევე არასწორი ფორმითაა წარმოდგენილი: სიტყვა **l'indifférence** (ინდიფერენტულობა, და არა ინდიფერენტობა).

... „ასე რომ ის ინდიფერენტობა“ (დეკარტი 1955: 59).

სიტყვა **en puissance** (პოტენციურად, და არა პოტენციალურად).

... „იყოს ჩემში როგორმე პოტენციალურად მოცემული“ (დეკარტი 1955: 43).

...„რომელშიაც არაფერი არ არის, მხოლოდ პოტენციალურად“ (დეკარტი 1955: 84).

ქართულად სიტყვის – **formel** სწორი ფორმაა „ფორმალური“ და არა „გაფორმებული“, როგორც ეს თარგმნილ ტექსტშია.

...„ან გაფორმებული სინამდვილიდან არაფერი არ გადასცეს ჩემს იდეას“ (დეკარტი 1955: 36).

„რომ მხოლოდ მსჯელობაში შეიძლება იყოს ნამდვილი და გაფორმებული სიყალბე“ (დეკარტი 1955: 39).

„რომელიც ჩვენ გვაქვს ამ უნართა შესახებ ან თავის გაფორმებულ კონცეპტში“ (დეკარტი 1955: 86).

თარგმანში ასევე არასწორი ფორმითაა წარმოდგენილი ზმნიზება **formellement**.

„რომელსაც აქვს გაფორმებულად ან ემინენტურად ყველაფერი“ (დეკარტი 1955: 35).

„რომ ეს სინამდვილე ან სისრულე არ არის ჩემში არც გაფორმებულად არც ემინენტურად“ (დეკარტი 1955: 37).

„თუ მე მას განვიხილავ გაფორმებულად და ზუსტად თავისთავად (დეკარტი 1955: 58).

„მათი რეალობა შეცნობილი იქნებოდა მხოლოდ ემინენტურად და არა გაფორმებულად“ (დეკარტი 1955: 87).

ამგვარად, პროზაული ნაწარმოების დარად, ფილოსოფიური ტექსტის თარგმნაც იწყება ტექსტის ყოველი დამთავრებული მონაკვეთის აზრის გადმოცემით; თარგმანი, რომელიც იწყება ტერმინის, სიტყვებისა ან თუნდაც შესიტყვებების თარგმნით, განწირულია წარუმატებლობისათვის.

ორიგინალის ფილოსოფიური აზრის წვდომას (არსებითად რაც აპირობებს ტექსტის სპეციფიკას) დაბრკოლება რომ არ შეექმნას, მისი (ფილოსოფიური აზრის) გამომთქმელი სიტყვები თარგმანის ენის წიაღიდან, მისი ბუნებიდან უნდა გააზრიანდეს. თარგმანის თვალსაზრისით, იდეალურად მიჩნეულია ისეთი ტერმინი, რომელიც შინაარსით გამჭვირვალეა და მისი შესაბამისი ცნების მნიშვნელობის ამოკითხვის საშუალებას გვაძლევს. „უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ სამეცნიერო ტერმინი უბრალო სიტყვა კი არა, არამედ მოცემული მოვლენის არსის გამოხატვაა. ამიტომ აუცილებელია ტერმინოლოგიის კრისტალურ გამჭვირვალობასა და განსაზღვრულობაზე ზრუნვა, რადგანაც იგი ობიექტურ მოვლენათა არსს, თვით მეცნიერების არსს გადმოგვცემს“ (Деборин 1957: 45).

ჩვენი აზრით, აღნიშნული მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ფილოსოფიური ტექსტის თარგმნისას, რადგან „სტრატეგიის სწორი არჩევანი და რეზულტატის სრულყოფილება დამოკიდებულია [...] იმ ფუნქციურ დომინანტათა გამორჩევასა და გააზრებაზე, რომლებიც, ენათშორისი კომუნიკაციის კატეგორიულ ნიშანთა საერთოობის მიუხედავად, თარგმანის ერთ უანრულ სახეობას მაინც განასხვავებს მეორისაგან“ (საყვარელიძე 2001: 52).

სტრუქტურულად და სემანტიკურად ყველაზე განსხვავებულ ენებსაც კი მოექმნება მრავალი საერთო რამ: ითარგმნება აზრები და არა სიტყვები

თავისთავად; ეს ვითარება შესაძლებელს ხდის დედნის შინაარსის, მისი ინტელექტუალური და ემოციური მხარის მაქსიმალურად სრულად გადატანას თარგმანის ენაზე.

ფილოსოფიური ტექსტის თარგმნისას ტერმინოლოგიურ შესიტყვებებთან დაკავშირებით ლექსიკისა და გრამატიკულ ფორმათა შერჩევას უნდა ვხელმძღვანელობდეთ როგორც დედნის ჟანრობრივი თავისებურებებით, ისე თარგმანის ენაში ამ ჟანრისათვის არსებულ ნორმათა დაცვით. სათარგმნი ტექსტისადმი ასეთი მიდგომა მეტად უზრუნველყოფს თარგმანის ადეკვატურობას.

ფაქტია, თარგმანის ენის ეროვნული სტრუქტურის, როგორც ცნობიერების სამოქმედო არსენალის, უგულებელყოფა ხელს უშლის წინადადების სწორად გაგებას, მის ადეკვატურად აღქმას. თარგმანის ენაზე წინადადება ვერ გააზრიანდება, თუ მის შემადგენელ წევრთა მნიშვნელობანი არ ესადაგებიან, არ უკავშირდებიან ერთმანეთს, თუ სიტყვათა აზრობრივი ჯგუფის – სინტაგმის – წევრებად შერჩეული არაა მნიშვნელობათა შეერთების უნარმქონე სიტყვები. თქმულის უგულებელყოფით უხეშად ირღვევა აზრის ბუნებრივი მდინარება თარგმანის ენაზე და სათქმელი ბუნდოვანი ხდება.

IV თავი

გრამატიკული პრობლემატიკა ფრანგული ფილოსოფიური ტექსტის ქართულ თარგმანში

სიტყვა – გარკვეული ლექსიკურ-გრამატიკული მთლიანობა – თავის სემანტიკურ და ემოციურ დაფერილობას კონტექსტისაგან სესხულობს, მასში აღწევს თავის საბოლოო დაკონკრეტებას და მის ფონზე უნდა იქნეს განხილული, რადგან აზრის ნიუანსი გაცილებით მეტია, ვიდრე სიტყვა და გრამატიკული ფორმა. ასე რომ, მნიშვნელობისა და რეფერენციის საკითხი კვლავაც ენის ფილოსოფიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება.

ენის საშენი მასალა, ცხადია, ლექსიკაა, მაგრამ მას გრამატიკა იქვემდებარებს და წარმოგვიდგენს ისეთ რთულ კონსტრუქციულ სისტემაში, რომლის ნაწილები კანონზომიერ მიმართებაშია ერთმანეთთან. „სიტყვა როგორც სამეტყველო ერთეული, როგორც ფორმათა და მნიშვნელობათა სისტემა, ენის გრამატიკული კატეგორიების შეერთებისა და ურთიერთმოქმედების ფოკუსს წარმოადგენს [...] იგი ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა შინაგანი, კონსტრუქციული ერთიანობაა“ (Вандриес 1947: 15)

ფრეგე განასხვავებდა გამონათქვამების საზრისს მათი მნიშვნელობისაგან. ფრეგეს თანახმად, გამონათქვამის მნიშვნელობა ის არის, რაც მისით აღინიშნება. სხვადასხვა გამონათქვამებს შეიძლება ჰქონდეთ ერთი და იგივე მნიშვნელობა, მაგრამ მას სხვადასხვა სახით წარმოადგენდნენ. ფაქტობრივად, სწორედ წარმოდგენის სახეა გამონათქვამის საზრისი. მნიშვნელობასა და საზრისს შორის ფრეგეს განსხვავება დღეს საყოველთაოდ აღიარებულია: მნიშვნელობაში იგულისხმება ის, რასაც ფრეგე საზრისს უწოდებდა. დღესდღეობით ფრეგეს ტერმინის ინგლისურ შესატყვისად საყოველთაოდ აღიარებულია სიტყვა „რეფერენცია“.

1. არტიკლის რეფერენცია

ყველა ენა ფლობს საერთო კატეგორიებს (სახელი, ზმნა, ზედსართავი და ა.შ.), რომელთაგანაც აიგება წინადადება, ფრაზა. მაგრამ „რეალური მთლიანობა, რომელსაც სიტყვათა, ბგერათა და მარცვალთა წყობა ქმნის, არ ექვემდებარება წარმოდგენის ელემენტთა წმინდა, მარტივ ურთიერთობა-ზეგავლენას და თავისი

საკუთარი პრინციპები აქვს, რომლებიც სხვადასხვა ენებში ერთმანეთისაგან განსხვავდება. გრამატიკულ ელემენტთა კომპოზიციას საკუთარი კანონზომიერებები აქვს, რაც გაუმჭვირვალეა დისკურსიული მნიშვნელობის დონეზე [...] გრამატიკული კანონზომიერებები განსაზღვრავენ ენის ინდივიდუალობას. ყოველ ენას თავისი გრამატიკული სივრცე აქვს“ (ფუკო 2004: 344).

რაც უფრო განსხვავებულია ენები და კულტურათა ენობრივი ფესვი, კაცობრიობა მით უფრო გამდიდრებული და ერთიანია. ენათა ნაირგვარობა ყოველთვის „აზროვნებისა და სულის სხვადასხვაობას მოწმობს მრავალ გზით“ (ქიქოძე 1985: 157). გრამატიკაზე დაყრდნობით შეიძლება უცხო ენის სტრუქტურის ნათლად წვდომა, ტექსტის ადეკვატური გაგება და წინადადების აზრის ზუსტად გადმოცემა თარგმანის ენაზე. თუმცა, ფაქტობრივად, „ყოველი ერთი ენის გრამატიკული კატეგორიები, როგორც წესი, მსოფლმხედველობრივია“ (რამიშვილი 1995: 160). ეს გასათვალისწინებელია ნებისმიერი სახის ტექსტის, ცხადია, ფილოსოფიური ტექსტის ფრანგულიდან ქართულად თარგმნის დროსაც ანუ როდესაც თარგმნა ერთმანეთს უკავშირებს ორი ენის ისეთ ფორმებს, რომლებიც ერთმანეთს არ ემთხვევა.

ფრანგულისათვის ერთ-ერთ სპეციფიკურობათა რიგს განეკუთვნება გრამატიკული კატეგორია არტიკლი ანუ ნაწევარი ან, უკეთ რომ ვთქვათ, მთელი სისტემა იმ დამაზუსტებელი სართებისა, რომელთაც ლემერსიე „კონკრეტიზატორებს“ ან „აბსტრაჰირების მომხსნელ“ ნიშნებს უწოდებდა (Lemercier 1806: 63-65), ქართული კი არტიკლის არმქონე ენაა. არტიკლი, არსებითი სახელის დეტერმინატივი, როგორც წესი, პრეპოზიტიულია და ყოველ არსებით სახელთან მეორდება. „ჩვენ ისე ვერ გამოვხატავთ რაიმე იდეას, თუნდაც იგი მარტივ თვისებას აღნიშნავდეს, თუ იგი არ მოვაქციეთ რომელიმე სქესობრივ ჯგუფში. არ შეგვიძლია რაიმე საგანზე ლაპარაკი – იმის მიუხედავად, იგი ზოგადი სახითაა მოაზრებული, თუ არა, – თუ იგი არ განვსაზღვრეთ რომელიმე არტიკლით“ (Bréal 1896: 8).

ფრანგულსა და ქართულში არსებითი სახელის გაგება ერთნაირია; ორივე შემთხვევაში იგი აღნიშნავს საგნობრიობას და შეიძლება იყოს საზოგადო ან საკუთარი, კონკრეტული ან განყენებული. ქართულსა და ფრანგულს შორის სახელთან მიმართებით მთავარი განსხვავება ისაა, რომ, ჯერ ერთი, ქართულში გვაქვს ბრუნვის სისტემა, ფრანგული კი ბრუნების არმქონე ენაა და ბრუნვათა მიმართებები მასში გამოიხატება წინდებულების მეშვეობით. მეორე, ქართულში, ისე როგორც სხვა ენებში, არის ბიოლოგიური სქესის აღმნიშვნელი სიტყვები, მაგრამ

არ არის გრამატიკული სქესი და, ამდენად, მისი განსხვავებისათვის ფორმები არ გააჩნია; ქართული არ გრძნობს მისი აღნიშვნის მოთხოვნილებას. გრამატიკული სქესი ფრანგულში, როგორც თვითონ ფრანგები ამბობენ, „ნამდვილ ქაოსამდე მიდის“; ეს არა იმიტომ, რომ მას აკლია სტაბილურობა, არამედ იმიტომ, რომ მას აკლია ლოგიკური საფუძველი გარდა, რა თქმა უნდა, იმ სიტყვებისა, რომელთა მნიშვნელობა თვითონ მიუთითებს გრამატიკულ სქესზე. ასეთ შემთხვევაში გრამატიკული და ბიოლოგიური სქესი ერთმანეთს ემთხვევა.

ფრანგულიდან ქართულად ფილოსოფიური ტექსტის თარგმნისას (ნებისმიერი სახის ტექსტის დარად), გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფრანგულ ენაში თავისებური მეშველი სიტყვა არტიკლი გრამატიზაციის მაღალი ხარისხით ხასიათდება; ეს ვითარება სათანადოდ აისახება ფრანგულენოვან ტექსტში; კონტექსტის ღირებულება სწორედ ისაა, რომ ერთი და იმავე საგნის აღმნიშვნელი სიტყვა ერთ მთლიან ენობრივ კონიუნქტურაში, ერთ შემთხვევაში, შეიძლება „გაფორმებული“ იყოს ჯერ განუსაზღვრელი არტიკლით, შემდეგ კი განსაზღვრულით. აღნიშნული მონაცვლეობა შეპირისპირებისა და დიფერენცირების მკაფიო საშუალებას იძლევა. ამგვარად, განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა ერთ რთულ კატეგორიაში შემავალი კორელატიური მოვლენაა.

ობიექტურ სინამდვილეში საგანი ყოველთვის განსაზღვრულია, მაგრამ იგი სხვაგვარადაა წარმოდგენილი ცნობიერებაში. საგნის განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა განპირობებულია იმ მიმართებით, რომელშიაც ექცევა სუბიექტი ხსენებული საგნის მიმართ ურთიერთობის პროცესში, რაც თავისებურ ასახვას პოულობს ენაში, რომელიც ცნობიერების რეალიზაციის ფორმაა.

ის, თუ როგორ არის საგანი ასახული ცნობიერებაში – წარმოდგენილია იგი როგორც აქამდე უცნობი, ახალი ფენომენი, რომელიც არ შეადგენდა მანამდე მსჯელობის მასალას, თუ წარმოდგენილია როგორც ნაცნობი, როგორც სუბიექტის გამოცდილებაში ნამყოფი და გარკვეული რამ, რომელზედაც მიპყრობილია იმავე სუბიექტის მთავარი ყურადღება – თავის გამოხატულებას პოულობს არტიკლის დიფერენცირებულ გამოყენებაში. ამას გარდა, ერთი და იგივე საგანი, მიუხედავად იმისა, ყოფილა იგი ჩვენს განცდასა და გამოცდილებაში თუ პირველად ჩნდება მხედველობის არეში, იცვლის ჩვენთვის იერს იმის მიხედვით, თუ რამდენად იქცევა იგი ჩვენი დაკვირვების ობიექტად. საგანი, რომელიც შორეულ ფონზე ჯერ კიდევ მკრთალი სილუეტით მოჩანს და გაურკვეველია, შეიძლება გაირკვეს ან უკვე ნაცნობი და გარკვეული აღმოჩნდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად გადმოიღის იგი

პერიფერიიდან ყურადღების ცენტრში და იქცევა დაკვირვების მთავარ და თვალსაჩინო ობიექტად.

ა. შანიძის აზრით, „ეს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა აჩენს კატეგორიას, რომელსაც არ იცნობდა და არც სახელი აქვს ჯერ-ჯერობით გრამატიკაში, თუმცა ამ კატეგორიის ქვე-სახეები – განსაზღვრული და განუსაზღვრელი სახე სახელისა – კარგადაა ცნობილი იმ ენებში, რომლებსაც ნაწევარი გააჩნიათ“ (შანიძე 1953: 642).

ძველ ქართულში, ისე როგორც ძველ ფრანგულში, განსაზღვრული ნაწევარი ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს (ფრანგული მომდინარეობს ფორმიდან ille – homo ille – კაცი იგი); ასე რომ, სიტყვები „ესე“, „ეგე“, „იგი“, ისე როგორც ფრანგული le, la, les, შეიძლება, კონიუნქტურის მიხედვით, იყოს ნაცვალსახელი ან ნაწევარი. ძველ ქართულში განსაზღვრულობის ელფერი ახლავს სახელს, თუ იგი პირველადაა ნახსენები ტექსტში, ამის შემდეგ კი იგი განსაზღვრული ხდება. ამ მხრივ ძველ ქართულსა და ფრანგულს შორის მსგავსებაა. რაც შეეხება ახალი ქართულს, მასში, ა. შანიძის განმარტებით, ნაწევარი „არსებითად აღარ იხმარება, იგი გადავარდა სალიტერატურო ენიდან და მხოლოდ გადმონაშთის სახით გვხვდება XIX საუკუნის ზოგიერთ მწერალთან“ (შანიძე 1953: 648).

ქართული ენის გრამატიკული სისტემა ფრანგული არტიკლის ფუნქციათა გრამატიკული კატეგორიითვე გამოხატვის საშუალებას არ იძლევა; თუმცა ენათა გრამატიკულ სისტემათა სხვაობა არ გახლავთ დაუძლეველი ბარიერი აზრობრივი ეკვივალენტობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული ვითარების წარმატებით დასაძლევად და თარგმანის ენაზე სათანადო ეკვივალენტების მოსაძიებლად, მთარგმნელს დიდ დახმარებას უწევს დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპით ხელმძღვანელობა; „ეკვივალენტურობა თარგმანში გააზრებულია უმეტესად როგორც ენობრივ ნიშანთა რეფერენციალური შესაბამისობა“ (საყვარელიძე 2001: 74). თარგმანის ენაზე შინაარსის საკუთარი რესურსებით, ლიტერატურული ნორმებისა და ტრადიციის შესაბამისად გადმოსაცემად, ეკვივალენტურობა (მით უფრო არამონათესავე ენებში) ენობრივი ნიშნიდან უმაღლ ტექსტის დონეზე ინაცვლებს და რეფერენციალურ დონეზე მიიღწევა; გამოხატვის ფორმათა ბუნებრივობით „ორიგინალის აზრობრივი შინაარსი ისეთნაირადაა გამეორებული მიმღები ენის ფორმებში, რომ თარგმანის ადრესატის რეაქცია ადეკვატურია საწყისი ტექსტის ადრესატის რეაქციისა“ (საყვარელიძე 2001: 202)

უმეტესწილად არტიკლი უყურადღებოდ რჩება ქართულ თარგმანში. მაგრამ თუ ფრანგული ენის ერთიან ფუნქციონალურ სისტემაში არტიკლის ფორმებით წარმოჩინდება სემანტიკური ოპოზიციები: განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა, ერთადერთობა/სიმრავლე, გლობალურობა/პარტიტულობა, თვლადობა/უთვლადობა, ანუ როდესაც არტიკლის სემანტიკური ღირებულება „კულტურულ-ენობრივი მიდგომის ნაირგვარ ფორმათა არსებობას გვამცნობს და ამდენადვე – ადამიანური ინტელექტის შესაძლებლობების დიაპაზონს“ (რამიშვილი 1995: 175,157], ეს სათანადოდ უნდა აისახოს თარგმანის ენაზეც, რაც წარმოქმნის პრაგმატულ-ფუნქციონალური ტრანსფორმაციის საჭიროებას. როგორ და რა გზით შეუძლია ქართულ ენას გამოხატოს ფრანგული არტიკლის ესა თუ ის სემანტიკური ნიუანსი? ჩვენი აზრით, ქართული ენა საკმაოდ უხვად ფლობს არტიკლის სემანტიკურ ღირებულებათა ტრანსპოზიციის ლექსიკურ საშუალებებს; მაგალითად,

„Enfin quand une de ces associations est si grande qu’elle l’emportesur toutes les autres, vous n’avez plus pour resultat une somme de petites différences, mais une différence unique“ (Rousseau 1996: 43).

„დაბოლოს თუ ერთ-ერთი ამ ასოციატაგანი იმდენად დიდია, რომ ყველას აღემატება, მაშინ შედეგად გვექნება არა უმნიშვნელო სხვაობათა შეჯამებები, არამედ ერთადერთი სხვაობა“ (რუსო 1997: 32].

მაგალითად მოტანილ ფრაზაში განუსაზღვრელი არტიკლი une სამჯერ გვხვდება. ქართული თარგმანი ორ მათგანს უყურადღებოდ ტოვებს, რადგან ლექსიკური საშუალებებით ასახავს ორიგინალის აზრს. მაგრამ პირველი წინადადების განუსაზღვრელი არტიკლი une ქართულად თარგმნილია განუსაზღვრელი ნაცვალსახელით – „ერთ-ერთი“, რომელიც ზუსტად ასახავს ორიგინალის აზრობრივ ნიუანსს. მაგრამ თუ ორიგინალის ტექსტში ლოგიკური მახვილის გასაძლიერებლად განუსაზღვრელი არტიკლის ფორმით un/une ხაზგასმულია რაოდენობა, ეს ნიუანსი ქართულ თარგმანშიც უნდა აისახოს. არტიკლით გამოხატული სათანადო აზრობრივი ნიუანსის გადმოსაცემად, ჩვეულებრივ, გამოიყენება რაოდენობითი რიცხვითი სახელი – „ერთი“. მაგალითად,

1.Archimède, pour tirer le globe terrestre de sa place, ne demandait rien qu’un point qui fût ferme et immobile (Descartes 1990: 114).

„არქიმედე ადგილიდან დედამიწის სფეროს დასაძრავად მხოლოდ ერთ მყარ და უძრავ წერტილს ითხოვდა“ (დეკარტი 2001: 129).

2. Je terminerai ce chapitre et ce livre par une remarque (Rousseau 1996: 34).

„წინამდებარე თავსა და წიგნს ერთი შენიშვნით დავასრულებ“ (რუსო 1997: 27)

ქართულ თარგმანში განუსაზღვრელი არტიკლის ფორმებით /un, une, des/ გამოხატული სემანტიკურ-სტილისტური ნიუანსების გადმოცემის მრავალი საშუალება არსებობს. მათი არჩევანი დამოკიდებულია არა ფრანგული ენის გრამატიკულ სტრუქტურაზე, არამედ მხოლოდ კონტექსტზე და ქართული ტექსტისათვის შესაბამისი სტილისტურ/სემანტიკური გამართულობის ინტერესის დაცვაზე. ასეთ შემთხვევაში ქართულს, როგორც არტიკლის არმქონე ენას, რაიმე თვისებების ხაზგასასმელად, ასე ვთქვათ, მის გასაძლიერებლად, მრავალი საშუალება გააჩნია; მაგალითად, ნაცვალსახელი „ისეთი“.

”Je connus de là que j’étais une substance dont toute l’essence ou la nature n’est que de penser ” (Descartes 1990: 52).

„აქედან დავასკეენი, რომ მე ვარ ისეთი სუბსტანცია, რომლის მთელი არსება ანუ ბუნება მხოლოდ აზროვნებაა“ (დეკარტი 2001: 48).

”Trouver une forme d’association qui défende et protège de toute

la force commune la personne et les biens de chaque associé” (Rousseau 1996: 28).

„გამოინახოს ასოციაციის ისეთი ფორმა, რომელიც ერთიანი ძალით დაიცავს და უზრუნველყოფს მისი ყოველი წევრის პიროვნებას და ქონებას“ (რუსო 1997: 20).

ფრანგული არტიკლით გამოხატული განუსაზღვრელობის სემანტიკური და ემოციური შეფერილობის გადმოსაცემად თარგმნისას შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ლექსიკური საშუალება; მაგალითად: „ოდესმე“, „ცალკე“, „ერთგვარი“, „რადაც“, „რომელიმე“, „ნებისმიერი“, „ოდესმე“, „იმ“, და ა.შ.

1. En effet, sitôt qu’il s’agit d’un fait ou d’un droit particulier (Rousseau 1996: 45).

„მართლაც, როგორც კი საქმე რაიმე კერძო ფაქტს ან კერძო უფლებას შეეხება“ (რუსო 1997: 34).

2. C’est un procès où les particuliers intéressés sont une de parties et le public l’autre (Rousseau 1996: 45).

„ესაა ერთგვარი პროცესი, რომლის ერთი მხარე დაინტერესებული კერძო პირები არიან, ხოლო მეორე მხარე – საზოგადოება“ (რუსო 1997 34).

3. C’est une forme provisionnelle qu’il donne à l’administration, jusqu’à ce qu’il lui plaise d’en ordonner autrement (Rousseau 1996: 112).

„ეს არის რადაც დროებითი ფორმა, რასაც იგი ანიჭებს მმართველობას მანამ, ვიდრე მის სხვაგვარად მოწყობას მოისურვებს“ (რუსო 1997: 99).

4. **Un homme de mauvaises mœurs ayant ouvert un bon avis dans le conseil de Sparte, les éphores sans en tenir compte firent proposer le même avis par un citoyen vertueux (Rousseau 1996: 140).**

„როდესაც სპარტის საბჭოში რომელიმე უხნეო პიროვნება რაიმე ბრძნულ აზრს გამოთქვამდა, ეფორები, მას თითქოს ყურადღებას არც აქცევდნენ, იმავე აზრს ქველ მოქალაქეს გამოათქმევინებდნენ ხოლმე“ (რუსო 1997: 124).

5. **Partout où le clergé fait un corps il est maître et législateur dans sa partie (Rousseau 1996: 144).**

„ყველგან, სადაც კი სამღვდელოება ცალკე კორპუსის სახით წარმოგვიდგება, თავის კორპორაციაში გამგებელიცაა და კანონმდებელიც“ (რუსო 1997: 128).

6. **Il y a deux voies générales par lesquelles un gouvernement dégénère (Rousseau 1996: 98).**

„არსებობს ორი ზოგადი გზა, რომელიც ნებისმიერი მმართველობის გადაგვარებას იწვევს“ (რუსო 1997: 85).

7. **J'ai quelque pressentiment qu'un jour cette petite île étonnera l'Europe (Rousseau 1996: 63).**

„ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ ოდესმე ეს პატარა კუნძული ევროპას გააოცებს“ (რუსო 1997: 53).

8. **Archimède assi tranquillement sur le rivage et tirant sans peine à flot un grand vaisseau me représente un monarque habile gouvernant de son cabinet ses vastes Etats (Rousseau 1996: 85).**

„მდინარის პირას მშვიდად მჯდომი არქიმედე, ძალზე იოლად რომ უშვებდა წყალში დიდ გემს, იმ გაწაფულ მონარქად მესახება, რომელიც საკუთარი სამუშაო ოთახიდან განაგებს თავის ვრცელ სამფლობელოებს“ (რუსო 1997: 72).

კონტექსტისა და თხრობის ემოციური ტონის გათვალისწინებით უნდა გამოინახოს ლექსიკური საშუალება იმ ნიუანსის გადმოსაცემადაც, რომელიც ფრანგულში საკუთარ სახელთან განუსაზღვრელი არტიკლის ხმარებითაა გამოხატული. ასეთ შემთხვევაში არტიკლი საკუთარ სახელს განზოგადებულ მნიშვნელობას ანიჭებს და აღიქვამს როგორც ზოგად, ტიპურ წარმომადგენელს ანუ პირის განუსაზღვრელი არტიკლით აღნიშვნით ხდება მის მთავარ თვისებათა ხაზგასმა და ერთგვარი განზოგადება.

1. **”Mais si malheureusement il s’y trouve un seul ambitieux, un seul hypocrite, un Catilina, par exemple, un Cromwell, celui-là très certainement aura bon marché de ses pieux compatriots” (Rousseau 1996: 147)**

„მაგრამ თუ ამ საზოგადოებაში, საუბედუროდ, მაგალითად, კატილინას ან კრომველის მსგავსი თუნდაც ერთი პატივმოყვარე, თუნდაც ერთი პირმოთნე აღმოჩნდება, მაშინ ასეთ ადამიანს ძალზე გაუიოლდება თავის ღვთისმოსავ თანამემამულეებს გაუსწორდეს“ (რუსო 1997: 131).

განუსაზღვრელი არტიკლის მრავლობითი რიცხვის ფორმა **des** სემანტიკურად დაკავშირებულია სიმრავლის ცნებასთან იმ მხრივ, რომ აღნიშნავს რაღაც

განუსაზღვრელ რაოდენობას და ქართულად სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმით გადმოიცემა; ზოგჯერ, შესაძლოა რაიმე სხვა მეშველი სიტყვაც ახლდეს. მაგალითად,

On doit juger sur le même principe des siècles qui meritent la préférence pour la prospérité du genre humain (Rousseau 1996: 97)

„ამავე პრინციპით უნდა ვიმსჯელოთ იმ საუკუნეებზე, ადამიანთა მოდგმის კეთილდღეობის თვალსაზრისით ხოტბას რომ იმსახურებენ“ (რუსო 1997: 84)

მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართულ თარგმანში სიმრავლის გამოსახატავად უმჯობესია (სათარგმნი სიტყვის მნიშვნელობის შესაბამისად) ლექსიკური საშუალების მოძიება. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოხმობილი იქნეს ის შემთხვევები, როდესაც ბუნებაში არსებული ერთადერთი საგნები – მზე, მთვარე, მიწა, ცა და ა.შ. (ჩვეულებრივ განსაზღვრული არტიკლის მხოლოდობით რიცხვის ფორმით რომ იხმარება) მრავლობით რიცხვში, არტიკლის შესაბამისი ფორმით გვხვდება. მაგალითად, დეკარტის თხზულებაში „მსჯელობა მეთოდის შესახებ“ სამყაროზე მსჯელობისას არსებითი სახელი le ciel /ცა/ რამდენჯერმე გვხვდება მრავლობით რიცხვში არტიკლით des /des cieux/.

1. Il me semble que par là j' ai trouvé des cieux (Descartes 1922 : 85).

„ვფიქრობ, ასე აღმოვაჩინე ცის შრეები“ (დეკარტი 2001: 74).

კონტექსტიდან გამომდინარე, მოხმობილ მაგალითში ლექსიკური საშუალების დახმარებით მრავლობითი ფორმის დიფერენცირებულად გადმოტანა, ქართული ტექსტისათვის შესაბამისი სემანტიკურ-სტილისტური გამართულობის ინტერესითაა ნაკარნახევი. თუმცა სხვა შემთხვევაში ყველასათვის ცნობილი და უბადლო ერთეულის სახით წარმოდგენილი საგანი le ciel /ცა/ მრავლობითი ფორმით სრულიად ბუნებრივია ქართულისათვის (მაგალითად, მამაო ჩვენო რომელი ხარ ცათა შინა).

საილუსტრაციოდ მოხმობილი მაგალითები ცხადყოფს, რომ აზრობრივი ნიუანსის გადმოსაცემი შესაძლებლობა, რასაც ფრანგულში განუსაზღვრელი არტიკლის გამოყენება განაპირობებს, ქართულს სრულიად თავისუფლად ძალუძს სხვადასხვა ლექსიკური საშუალებით. ყოველი ასეთი ნიუანსი სათანადოდ უნდა

ასახოს ქართულ თარგმანშიც; დეკარტის „მეტაფიზიკური მედიტაციები“-ს თარგმანში, ხშირ შემთხვევაში, არტიკლით მკაფიოდ გამოხატული აზრობრივი და ემოციური ნიუანსები ან საერთოდ უგულებელყოფილი და გამოტოვებულია, ან არაადეკვატური ლექსიკური ფორმითაა წარმოდგენილი. მაგალითად,

Mais il y avait encore une autre chose ... (Descartes 1990: 145).

„მაგრამ იყო ერთი სხვა ვითარებაც“... (დეკარტი 2001: 126).

და არა როგორც ეს თარგმანშია:

„მაგრამ იყო კიდევ რამაც სხვა“... (დეკარტი 1955: 27).

ანდა,

J'ai dans mon esprit une certaine opinion qu'il y a un Dieu qui peut tout (Descartes 1990: 125)

„მაგრამ დიდი ხანია, რაც ჩემს გონებაში მაქვს ერთი რამაც შეხედულება, რომ არსებობს ღმერთი, რომელსაც ყველაფერი შეუძლია“ (დეკარტი 1955: 5).

ლოგიკური მახვილით ხაზგასმული განუსაზღვრელი არტიკლის ნიუანსი ორივე შემთხვევაში რომ იყოს წარმოდგენილი, უმჯობესია ითარგმნოს ასე:

„მაგრამ მაინც ჩემს გონებაში დიდი ხანია აღბეჭდილია შემდეგი უტყუარი აზრი: არის ერთი მხოლოდ ერთი ღმერთი, რომელსაც ყველაფერი ძალუძს“ (დეკარტი 2001: 110).

განუსაზღვრელი არტიკლის /un, une./ ფორმით გამოხატული სემანტიკურ-სტილისტური ნიუანსების გადმოსაცემად ქართულს მრავალი საშუალება აქვს. მათ არჩევანს მხოლოდ კონტექსტი და ქართული ტექსტისათვის შესაბამისი სტილისტური და სემანტიკური გამართულობის ინტერესის დაცვა განაპირობებს. სათანადო აზრობრივი ნიუანსის გადმოსაცემად ლექსიკურ საშუალებებს მთარგმნელი ქართული ენის ლიტერატურული ნორმებისა და ტრადიციის შესაბამისად უნდა ირჩევდეს. მაგალითად,

1... j'ai attendu que j'eusse atteint un âge qui fût si mûr... (Descartes 1990: 120).

„...მე დავუცადე იმ ასაკის მიღწევას, რომელიც საკმაოდ მომწიფებული იქნებოდა...“ (დეკარტი 1955: 1).

თარგმანის ჩვენი ვერსიაა:

„...ამის გამო ველოდი მოწიფულობის გარკვეულ ასაკს...“ (დეკარტი 2001: 107).

2...qui peut être compris en quelque lieu et remplir un espace (Descartes 1990: 132)

„...რომელიც შეიძლება მოთავსებული იყოს რომელსამე ადგილში და ისე ავსებდეს სივრცის ნაწილს...“ (დეკარტი 1955: 13).

იგივე, ვფიქრობთ, უმჯობესია ითარგმნოს ასე:
...(სხეული) შეიძლება მდებარეობდეს რომელიმე ადგილას და ავსებდეს გარკვეულ სივრცეს“ (დეკარტი 2001: 116).

3 J'avais été porté à les croire par des raisons que j'ai reconnues depuis être moins fortes (Descartes 1990: 195)

„მე ისინი სხეული საბუთების გამო მწამდა, რომლებიც შემდეგ ჩემთვის უფრო ნაკლებ სანდოდ აღმოჩენილან“ (დეკარტი 1955: 75).

თარგმანის ჩვენი ვერსიაა:

„აღბათ, დავიჯერე გარკვეული საბუთების საფუძველზე, შემდეგში კი აღმოვაჩინე, რომ მათ არ გააჩნდათ იმდენი სიმტკიცის ძალა“ (დეკარტი 2001: 135).

მოხმობილ მაგალითებში, ვფიქრობთ, ზედსართავი სახელი „გარკვეული“ უფრო ზუსტად გადმოსცემს განუსაზღვრელი არტიკლით გადმოცემულ სემანტიკურ და სტილისტურ ნიუანსს, ვიდრე ნაცვალსახელი „იმ“ თუ „ისეთი“, ანდა არსებითი სახელი „ნაწილი“. ზოგჯერ კი, პირიქით: ნაცვალსახელი „ისეთი“ სხვა ლექსიკურ საშუალებაზე უფრო ადეკვატურად გადმოსცემს განუსაზღვრელი არტიკლით გადმოცემულ აზრობრივ ნიუანსს; მაგალითად,

...elle n'est pas produite par une chose... (Descartes 1990: 153).

... „იგი არ არის წარმოშობილი ამა თუ იმ საგნით“... (დეკარტი 1955: 35].

იმავე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„თუ იგი არ წარმოიქმნა სხეული ნივთიდან“... (დეკარტი 2001: 131).

ის რაც ერთადერთია, ჩვეულებრივ, განსაზღვრული არტიკლის მსოფლობითი ფორმით აღინიშნება; მაგრამ თუ ასეთი სახელი განუსაზღვრელი არტიკლის მსოფლობითი ფორმითაა წარმოდგენილი, მაშინ ავტორის მიერ სწორედ ეს „ერთადერთობა“ ხაზგასმული, რაც სასურველია თარგმანშიც აისახოს. მაგალითად,

...posé qu'il y en ait un (Dieu) maintenant qui existe... (Descartes 1990: 192).

...და თუ დაშვებულია, რომ ამჟამად არსებობს ერთი ასეთი ღმერთი“... (დეკარტი 1955: 72].

თარგმანის ჩვენი ვერსიაა:

„რაკი ერთხელ ვირწმუნე, რომ არსებობს ერთადერთი ღმერთი“... (დეკარტი 2001: 160).

განუსაზღვრელი არტიკლის აზრობრივი ნიუანსი და თარგმანის ენაზე მისი რეფერენციის მიზნით შერჩეული ლექსიკური საშუალების ნიუანსი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

...**il ne se trouvait présent à l'organe d'un de mes sens...** (Descartes 1990: 202).

...თუ ეს უკანასკნელი (საგანი) არ იდგა *ერთ-ერთი* ჩემი გრძნობის ორგანოს წინაშე“... (დეკარტი 1955: 81).

ჩვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ერთ-ერთზე“ მეტად „რომელიმე“ უფრო ზუსტად ასახავს არტიკლით გადმოცემულ აზრს. ასე მაგალითად,

...არ შემდეგლო მეგრძნო საგანი, თუ იგი არ იყო *რომელიმე* ჩემი გრძნობის წინაშე“ (დეკარტი 2001: 167).

განუსაზღვრელი არტიკლის მრავლობითი რიცხვის ფორმა *des* სემანტიკურად დაკავშირებულია სიმრავლის ცნებასთან იმ მხრივ, რომ აღნიშნავს რაღაც განუსაზღვრელ რაოდენობას და ქართულად სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმით გადმოიცემა.

1. Il y aura, peut être ici *des* personnes qui aimeraient mieux nier l'existence d'un Dieu si puissant que de croire que toutes les autres choses sont incertaines (Descartes 1990: 125).

„შეიძლება აქ *ისეთი* პირებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც უმალ ამჯობინებდნენ *ასეთი* ძლიერი ღმერთის არსებობის უარყოფას, ვიდრე იმის დაჯერებას, რომ ყველა დანარჩენი საგანი არაა სარწმუნო“ (დეკარტი 1955: 6).

ამ შემთხვევაში არტიკლით გამოხატული ნიუანსი და არსებითი სახელი მხოლოდ ნაცვალსახელის მრავლობითი ფორმითაც შეიძლება გადმოცეთ; მაგალითად,

„ცხადია, იქნებიან *ისეთებიც*, რომლებიც ამჯობინებენ *ერთადერთი* ყოვლისშემძლე ღმერთის უარყოფას, ვიდრე ყველა სხვა ნივთის მიჩნევას საეჭვოდ“ (დეკარტი 2001: 111).

2...ces façons de penser que j'appelle sentiments et imaginations, en tant seulement qu'elles sont *des* modes de penser, résident et se rencontrent en moi... (Descartes 1990: 144).

...„აზროვნების ეს ფორმები, რომლებსაც მე სახელად გრძნობებსა და წარმოსახვებს ვუწოდებ, უეჭველად იმყოფებიან და მოიპოვებიან ჩემში, რამდენადაც ისინი აზროვნების ფორმებია“ (დეკარტი 1955: 126).

ჩვენი აზრით, იგივე წინადადების თარგმანი აზრობრივად, სტილისტურად და ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც უფრო ცხადი და ბუნებრივია ქართულად მეტყველი ადამიანისათვის შემდეგი სახით:

...„აზროვნების ეს მოღალბები – ჩემი სახელდებით შეგრძნებები და წარმოდგენები, რაკი ისინი მხოლოდ აზროვნების *გარკვეული* მოღუსებია, არიან ჩემში“ (დეკარტი 2001: 125).

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არტიკლის რეფერენციის მიზნით, ქართულ თარგმანში სიმრავლის გამოსახატავად უმჯობესია ლექსიკური საშუალების მოძიება (რის საილუსტრაციოდაც ზემოთ მოხმობილი გვქონდა არსებითი სახელის – des cieux /ცა/ – მაგალითი).

ჩვენი აზრით, განუსაზღვრელი არტიკლით გამოხატული ამა თუ იმ არსებითი ნიუანსის იგნორირება თარგმანს „ვენებს“; თქმულის დასტურად მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

1...si je considère le corps de l'homme comme étant une machine... (Descartes 1990: 215).

...„სწორედ ამნაირად მე შემიძლია შევხედო ადამიანის სხეულს ისე, თითქოს იგი იყოს მანქანა“ (დეკარტი 1955: 93).

ვფიქრობთ, ბევრად უფრო ადეკვატურია იმავე წინადადების ასეთი თარგმანი:

...„მე ასევე განვიხილავ ადამიანის სხეულს, როგორც ერთგვარ მანქანას“... (დეკარტი 2001: 177).

2..contempler la figure ou l'image d'une chose corporelle... (Descartes 1990: 135).

...„ნივთიერი საგნის ფიგურის ან სახის ცქერა“... (დეკარტი 1955: 16).

იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

...„თუ არა რაიმე სხეულებრივი ნივთის ფორმის ან სახის ჭკვრეტა“... (დეკარტი 2001: 138).

3...mais seulement un corps qui... (Descartes 1990: 139).

...„არამედ ის იყო მხოლოდ სხეული“... (დეკარტი 1955: 20).

ამ კონკრეტულ წინადადებაში, ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ უყურადღებოდ არ დაგვეტოვა განუსაზღვრელი არტიკლით გადმოცემული ნიუანსი;

...„არამედ (იყო) მხოლოდ ისეთი სხეული“... (დეკარტი 2001: 121).

ასევე შემდეგ შემთხვევებში:

4...afin qu' une idée contienne une telle réalité objective plutôt... (Descartes 1990: 154).

...„რათა იდეა შეიცავდეს ობიექტურ რეალობას უფრო მეტად“... (დეკარტი 1955: 36).

იმავე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსიაა:

...„იმისათვის, რომ ასეთი იდეა შეიცავდეს უმაღლ ამა თუ იმ ობიექტურ რეალობას“ (დეკარტი 2001: 132).

5..que je suis comme un milieu entre Dieu et le néant... (Descartes 1990: 173).

...„რომ მე ვარ თითქოს შუა ადგილი ღმერთსა და არარაობას შორის“... (დეკარტი 1955: 44).

აღნიშნულ თარგმანს ჩვენ ვამჯობინეთ შემდეგი სახის თარგმანი:

...„რომ მე ვარ რადაც შუალედური ღმერთსა და არარაობას შორის“... (დეკარტი 2001: 145).

6...s'est ici qu'il y a un sophisme caché... (Descartes 1990: 190).

...„სწორედ აქ არის სოფიზმი, რომელიც დამალულია“... (დეკარტი 1955: 70).

ვფიქრობთ, სტილისტურად და აზრობრივად უფრო ზუსტია შემდეგი თარგმანი:

„სწორედ აქ იმალება *ერთგვარი* სოფიზმი“... (დეკარტი 2001: 158).

ამგვარად, ფრანგულ ენაში განუსაზღვრელი არტიკლით გადმოიცემა იმ მრავალფეროვან აზრობრივ ნიუანსთა პალიტრა, რომელსაც მოიცავს განუსაზღვრელი სახე სახელისა როგორც კატეგორია. განუსაზღვრელი არტიკლის ხმარებაში ბევრად მეტი ნიუანსია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამა თუ იმ კონკრეტული კონტექსტის საფუძველზე მათი დიფერენცირებულად გადმოტანა თარგმანში, ქართული ტექსტისათვის შესაბამისი სემანტიკური და სტილისტური გამართულობის ინტერესით უნდა იყოს ნაკარნახევი.

რაც შეეხება განსაზღვრულ არტიკლს, იგი იხმარება ისეთ სიტყვასთან, რომელიც მთელი თავისი ცნებითი მოცულობითაა აღებული და ვრცელდება მთელს გვარეობითს ცნებაზე; ასეთ შემთხვევაში არტიკლით გამოხატული ზოგადობის ნიუანსი აზრობრივად ნათლად იგულისხმება და ქართული თარგმანი დამატებით საშუალებას არ საჭიროებს. მაგალითად,

L’homme est né libre et partout il est dans les fers (Rousseau 1996: 19).

„თავისუფალ არსებად შობილ ადამიანს, ყველგან ბორკილი ადევს“ (რუსო 1997: 10).

განსაზღვრულობის საზგასასმელად დამატებით საშუალებებს მივმართავთ, ან არა იმის მიხედვით, თუ რამდენად გეჭირდება მისი გაძლიერება ლოგიკური მახვილით. მართალია, განსაზღვრული სახე სახელისა არ გამოირჩევა აზრობრივ ნიუანსთა ისეთი მრავალფეროვნებით, როგორც ეს განუსაზღვრელი სახის სახელის შემთხვევაში გვაქვს, მაგრამ არც უამისობაა. კონტექსტის საფუძველზე განსაზღვრული არტიკლის ხმარებისას ესა თუ ის ნიუანსიც დიფერენცირდება და ქართულ თარგმანშიც აზრობრივად შესატყვისი ელემენტით უნდა გადმოიცეს. ასეთ საშუალებად ქართულში შეიძლება გამოყენებულ იყოს: „ეს“, „ის“, „ისეთი“, „ასეთი“, „იმ“, „ყველა“ და ა.შ. მაგალითად,

1. C’est là le vice inhérent et inévitable qui dès la naissance du corps politique tend sans relâche à le détruire (Rousseau 1996: 98).

„სწორედ ეს გახლავთ გარდუვალი და თანდაყოლილი ნაკლი, პოლიტიკური კორპუსის შექმნისთანავე მისი დანგრევისაკენ რომ ისწრაფვის“ (რუსო 1997: 85)

2. De l’existant au possible la conséquence me paraît bonne (Rousseau 1996: 103)

„არსებულიდან – შესძლებლობისაკენ ასეთი თანმიმდევრობა მე კარგი მგონია“ (რუსო 1997: 90).

3. On ne peut offenser un des membres sans attaquer le corps; encore moins offenser le corps sans que les membres s'en ressentent (Rousseau 1996: 31).

„შეუძლებელია ერთ–ერთი მისი წევრი ისე შეურაცხყოთ, რომ ამით მთელ კორპუსს არ მიაყენონ შეურაცხყოფა; მით უფრო შეუძლებელია, რომ მთელი შეურაცხყოთ და ამ დროს მისმა ყველა წევრმა თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს“ (რუსო 1997: 23).

როდესაც განსაზღვრული არტიკლით გამოხატულ არსებით სახელს განსაზღვრებად დამატებითი წინადადება მოიცავს, მას ჩვენებითი აზრის ელფერი აქვს და ქართულ თარგმანში, ჩვეულებრივ, ნაცვლასახელი „იმ“ -ით გადმოიცემა.

1. Il est naturel que les princes donnent toujours la préférence à la maxime qui leur est le plus immédiatement util (Rousseau 1996: 86).

„ბუნებრივია, რომ ხელმწიფეები უპირატესობას ყოველთვის ანიჭებენ იმ მაქსიმას, რომელიც ყველაზე უფრო ხელსაყრელია პირადად მათთვის“ (რუსო 1997: 73).

2. Je suppose les hommes parvenus à ce point où les obstacles qui nuisent à leur conservation dans l'état de nature l'important par leur résistance sur les forces que chaque individu peut employer pour se maintenir dans cet état (Rousseau 1996: 28).

„მე ვგულისხმობ ადამიანების განვითარების ისეთ საფეხურს, როდესაც წინააღმდეგობები, რომლებიც ხელის უშლიან მათი არსებობის შენარჩუნებას ბუნებრივ მდგომარეობაში აღემატებიან იმ ძალებს თითოეულს რომ შეუძლია გამოავლინოს არსებობის შესანარჩუნებლად ამგვარ მდგომარეობაში“ (რუსო 1997: 20).

ეს მაგალითები რუსოს თხზულებიდან „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“, განსაზღვრული არტიკლით გამოხატული ამა თუ იმ აზრობრივი ნიუანსის გადმოსაცემად ქართულის ლექსიკურ შესაძლებლობათა დასტურად მოვიხმეთ. დეკარტის „მეტაფიზიკური მედიტაციების“ ქართულ თარგმანიდან ქვემოთ მოხმობილ ყველა მაგალითში არტიკლით გამოხატული ესა თუ ის ნიუანსი განსხვავებული ლექსიკური საშუალებითაა ასახული, თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არტიკლით გამოხატული აზრობრივად მნიშვნელოვანი (სემანტიკური თუ სტილისტური) რომელიმე ნიუანსი საერთოდ უგულებელყოფილია. ჩვენი აზრით, სასურველია ყოველი ასეთი ნიუანსი მაქსიმალურად აისახოს თარგმანის ენაზე, რადგან, ადეკვატურობის თვალსაზრისით, ეს მეტ სიზუსტეს სძენს ტექსტს. მაგალითად,

1...je juge quelque fois que les autres se trompent dans les choses qu'il pensent le mieux savoir (Descartes 1990: 125).

...მე ზოგჯერ ვამჩნევ, რომ სხვები ცდებიან ღმერთ საგნებში, რომლებიც მათივე ფიქრით მათ ძალიან კარგად იციან“ (დეკარტი 1955: 6).

ფიქრობთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნაცვალსახელი „იმ“ უფრო ადეკვატურად გადმოსცემს განსაზღვრული არტიკლით გადმოცემულ აზრობრივ ნიუანსს. მაგალითად,

...ჩემსავით ზოგჯერ სხვებიც ცდებიან ღმერთების შეფასებაში, რომლებიც ჰგონიათ, რომ ყველაზე უკეთ იციან“ (დეკარტი 2001: 110).

2. ..mais pour ce qui regarde les idées qui me représentent d'autres hommes, ou des animaux ou des anges (Descartes 2001: 156).

...რაც შეეხება ღმერთ იდეებს, რომლებიც წარმოადგენენ სხვა ადამიანებს ან ცხოველებს ან ანგელოზებს“ (დეკარტი 1955: 38).

ამ შემთხვევაში ნაცვალსახელ „იმ“-ს ჩვენ ვამჯობინეთ „ამ“.

...რაც შეეხება ღმერთ იდეებს, რომლებიც სხვა ადამიანებს, ცხოველებს ან ანგელოზებს წარმომიჩინენ“ (დეკარტი 2001: 133).

3.S'il ne m'a pas donné la perfection de ne point faillir... (Descartes 1990: 183).

...თუ ღმერთმა არ მომცა შეუცდომლობის სისრულის ღმერთ სახე“... (დეკარტი 1955: 64).

ადეკვატურობის თვალსაზრისით, ფიქრობთ, ასეთი თარგმანი უფრო ზუსტია:

...მართალია, მან არ მიბოძა ღმერთი სრულყოფილება, რომ შემეძლოს თავის დაცვა შეცდომებისაგან“... (დეკარტი 2001: 153).

4...toutes les fois que je me tourne vers les choses que je pense concevoir fort clairement... (Descartes 1990: 146).

...ყოველთვის მე მივიქცევი ხოლმე ღმერთ საგნებისაკენ, რომლების შესახებ ფიქრობ, რომ მე მათ ძალიან ნათლად შევიცნობ“... (დეკარტი 1995: 28).

ჩვენი აზრით, მოხმობილ მაგალითში ჩვენებითი ნაცვალსახელი „იმ“ ადეკვატურად არ ასახავს არტიკლით გადმოცემულ აზრობრივ ნიუანსს; ამ უკანასკნელს, ფიქრობთ, უფრო ეთანადება „ისეთი“. მაგალითად,

...ყოველთვის, როდესაც ვუბრუნდები თვით ღმერთ ნივთებს, რომელთაც მგონია ძალზე ნათლად აღვიქვამ“... (დეკარტი 2001: 127).

5...je me trompasse dans les choses qui me paraissaient même les plus véritables (Descartes 1990: 204).

...რომ ვტყუვდებოდე თვით ღმერთ საგნებში, რომლებიც მე ყველაზე უფრო ჭეშმარიტად მეჩვენებოდა“... (დეკარტი 1955: 84).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი პირიქით, ჩვენ ვამჯობინეთ ჩვენებითი ნაცვალსახელი „იმ“;

...რომ შეიძლება შევცდე თვით ღმერთ ნივთებშიც, რომლებიც ყველაზე უფრო ჭეშმარიტი მეჩვენებოდა“... (დეკარტი 2001: 170).

განუსაზღვრელი არტიკლის დარად, არც განსაზღვრული არტიკლით გადმოცემული ნიუანსის უგულებელყოფა იქნება თარგმანში; თქმულის დასტურად, მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს.

1...par exemple la pierre qui n'a point encore etc... (Descartes 1990: 153).

...მაგალითად რომელიღაც ქვა, რომელიც მანამდე არ არსებობდა“... (დეკარტი 2001: 153).

და არა როგორც თარგმანშია:

...მაგალითად, ქვა, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა“... (დეკარტი 1955: 35).

2...car un homme malade n'est moins véritablement la créature de Dieu qu'un homme qui est en pleine santé... (Descartes 1990: 214).

...ვინაიდან ავადმყოფი კაცი არანაკლებ ჭეშმარიტად არის ღვთის ქმნილება, ვიდრე სრულიად ჯანსაღი კაცი“... (დეკარტი 1955: 93).

იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

...რომ ავადმყოფიც არანაკლებად ჭეშმარიტად არის ღმერთის ისეთივე ქმნილება, როგორც ჯანმრთელი ადამიანი“... (დეკარტი 2001: 177).

3...je porte l'image et la ressemblance de Dieu (Descartes 1990: 177).

...რომ მე ვატარებ ღმერთის სახესა და მის მსგავსებას“... (დეკარტი 1955: 58).

იგივე ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

...რომ ჩემს არსებაში ვატარებ ღმერთის ერთგვარ ხატსა და მსგავსებას“ (დეკარტი 2001: 148).

4...qu'ainsi leur ouvrage représente une chose purement feinte et absolument fausses, certes à tout le moins les couleurs dont il les composent doivent elles être véritables... (Descartes 1990: 124).

...ყველა წარმოდგენა, როგორც ჭეშმარიტი და რეალური, ისე მოგონილი და ფანტასტიკური საგნებისა – აი, სწორედ ისე, როგორც შედგენილი ისინი ჭეშმარიტი ფერებისაგან“... (დეკარტი 1955: 5).

აღნიშნული ფრაზა ძალზე ნათლად და ადეკვატურად შეიძლება ითარგმნოს ქართულად, არტიკლით გამოხატული ნიუანსის გათვალისწინებითაც; მაგალითად,

...ამგვარად, მათი ქმნილება აბსოლუტურად არარსებული და გამოგონილია, მაგრამ ღ ფერები, რომლებითაც მხატვრებმა შექმნეს ეს სახეები, ხომ ჭეშმარიტია“ (დეკარტი 2001: 109).

ამგვარად, გრამატიკული კატეგორია არტიკლი სრულიად უცხოა ქართულისათვის; მაგრამ რაკი არტიკლის ფუნქცია არსებითი და რელევანტურია ფრანგული ენობრივი აღქმის დახასიათების თვალსაზრისით, ფრანგული არტიკლით გამოხატული ყოველი არსებითი ნიუანსი როგორც სემანტიკური, ისე სტილისტური

უწყურადლებოდ არ უნდა დარჩეს; მისი რეფერენცია სათანადოდ უნდა აისახოს თარგმანის ენაზეც. „თარგმანის ტექსტის შეპირისპირებისას ორიგინალთან, აშკარა ხდება, რომ მას აქვს თავისი ავტონომიური გრამატიკაც და სემანტიკაც, მაგრამ თუ იგი ისე იკითხება, როგორც ორიგინალი და არ გაგრძნობინებს ორიგინალის ენის არსებობას, ცხადია, რომ მასში კარგადაა გადმოტანილი ორიგინალის პრაგმატიკა“ (საყვარელიძე 2001: 90).

ქართულ ენაზე ფრანგული არტიკლით გამოხატული აზრობრივი ნიუანსების რეფერენციისას ლექსიკურ საშუალებებთან არჩევანი, ცხადია, გარკვეულ წესებს ემორჩილება, პრინციპი კი ასეთია: ორიგინალის ტექსტში არტიკლის რომელიმე ფორმით ექსპლიციტურად (ან იმპლიციტურად) ხაზგასმულ რაიმე სემანტიკურ თუ სტილისტურ ნიუანსთან გადმოსაცემად ქართულ ენას მრავალი საშუალება აქვს; მათი არჩევანი ნაკარნახევია კონტექსტით და მხოლოდ ქართული ენის ნორმათა თანახმად ტექსტის სტილისტური და სემანტიკური გამართულობის დაცვით.

2) ზმნა და თარგმანის ადეკვატურობა

მეტყველების სხვა ნაწილებთან შედარებით, აზრის გამოხატვის საშუალებებით ზმნა „ყველაზე რთული და ტევადი, ყველაზე კონსტრუქციული კატეგორიაა“ (Виноградов 1947: 422). მართალია, ფრანგული ზმნა მდიდარია ფორმებით, მაგრამ ექსპრესიულობის მხრივ იგი ქართულ ზმნას ვერ შეედრება: არ არის ფრანგული ზმნის არც ერთი ისეთი ნიუანსი, რომლის ზედმიწევნით ზუსტად და ნათლად გადმოცემა ქართულ ზმნას არ შეეძლოს.

ყოველ ენას რეალობასთან მიმართების და დენოტატურ დონეზე მისი აღნიშვნის საკუთარი ხერხი და ფორმა აქვს. ა.შანიძის აზრით, „ქართული ენის ბურჯი ზმნაა და არა სახელი. გამომხატველობითი საშუალებების სიმდიდრით ზმნა ქართულში ბევრად წინა დგას სახელზე. ზმნის ექსპრესიული ძალა დიდია. ზმნას შეუძლია წარმოგვიდგინოს მოქმედება: როგორც პასიური პროცესი და როგორც სუბიექტის აქტიურობის გამოვლენა; როგორც სუბიექტისათვის განკუთვნილი და როგორც საობიექტო (მასთან აქტიური, პასიური); როგორც სუბიექტის ნამოქმედარი და როგორც სხვისი მეშვეობით შესრულებული; როგორც მდგომარეობა და

როგორც პროცესი, დინამიკა“ (შანიძე 1953: 11). ეს ფორმები ფრანგულში მხოლოდ აღწერილობითი ფორმით შეიძლება გადმოიცეს.

ქართულში ზმნა წინადადების რეგულატორია; მეტყველების ნაწილებს შორის ზმნა-შემასმენელი მართლაც წინადადების ხერხემალია; ი. ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართული უფრო ზმნით ლაპარაკობს, ზმნებით მეტყველებს, ვიდრე მეტყველების სხვა ნაწილებით [...] მარტო ზმნა არის აზრის გამომხატველი, [ზმნა] დედა ძარღვია, ჩვენი მეტყველებისა [...] სული და გულია მისი“ (ჭავჭავაძე 1953: 52; 70-71). ზმნის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, ილიასეული შეფასება ნათლად მიუთითებს ქართული ენის „ზმნურ“ ბუნებაზე; ეს ვითარება თარგმანის პრაგმატული ეკვივალენტურობის აუცილებელი პირობაა, რადგან „კომუნიკაციური ეფექტი მაშინაა სრულყოფილი, როცა იგი აზრისათვის უფრო მეტად გარანტირებული დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით, თარგმანის ადრესატს მიეწოდება მისთვის ჩვეული ენის ნორმებში“ (საყვარელიძე 2001: 57). თარგმანის ენაზე არასწორად შერჩეული ზმნა აფერხებს აზრის წვდომას და უარყოფითად აისახება თარგმანზე. მაგალითად,

En même façon si j'examine la mémoire, ou l'imagination, ou quelque autre faculté qui soit en moi, je n'en trouve aucune qui ne soit très petite et bornée, et qui en Dieu ne soit immense et infinie (Descartes 1990: 177).

„ამავე წესით, თუ ვხინჯავ მეხსიერებას ან წარმოსახვას, ან სხვა რომელიმე ნიჭიერებას, რომელიც კი არის ჩემში, მე ვერ ვპოულობ მათ შორის ისეთს, რომელიც არ იყოს ძალიან მცირე და განსაზღვრული ჩემში და რომელიც ღმერთში არ იყოს უზომოდ დიდი და უსაზღვრო“ (დეკარტი 1955: 58).

გამოთქმა – „ვხინჯავ მეხსიერებას“, ჩვენ ვთარგმნეთ: „განვიხილავ მეხსიერებას“; ხოლო – „ვერ ვპოულობ მათ შორის“ – უმჯობესია ვთარგმნოთ ასე: „ვერ ვხედავ მათში“; ტავტოლოგიის თავიდან ასარიდებლად, ზმნა „ყოფნა“ კონტექსტის მიხედვით ჯერ აზრობრივად შესაბამისი ზმნით ვთარგმნეთ, შემდეგ კი ზმნით „ყოფნა“ („მეჩვენებოდეს“, „არ იყოს“). ამგვარი ცვლილებების შედეგად ვფიქრობთ, თარგმანი სტილისტურად უფრო ბუნებრივ სახეს იღებს ქართულ თარგმანში; კერძოდ,

„ზუსტად ასევე, თუ განვიხილავ მეხსიერების, წარმოდგენის ან რაიმე ნებისმიერ სხვა უნარს, საერთოდ ვერ ვხედავ მათში ვერც ერთს, უბადრუკად და შეზღუდულად რომ არ მეჩვენებოდეს ჩემში და უზომოდ დიდად რომ არ იყოს ღმერთში“ (დეკარტი 2001: 148).

ფრანგულ ენაში ხშირია ამა თუ იმ ზმნით ნაწარმოები შესიტყვება; საერთოდ, მათი უმრავლესობა ქართულად ერთი ზმნით ითარგმნება. სიტყვასიტყვითი თარგმანის შემთხვევაში კალკი მძიმე ფორმას იღებს ქართულად ნათარგმნ ფრაზაში. ის, რაც გასაგები და ბუნებრივია ფრანგისათვის, ქართველისათვის უცხოა. ამის დასტურად მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს.

ზმნური შესიტყვება „avoir soif“ (წყურვილი) ერთი ზმნით უნდა ითარგმნოს; მაგალითად, **qu'il a soif lorsque...** (Descartes 1990: 216). „რაკი მას სწყურია მაშინ“... (დეკარტი 2001: 178) და არა – „მას იმ დროს აქვს წყურვილი“ (დეკარტი 1955: 95).

ზმნური შესიტყვება ” donner le jugement” (მსჯელობა) ასევე ერთი ზმნით უნდა ითარგმნოს: **Je donne mon jugement** (Descartes 1990: 182) „ვიმსჯელებ“ (დეკარტი 2001: 152) და არა — „ვაკეთებ მსჯელობას“ (დეკარტი 1955: 63).

იგივე ითქმის იმავე შესიტყვების თარგმანზე შემდეგ წინადადებაში:

de donner mon jugement ou de ne le pas donner (Descartes 1990: 182).

„გამოვთქვა ან არ გამოვთქვა აზრი“ (დეკარტი 2001: 152) და არა...

„დავცე მსჯელობა ან არ დავცე იგი“ (დეკარტი 1955: 63).

მსგავსი ვითარებაა ზმნური შესიტყვება ”être assis”-ის შემთხვევაშიც:

auprès duquel je suis assis (Descartes 1990: 150).

„...რომლის (ცეცხლის) ახლოსაც ვზივარ“ (დეკარტი 2001: 129) და არა...

„რომლის (ცეცხლის) ახლოსაც ვარ დამჯდარი“ (დეკარტი 1955: 32).

ასევე განსხვავებულად ვითარგმნეთ ზმნური შესიტყვება ”avoir de progrès“.

Et il est très manifeste qu'en cela il ne peut y avoir de progrès à l'infini (Descartes 1990: 166).

„და ფრიად ნათელია, რომ ამ საკითხში შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს პროგრესს უსასრულობამდე“ (დეკარტი 1955: 48).

თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„ცხადია, შეუძლებელია ეს დაუსრულებლად გავრძელდეს“ (დეკარტი 2001: 141).

ბუნებრივია, ქართული ზმნის გრამატიკული ბუნება, მისი თავისებურება თავმანშიაც დაცული უნდა იყოს; თარგმნისას უნდა გამოვდიოდეთ მისი „მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურებიდან თვით ქართულ ენაზე“ (შანიძე 1920: 69-70). ქართული ზმნის ერთ-ერთი ასეთი თავისებურება გახლავთ ის, რომ ქართულ წინადადებაში ზმნა გადმოსცემს პირსაც ამ უკანასკნელის მოუხსენიებლად.

ვეროპულ ენებში საწინააღმდეგო ვითარება გვაქვს – ევროპული ენების წინადადებაში პირი წყვეტს საკითხს და უმისოდ წინადადების აზრი ვერ იქნება ზუსტად გადმოცემული.

ქართულში ზმნის ფორმით ადვილად იგულისხმება პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, ამის გამო ხშირად გამოტოვებულია ქართულ თარგმანში. თქმულის უგულებელყოფა იწვევს ტავტოლოგიას, რაც თარგმანს არაბუნებრივ იერს სძენს; მაგალითად,

De même, quand je pense que je suis maintenant, et que je me ressouviens outre cela d'avoir été autrefois, et que je conçois plusieurs diverses pensées dont je connais le nombre, alors j'acquiers en moi les idées de la durée et du nombre, lesquelles, par après, je puis transférer à toutes les autres choses que je voudrais (Descartes 1990: 158)..

„ამნაირადვე, როდესაც *მე* ვფიქრობ, რომ *მე* ვარ ამჟამად, რომ *მე* მახსოვს, რომ ამის გარდა სხვა დროსაც ვყოფილვარ, რომ *მე* მაქვს მრავალი სხვადასხვანაირი აზრი, რომლების რიცხვიც *მე* ვიცი, – მაშინ *მე* ჩემში ვიძენ გრძელობის და რიცხვის იდეებს, რომლებიც შემდეგ ჩემი სურვილისამებრ *მე* შემიძლია გადავიტანო ყველა სხვა საგანზედაც“ (დეკარტი 1955: 40).

ჩვენი აზრით, რაკი პირის ნაცვალსახელი ზმნის ფორმით ცალსახად იგულისხმება, სავსებით ცხადი და სტილისტურად დახვეწილია იმავე ფრაზის შემდეგი თარგმანი:

„ზუსტად ასევე, როდესაც *მე* აღვიქვამ ჩემს ამჟამად არსებობას და მახსენდება, რომ ადრეც – გარკვეული დროის განმავლობაში – ვარსებობდი, ამასთან ვაცნობიერებ, რომ მაქვს სხვადასხვა აზრი – ჩემთვის ცნობილი ოდენობით, მაშინ მექმნება ხანგრძლივობისა და რიცხვის იდეები, რომლებიც შემდეგ შემიძლია გადავიტანო ნებისმიერ ნივთზე“ (დეკარტი 2001: 135).

ანდა მაგალითად,

Je ne dispute pas maintenant de cela, je ne puis pas donner mon jugement que des choses qui me sont connues: je connais que j'existe et je cherche que je suis, moi que je connais être (Descartes 1990: 134).

„*მე* არ ვკამათობ ახლა ამ საკითხზე, *მე* შემიძლია მსჯელობა გამოვთქვა მხოლოდ იმის შესახებ, რაც ცნობილია ჩემთვის: *მე* ვიცი, რომ ვარსებობ, და *მე* ვიკვლევ, როგორი ვარ *მე* რომელიც, როგორც ვიცი, ვარსებობ“ (დეკარტი 1955: 15).

აღნიშნულ ფრაზასთან მიმართებითაც მსგავსი ვითარება გვაქვს; თარგმანის ჩვენი ვერსია შემდეგია:

„ახლა ამაზე არც ვკამათობ, ვიმსჯელებ მხოლოდ იმ ნივთებზე, რომლებიც ჩემთვის ცნობილია. შეცნობილი მაქვს, რომ *მე* ვარსებობ; ვიკვლევ – რა ვარ ეს „მე“, რომელიც *მე* ვიცი“ (დეკარტი 2001: 118).

კონტექსტის მიხედვით, ზმნები თარგმანში შეიძლება გადმოვიტანოთ მეორე ან მესამე პირის ნაცვალსახელის გარეშეც როგორც მრავლობით, ისე მხოლოდობით რიცხვში; მაგალითად,

...si vous frappez dessus, il rendra quelque son (Descartes 1990 : 135).

„და თუ თქვენ დაარტყამთ მას (სანთელს) ზევიდან, ის გამოსცემს ბგერას“ (დეკარტი 1955: 19).

ამ წინადადებაში ზმნის ფორმით სავესებით ნათლად იგულისხმება პირიც და რიცხვიც; ამდენად მათი (ნაცვალსახელები „თქვენ“, „ის“) წარმოდგენა თარგმანში აუცილებლობას არ წარმოადგენს.

(სანთელს) „თუ დაარტყამთ, ბგერას გამოსცემს“ (დეკარტი 2001: 120).

იგივე მოთხოვნა ვრცელდება მიმართებით ნაცვალსახელზეც; ფრანგულის მიბაძვით მიმართებითი ნაცვალსახელის გამეორება ყოველი ზმნის წინ არ შეესაბამება ქართული ზმნის ბუნებას, თხრობის სტილს კი არაბუნებრივ ელფერს სძენს.

qui doute, qui entend, qui conçoit, qui affirme, qui nie, qui veut, qui ne veut pas, qui imagine aussi et qui sent (Descartes 1990: 135).

„რომელიც ეჭვობს, რომელიც გაიგებს, რომელიც მიხედება, რომელიც ჰოპყოფს, რომელიც უარყოფს, რომელსაც სურს, რომელსაც არ სურს, რომელიც აგრეთვე წარმოისახავს, და რომელიც გრძნობს“ (დეკარტი 1955: 16-17).

ვფიქრობთ, აზრი სავესებით ნათელია იმავე წინადადების შემდეგი სახის თარგმანში:

„რომელიც ეჭვობს, გებულობს, შეიმეცნებს, ამტკიცებს დადებითად, უარყოფს, სურს, არ სურს, წარმოიდგენს და გრძნობს“ (დეკარტი 2001: 119).

ანდა მაგალითად,

„Ne suis-je pas celui-la même qui maintenant doute presque de tout, qui neanmoins entend et conçoit certaines choses, qui assure et affirme celles-la seules être veritables, qui nie toutes les autres, qui veut et desire d'en connaître davantage, qui ne veut pas être trompé, qui imagine beaucoup de choses, même quelquefois en dépit que j'en aie, et qui en sent aussi beaucoup, comme par l'entremise des organes du corps“? (Descartes 1990: 136).

„განა მე არა ვარ ის, ვინც აი ახლა ეჭვობს თითქმის ყველაფერში, ვინც მიუხედავად ამისა აქვს ზოგიერთი საგნის გაგებისა და მიხედობის უნარი, ვინც არწმუნებს და ადასტურებს, რომ მხოლოდ ესა და ეს არის ჭეშმარიტო, ვინც უარყოფს ყველა დანარჩენს, ვინც უნდა და სურს მეტი იცოდეს, ვინც არ სურს მოტყუებული იქნეს, ვინც წარმოიდგენს ბევრ საგანს (ზოგჯერ თავის თავისათვის

სამწუხაროდ) და გრძნობს კიდევ ამდენსვე თითქოს სხეულის ორგანოთა მეშვეობით?“ (დეკარტი 1955: 17).

ამავე ფრაზის თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„განა ამჟამად მე ეჭვით არ ვუჭურებ ყველაფერს და მაინც მჯერა, რომ რაღაც არის, ვამტკიცებ, რომ მხოლოდ იგია ჭეშმარიტი, ყველა დანარჩენს უარვეყოფ; ამასთან მსურს ვიცოდე უფრო მეტი, არ მინდა შევცდე, ჩემდაუნებურად წარმომიდგება მრავალი ნივთი და ბევრ მათგანს ისევე ვგრძნობ, როგორც ვგრძნობებიდან მომდინარეთ?“ (დეკარტი 2001: 119).

მოხმობილი მაგალითები ცხადყოფს, რომ პირის ნაცვალსახელთან მიმართებით აღნიშნული მოთხოვნა ხშირადაა უგულებელყოფილი თარგმანში. მსგავსი ვითარებაა ნაცვალსახელოვანი ზმნების შემთხვევაშიც; ქართულ ზმნას იმანენტური საშუალებებით შეუძლია გამოხატოს ფრანგული ნაცვალსახელოვანი ანუ უკუქცევითი ზმნის ორივე (ქვემდებარე და დამატება) პირი, რის შესაძლებლობასაც ფრანგული ზმნა მოკლებულია. მაგალითად,

...au contraire, toutes les fois que je me tourne vers les choses que je pense concevoir fort clairement, je suis tellement persuadé par elles, que de moi-même je me laisse emporter à ces paroles (Descartes 1990: 146).

„და პირუკუ, ყოველთვის, როდესაც მე მივიქცევი ხოლმე იმ საგნებისაკენ, რომლების შესახებ ვფიქრობ, რომ მე მათ ძალიან ნათლად შევიცნობ, იმდენად დარწმუნებული ვარ ამ საგნების მიერ, რომ მე ვაძლევ ნებას გამოიტაცოს შემდეგმა სიტყვებმა“ (დეკარტი 1955: 28).

ამ ფრაზის თარგმანში შეიძლებოდა ზმნისა და ზმნური შესიტყვების ადეკვატურად გადმოტანა ქართულად; პირის ნაცვალსახელის სამჯერ გამეორება სტილისტურად ამძიმებს ფრაზას; ქართულ თარგმანში პირის ნაცვალსახელის გარეშეც შესაძლებელია შენარჩუნებული იქნეს ნაცვალსახელოვანი ზმნის სემანტიკური ნიუანსიც და, რაც მთავარია, აზრობრივი ადეკვატობა, მაგალითად, ასეთი თარგმანის შემთხვევაში:

„და პირიქით, ყოველთვის, როდესაც გუბრუნდები თვით ისეთ ნივთებს, რომელთაც მგონია ძალზე ნათლად აღვიქვამ, ისინი ისე ღრმად მარწმუნებენ, რომ უნებურად წარმოვთქვამ ამ სიტყვებს“ (დეკარტი 2001: 127).

თარგმანის სირთულეს აპირობებს ის სპეციფიკაც, რომ ქართული ღარიბია უკუქცევითი ნაცვალსახელებით და ამ მხრივ დიდად განსხვავდება ფრანგულისაგან. როდესაც ქართული ზმნის იმანენტური საშუალებები არასაკმარისად ან არაცხადად გამოხატავს ფრანგული უკუქცევითი ზმნის მნიშვნელობას, სემანტიზაციის მიზნით

თარგმანში გამოიყენება სუბსტანტიური წარმოშობის უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“.

Il faut donc seulement ici que je m'interroge et me consulte moi-même pour voir si j'ai en moi quelque pouvoir et quelque vertu au moyen de laquelle je puisse faire que moi, qui suis maintenant, je sois encore un moment après (Descartes 1990: 165).

„მაშასადამე საკმარისია აქ მხოლოდ დავკითხო ხემს თავს და მოვითათბირო მასთან, რათა დავინახო, მაქვს თუ არა რაიმე ძალა ან უნარი, რომლის საშუალებითაც შემეძლოს ვქნა ისე, რომ მე, რომელიც ახლა ვარსებობ, ერთი წუთის შემდეგაც ვარსებობდე კიდევ“ (დეკარტი 1955: 46).

აღნიშნულ მაგალითში უკუქცევითი ზმნის სემანტიზაციის წარმოსაჩენად ნაცვალსახელი სწორადაა შერჩეული, მაგრამ ვფიქრობთ, ქართულს მეტად შეესაბამება იმავე ფრაზის შემდეგი თარგმანი:

„სწორედ ამიტომ ახლა საკუთარ თავს უნდა ვკითხო – გამაჩნია თუ არა რაიმე ძალა, რომლის მეშვეობითაც შევძლებ, რომ მე – ამჟამად მყოფი – ცოტა ხნის შემდეგაც ვიყო“ (დეკარტი 2001: 140).

ანდა მაგალითად,

...mais peut-être aussi que je suis quelque chose de plus que je ne m'imagine pas (Descartes 1990: 161).

„მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე, რომ მე ვიყო რაღაც იმაზე მეტი, ვიდრე მე ვფიქრობ ხემს თავზე“ (დეკარტი 1955: 43).

იგივე ძალზე სადად შეიძლება ითარგმნოს, მაგალითად, ასე:

„შესაძლოა, იმაზე მეტი ვარ, ვიდრე მე მგონია საკუთარი თავი“ (დეკარტი 2001: 13).

ქართულში განსაკუთრებით ხშირია უქვემდებაროდ ხმარება ისეთი ზმნებისა, რომლებიც ადამიანის (სულიერის) ჯანმრთელობის ვითარებასა და მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მოვლენებს გამოხატავს; მაგალითად, მღვიძავს (და არა- მე მღვიძავს. როგორც ეს თარგმანშია, გვ.16); მძინავს (და არა-მე მძინავს როგორც ეს თარგმანშია, გვ.18) და ა.შ.

ამგვარად, ზემოაღნიშნული წინადადებები მოხმობილ იქნა იმ დებულების დასტურად, რომ უცხო ენიდან ქართულად თარგმნისას სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიოს დედაენისა და უცხო (ფრანგული) ენის მიმართებას ზმნის პირთან დაკავშირებით; უნდა გათვალისწინებულ იქნეს ქართული ზმნის მრავალპირიანობა და მეტი კატეგორიის შეთავსების უნარი, ვიდრე ეს ახასიათებს ფრანგულ ენას;

ქართულ ზმნას შეიძლება ახლდეს პირის სხვადასხვა ნაცვალსახელი, მაგრამ ქართული ზმნის ერთსა და იმავე ფორმას, ნაცვალსახელის დაუხმარებლადაც, შეუძლია გამოხატოს პირი, თანაც არა ერთი, არამედ ორიცა და სამიც იმის მიხედვით, თუ როგორი აგებულებისაა ზმნა – აბსოლუტურისა თუ რელატიურის.

IV 3) ზმნის დროთა შეთანხმება ქართულ თარგმანში

გრამატიკულ დროთა და კილოთა მონაცვლეობა თხრობის რიტმის შემქმნელი ერთ-ერთი ფაქტორია. ა. შანიძის განმარტებით, „დრო შეიძლება მხოლოდ სამი იყოს: ეხლანდელი, წარსული და მომავალი“ (შანიძე 1953: 203). არნოლდ ჩიქობავა დასძენს: „განყენებულად თუ ავიღებთ დრო სამია: აწმყო, ნამყო და მყოფადი... ამა თუ იმ ენაში სამი დროის კონკრეტობაც შეიძლება მოგვცეს გაცილებით მეტი ნაკვთები“ (ჩიქობავა 1952: 274).

აღნიშნული მოსაზრება სავსებით ეთანადება ფრანგული ენის გრამატიკულ სტრუქტურას. ფრანგული ზმნის სისტემას ახასითებს ფორმების სიმრავლე, რომელთა საშუალებითაც მოქმედების დროის აღნიშვნაში განსაკუთრებული სიზუსტე ხორციელდება. თარგმნის პროცესში სხვადასხვა კონტექსტის ანალიზს – დროთა ფუნქციებისა და ქრონოლოგიური მიმართების დრმა გააზრებით – შეუძლია გაარკვიოს თუ რომელ შემთხვევაში რომელი ფორმა უნდა გამოვიყენოთ აზრის გადმოსაცემად. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, მაინც მხედველობაში უნდა მივიღოთ კონკრეტულობის მოთხოვნილება.

აწმყო დრო ძალზე მდიდარია ნიუანსებით, მისი გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა, ფრიად ექსპრესიულია მისი აზრობრივი მხარეც. ფრანგულში (და არა მხოლოდ ფრანგულში) აწმყო ითავსებს როგორც წარსულის, ისე მომავლის მომენტებს; მაგალითად,

En effet, j'expérimente déjà que ma connaissance s'augmente et se perfectionne peu à peu; et je ne vois rien qui puisse empêcher qu'elle ne s'augmente ainsi de plus en plus jusques à l'infini (Descartes 1990: 161).

„მართლაცდა, მე უკვე მაქვს ხომ გამოცდილი, რომ ჩემი ცოდნა იზრდება და სრულდება ნელ-ნელა, და მე არ ვამჩნევ არაფერს ისეთს, რასაც შეუძლია იგი დააბრკოლოს და არ მისცეს საშუალება გაიზარდოს ამნაირად თანდათან უსასრულობამდე“ (დეკარტი 1955: 43).

მაგალითად მოხმობილ ფრაზაში აწმყო დროით გადმოცემული, როგორც აწმყო, ისე მომავლი მომენტების გადმოსაცემად შეიძლება უფრო ზუსტი ფორმების შერჩევა. მაგალითად,

„მართლაც, გამოცდილებით უკვე ვიცო, რომ ჩემი ცოდნა იზრდება და თანდათანობით სრულიყოფა; რამ უნდა შეუშალოს ხელი მის შემდგომ ზრდას თუნდაც უსასრულობამდე“ (დეკარტი 2001: 137).

მართალია, აღწერილობითი ანუ პერიფრაზული ვნებითი სულ უფრო იფართოებს ხმარების არეს ახალ ქართულში, მაგრამ საჭიროების გარეშე მისი გამოყენება არასასურველია; ქართულ თარგმანში ზმნის გადმოტანა აღწერილობითი ვნებითით (მაგალითად, „დაშვებული მაქვს“ (დეკარტი 1955: 10,14,15), „შეკავებული მაქვს“ (დეკარტი 1955: 65) და ა.შ.), ხშირ შემთხვევაში, არადიფერენცირებულად წარმოადგენს აწმყოს და წარსულის მომენტებს; ასე მაგალითად,

Je suppose donc que toutes les choses que je vois sont fausses (Descartes 1990: 130).

„მე დაშვებული მაქვს, მაშასადამე, რომ ყველაფერი, რასაც კი ვხედავ, ყალბია“ (დეკარტი 1955: 10).

ფრანგული ზმნით გამოხატული აწმყოს მომენტი და აქტიური ფორმა ქართულ თარგმანში რომ არ დაიკარგოს უმჯობესია ითარგმნოს ასე:

„ამრიგად ვუშვებ, რომ ყველა ნივთი, რომელსაც მე ვხედავ, მცდარია“ (დეკარტი 2001: 114).

...j'ai supposé que tout cela n'était rien (Descartes 1990: 134).

„მე დაშვებული მაქვს, რომ ყველაფერი ეს არ არსებობს“ (დეკარტი 1955: 15).

პირველ შემთხვევაში ფრანგული ტექსტის ზმნა აწმყო დროშია, ხოლო მეორეში – ნამყო რთულში, ქართულ თარგმანში კი სხვაობა არ ჩანს, რადგან ზმნა ორივე შემთხვევაში დროის ერთი და იმავე ფორმითაა წარმოდგენილი; წარსულის მომენტის წარმოსახენად, მეორე წინადადების ზმნა ჩვენ წარსული დროთი ვთარგმნეთ.

„მე რაკი დავეუშვებ, რომ ყოველივე ეს არაფერია“... (დეკარტი 2001: 118).

როდესაც აღწერილობითი ფორმა გამოყენებულია ფრანგული „ნამყო რთულისა“ და „ნამყო უსრულის“ ქართულად გადმოსაცემად, ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ უგულვებელყოფილია ასპექტი. ასე მაგალითად,

C'étaient la terre, le ciel, les asters, et toutes les autres choses que j'apercevais par l'entremise de mes sens (Descartes 1990:145).

„მიწა, ცა, ვარსკვლავები და ყველაფერი, რაც მე ჩემს გრძნობათა მეშვეობით მქონდა შემჩნეული“ (დეკარტი 1955: 27).

ქართული ზმნა თავისუფლად იძლევა ნამყო უსრულის გადმოცემის საშუალებას ზმნის სათანადო ფორმით; მაგალითად,

„ეს იყო მიწა, ცა, მნათობები და ყველა სხვა ნივთი, რომელთაც მე აღვიქვამდი გრძნობათა მეშვეობით“ (დეკარტი 2001: 126).

მართალია, არის შემთხვევები, როდესაც ქართული ზმნა იდენტური ფორმით გადმოსცემს ფრანგულ „ნამყო რთულსა“ და „ნამყო უსრულს“ (მაგალითად, j'ai eu „მქონდა“, j'avais „მქონდა“), მაგრამ როდესაც ქართული ზმნა აღნიშნულ დროთა დიფერენცირების საშუალებას იძლევა, ცხადია, ეს უნდა აისახოს თარგმანში.

ნამყო უსრულით გამოხატული მოქმედების მრავალგზისობა (ასევე აწმყოთი ნაგულისხმევი იგივე ნიუანსი) ქართულ თარგმანში გადმოიცემა უწყვეტელით (აწმყოს მომენტის გადმოსაცემად ზმნის აწმყო დროით) ან ნაწილაკით „ხოლმე“; მაგალითად,

...Or, toutes les fois que cette opinion ci-devant conçue ...se présente à ma pensée (Descartes 1990: 146).

„...მაგრამ ყოველთვის, როდესაც ჩემს აზრს ქარმოუდგება ხოლმე ამაზე წინ შედგენილი შეხედულება“ (დეკარტი 1955: 28).

იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ შემდეგი სახით:

„...ყოველთვის, როგორც კი ეს წინასწარ აკვიატებული აზრი გამიელება“ (დეკარტი 2001: 126).

რაკი მოქმედების მრავალგზისობა დროის გარემოებით – „ყოველთვის“ – ისედაც იგულისხმება, ნაწილაკი „ხოლმე“ ჩვენ ზედმეტად მივიჩნიეთ.

Mais lorsque je considérais quelque chose de fort simple et de fort facile... (Descartes 1990: 146).

„მაგრამ, როდესაც მე განვიხილავდი ხოლმე ძალიან მარტივსა და ძალიან ადვილს რასმე“... (დეკარტი 1955: 28).

ამ შემთხვევაშიც აღნიშნული ნიუანსი ზმნის (I სერიის უწყვეტელი) ფორმით გადმოვეცით.

„როდესაც მე გვიხილავდი ძალზე მარტივსა და იოლ ვითარებას“... (დეკარტი 2001: 126).

Certes rien autre chose sinon que les idées ou les pensées de ces choses-là se présentaient à mon esprit (Descartes 1990: 145).

„ცხადია, რომ არაფერი გარდა იმისა, რომ ამ საგნების იდეები ან აზრები წარმოდგენილი იყვნენ ჩემს გონებაში“ (დეკარტი 1955: 27).

ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, უმჯობესია, რომ ზმნა ასევე I სერიის უწყვეტელით ითარგმნოს ქართულად:

„ეს იყო თავად იდეები, ე.ი. მხოლოდ აზრები ამგვარ ნივთებზე, რომლებიც წარმოდგებოდნენ ჩემს გონებას“ (დეკარტი 2001: 126).

აღწერილობითი ვნებითის შემთხვევაში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს დროთა შეთანხმებას მთლიანი კონტექსტის ფონის გათვალისწინებით. არის შემთხვევები, როდესაც აღწერილობითი ვნებითი ზმნის სათანადო დროითაც გადმოიცემა; ასე მაგალითად,

Car tout le temps de ma vie peut être divisé en une infinité de parties, chacune desquelles ne dépend en aucune façon des autres (Descartes 1990: 164).

„ჩემი ცხოვრების მთელი დრო შეიძლება გაყოფილ იქნეს უსაზღვროდ მრავალ ნაწილებად, რომელთაგან არც ერთი არ არის არავითარი წესით სხვებისაგან დამოკიდებული“ (დეკარტი 1955: 46).

თუ ზმნას („დაყოფა“, და არა „გაყოფა“) ჩავსვამთ მეორე სერიის II კავშირებითში, სტილის თვალსაზრისით, თარგმანი უფრო ბუნებრივ სახეს მიიღებს. მაგალითად,

„მართლაც, მთელი ჩემი ცხოვრების ხანგრძლივობა შეიძლება დაიყოს უამრავ ნაწილებად, რომელთაგანაც არც ერთი არანაირად დამოკიდებული არ არის სხვებზე“ (დეკარტი 2001: 139).

როდესაც ორიგინალში ორი (ან რამდენიმე) ზმნა ნამყო წყვეტილის ფორმითაა წარმოდგენილი, თარგმანშიც შესაბამისი ფორმით უნდა წარმოვადგინოთ.

car je les ai tous soigneusement recherchés et je n'en ai pu trouver aucun autre jusqu'à présent (Descartes 1990: 156).

„მე ხომ ყველა ასე ბეჯითად გამოვიძიე და ამჟამამდე სხვა ჯერ მიპოვია“ (დეკარტი 1955: 38).

კონტექსტის მიხედვით, თარგმნისას, უფრო ადეკვატურად მივიჩნიეთ ზმნები – „გამოვიკვლევა“ და „აღმოჩენა;“ ასევე, ორივე ამ ზმნის ნამყო წყვეტილის ფორმით გადმოიცემა.

„ყველაფერი, მართლაც, ძალზე გამოწვლილვით გამოვიკვლიე და აქამდე სხვა ვერაფერი აღმოვაჩინე“ (დეკარტი 2001: 133).

ფრანგული ზმნის ნამყო ფორმები – „ნამყო მარტივი“, „წარსული წარსულში“ (plus-que- parfait) აღნიშნავს წარსულის ისეთ მოქმედებას, რომელიც უწინარესია წარსულის მეორე მოქმედებასთან შეფარდებით, თუმცა სინამდვილეში წარსული ერთია და მასში შესრულებული ორი დიაქრონული მოქმედება მხოლოდ თანამდევრობის თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისაგან) – ქართულ ენაზე უმეტესწილად ერთნაირი ფორმით (წყვეტილით) ითარგმნება; ზოგჯერ ნამყოს ფორმებს ახლავს დროის გარემოების აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც ხაზს უსვამენ უწინარესობასა და შემდგომობას. თარგმნის დროს კონტექსტის ანალიზი, დროთა ფუნქციებისა და ქრონოლოგიური მიმართებების ღრმა გააზრება, აზრის ადეკვატურად გადმოცემის აუცილებელი პირობაა.

„უახლოესი წარსულის“ ფორმით აღინიშნება უშუალოდ აწმყოს მომენტის წინ დასრულებული მოქმედება (passé immédiat dans le passé-თი კი აღინიშნება დასრულებული მოქმედება წარსულის მომენტის მიმართ). აღნიშნული ნიუანსის გადმოსაცემად ზმნას ნამყო წყვეტილის ფორმაში ემატება უშუალობის აზრის გამომხატველი „ახლახან“ ან „ეს-ეს არის“ (წარსულის მიმართ იგივე ნიუანსის გადმოსაცემად იხმარება „ის-ის იყო“).

...Prenons, par exemple, ce morceau de cire: il vient tout fraîchement d'être tiré de la ruche (Descartes 1990: 138).

„ავიღოთ, მაგალითად, სანთლის აი ეს ნაჭერი: ის სულ ახლახან იყო ამოღებული სკის ბუკიდან“ (დეკარტი 1955: 19).

აღნიშნულ წინადადებაში უშუალობის აზრის გამომხატველ „ახლახან“-ის შემდეგ ზმნა ნამყო წყვეტილის ფორმით უნდა გადმოიცეს.

„მაგალითისათვის ავიღოთ ფუტკრის სანთელი, რომელიც ახლახან ამოიღეს სკიდან“ (დეკარტი 2001: 120).

რაც შეეხება მომავლის აღმნიშვნელ მოქმედებებს, დეკარტის თხზულების თარგმანის ორივე ვერსიაში ისინი წარმოდგენილია ზმნის მყოფადი ფორმით (რის გამოც ამაზე არ შეგზერდებით); მაგრამ ლექსიკური თვალსაზრისით, თარგმანის ვერსიები სხვაობს ერთმანეთისაგან; მაგალითად,

Je fermerai maintenant les yeux, je boucherai mes oreilles, je détournerai tous mes sens, j'effacerai même de ma pensée toutes les images des choses corporelles (Descartes 1990: 144).

„ახლა მე დავხურავ თვალებს, დავიცობ ყურებს, შევიკავებ ყველა ჩემს გრძნობას, ჩემი აზრიდანაც კი ამოვშლი ნივთიერ საგანთა ყველა სახეს“ (დეკარტი 1955: 26).

ვფიქრობთ, აზრობრივად და სტილისტურად უფრო გამართულია შემდეგი სახის თარგმანი:

„ახლა დავხუჭავ თვალებს, დავიცობ ყურებს, ყველა ჩემს გრძნობას ჩამოვიცილებ, ჩემი გონებიდან ამოვშნთავ ყველა სხეულებრივი ნივთის ხატს“ (დეკარტი 2001: 125).

ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმნის დროს, ხშირია ზმნის დროთა ფორმებისა და ზმნის კილოს ერთმანეთში აღრევის შემთხვევები. მაგალითად,

...que celui qui m'a donné l'être se servirait de toute son industrie pour m'abuser? (Descartes 1990: 136).

„...კიდევაც მთელ თავის მოხერხებას ხმარობდეს ჩემს მოსატყუებლად ის, ვინც მე არსებობა მომცა?“ (დეკარტი 1995: 17).

მომხობილ წინადადებაში ფრანგული პირობითი აწმყო გამოხატავს უნახავ მოქმედებას, რომელსაც წინ უსწრებს წარსულში მომხდარი სხვა მოქმედება; ქართულში მას შეესაბამება II თურმეობითი – რა ექნა? გამოეყენებინა. სწორად შერჩეული დროის ფორმებით კილოს ნიუანსი უფრო ნათელია; მაგალითად,

„...თუნდაც ვინც მე შემქმნა, მთელი თავისი ხელოვნება გამოეყენებინა ჩემს მოსატყუებლად“ (დეკარტი 2001: 119).

ანდა მაგალითად,

car, comment serait-il possible que je puisse connaître (Descartes 1990: 160).

„მართლაცდა, როგორ შემძლო მე მცოდნოდა...“ (დეკარტი 1955: 41-42).

იგივე აზრი ერთი ზმნითაც შეიძლება გადმოვცეთ ქართულად;

„მართლაც როგორ გავიგებდი, რომ“... (დეკარტი 2001: 136).

პირობითი კილოს მეშვეობით გამოხატულია ისეთი მოქმედება, რომელიც ხორციელდება გარკვეული პირობის შესრულების შედეგად. მთავარი წინადადების ზმნა მარტივ მყოფადშია, ხოლო დაქვემდებარებულისა – აწმყოში. ზმნის აღნიშნული დროები ქართულადაც დროის შესაბამისი ფორმებით გადმოიცემა. მაგალითად,

Car certainement j'y parviendrai si j'arrête suffisamment mon attention sur toutes les choses que je conçois parfaitement, et si je les sépare des autres que je ne conçois qu'avec confusion et obscurité (Descartes 1990: 184).

„მე უეჭველად მივალწევ მას, თუ საკმაოდ შევანერებ ჩემს ყურადღებას ყველა იმ საგანზე, რომლებსაც სრულად ვწვდები, და თუ მე მათ გამოვეყოფ სხვა საგნებისაგან, რომლებსაც შევიცნობ მხოლოდ ბუნდოვნად და ბნელად“ (დეკარტი 1955: 65).

მოხმობილი წინადადება – მიუხედავად იმისა რომ თარგმანში ზმნები სწორადაა გადმოტანილი დროის შესაბამისი ფორმებით, შენარჩუნებულია კილოს ნიუანსიც – ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

„ამას კი უდაოდ შევძლებ, თუ საკმაოდ ყურადღებას მივაპყრობ ყველა იმ ნივთს, რომელთაც სრულად ვწვდები, ოღონდ იმ პირობით, თუ მათ გამოვაცალკევებ ჩემთვის ბუნდოვან და გაურკვეველ დანარჩენ ნივთთაგან“ (დეკარტი 2001: 154).

როდესაც პირობითი კილოთი გამოხატული მოქმედება წარსულს ეხება, მთავარი წინადადების ზმნა პირობითი აწმყოთი (conditionnel présent), ხოლო დაქვემდებარებულისა – უწყვეტელით (imparfait) გადმოიცემა.

car si je connaissais toujours clairement ce qui est vrai et ce qui est bon, je ne serais jamais en peine de délibérer quel jugement et quel choix je devrais faire, et ainsi je serais entièrement libre sans jamais être indifférent (Descartes 1990: 178).

„ვინაიდან, მე რომ ყოველთვის ნათლად მცოდნეობა ის, რაც ჭეშმარიტია, და ის, რაც კეთილია, მე არასოდეს არ გამოჭირდებოდა იმის მოსაზრება, თუ რომელი მსჯელობა და რომელი არჩევანი უნდა გამეკეთებია, და ამრიგად მე ვიქნებოდი სრულიად თავისუფალი და არასოდეს არ ვიქნებოდი ინდიფერენტული“ (დეკარტი 1955: 59).

აღნიშნული ფრაზის ყველა ზმნა (გარდა „უნდა გამეკეთებია“ – სწორი ფორმაა „გამეკეთებინა“) სწორადაა გადმოტანილი ქართულ თარგმანში, მაგრამ სტილისტურად, ვფიქრობთ, უმჯობესია ასეთი თარგმანი:

„მე რომ ყოველთვის ნათლად მცოდნეობა რა არის ჭეშმარიტი და რა – სიკეთე, არასოდეს გამიჭირდებოდა მემსჯელა ან რა არჩევანი გამეკეთებინა და ვიქნებოდი სავსებით თავისუფალი და არასოდეს გულგრილი“ (დეკარტი 2001: 149).

ფრანგულში, კავშირებითი კილოსა და თხრობითი კილოს აწმყო დროში I ჯგუფის ზმნებს მხოლოდ პირობითი რიცხვის სამივე პირში მსგავსი ფორმა აქვს; ეს ვითარება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული თარგმნის დროს, რათა ადეკვატურად აისახოს კავშირებითი კილოთი გამოხატული არარეალური მოქმედების (ეჭვი, დაურწმუნებლობა, სურვილი, მოლოდინი და ა.შ.) ესა თუ ის ნიუანსი; ნიმუშად მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს.

Mais moi, qui suis – je, maintenant que *je suppose*... (Descartes 1990: 133).

„მაგრამ ვინ ვარ მე, რაკი *დაშვებული მაქვს*“... (დეკარტი 1995: 14).

ამ წინადადებაში ავტორის მიერ კავშირებითი კილოთი გამოხატული ნიუანსის ქართულ თარგმანში გადმოსაცემად ჩვენ გამოვიყენეთ ნაწილაკი „თუკი“ და ზმნის აწმყო ფორმა.

„მაგრამ თავად მე რაღა ვარ, *თუკი ვუშვებ*“... (დეკარტი 2001: 117).

თარგმანის ადეკვატურობის მიზნით, სხვა შემთხვევებშიც – იმავე კილოთი გამოხატული განსხვავებული სემანტიკური და სტილისტური ნიუანსის გადმოსაცემად – კონტექსტის მიხედვით შევარჩიეთ როგორც გრამატიკული ფორმა, ისე ლექსიკური საშუალებები.

...je n’admets maintenant rien qui *ne soit* nécessairement vrai (Descartes 1990: 134).

„მე არ ვიღებ ამჟამად არაფერს, რაც *არ იყოს* აუცილებლად ჭეშმარიტი“ (დეკარტი 1955: 14).

იმავე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„ახლა არაფერს დავუშვებ, რაც *არ იქნება* უცილობლად ჭეშმარიტი“ (დეკარტი 2001: 117).

ამგვარად, ფილოსოფიურ ტექსტში კილოთა მეშვეობით მრავალი ნიუანსი გადმოიცემა, რაც მეტ გამომსახველობით ელფერს სძენს ფილოსოფიური ტექსტის ენას და, გარკვეულწილად, მას აახლოებს მხატვრული პროზის ენასთან. ყოველი ასეთი ნიუანსი თარგმანის ენაზეც უნდა წარმოჩინდეს.

ფაქტიტიურ ფორმას ანუ კაუზატივს ა. შანიძემ უწოდა „კონტაქტი“... (შანიძე 1953: 367). შუალობითი კონტაქტის გამოსახატავად ფრანგულს სპეციალური სინთეზური ფორმა არ გააჩნია, ამიტომ მას გამოხატავს ანალიზური საშუალებით. შუალობითი კონტაქტი შეიძლება გამოხატავდეს არა მხოლოდ იძულებას, არამედ მიზეზს, ნების მიცემას, თხოვნას. კაუზატივის სემანტიკასთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა მიექცეს თუ რომელი ზმნითაა იგი ნაწარმოები (უმთავრესად ესაა ზმნები faire და laisser).

L’expérience nous *fait connaître* (Descartes 1990: 2190).

„მაგრამ გამოცდილება *გვეუბნება*“ (დეკარტი 1955: 98).

იმავე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„გამოცდილება გვიჩვენებს, რომ“ (დეკარტი 2001: 180).

ფრანგულისათვის ნიშანდობლივ სხვა მრავალ სპეციფიკურ მოვლენასთან ერთად (ცხადია, ყველას ამ შრომაში ვერ განვიხილავთ), გვინდა ყურადღება გაგამახვილოთ ინფინიტივსა და გერუნდივზე. ინფინიტივი, თავისთავად აღებული, განყენებული ბუნებისაა; მოქმედებას ან მდგომარეობას იგი წარმოგვიდგენს კონკრეტული პირის გარეშე, მაგრამ ფრაზულ გარემოცვაში მისი გრამატიკული მნიშვნელობა კონკრეტდება და ენიჭება სხვადასხვა როლი წინადადებაში. თანამედროვე ქართულში მისი შესატყვისი არ ჩანს. ხშირად მას თარგმნიან საწყისით, მაგრამ ეს ყოველთვის არაა შესაძლებელი.

...**qui est de retenir fermement la résolution de ne jamais donner mon jugement sur les choses dont la vérité ne m'est pas clairement connue** (Descartes 1990: 183).

„რომ მაგრად მეჭიროს გადაწყვეტილება, არასოდეს არ დავცე მსჯელობა ისეთ საგნებზე, რომელთა ჭეშმარიტება ნათლად არ მაქვს შეცნობილი“ (დეკარტი 1955: 64).

იმავე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„მტკიცედ მახსოვდეს ყოველთვის შევიკავო თავი იმ ნივთებზე მსჯელობისაგან, რომელთა ჭეშმარიტება ნათლად არ არის ჩემთვის ცნობილი“ (დეკარტი 2001: 153).

გერუნდივით ფრანგულში მოქმედების სინქრონულობა გამოიხატება ანუ ერთი და იგივე პირი ორ ან შესაძლოა მეტ მოქმედებას ერთსა და იმავე დროს ასრულებს; როგორც ზმნის პირიანი, ისე უპირო ფორმით გამოხატული მოქმედებების ქვემდებარე ერთია.

car, ainsi m'entretenant seulement moi-même, et considérant mon intérieur, je tâcherai de me rendre peu à peu plus connu et plus familier à moi-même (Descartes 1990: 144)

„ამრიგად, მეჩნება რა საქმე მხოლოდ ჩემს თავთან და გამოვიკვლევ რა ჩემს შინაგან რაობას, მე ვეცდები ვაქციო ჩემი თავი თანდათან ჩემთვის უფრო ცნობილ და უფრო ახლობელ არსებად“ (დეკარტი 1955: 26).

მოხმობილ წინადადებაში ნათლად ჩანს როგორც მოქმედებათა სინქრონულობა, ისე ისიც, რომ მათი შემსრულებელი ერთი ქვემდებარეა. მაგრამ წინადადების მეორე ნაწილი სტილისტურად გაუმართავია. იგივე წინადადება შეიძლება ითარგმნოს, მაგალითად, ასე:

„მხოლოდ საკუთარ თავთან საუბრითა და ღრმა თვითგანხილვით შევეცდები, თანდათანობით მეტად და ახლოს გავიცნო ჩემი თავი“ (დეკარტი 2001: 125).

ჩვენი აზრით, ასეთ თარგმანში ერთი ქვემდებარის მიერ შესრულებული რამდენიმე მოქმედების სინქრონულობაც ნათლად ჩანს, აზრიც ადეკვატურადაა გადმოცემული და სტილიც ბუნებრივია ქართულისათვის.

გერუნდივით გადმოცემული მოქმედებათა სინქრონულობა სხვადასხვა სახით შეიძლება გადმოიცეს ქართულად; გრამატიკულ და ლექსიკურ საშუალებათა არჩევანს განსაზღვრავს კონტექსტი და შესაბამისობა ქართულის გრამატიკული და სემანტიკური ნორმების მოთხოვნასთან. მაგალითად,

Et de vrai on ne doit pas trouver étrange que Dieu, en me créant, ait mis en moi cette idée pour être comme la marque de l'ouvrier empreinte sur son ouvrage (Descartes 1990: 168).

„და მართლაც, არ უნდა გვეუცხოოს, რომ ღმერთმა, როდესაც იგი მე ქმნიდა, ჩამიდვა მე ეს იდეა, რათა იგი ყოფილიყო ნიშანი, რომელსაც ოსატატი დააკრავს ხოლმე თავის ნაწარმოებს“ (დეკარტი 1955: 49).

აღნიშნულ თარგმანში, მართალია, ფრანგული გერუნდივის ყველა ნიუანსი გადმოცემულია, მაგარამ არასათანადო ფორმითაა წარმოდგენილი ზმნა („ჩამიდვა“). ვფიქრობთ, უფრო მისაღებია იმავე წინადადების ასეთი თარგმანი:

„ცხადია, სრულიადაც არ არის გასაოცარი, რომ ღმერთმა ჩემი შექმნისას ჩემში ჩადო ეს იდეა, როგორც ტვიფრი, რომლითაც ხელოსანი აღბეჭდავს ხოლმე თავის ქმნილებას“ (დეკარტი 2001: 142).

ამგვარად, ქართულად თარგმნისას მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის ფაქტორი, რომ გრამატიკულ დროთა და კილოთა მონაცვლეობა ქმნის თხრობის რიტმს; ფრანგული ზმნისათვის დამახასიათებელ დროთა ფუნქციებისა და ქრონოლოგიური მიმართების ღრმა გააზრებითა და კონტექსტის კონკრეტული მოთხოვნის გათვალისწინებით, უნდა განვსაზღვროთ, თუ რომელ შემთხვევაში რომელი გრამატიკული დრო გამოვიყენოთ აზრის ადეკვატურად გადმოსაცემად.

4) სინტაქსთან დაკავშირებული პრობლემები

ენობრივ ფორმათა შეუსაბამობა განსაკუთრებით მკაფიოდ ცხადდება სინტაქსთან დაკავშირებით. „ერთი ენის ერთ ფორმას თავისი აზრითა და გამოსახულების ძალით შეესატყვისება მეორე ენის არა ანალოგიური, არამედ სხვა

ფორმა. ზუსტი და პირდაპირი ენობრივი შესატყვისობა [...] ზუსტი ენობრივი შესატყვისობის წესები არ არსებობს“ (გაჩეჩილაძე 1966: 270).

ენაში გადამწყვეტია არა სიტყვები, არამედ წინადადება. უპირველეს ყოვლისა, წინადადება სიტყვათა ისეთი ორგანიზებული შენაერთია, რომელშიც სიტყვები ერთმანეთთან შეწყობილია და ერთ მთლიან ერთეულად წარმოდგენილია ენაში საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული გრამატიკული წესების შესაბამისად. „ძირითადი ენობრივი ერთეული, რომელშიც ხორციელდება ადამიანის აზრის მატერიალურ-ენობრივ გარსში გამოხატვა და გაფორმება, წინადადებაა. იგი გრამატიკული ნიშნებით ხასიათდება, რომლებიც მას ერთ მთლიან, დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულად წარმოგვიდგენს. წინადადების გრამატიკული სტრუქტურა შეიცავს ენობრივ საშუალებებს, რომლებიც ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული და ემსახურებიან დამთავრებული აზრის სიტყვიერ ფორმაში გამოხატვას“ (კვაჭაძე 1966: 6).

ფაქტობრივად, მარტივი წინადადების სტრუქტურა, მისი ყალიბი ზმნის ფორმაშია მოქცეული; შემასმენელი წინადადების ძირითადი ელემენტია, რომელსაც სინტაქსურად მრავალი წევრი უკავშირდება. ამდენად, იგი განსაზღვრავს საყრდენ ანუ მთავარ წევრთა რაოდენობას წინადადებაში, აფრომებს და აძლევს მას დამთავრებულ სახეს.

ზმნისა და სახელის სინტაქსური ურთიერთობა ბევრ ენაში მარტივია: სახელი (ქვემდებარე) სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზარისით გაბატონებული, წამყვანი სიტყვაა, ზმნა (შემასმენელი) კი – დაქვემდებარებული. ქვემდებარე ითანხმებს, საზოგადოდ, ზმნას პირსა და რიცხვში, თვითონ ზმნა კი ვერ ახდენს გავლენას სახელის (ქვემდებარის) ფორმაზე: სინტაქსური დამოკიდებულება ცალმხრივია. ამ მხრივ, ქართულში თავისებური ვითარებაა: სახელი (ქვემდებარე თუ დამატებლობიექტი) და ზმნა ერთმანეთზე ახდენენ გავლენას ე.ი. სინტაქსური დამოკიდებულება ურთიერთდაქვემდებარებითია. სახელი (ქვემდებარე) ითანხმებს ზმნას პირსა და რიცხვში, ზმნა კი მართავს სახელს ბრუნვაში.

სწორი სინტაქსური კავშირისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათა წყობას წინადადებაში. სიტყვათა რიგის მიხედვით განსხვავებას ქმნის ენის მორფოლოგიური ტიპი: უაფიქსო ენებში სიტყვათა ურთიერთობას, ძირითადად, მათივე ადგილმდებარეობა განსაზღვრავს, აფიქსებიან ენებში კი სიტყვათა ურთიერთობისათვის მთავარია გრამატიკული ფორმა. ქართულში არაა სიტყვათა

ისეთი მყარი რიგის საჭიროება, როგორც ეს უაფიქსო ენებშია; ფრანგული წინადადების წყობა კი უფრო რეგლამენტირებულია.

სიტყვათა თავისუფალი და მყარი რიგის მიხედვით ენათა ორ ჯგუფად დაყოფა რამდენადმე მაინც პირობითია. ჟ. ვანდრიესის მართებული შენიშვნის თანახმად, „არ არსებობს ენა, რომელშიაც სიტყვათა რიგი აბსოლუტურად თავისუფალი იყოს, ანდა მყარი“ (Вандриес 1937: 137).

სიტყვათა შედარებით თავისუფალი რიგი ქართულ წინადადებაში სიტყვებისათვის ადგილის შეცვლის შესაძლებლობას იძლევა, რაც ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ სინტაქსური და სტილისტური მიზნებისათვის, აზრის სხვადასხვა ნიუანსის გადმოსაცემად ფილოსოფიური ტექსტის ქართულ თარგმანშიც. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ წინადადებაში სიტყვათა რიგი აბსოლუტურად თავისუფალი მაინც არაა. წინადადების წევრების გადასმ-გადმოსმას კი სხვადასხვა შედეგი მოსდევს; კერძოდ, შეიძლება დაირღვეს სინტაქსური კავშირი და ხელთ შეგვრჩეს მხოლოდ სიტყვათა წყება. მაგალითად,

”Et, en effet, si quelqu’un, lorsque je veille, m’apparaissait tout soudain et disparaissait de même, comme font les images que je vois en dormant, en sorte que je ne pusse remarquer ni d’où il viendrait ni où il irait, ce ne serait pas sans raison que je l’estimerais un spectre ou un fantome forme dans mon cerveau et semblable à ceux qui s’y forment quand je dors, plutôt qu’un vrai homme” (Descartes 1990: 222).

„და მართლაც, თუ სიფხიზლეში ყოფნის უამს ვინმე უცბად მომეჩვენებოდა და იმნიარადვე გაქრებოდა (აი როგორც ამას აკეთებენ სახეები, რომლებსაც მე ძილში ვხედავ), ასე რომ, მე არ მქონებოდა საშუალება შემემჩნია, საიდან მოვიდა იგი ან საით წავიდა, ასეთ შემთხვევაში მე არაუსაფუძვლოდ ჩავთვლიდი მას უმაღლ ჩემს ტვინში შექმნილ აჩრდილად ან მოჩვენებად, როგორც მიჩნდება ხოლმე მე ძილის დროს, ვიდრე ნამდვილ ადამიანად“ (დეკარტი 1955: 100).

აზრის სწორად გაგებისათვის უპირველესია სწორი სინტაქსური ფორმით მნიშვნელობათა შეერთების უნარმქონე სიტყვათა ისე დაკავშირება ერთმანეთთან, რომ თარგმანის ენაზე დაცული იქნეს აზრის ბუნებრივი მდინარება; მაგალითად, მოხმობილი ფრაზა ვთარგმნეთ, ასე:

„მართლაც, ცხადად ვინმე უეცრად რომ დამიდგეს წინ და უეცრადვე გაუჩინარდეს, მე ვერ მივხვდები — საიდან მოვიდა ან სად წავიდა იგი, როგორც ეს ხდება იმ სახეების მიმართ, ძილში რომ ვხედავ. ამ შემთხვევაში არცთუ უსაფუძვლოდ მას მივიჩნევდი არა ნამდვილ ადამიანად, არამედ უმაღლ ლანდად, მოჩვენებად, რომელიც ჩემმავე ტვინმა შექმნა“ (დეკარტი 2001: 182).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინადადებაში სიტყვათა რიგზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლოგიკური მახვილი. წინადადების ცენტრს სწორედ ლოგიკური მახვილის მატარებელი სიტყვა წარმოადგენს; იმის შესაბამისად, თუ რომელ სიტყვაზეა ლოგიკური მახვილი, სიტყვათა რიგიც სხვადასხვა გვექნება წინადადებაში. „ლოგიკური მახვილი ანუ იმის გამოხატვა, რა არის წინადადებაში აზრობრივად ახალი და მთავარი, ტექსტის აზრის არსებითი ნაწილია და მისი კანონების უგულებელყოფა თარგმანში დაუშვებელია“ (ნათაძე 1986: 132).

Car qu'y avait-il dans cette première perception qui fût distinct? Qu'y avait-il qui ne semblât pouvoir tomber en même sorte dans le sens du moindre des animaux? Mais quand je distingue la cire d'avec ses formes extérieures, et que tout de même que si je lui avais ôté ses vêtements, je la considère toute nue, il est certain que, bien qu'il se puisse encore rencontrer quelque erreur dans mon jugement, je ne la puis néanmoins concevoir de cette sorte sans un esprit humain (Descartes 1990: 141-142).

„მართლაც, რა იყო პირველ წარმოდგენაში ისეთი, რაც გარკვეული ყოფილიყო? რა იყო იქ ისეთი, რაც უკანასკნელი პირუტყვის გრძნობებსაც კი არ შეეძლო იმნაირადვე შეემჩნია? მაგრამ, როდესაც მე ვარჩევ სანთელს მისი გარეგნული ფორმებისაგან და თითქოს ვაცლი მას მის სამოსელს და ვაკვირდები მას სრულიად გაშიშვლებულს, ცხადია, რომ ამნაირად სანთლის წვდომა მე არ შემეძლია ადამიანის გონების გარეშე“ (დეკარტი 1955: 23).

მოხმობილი ფრაზის თარგმანი ორიგინალისაგან განსხვავდება ლოგიკური აქცენტების გადანაწილებით, რაც არსებითია. (ლოგიკური მახვილი კითხვით სიტყვაზეა); იმავე ფრაზის თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„მართლაც, იყო თუ არა რაიმე გარკვეული პირველ პერცეფციაში, ან რა იყო მასში ისეთი, რაც ზუსტად ისევე არ იმოქმედებდა ნებისმიერ ცხოველის გრძნობაზე? როდესაც მე განვასხვავებ სანთელს მისი გარეგანი ფორმებისაგან და თითქოს საბურველმოსხნილს – შიშველს განვიხილავ, იქნებ ჩემ მსჯელობაში იყოს რაიმე შეცდომა, მაგრამ მაინც არ შემეძლია მისი პერცეფცია ადამიანური გონების გარეშე“ (დეკარტი 2001: 123).

სინტაქსური კონსტრუქციები ლაკონურობით ან კომპონენტთა სიჭარბით, ორივე შემთხვევაში დაკავშირებულია ფილოსოფიური ტექსტის ენასთან. ხშირ შემთხვევაში, თარგმნისას სირთულე შეიძლება გამოიწვიოს რთული წინადადების კონსტრუქციამ; რთული წინადადება არ წარმოადგენს მარტივ წინადადებათა ფორმალურ თუ მექანიკურ შეერთებას; აზრობრივად და ინტონაციურად რთული წინადადება ერთი მთლიანი, დასრულებული სინტაქსური ერთეულია, ხოლო მასში გაერთიანებული მარტივი წინადადებები ამ მთლიანი ერთეულის ორგანული ნაწილებია. „რთული წინადადების წარმოქმნა ადამიანის აზროვნებისა და

მეტყველების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია. იგი ენის სინტაქსური წყობის შემდგომი სრულყოფის მაუწყებელია“ (კვაჭაძე 1966: 323).

ქართული რთული წინადადების გენეზისს ბევრი რამ აქვს საერთო სხვა ენების, მათ შორის ფრანგული ენის, ამავე ტიპის წინადადების გენეზისთან. ნ. ნათაძის თქმით, „ავტორი უდავოდ, უფიქრდება იმას, ვრცელ თუ მცირე აბზაცებად დაყოს თავისი პროზა, როდის მარტივი წინადადება იხმაროს და როდის რთული, როდის მარტივი სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციები და როდის – ლიტერატურისათვის დამახასიათებელი. ეს სულ ისეთი სტილისტური საშუალებებია, რომელნიც თარგმანის ენაზე გადაიტანებიან იმავე ან დაახლოებით იმავე საშუალებებით. ქართულ ენაში გრძელი რთული წინადადებები ისევე შეესაბამება გამოთქმის ლიტერატურულ მანერას და შედარებით მშვიდ კილოს, ხოლო მარტივი წინადადებები – გამოთქმის ყოველდღიურ, სასაუბრო ფორმას ან ემოციურ, აღელვებულ კილოს, როგორც ფრანგულში“ (ნათაძე 1986: 121).

მარტივი წინადადება აზრის გამოსატვის უფრო მოქნილი საშუალებაა; მაგრამ ფილოსოფიურ ტექსტში მარტივი წინადადებით იშვიათად შეიძლება გადმოვცეთ ისეთი რთული ქვეწყობილი წინადადების შინაარსი, რომელიც შეიცავს რამდენიმე დამოკიდებულ წინადადებას, რომელთა შორისაც მრავალფეროვანი აზრობრივი მიმართება გამოხატულია სხვადასხვა კავშირებით, მიმართებითი თუ საკორელაციო სიტყვებით, ზმნის დროთა თუ კილოს ფორმებით. ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში თარგმნისას ერთ-ერთს (მარტივ, რთულ, თუ გრძელი წინადადების დაყოფას მოკლე წინადადებად, რომლებიც უფრო ადვილი სათარგმნია) უპირატესობა ეძლევა იმის მიხედვით, რომელიც უფრო ნათლად, ზუსტად და ბუნებრივად გამოსატავს გადმოსაცემის შინაარსს. მაგალითად,

Aussi est-il vrai que, lorsque je me regarde seulement comme venant de Dieu, et que je me tourne tout entier vers lui, je ne découvre en moi aucune cause d'erreur ou de fausseté; mais aussitôt après, revenant à moi, l'expérience me fait connaître que je suis néanmoins sujet à une infinité d'erreurs, desquelles venant à rechercher la cause, je remarque qu'il ne se présente pas seulement à ma pensée une réelle et positive idée de Dieu, ou bien d'un être souverainement parfait; mais aussi, pour ainsi parler, une certaine idée négative du néant, c'est-à-dire de ce qui est infiniment éloigné de toute sorte de perfection, et que je suis comme un milieu entre Dieu et le néant, c'est-à-dire placée de telle sorte entre le souverain être et le non-être, qu'il ne se rencontre de vrai rien en moi qui me puisse conduire dans l'erreur en tant qu'un souverain Être m'a produit; mais que si je me considère comme participant en quelque façon du néant ou du non-être, c'est-à-dire en tant que je ne suis pas moi-même le souverain Être et qu'il me manque plusieurs choses, je me trouve exposé à une infinité de manquements, de façon que je ne me dois pas étonner si je me trompe (Descartes 1990: 173).

„და მართლაც, როდესაც მე ჩემს თავს განვიხილავ მხოლოდ იმ მხრივ, რომ ღმერთისაგან მოვდივარ, და როდესაც მე მთლად მისკენ ვარ მიქცეული, მე ვერ ვპოულობ ჩემში შეცდომის ან სიყალბის რაიმე მიზეზს. მაგრამ ამის შემდეგ, როდესაც მე ვუბრუნდები ჩემს თავს, გამოცდილება მეუბნება, რომ მე მაინც მსხვერპლი ვარ უამრავი შეცდომისა, რომელთა მიზეზის გამოძიების დროს მე ვამჩნევ, რომ მარტო ღმერთის ან უაღრესად სრული არსების რეალური და პოზიტიური იდეა კი არ წარმოუდგება ჩემს აზრს, არამედ აგრეთვე, ასე ვთქვათ, არარაობის რაღაც ნეგატიური იდეაც, ე.ი. იდეა იმისა, რაც უსაზღვროდ დაშორებულია ყოველგვარი სისრულისაგან, – წარმოუდგება, რომ მე ვარ თითქოს შუა ადგილი ღმერთსა და არარაობას შორის, ე.ი. იმნაირად ვარ მოთავსებული უზენაეს არსსა და არა-არსს შორის, რომ ჩემში ჭეშმარიტად არ მოიპოვება ისეთი რამ, რასაც, რამდენადაც მე შემქმნა უზენაესმა არსებამ, შეეძლოს ჩემი შეყვანა შეცდომაში. მაგრამ, თუ მე განვიხილავ ჩემს თავს, როგორც ისეთ რამეს, რასაც რაღაცნაირად წილი აქვს არარაობაში ან არარსში, ე.ი. განვიხილავ იმ თვალსაზრისით, რომ მე თვითონ არ ვარ უზენაესი არსი და რომ მე მაკლია მრავალი რამ, მაშინ მე ვამჩნევ, რომ უამრავი ნაკლოვანება შეიძლება მქონდეს, ასე რომ არ უნდა გამიკვირდეს, თუ შეცდომას ჩავიდენ“ (დეკარტი 1955: 53-54).

ვფიქრობთ, სინტაქსის თვალსაზრისით, დასაშვები გრამატიკული ცვლილებები და გადაჯგუფებები, წინადადების დაყოფა უფრო პატარა ნაწილებად, ანდა შედარებით მცირე ნაწილების გაერთიანება ერთ მთელად, პუნქტუაცია, სტრუქტურის თვალსაზრისით არ ქმნის ძალზე მრავალფეროვანი და მოცულობით ესოდენ დიდი ფრაზის აზრის ლაღად წვდომის შესაძლებლობას. იგივე რთული ქვეწყობილი წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„მართლაც, როდესაც საკუთარ თავს განვიხილავ როგორც მხოლოდ ღმერთიდან წარმოშობილს და როდესაც მთელი არსებით ყურადღებას მივმართავ მისკენ, ვერ ვნახულობ ჩემში შეცდომისა თუ მცდარობის ვერავითარ ნიშანს; მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როგორც კი საკუთარ თავს მივუბრუნდები, გამოცდილება მარწმუნებს, რომ მაინც უამრავ ცდომილებას ვექვემდებარები; როდესაც მე ამის მიზეზს ვეძებ, ვამჩნევ, რომ ჩემს გონებას წარმოუდგება არა მხოლოდ რეალური და დადებითი იდეა ღმერთისა, ე.ი. ხესრულყოფილი არსებისა, არამედ ასე ვთქვათ, ერთგვარი უარყოფითი იდეაც არარასი ე.ი. იმისა, რაც უაღრესად დაშორებულია ყოველგვარი სრულყოფილებისაგან. თავად მე ვარ რაღაც შუალედური ღმერთსა და არარასს შორის ე.ი. ისე ვარსებობ უმაღლეს ყოფიერებას და არარასს შორის, რომ ჩემში – როგორც უმაღლესი ყოფიერების ქმნილებაში, მართლაც, არაფერია ისეთი, რასაც ძალუძს მიმიყვანოს შეცდომაში. მაგრამ თუ საკუთარ თავს განვიხილავ როგორც ერთგვარად არარასთან ანუ არარსებობასთან წილნაყარს, ე.ი. რაკი თავად მე არ ვარ უზენაესი ყოფიერება და უამრავ ნაკლს ვექვემდებარები, სრულიადაც არ იქნება საკვირველი, რომ მე ვცდებოდე“ (დეკარტი 2001: 145).

ფილოსოფიურ თხზულებათა ენის მეტად საჭირო, და ამის გამო, ძალზე ნიშანდობლივ კომპონენტს წარმოადგენს ე.წ. ჩართულები, რომელთა დანიშნულებაც წინა წინადადებებთან კავშირის დამყარებაა. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ,

დანასკვი უკავშირდება წანამძღვრებს, შედეგი – მთელ წინამავალ მსჯელობას, მტკიცებას. ჩართული – წინადადების წვერებთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა თუ სიტყვათა შეკავშირება – გამოხატავს მოდალობას, ე.ი. იმას თუ როგორ უყურებს მთქმელი თქმულის შინაარსს, როგორც ფაქტს თუ როგორც შესაძლებელს, ვარაუდს. ამის შესაბამისად, ჩართულ სიტყვა-გამოთქმათა ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ა) ჩართული გამოხატავს, რომ მთქმელი დარწმუნებულია თქმულის უეჭველობა-უტყუარობაში. ასეთ შემთხვევაში, ჩართულის სახით გამოიყენება შემდეგი სიტყვები: „ცხადია“, „რა თქმა უნდა“, „უეჭველია“, „რასაკვირველია“, „უთუოდ“, „აშკარაა“, „მართლაც“ და სხვა; ბ) ჩართული გამოხატავს მთქმელის ვარაუდს, წინადადებაში გამოთქმული აზრის საეჭვოდ მიჩნევას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი სიტყვები: „მგონია“, „ალბათ“, „შესაძლებელია“, „როგორც ეტყობა“ და ა.შ.

თარგმნის დროს ზუსტად უნდა შეირჩეს ჩართული სიტყვისა თუ გამოთქმის ტოლფასი თარგმანის ენაზეც; აღნიშნული მოთხოვნის უგულვებლყოფა ხშირ შემთხვევაში სტილისტურადაც მიუღებელია ქართულისათვის; თქმულის ნიმუშად მოვიხმობთ რამდენიმე წინადადებას:

1. Supposons donc maintenant que nous sommes endormis (Descartes 1990: 123).

„მაშ, ვიგულისხმით ახლა, რომ ჩვენ გვიძინავს“ (დეკარტი 1955: 3).

ვფიქრობთ, უმჯობესია ვთარგმნოთ ასე:

„მაშ ასე, დავეუშვათ გვიძინავს“... (დეკარტი 2001: 129).

2. Mais peut-être qu'encore que les sens nous trompent (Descartes 1990: 121).

„მაგრამ, თუმცა გრძნობები, შესაძლებელია გვატყუებენ“... (დეკარტი 1955: 2).

ჩვენი აზრით, ასეთი თარგმანი უფრო ბუნებრივია:

„თუმცა, შესაძლოა, გრძნობები გვატყუებენ“... (დეკარტი 2001: 108).

3. Elles ne peuvent, à proprement parler, être fausses (Descartes 1990: 148).

„...ისინი (იდეები), ზუსტად რომ ითქვას, არ შეიძლება მცდარი იყვნენ“ (დეკარტი 1955: 30).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩართულის სახით, კალკზე მეტად უმჯობესია აზრობრივად ადეკვატური შესიტყვება გამოვიყენოთ; მაგალითად,

„...ისინი (იდეები), კაცმა რომ თქვას, არც შეიძლება იყონ მცდარნი“ (დეკარტი 2001: 128).

4...qu'il me semble que cela m'est enseigné par la nature (Descartes 1990: 149).

„...ჩემი შეხედულებით, თვითონ ბუნებამ მასწავლა მე ეს“ (დეკარტი 1955: 31).

ვფიქრობთ, სტილისტურად და სემანტიკურადაც ასეთი თარგმანი უფრო მისაღებია:

„მე მგონი, ეს შეხედულება ბუნებისაგან მაქვს შთაგონებული“ (დეკარტი 2001: 129).

5...je n'ai certes aucun sujet de me plaindre de ce que Dieu (Descartes 1990: 181).

„არ მაქვს, ცხადია, არავითარი საფუძველი ვემდუროდე იმას, რომ ღმერთს არ მოუციო“... (დეკარტი 1955: 62).

თუ ამ წინადადების სიტყვათა წყობას შევცვლით, აზრი სავსებით ნათელი გახდება. კერძოდ,

„ცხადია, არავითარი საფუძველი არ მაქვს ღმერთს ვემდუროდე“ (დეკარტი 2001: 151).

6.Et certes il n'y a point de doute que Dieu n'ait pu me créer tel que je ne me trompasse jamais, il est certain aussi qu'il veut toujours ce qui est meilleur (Descartes 1990: 174).

„ცხადია, მაშ, და არავითარი ეჭვიც არ არის იმაში, თითქოს ღმერთს არ შეეძლო გავეჩინე მე ისეთად, რომ არასოდეს არ შემძლებოდა შეცდომის ჩადენა. მაგრამ ცხადია აგრეთვე, რომ ღმერთს სურს ყოველთვის ის, რაც საუკეთესოა“ (დეკარტი 1955: 55).

ჩართულის თარგმანის გამო აზრი ბუნდოვანია; თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„ეჭვგარეშეა, ღმერთს ხელეწიფებოდა შევექმენი ისეთად, რომ არასოდეს დამეშვა შეცდომა. ასევე უდავოა ისიც, რომ მას ყოველთვის ის სურს, რაც საუკეთესოა“ (დეკარტი 2001: 146).

7...et partant il me semble que déjà je puis établir pour règle générale... (Descartes 1990: 145).

„აქედან გამოსული, მე ვფიქრობ, რომ უკვე შემიძლია დავადგინო ზოგად წესად შემდეგი დებულება“ (დეკარტი 1955: 27).

ამ შემთხვევაშიც კალკი უხეშად ხვდება ყურს. ვფიქრობთ, ბევრად უფრო ბუნებრივია ასეთი თარგმანი:

„აქედან გამომდინარე, უკვე მეჩვენება, რომ შემიძლია ზოგად წესად დავადგინო შემდეგი“... (დეკარტი 2001: 126)].

8. De même, quand je pense que je suis maintenant... (Descartes 1990: 158).

„ამაირადვე, როდესაც მე ვფიქრობ, რომ მე ვარ ამჟამად“... (დეკარტი 1955: 40).

ჩართულის სახით თუ სხვა სიტყვას შევარჩევთ და ვთარგმნით არა სიტყვასიტყვით, არამედ აზრობრივად, მოხმობილი წინადადებაც უფრო ბუნებრივ სახეს მიიღებს ქართულად; მაგალითად,

„ზუსტად ასევე, როდესაც მე აღვიქვამ ჩემს ამჟამად არსებობას“... (დეკარტი 2001: 135).

ჩართულ სიტყვასა თუ წინადადებასთან მიმართებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იგი ცვლის წინადადების კონსტრუქციას. ამიტომ აუცილებელია სასვენი ნიშნების მკაცრად დაცვა, რათა დაწერილი სწორად წავიკითხოთ.

პუნქტუაცია, მართალია, არ არის გრამატიკის ნაწილი, მაგრამ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული გრამატიკასთან, კერძოდ, სინტაქსთან. პუნქტუაციის საფუძველი ლოგიკურ-სინტაქსურია. „სასვენი ნიშნებით ნაწევრდება ტექსტი წინადადებებად, წინადადებები—შემადგენელ ნაწილებად, რომელთა სასვენი ნიშნებით გამოყოფასაც მნიშვნელობა აქვს როგორც აზრის ნათლად გადმოცემისათვის, ისე დაწერილის სწორად გაგებისათვის; პუნქტუაციის ძირითადი დანიშნულება სწორედ ესაა“ (АНАКМОВ 1954: 5). თუმცა, სასვენ ნიშნებს დამატებითი ფუნქციაც აქვთ. ასე მაგალითად, ორი წერტილი აღნიშნავს არა რთული წინადადების დანაწევრებას ორ შემადგენელ ნაწილად, არამედ ამ ნაწილების ლოგიკურ მიმართებასაც.

Considérant cela avec attention, il me vient d'abord en la pensée que je ne me dois pas étonner si je ne suis pas capable de comprendre pourquoi Dieu fait ce qu'il fait, et qu'il ne faut pas pour cela douter de son existence, de ce que peut-être je vois par expérience beaucoup d'autres choses qui existent, bien que je ne puisse comperndre pour quelle raison ni comment Dieu les a faites (Descartes 1990: 174).

„განვიხილავ რა ამ საკითხს ყურადღებით, მე უწინარეს ყოვლისა მიხნდება ის აზრი, რომ არ უნდა მიკვირდეს, თუ მე არ შემწევს ძალა გავიგო, რისთვის აკეთებს ღმერთი იმას, რასაც იგი აკეთებს, და რომ ამის გამო არ უნდა მეეჭვებოდეს მისი არსებობა, ვინაიდან მე ვხედავ ჩემს გარშემო მრავალ არსებულ საგანს, თუმცა მე არ შემიძლია გავიგო, რისთვის ან როგორ გააკეთა ისინი ღმერთმა“ (დეკარტი 1955: 55).

მოხმობილი ფრაზა ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

„რაც მეტი ყურადღებით განვიხილავ ამას, მით უფრო მეტად მეზადება აზრი, რომ არ უნდა მიკვირდეს: არსებობს ღმერთის მიერ შექმნილი მრავალი ნივთი, რომელთა შეცნობა არ ექვემდებარება ჩემი გაგების უნარს; გამოცდილებით ვრწმუნდები მათ არსებობაში, თუმცა არ შემიძლია გავიგო, რატომ ან როგორ შექმნა ისინი ღმერთმა“ (დეკარტი 2001: 146).

ამრიგად, ნიმუშად მოხმობილი ფრაზების თარგმანთა ორი ვერსია ცხადყოფს, რომ ფილოსოფიური ტექსტის (სერთოდ, პროზის) ფრანგული ენიდან ქართულად თარგმნისას ფილოსოფიური ტექსტის თარგმანი დიდ შესაძლებლობას იძლევა სინტაქსის თვალსაზრისით. თარგმნის პროცესში დასაშვები სხვადასხვა სახის გრამატიკული ცვლილებები და გადაჯგუფებები ანუ ტექსტის დეკონსტრუქცია (ეს

სიტყვა ტერმინად პირველად გამოიყენა დერიდამ ჰუსერლის „გეომეტრიის საწყისების“ მისეული თარგმანისათვის წამდვარებულ შესავალში 1962 წელს) არის მისთვის (ტექსტისთვის) ნიშანდობლივი წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების გამოვლენისა და იმის ჩვენების პროცესი, თუ როგორ ეცლება საფუძველი მის მოჩვენებით მნიშვნელობას. ნაცვლად ტექსტის ფიქსირებული მნიშვნელობისა, არსებობს მხოლოდ ტექსტის ხელახლა კომენტირების, ინტერპრეტაციისა და რეინტერპრეტაციის შესაძლებლობების უსასრულო ჰორიზონტი.

უფრო პატარა ნაწილებად წინადადების დაყოფა, ანდა პირიქით მცირე ნაწილების გაერთიანება ერთ მთელად. ყოველივე ეს გარკვეულწილად ეხმარება მთარგმნელს; მისი ამოცანის ერთ-ერთი სირთულე ისეთი სინტაქსური ერთეულების შექმნაა, რომელშიც წინადადების წევრები ერთმანეთთან შეწყობილია ქართულ ენაში ისტორიულად შემუშავებული წესების შესაბამისად; ფაქტია, სიტყვის გრამატიკულ ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს სინტაქსური კავშირისათვის ქართულში; აქედან გამომდინარე, თარგმნისას არსებითია შემდეგი მოთხოვნა: სათანადო ფორმით შევუწყოთ ერთმანეთს სიტყვები, რათა მათ შორის ქართულისათვის ბუნებრივმა სინტაქსურმა მიმართებამ უზრუნველყოს აზრის სიცხადე. აღნიშნული წესის დაცვა სიტყვათა შორის სწორი სინტაქსური მიმართების დამყარების გარანტია და პირუკუ: როდესაც ქართული სიტყვები მოქცეულია უცხო სინტაქსის ყალიბში, კალკი განსაკუთრებით მძიმე ფორმას იღებს თარგმანში.

V თავი

ლექსიკური პრობლემატიკა ფრანგული ფილოსოფიური ტექსტის ქართულ თარგმანში

ჰაიდეგერის ცნობილი სიტყვები „ენა ყოფიერების სახლია“ მიუთითებს იმას, რომ ყოფიერებას ადამიანი მისივე რაობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი უნარის – სიტყვის – მეშვეობით ეზიარება. ყოფიერება ადამიანსა და ყოფიერს შორის ანუ ენაშია. ენა რაღაცას გამოთქვამს, წარმოაჩენს, მსოფლმხედველობა კი ასაგნებს სამყაროსაც და ენასაც ანუ აქცევს მას ნიშანთა სისტემად

ვ. ფონ ჰუმბოლდტის აზრით, თავის „მოუხელთებელ გონს“ ადამიანი ამწყვედევს სიტყვაში და იყენებს სიტყვებს, როგორც საყრდენს ამ გონის „მოუხელთებელი მიზნების“ მისაღწევად. ისინი აღმატებიან იმას, რისი გამოსატყვაც შეიძლება სიტყვით, მაგრამ ადამიანს ესაჭიროება სიტყვები, რადგან იგი თავს აფუძნებს ენაში“ (Гумбольдт 1985: 349, 378).

აზრთა და გრძნობათა გადმოსაცემად ყოველი ერი განსხვავებულ ვერბალურ ხერხებს იყენებს; წინადადებასაც ისე აგებს, როგორც იგი აზროვნებს; „ჩვენ ყოველთვის რაღაცნაირად ვანაწევრებთ სინამდვილეს იდენტიფიცირებადი და განსხვავებადი ობიექტების სიმრავლედ [...] არა იმიტომ, რომ ობიექტივაციის ჩვენი მოდელი ადამიანის ბუნების უცვლელი ნიშანია, არამედ იმიტომ, რომ უცხო წინადადებების გაგებისა და თარგმნის თავად პროცესში ჩვენ ნებისმიერ უცხო მოდელს გარდაუვლად ვარგებთ ჩვენს საკუთარს“ (Quine 1969: 1)

„თარგმნის შემოქმედებითი პროცესი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების შემოქმედებითი პროცესის საპირისპირო პროცესია, რომლის დროსაც ამოცანას წარმოადგენს არა მოძრავი ნიშნებით ტექსტის უძრავი სტრუქტურის აგება, არამედ ამ სტრუქტურის ნაწილებად დაშლა, რის შემდეგაც ნიშნები მთარგმნელს თავიდან მოჰყავს მოძრაობაში“ (პასი 2002: 16).

ვერბალური თვალსაზრისით, ორი ენის სიტყვათა სემანტიკის არაიდენტურობას საკამათოდ აღარ ხდიან, თუმცა ეს მაინც არ მიაჩნიათ იმის საბუთად, რომ ორ ენაში არ შეიძლება წარმოიშვას იდენტური ინფორმაციის მქონე ტექსტი. აღეკვატურობა ასეთ დროს უფრო იმ ენობრივი კოლექტივის სემანტიკური ნორმებიდან მომდინარეობს, რომლის ენაზეც ითარგმნება ტექსტი, რადგან ენათა შორის სხვაობის არსებითი საფუძველი სემანტიკაშია.

„ენა მნიშვნელობაა, აზრია“, ითარგმნება აზრები და არა სიტყვები თავისთავად. „ენაში შეწოვილია მრავალი თაობის სიბრძნე და გამოცდილება და არ უნდა დავადანაშაულოთ ენა თუკი მას არასწორად ვიყენებთ [...] ენა ეჭვიან (შურიან) ღმერთსა ჰგავს, იგი არ გვაპატიებს მისი სიტყვების ფუჭად ხმარებას და შეგვიყვანს წყვილადსა და გაურკვეველობაში“ (პოპერი 2000: 26).

ზოგადად მოდერნის აზროვნებაში ყველაზე გამოკვეთილ გარღვევად მიჩნეულია ფუნდამენტალიზმის შეცვლა პოლიზმით. ცნობიერების ფილოსოფიაში პოლიზმი ამტკიცებს, რომ მენტალური მდგომარეობის იდენტიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ მისი სხვა მენტალურ მდგომარეობებთან მიმართების ტერმინებში. თანამედროვე ტერმინოლოგიით პოლიზმად მიიჩნევა ნებისმიერი დოქტრინა, რომელიც, არსებითად, ხაზს უსვამს მთელის რაიმე პრიორიტეტს მის ნაწილებთან შედარებით. კვლევის რომელიმე სფეროს მიმართ პოლისტურ მიდგომად იგულისხმება ორი დებულებიდან ერთ-ერთი: 1) მთელის ყველა ნაწილის და მათ შორის ურთიერთმიმართებათა სრული ახსნაც კი ვერ მოგვცემს მთელის ადეკვატურ ახსნას; 2) თვით ნაწილთა ადეკვატური ახსნა ან ინტერპრეტაცია კი შეუძლებელია იმ მთელის გაუთვალისწინებლად, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან.

სიტყვისა თუ წინადადების მნიშვნელობის დასადგენად ოსტინისა და ვიტგენშტაინისათვის ამოსავალი იყო კონტექსტი – როგორც ლინგვისტური, ასევე არალინგვისტური. ენის ყველაზე გავლენიანი თანამედროვე ფილოსოფოსები ისევ ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ მნიშვნელობასა და რეფერენციას.

შემოქმედების გვიანდელ პერიოდში ვიტგენშტაინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ლინგვისტური ანალიზის ობიექტი უნდა იყოს ენის გამოყენება ისეთი ყოველდღიური სოციალური აქტივობების კონტექსტში, როგორებიცაა ბრძანება, რჩევა, თხოვნა, გაზომვა, დათვლა, ერთმანეთზე ზრუნვა და ა.შ. ასეთი განსხვავებული სახის აქტივობები მის მიერ გაგებულია „ენობრივ თამაშებად“, რომელთა ერთიანობაც წარმოადგენს „ცხოვრების ფორმას“. მხოლოდ ამგვარ კონტექსტებსა (თამაშებსა) და კონკრეტულ „ლინგვისტურ საზოგადოებაში“ მიღებულ წესთა თანახმად გამოყენება ანიჭებს გამონათქვამებს მნიშვნელობას; ეს უკანასკნელი არ შეიძლება იყოს „გამონათქვამის მიერ აღნიშნული ობიექტი“ ან „ხატი ჩვენს ცნობიერებაში“.

ოსტინი „მეტყველების აქტების“ თეორიაში განასხვავებს სამი ტიპის აქტს (ლოკუციური, ილოკუციური და პერლოკუციური აქტები) იმის მიხედვით, თუ რა მიზნითაა ისინი განხორციელებული სუბიექტის მიერ. ამ განსხვავების

გათვალისწინება არსებითია ლინგვისტური ანალიზისათვის. ასე რომ, ლინგვისტური ერთეულების განხილვა მათი გამოყენების კონტექსტისაგან დამოუკიდებლად, ოსტინსაც არამართებულად მიიჩნია.

აღსანიშნავია, რომ ენისადმი ეს მიდგომა თავისთავად ჰოლისტურია. იმ ფილოსოფოსების საპირისპიროდ, რომლებიც მნიშვნელობის საფუძვლებს ლინგვისტური ანალიზის უმარტივეს პროდუქტებში ეძებდნენ, ოსტინი და ვიტგენშტაინი მნიშვნელობას ეძებდნენ კონტექსტში, – როგორც ლინგვისტურ, ასევე არალინგვისტურ კონტექსტებში. ლინგვისტური ჰოლიზმი პოსტმოდერნული სახისაა: სიტყვები და წინადადებები მნიშვნელობას იძენს მათი გამოყენების კონტექსტიდან – ისინი თან არ დაატარებენ „მინაგან“ საზრისს ერთი კონტექსტიდან მეორეში.

ნ. მარფის აზრით ვიტგენშტაინის გვიანდელი შრომები და ოსტინის მეტყველების აქტების თეორია პოსტმოდერნულია, არა იმიტომ, რომ ისინი უარყოფენ, რომ ენა (ხანდახან) გამოიყენება საგანთა ან საგნობრივ ვითარებათა აღნიშვნისა ან აღწერისათვის, არამედ იმიტომ, რომ რეფერენცია შემოდის მხოლოდ როგორც გამოყენების ფუნქცია. მნიშვნელობა დამოკიდებულია იმ როლზე, რომელსაც ენა ასრულებს ლინგვისტური თუ არალინგვისტური კონვენციების, პრაქტიკების, „განხორციელებათა“, „ცხოვრების ფორმების“ სისტემაში.

ფილოსოფიური ტექსტის თარგმანთან დაკავშირებულ ლექსიკური პრობლემატიკისადმი ჩვენი მიდგომა ჰოლისტურია; ამოსავალია შემდეგი დებულება: ყოველ ენას აქვს საშუალება იქცეს ნებისმიერ სხვა ენად. მაგრამ „არ არსებობს ორი ენა, სადაც აზრობრივი ერთეულები – მორფემები, სიტყვები, მყარი შეიტყვებები მთელი თავისი რეფერენტული მნიშვნელობებით ამჟღავნებდნენ სრულ იდენტობას. ხშირ შემთხვევაში, წ. ე. ერთ სიტყვას თარგმანის ენის რამდენიმე სემანტიკური ეკვივალენტი შეესაბამება. საერთოდ, სიტყვის მნიშვნელობათა წრე ხან წ. ე-ში აღმოჩნდება უფრო ფართო, ხან კი თ. ე-ში“ (ფანჯიკიძე 1995: 13).

ფილოსოფიური ტექსტის ენა საერთო-სალიტერატურო ენის, როგორც მთელის, ერთი ნაწილი და დამოუკიდებელი ქვესისტემაა; მათ შორის მუდმივი კონტაქტია. მთარგმნელის ამოცანა იმ რესურსთა მოძიებაა, რომელიც მას ორიგინალის სადარი ასლის შექმნას შეაძლებინებს. „ენათა და გამომხატველ საშუალებათა განსხვავება ძალაუწებურად განაპირობებენ თარგმანის მეტ-ნაკლებ დაცილებას დედნისაგან. რაც ნაკლებია დაცილება, მით უკეთესია თარგმანი და მით ნაკლებად ჩანს მასში მთარგმნელის პიროვნება, რაც მეტად სცილდება თარგმანი დედანს, მით უფრო

თვალშისაცემია მთარგმნელის „შუამავლობა“ და, მაშასადამე, მით უფრო აგებს თარგმანი“ (წიბახაშვილი 1975: 62).

ცხადია, ფილოსოფიური ტექსტის ადეკვატური თარგმანი დიდად არის დამოკიდებული ორიგინალისა და თარგმანის ენათა სისტემის აგებულებასა და იმაზე, თუ როგორია ცალკეული სიტყვების მნიშვნელობათა სემანტიკური ველი, შეხამების უნარი, რომელი სიტყვა რომელს ითხოვს ან ეგუება ამა თუ იმ ლოგიკურ-სემანტიკურ კავშირში, სხვადასხვა თავისუფალ თუ მყარ შესიტყვებაში.

ერთიან ორგანულ კავშირში არსებული საერთო-სალიტერატურო ენა და ფილოსოფიისათვის ნიშანდობლივი ტერმინოლოგიური სისტემა ენის კანონების მიხედვით ფუნქციობს; შესაბამისად, ენობრივი ნიშნის ყველა ტენდენცია – პოლისემია, სინონიმია, ანტონიმია – მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი ამისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება.

V. 1) პოლისემიის პრობლემა

ტერმინს, სიტყვის დარად, შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ლექსიკური მნიშვნელობა. პოლისემიურობა – სიტყვის სემანტიკური ტევადობის ის უნარი, რომ იხმარებოდეს სხვადასხვა სამეტყველო კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობისა თუ აზრობრივი ნიუანსისათვის – სემანტიკურად და სტილისტურად ამდიდრებს ენას.

ი. ფრეი პოლისემიას იზოტოპიას ადარებს და წერს: „გარკვეული მოსაზრებით პოლისემია ედარება იზოტოპიას; ისევე როგორც პოლისემიურ ვარიანტებს აქვთ ერთი და იგივე ფონოლოგიური აგებულება, იზოტოპებსაც გააჩნიათ იგივე ქიმიური კონსტრუქცია, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განირჩევიან ატომთა წონით და თავიანთი რადიოაქტიური დამოკიდებულებით ისევე, როგორც პოლისემიური სიტყვები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სემანტიკური შინაარსით და დისტრიბუციით“ (Frei 1954: 45).

პოლისემიური სიტყვის ცალკეული ლექსიკური მნიშვნელობა, როგორც „ნაწილი“, გასაგებია მხოლოდ მთელიდან, ფრაზიდან. ფრაზა წარმოგვიდგება იმ საფუძველად, სადაც სიტყვები ერთმანეთს უკავშირდება სხვადასხვა სემანტიკურ

მიმართებაში, ე.ი. სწორედ ფრაზაში აღწევს სიტყვა თავის განსხვავებულ, მრავალფეროვან ლექსიკურ ღირებულებათა რეალიზაციას.

ჯერ კიდევ ფრანგმა ლინგვისტმა მ. ბრეალმა შეამჩნია კონტექსტის აუცილებლობა პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად. „პოლისემიური სიტყვების სემანტიკური დამოუკიდებლობა ძალზე სუსტია; ისინი საჭიროებენ კონტექსტს, რათა გაგებულ იქნენ. პოლისემიური სიტყვები ძალზე მერყევი, არასაიმედო მეგზურები არიან და ამდენად საჭიროებენ გარემოებათა იმ ანსამბლს, რომელიც, ისევე როგორც გასაღები მუსიკაში, ადგენს ნიშანთა ღირებულებას“ (Bréal 1896: 48).

ამგვარად, სწორედ კონტექსტს – როგორც სემანტიზაციის ერთ-ერთ საშუალებას – გააჩნია ის აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც გამოგვადგება პოლისემიურობის პრობლემის გადასაჭრელად. რადგან როგორც სიტყვის, ისე ფილოსოფიურ ცნებათა გამომხატველი ტერმინის მნიშვნელობის სიცხადე, განისაზღვრება კონკრეტული ვითარებით ფრაზაში; „ახდენს რა სიტყვის რეალიზებას თითოეულ შემთხვევაში ერთი მიმართულებით, კონტექსტი თავიდან გვაცდლებს პოლისემიას“ (Вандриес 1937: 15).

ცხადია, ტერმინი უნდა გამოირჩეოდეს ლექსიკური სისტემურობით და ზუსტად ასახავდეს შესაბამისი ცნების შინაარსს, რადგან ლოგიკურად მიმართება ცნებასა და ტერმინს შორის მონოსემიურობას უნდა ემყარებოდეს.

ჩვეულებრივ, ერთი რომელიმე დარგის ტერმინოლოგიის ფარგლებში ყოველი ტერმინი ერთ გარკვეულ ცნებასთანაა დაკავშირებული, აღსანიშნისა და ნიშნის (ტერმინის) ცალსახა დამოკიდებულება, თითქოს, მექანიკურად უნდა გამოორიცხავდეს სიტყვათა იმგვარ ურთიერთობებს როგორცაა პოლისემია; „მეცნიერების ყოველ დარგს თავისი ავტონომიური ლექსიკონი აქვს, სადაც მკაცრად არის შემოსაზღვრული ყოველი სიტყვის, ცნებისა თუ ტერმინის სემანტიკური ველი. და რაც უფრო ვიწროა ეს ველი, ანუ მნიშვნელობის არეალი, მით უფრო ზუსტი და მეტყველია ეს ტერმინი“ (კოტეტიშვილი 2002: 9).

ტერმინოლოგიურ ლექსიკაში პოლისემიის შემთხვევები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ენის საერთო ლექსიკაში, მაგრამ არც უამისობაა. ტერმინოლოგიაში პოლისემიის არსებობა ტერმინოლოგიური სისტემის ერთ-ერთ „დიდ უბედურებადაა“ მიჩნეული. ლოტეს აზრით, „მრავალი მნიშვნელობის მქონე ტერმინი დიდ დაბრკოლებას ქმნის სამეცნიერო ლიტერატურის კითხვისას, ხელს უშლის ურთიერთგაგებას და იწვევს პრაქტიკულ შეცდომებს ტერმინოლოგიურ

სიტყვათხმარებაში“ (Лотте 1937: 18-20). თუმცა ამ შემთხვევაშიც კონტექსტი ახდენს და აზუსტებს ტერმინთა მრავალმნიშვნელობას სხვა სიტყვებთან უთიერთკავშირში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის დროს ის, რაც პოლისემიად ითვლება ორიგინალის ენის წიაღში, თარგმანის ენაზეც პოლისემიური უნდა იყოს. ამდენად, პოლისემიური სიტყვის (თუ ტერმინის) მნიშვნელობის შერჩევაც უფრო სემანტიკური ველის ნიშნით არის აღბეჭდილი. ასეთ დროს „ადეკვატურობა პასუხი უფროა იმ მოთხოვნებზე, რაც სათანადო ენობრივი კოლექტივის (ამ შემთხვევაში იმ ენობრივი კოლექტივისა ვის ენაზეც თარგმანი სრულდება) სემანტიკური ნორმებიდან გამომდინარეობს, ვიდრე იმ მოთხოვნებზე, რაც უშუალოდ საგნიდან მომდინარეობდეს, რადგან, როგორც ირკვევა, საგნის ცნობიერება და ცოდნა არ უდევს საფუძვლად სიტყვის გამოყენებას, განსხვავებით სახელდებისაგან“ (რამიშვილი 1995: 115).

ტექსტის ორიგინალის ენისათვის პოლისემიური სიტყვისა თუ ტერმინის მნიშვნელობის შერჩევის აქტი თარგმანის ენაზე ცხადია დაკავშირებულია ინდივიდთან, მაგრამ თავისი არსით „ზეპიროვნული ბუნების აქტიუობაა და ახასიათებს ინდივიდს როგორც ენობრივი კოლექტივის წევრს“ (რამიშვილი 1995: 116).

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ განისაზღვრება და ზუსტდება ფრანგული პოლისემიური სიტყვის (*l'esprit* – „გონი“, „გონება“, „სული“, „სულისკვეთება“) მნიშვნელობა კონტექსტის, როგორც სემანტიკური პერსპექტივის ფონზე, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს

1. Le monde n'est quasi composé que de deux sortes d'esprits auxquels il ne convient aucunement (Descartes 1990: 31).

„აღამიანთა მოღვათა ორი ტიპის *გონის* მატარებელია, რომელთაგანაც ჩემი განზრახვა არც ერთს არ შეესაბამება“ (დეკარტი 2001: 32).

2. Cependant je ne me saurais trop étonner quand je considère combien mon esprit a de faiblesse et de pente qui le porte insensiblement dans l'erreur (Descartes 1990: 115).

„ძალზე გაოცებული ვარ, როდესაც ვამჩნევ თუ რა სუსტია ჩემი *გონება* და როგორ შეუმჩნევლად ექვემდებარება ცდომილებას“ (დეკარტი 2001: 122).

3. Ainsi je connais clairement que j'ai besoin d'une particulière contention d'esprit pour imaginer, de laquelle je ne me sers point pour concevoir ou pour entendre; et cette particulière contention d'esprit montre évidemment la différence qui est entre l'imagination et la pure intellection (Descartes 1990: 199).

„აქ ცხადად ვამხნევ, რომ წარმოდგენისათვის მე მესაჭიროება გონების განსაკუთრებული დაძაბვა, რასაც არ მივმართავ *გონითი შეცნობისას*. ეს დამატებითი დაძაბვა ნათლად მოწმობს სხვაობას წარმოდგენასა და წმინდა გაგებას შორის“ (დეკარტი 2001: 165).

4. Mais je me suis persuadé qu'il n'y avait rien du tout dans le monde, qu'il n'y avait aucun ciel, aucune terre, aucun *esprit*, ni aucun corps (Descartes 1990: 130).

„მაგრამ მე ხომ დავარწმუნე საკუთარი თავი, რომ ამქვეყნად საერთოდ არაფერი არ არის: არც ცა, არც მიწა, არც *სული*, არც სხეული“ (დეკარტი 2001: 115).

5. Autant que le ciel est éloigné de la terre, autant le véritable *esprit d'égalité* l'est-il de l'esprit d'égalité extreme (Montesquieu 1922: 95).

„რამდენადაც ცა შორსაა დედამიწისაგან, იმდენად შორსაა ჭეშმარიტი თანასწორობის *სულისკვეთება* უკიდურესი თანასწორობის სულისკვეთებისაგან“ (მონტესკიე 1994: 141).

„ყოველი სიტყვა უამრავ პოტენციურ მნიშვნელობას შეიცავს. როცა სიტყვა სიტყვებს უკავშირდება და იქმნება ფრაზა, იმ მრავალ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი აქტიურდება და მთავარ მნიშვნელობად იქცევა“ (პასი 2002: 15). აღნიშნული ვითარების ერთ-ერთ ნიმუშია, მაგალითად, სიტყვა *l'esprit*–ც; ნაშრომში „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“ დიურკემი ზოგადად რელიგიის რაობას იკვლევს; ტექსტიდან გამომდინარე დასახელებული სიტყვა ვთარგმნეთ შემდეგი მნიშვნელობებით; მაგალითად:

1. Une âme n'est pas *un esprit* (Durkheim 1999: 391).

„სული არ არის *პიროვნული აგენტ*“ (დიურკემი 2004: 379).

2. Mais déjà les religions australiennes reconnaissent, au-dessus de l'âme, des personnalités mythiques d'un ordre supérieur: *des esprits*, des héros civilisateurs et même des dieux proprement dits (Durkheim 1999: 391).

„მაგრამ უკვე დიდი ხანია ავსტრალიური რელიგიები აღიარებენ სულზე უმაღლეს მითოსურ პერსონაჟებს: *საკრალურ არსებებს*, ცივილიზატორ გმირებს და საკუთრივ ღმერთებსაც“ (დიურკემი 2004: 379).

3. Voilà donc, cette fois, *des êtres* spirituels qui sont autre chose que des âmes errantes et sans efficacité définie (დიურკემი 2004: 395).

„ასე რომ, ამ შემთხვევაში *სპირიტუალური არსებები* სხვა რამაა, ვიდრე მოხეტიალე სულები, და არავითარი განსაზღვრული ეფექტურობა მათ არ მიეწერება“ (დიურკემი 2004: 383).

4. *L'esprit*, au contraire, bien qu'il soit souvent uni par des liens étroits à un objet particulier, à une source, à un rocher, à un arbre, à un astre, etc. (Durkheim 1999: 391).

„*საკრალური ძალა*, პირიქით, თუმცა იგი ხშირად მჭიდროდაა დაკავშირებული და დამკვიდრებულიცაა რომელიმე კერძო საგანში – წყაროში, კლდეში, ხეში, ციურ მნათობში და ა.შ.“ (დიურკემი 2004: 379).

დედნის ადეკვატურობის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შერჩეული ქართულენოვანი მნიშვნელობების აზრის სიზუსტე ეჭვს არ ბადებს.

ფრანგულ ენაში პოლისემიური სიტყვის *le pouvoir* მნიშვნელობებია: „ძალაუფლება“, „შესაძლებლობა“, ხელისუფლება“, „ძალა“. ამ უკანასკნელთა რეალიზაცია კონკრეტული კონტექსტით განისაზღვრება. მაგალითად,

1. Pour qu'on ne puisse abuser du pouvoir, il faut que par la disposition des choses, le pouvoir arrête le pouvoir (Montesquieu 1922: 117).

„იმისათვის, რომ ვერავინ შეძლოს *ძალაუფლების* ბოროტად გამოყენება, საჭიროა თვით საგანთა ისეთი წყობა, რომ *ძალაუფლებას* *ძალაუფლება* აოკებდეს (მონტესკიე 1994: 180).

2. si un citoyen pouvait faire ce qu'elles defendent, il n'aurait plus de liberté parce que les autres auraient tout de même ce pouvoir (Montesquieu 1922: 117).

„თუ მოქალაქეს შეუძლია აკეთოს ის, რასაც კანონები კრძალავენ, მაშინ მას აღარ ექნებოდა თავისუფლება, რადგან იგივე *შესაძლებლობა* სხვებსაც ექნებოდათ“ (მონტესკიე 1994: 182).

3. Il y a dans chaque Etat trois sortes de pouvoirs (Montesquieu 1922: 118).

„ყოველ სახელმწიფოში სამი სახის *ხელისუფლებაა*“ (მონტესკიე 1994: 181).

4. Des prerogatives attachées à des fiefs donnent un pouvoir très à charge à ceux qui les souffrent (Montesquieu 1922: 84)

„პრეროგატივები, რომლებიც დაკავშირებულია სამემკვიდრეო მამულთან (ფეოდათან) იძლევა *ძალას*, რომელიც ძალიან დამამძიმებელია იმათთვის, ვინც მას ღებულობს“ (მონტესკიე 1994: 147).

მოხმობილი მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ფილოსოფიური ტექსტის თარგმანი ითხოვს ძალზე ფრთხილ მიდგომას პოლისემიური სიტყვისადმი, რომელიც ხშირად იცვლის თავის მნიშვნელობას. ეს ცვლილება განპირობებულია კონტექსტის აზრობრივი მოთხოვნებით. სიტყვათა სულ მცირე ნიუანსით სხვაობამაც კი შესაძლოა აზრის ცვლილება გამოიწვიოს. პოლისემიურ სიტყვასთან დაკავშირებით არსებითია შემდეგი ვითარების გათვალისწინება: კონტექსტის მიხედვით ორიგინალის პოლისემიური სიტყვის ამა თუ იმ მნიშვნელობას ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს თარგმანის ენაზე შერჩეული სიტყვაც, რათა თარგმანმა მეორე სუბიექტში ანუ თარგმანის რეცეპტორში დედნის ადეკვატური ეფექტი გამოიწვიოს.

ჩვენი აზრით, აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, უფრო ადეკვატურად შეიძლება დეკარტის „მეტაფიზიკური მედიტაციები“-დან პოლისემიური სიტყვების ქართულად თარგმნა. ასე მაგალითად:

ფრანგულში არსებითი სახელის „la raison“ ძირითადი მნიშვნელობებია: „გონება“, „საბუთი“, „საფუძველი“, „დასაბუთება“, „მიზეზი“.

1. Je ne suis donc, précisément parlant, qu’une chose qui pense, c’est à dire un esprit, ou une intelligence, ou un entendement, ou une raison (Descartes 1990: 134).

„მაშასადამე, ზუსტად რომ ითქვას, მე ვარ მხოლოდ მოაზროვნე საგანი ე.ი. გონება, გაგება ან განსჯა“ (დეკარტი 1955: 15).

იმავე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„მაშასადამე, თუ ზუსტად ვიტყვით – მე ვარ მხოლოდ ისეთი რამ, რომელიც აზროვნებს, ე.ი. სული, ანუ გონი, ანუ გაგება, ანუ გონება“ (დეკარტი 2001: 117).

2. ...puisque toutes les raisons qui servent à connaître et concevoir la nature de la cire, ou de quelque autre corps que ce soit, prouvent beaucoup mieux la nature de mon esprit (Descartes 1990: 143).

„ვინაიდან ყველა ის საბუთო, რომლებიც ემსახურებიან სანთლის ან სხვა რომელიმე სხეულის ბუნების შეცნობას და მიწვდომას, ბევრად უკეთესად ამტკიცებენ ჩემი გონების ბუნებას“ (დეკარტი 1955: 24).

ვფიქრობთ, აზრობრივად სიტყვა „საფუძველი“ უფრო მართებულია. იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

„ეს იმიტომ, რომ ყველა საფუძველი რაც ხელს გვიწყობს სანთლის თუ ნებისმიერი სხვა სხეულის პერცეფციაში, იმავედროულად ბევრად უკეთ მოწმობს ჩვენი გონების ბუნებას“ (დეკარტი 2001: 124)

3. L’autre est prise des raisons de l’astronomie, c’est-à-dire de certaines notions nées avec moi, ou en fin est formée par moi-même de quelque sorte (Descartes 1990: 124).

„მეორე იდეა ამოღებულია ასტრონომიის საბუთებიდან, ე.ი. ცნობილი ცნებებიდან, რომლებიც დაბადებულია ჩემთან ერთად, ანდა შექმნილია თვითონ ჩემ მიერ რაღაცნაირად“ (დეკარტი 1955: 33)

ასტრონომიასთან მიმართებით ქართულად მეტყველი ადამიანი უმალ სიტყვა „დასაბუთება“-ს ხმარობს, და არა „საბუთს“. თარგმანის ჩვენი ვერსიაა:

„მეორე (იდეა) მომდინარეობს ასტრონომიის დასაბუთებებიდან ე.ი. შექმნილია იმ ცნებების საფუძველზე, რომლებიც ჩემში თანდაყოლილია ანდა შექმნილია ჩემ მიერ რაღაც სხვა ფორმით“ (დეკარტი 2001: 130).

4. De façon que cette indifférence que je sens lorsque je ne suis point emporté vers un côté plutôt que vers un autre par le poids d'aucune raison, est le plus bas degré de la liberté (Descartes 1990: 178).

„ასე რომ ის ინდიფერენტობა, რომელსაც ვგრძნობ მე მაშინ, როდესაც რაიმე საბუთის ძალით მე არ ვარ ერთ რომელიმე მხარეზე უფრო გადახრილი ვიდრე მეორე მხარეზე, არის თავისუფლების უმაღლესი ხარისხი“ (დეკარტი 1955: 59).

ამ წინადადებაში სიტყვა „საბუთი“ სრულიად ადეკვატურია ორიგინალისა; თუმცა წინადადების თარგმნა სხვაგვარად შეიძლებოდა; მაგალითად, ასე:

„რაც შეეხება ამ გულგრილობას, რასაც განვიცდი, როდესაც არავითარი საბუთი არ მიბიძგებს გადავიხარო ერთი მხარისაკენ უფრო მეტად, ვიდრე მეორისაკენ, ეს არის ყველაზე დაბალი ხარისხი თავისუფლებისა“ (დეკარტი 2001: 149).

5. Pour la privation, dans laquelle seule consiste la raison formelle de l'erreur et du péché, elle n'a besoin d'aucun concours de Dieu (Descartes 1990: 182).

„რაც შეეხება დანაკლისს, რომელიც მარტოკა შეადგენს შეცდომასა და შეცოდების ფორმალურ საბუთს, ის არ საჭიროებს ღმერთის არავითარ დახმარებას“ (დეკარტი 1955: 63).

ამ წინადადებაში არასწორად შერჩეული სიტყვათა კომბინაციით ქართულად, ჩვენი აზრით, აზრი მოკლებულია სიცხადეს. იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ შემდეგნაირად:

„რაც შეეხება ნაკლს, ერთადერთი რაშიცაა ფორმალური მიზეზი ცდომილებისა და ცოდვისა, ის არ საჭიროებს ღმერთის არავითარ შეწევნას“ (დეკარტი 2001: 152).

ნიმუშად მოტანილ წინადადებათა თარგმანის ორი ვერსიის ერთმანეთთან შედარება ცხადყოფს, რომ აღნიშნული პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობების უფრო დიფერენცირებულად წარმოდგენა აზრობრივად მეტ სიცხადეს, სტილისტურად კი, უდავოდ, მეტ ბუნებრიობას სძენს ტექსტს თარგმანის ენაზე.

არსებითი სახელის - le sujet - ძირითადი მნიშვნელობებია: „საგანი“, „თემა“, „შინაარსი“, „ქვემდებარე“, „სუბიექტი“, „ქვეშევრდომი“. ორიგინალში ავტორს

აღნიშნული პოლისემიური სიტყვა მხოლოდ ორი მნიშვნელობითა აქვს გამოყენებული.

1... et la chaleur ne peut être produite dans un sujet qui en était auparavant privé (Descartes 1990: 153).

„სითბოც არ შეიძლება გაჩნდეს საგანში, რომელიც მოკლებული იყო მას“ (დეკარტი 1955: 35).

ამ წინადადებაში პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობა ადეკვატურადაა თარგმნილი, უბრალოდ, იგივე ჩვენ სხვაგვარად ვთარგმნეთ:

„შეუძლებელია სითბო წარმოიშვას საგანში, რომელიც მანამდე არ იყო თბილი“ (დეკარტი 2001: 131-132).

2. ..je conçois bien alors quelque chose comme le sujet de l'action de mon esprit (Descartes 1990: 148).

„მაშინ მე კარგად ვწვდები რომელიმე საგანს, როგორც ჩემი გონების მოქმედების ქვემდებარეს“ (დეკარტი 1955: 30).

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ვითარება, რომ დეკარტს სიტყვები — „სუბიექტი“ და „ობიექტი“ – ესმის შეუსაუკუნეების (თანამედროვე მნიშვნელობის საპირისპირო) აზრით; ამრიგად, „სუბიექტი“ უნდა გაიგებოდეს „ობიექტად“ და პირუკუ.

„ამ დროს ყოველთვის კარგად ვაგნებ რაღაც ნივთს, როგორც ჩემი გონების სუბიექტს“ (დეკარტი 2001: 128).

ქართულ ენაში სიტყვა „საგანი“ უფრო განზოგადებულად იხმარება. ლათინური ენიდან ფრანგულში დამკვიდრებული სიტყვა „ობიექტი“ ხშირად მისი სინონიმია. მაგალითად, ქართულად ვამბობთ: „შემეცნების საგანი“, ასევე ვამბობთ: „შემეცნების ობიექტი“. ის, რომ ნეოკანტიანელმა ფილოსოფოსებმა გაარჩიეს „საგანი“ და „ობიექტი“ – ეს სულ სხვა სიბრტყეა.

1. ...je me ressouviens que, lors même que j'étais fortement attaché aux objets des sens (Descartes 1990: 188).

„როდესაც გრძნობისეულ საგნებზე ვიყავ ჯერ კიდევ მიკრული“ (დეკარტი 1955: 68).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართულ სიტყვას ლათინური გამჯობინეთ, იგივე წინადადება კი ვთარგმნეთ ასე:

„როდესაც ჯერ კიდევ ძლიერ შეზღუდული ვიყავი გრძნობადი ობიექტებით“ (დეკარტი 2001: 157).

2. ..je ne pouvais sentir aucun objet, s'il ne se trouvait présent à l'organe d'un de mes sens (Descartes 1990: 202).

„რომ მე არ მეგრძნო საგანი თუ იგი იღვა ჩემი გრძნობის ორგანოს წინაშე“ (დეკარტი 1955: 81).

ამ წინადადებაში ჩვენც ქართული სიტყვა (საგანი) გამოვიყენეთ, მაგრამ წინადადება სხვაგვარად ვთარგმნეთ;

„არ შემეძლო მეგრძნო საგანი თუ იგი არ იყო რომელიმე ჩემი გრძნობის წინაშე“ (დეკარტი 2001: 167).

ამგვარად, ერთი და იგივე სიტყვის (საგანი/სუბიექტი, საგანი/ობიექტი) გადმოტანა ხან უცხო, ხან მისი ეკვივალენტური ფორმით აზრობრივი სიცხადის გარდა, სტილისტურადაც ამრავალფეროვნებს თარგმანის ენას.

პოლისემიური სიტყვის – *une image* – მნიშვნელობებია: „გამოსახულება“, „სურათი“, „ხატი“, „სახე“, „ხატება“.

1. ...(sont formées) ces images des choses qui résident en notre pensée (Descartes 1990: 124).

„ჩემს აზრში მყოფი ყველა წარმოდგენა“ (საგნებისა) (დეკარტი 1955: 5).

ამ წინადადებაში სიტყვა არასწორადაა შერჩეული; უნდა იყოს სიტყვა „ხატი“ და არა „წარმოდგენა“.

„ჩვენს გონებაში არსებული ყველა ნივთის ხატი“ (დეკარტი 2001: 110).

2.. qu'il (Dieu) m'a, en quelque façon, produit à son image et semblance (Descartes 1990: 18].

„რომ მან მე შემქმნა რაღაცნაირად თავისი სახის მსგავსად“ (დეკარტი 1955: 49).

ქართულად მეტყველი ადამიანი უმალ იტყვის „ღვთის ხატად“; იგივე ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

...,რომ ღმერთმა შემქმნა მე თავის ხატად და მსგავსად“ (დეკარტი 2001: 142).

3. ...mais que c' est l'image d'une vraie et immuable nature (Descartes 1990: 192).

...,არამედ იგი არის ჭეშმარიტი და უცვლელი ბუნების სახე“ (დეკარტი 1955: 72).

სიტყვათა შეთანხმება – „ბუნების სახე“-ზე მეტად, ვფიქრობთ „ბუნების ხატება“ უფრო ესადაგება ქართულ თარგმანს; მაგალითად,

...,არამედ არის ხატება ჭეშმარიტი და უცვლელი ბუნებისა“ (დეკარტი 2001: 160).

4. En sorte que la lumière naturelle me fait connaître évidemment que les idées sont en moi comme des tableaux ou des images (Descartes 1990: 155).

...,ამრიგად, ბუნებრივი სინათლე მაწვდის მე იმის ევიდენტურ ცოდნას, რომ იდეები ჩემში სურათებს ჩამოგავენ“ (დეკარტი 1955: 37).

ამ წინადადებაშიც არასწორად შერჩეული სიტყვა აზრის ბუნდოვანებას იწვევს, ყალბად უღერს, მთელ წინადადებას ხელოვნურ ელფერს სძენს სიტყვათა შეთანხმებაც; იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

...,ასე რომ, ბუნებრივი სინათლე ნათლად მიჩვენებს, რომ იდეები ჩემში არიან ერთგვარი ხატები“ (დეკარტი 2001: 133).

5....comme font les images que je vois en dormant (Descartes 1990: 222).

...,აი როგორც ამას აკეთებენ სახეები, რომლებსაც მე ძილში ვხედავ“ (დეკარტი 1955: 100).

ამ წინადადებაში სიტყვა ეკვივალენტური მნიშვნელობითაა წარმოდგენილი; უბრალოდ, იგივე წინადადება ჩვენ სხვაგვარად ვთარგმნეთ;

...,როგორც ეს ხდება იმ სახეების მიმართ, ძილში რომ ვხედავ“ (დეკარტი 2001: 182).

ჩვენი აზრით, თარგმანში პოლისემიური სიტყვის – *une image* – მნიშვნელობები (განსაკუთრებით მეორე და მეოთხე წინადადებებში) ყურს უხეშად ხვდება.

ამგვარად, მოხმობილი მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ აზრის ნიუანსი გაცილებით მეტია, ვიდრე სიტყვა, რომელიც გარდა იმისა რომ გარკვეულ ლექსიკურ-გრამატიკულ მთლიანობას წარმოადგენს, კონტექსტისაგან სესხულობს თავის ემოციურ დაფერილობას, მასში აღწევს თავის საბოლოო

დაკონკრეტებას. სიტყვის კონკრეტულ შინაარსს წინადადებაში განსაზღვრავს კონტექსტის აზრობრივი სტრუქტურა. აქედან გამომდინარე არსებითია შემდეგი მოთხონა: „თარგმანში აქტივიზებული ვარიანტი თავის დენოტატიური და კონოტატიური მნიშვნელობით იყოს ეკვივალენტური, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში არ უნდა იყოს განეიტრალებული არც აზრი და არც ხატოვანება“ (საყვარელიძე 2001: 169). თარგმნის დროს ერთ კონკრეტულ სემანტიკურ-სინტაქსურ კავშირში ანუ კონტექსტში მისი (პოლისემიური სიტყვის) მრავალი მნიშვნელობიდან, ყოველთვის ერთ-ერთი მნიშვნელობის რეალიზაცია ხდება; ამ მთელის შუქზე უნდა გაირკვეს თუ სახელდობრ რომელი მნიშვნელობა შეესაბამება სიტყვას მნიშვნელობათა იმ არეალიდან, რომელიც აქვს მას საერთოდ თარგმანის (ამ შემთხვევაში ქართულის) ენის ლექსიკაში, ლოგიკურად და სემანტიკურად რომელ სიტყვებს ითხოვს და ეგუება (ანუ როგორია მისი შეხამების უნარი) წინადადებასა თუ ფრაზაში, „შეუძლია თუ არა ამა თუ იმ სიტყვას მეზობლობა და პარტნიორობა გაუწიოს სხვა სიტყვას“ (წიბახაშვილი 2000: 40).

V 2) სინონიმის პრობლემა

ენასა და ცალკეულ სიტყვას შორის (მთელისა მისი შემადგენელი ნაწილის ანალოგიურად) მრავალგვარი მიმართებაა. საერთო-სალიტერატურო ენაში სინონიმია, ანუ ერთი ენობრივი სისტემის წიაღში ენობრივ ნიშანთა შორის სემანტიკური მსგავსების საფუძველზე არსებული მიმართება, დადებით მოვლენადაა მიჩნეული: რაც უფრო მეტია სინონიმთა რიცხვი, მით უფრო მდიდარია ენა, მისი გამომხატველობითი უნარი. სინონიმია თავიდან აცილებს ენას ერთფეროვნებასა და არასაჭირო პლენაზმებს.

მართალია, სინონიმია ერთი აღსანიშნისათვის რამდენიმე ნიშანს გულისხმობს, მაგრამ კონტექსტში აღსანიშნა და ნიშანს შორის ცალსახა დამოკიდებულებას გამოხატავს. ზოგჯერ სხვაობა სინონიმური რიგის სიტყვებს შორის შეიძლება უფრო თვალსაჩინოც იყოს და, მიუხედავად ამისა, ისინი სინონიმებს წარმოადგენდნენ, რადგანაც მათ ერთი საერთო ნიშანი–ნომინალური ფუნქცია აერთიანებთ და ერთსა

და იმავე დენოტატს (საგანს, მოვლენას, ფაქტს, ვითარებას) აღნიშნავენ. ამა თუ იმ კონტექსტში შეიძლება სამი, ოთხი და მეტი ერთეულიც ერთიანდებოდეს და ერთ სინონიმურ მწკრივს იძლეოდეს. ასეთ შემთხვევაში გამოიყოფა ერთი ძირითადი სიტყვა ანუ დომინანტი, დანარჩენები კი მისი მნიშვნელობის ნიუანსებს შეიცავენ. მაგალითად,

Je ne suis donc qu'une chose qui pense c'est à dire *un esprit, ou une intelligence, ou un entendement, ou une raison* (Descartes 1990: 134).

მაგალითად მოტანილ ფრანგულ წინადადებაში ერთი დენოტანტის ანუ ადამიანის რაობის დეფინიციის მიზნით დეკარტი იყენებს სინონიმურ სიტყვათა რიგს: *un esprit, une intelligence, un entendement, une raison*; ქართული ენის ლექსიკა იძლევა იმის საშუალებას, რომ სათანადო სინონიმური რიგის სიტყვებით (სული, გონი, გაგება, გონება) ავტორისეული აზრი თარგმანის ენაზეც ადეკვატურად აისახოს.

„მე ვარ მხოლოდ ისეთი რამ, რომელიც აზროვნებს ე.ი. *სული ანუ გონი, ანუ გაგება, ანუ გონება*“ (დეკარტი 2001: 117).

ლექსიკური თვალსაზრისით ფილოსოფიური ტექსტისათვის ნიშანდობლივია პარალელიზმები; ეს სტილისმიერი ნიშანი ქართულად შეიძლება სინონიმური წყვილით გადმოვცეთ; მაგალითად, თუ ფრანგულ ტექსტში ერთი და იგივე სიტყვა ორჯერაა გამეორებული, აზრი ქართულად შეიძლება გადმოვიცეს სიტყვათა სინონიმური წყვილით.

Pierre avait le génie imitatif, il n'avait pas le vrai génie, celui qui crée et fait tout de rien (Rousseau 1996: 57).

„პეტრეს მიბაძვის *უნარი* გააჩნდა, მას არ ჰქონდა ჭეშმარიტი *ნიჭი*, ისეთი, რომელიც არაფრისაგან ყველაფერს აკეთებს და ქმნის“ (რუსო 1997: 47).

„სინონიმური პარალელიზმი“ – შინაარსობრივად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიტყვებისა და შესიტყვებების გამეორება – ფილოსოფიურ ტექსტში აზრის გამძლიერებელ საშუალებად გამოიყენება; უმეტესწილად ასეთ სინონიმებს აკავშირებს „და“ კავშირი. აქ ვგულისხმობთ ისეთი ტიპის გამოთქმებს როგორცაა მაგალითად: „სადა“, „მარტივი“, „უბრალო“; „კოსტად“ და „მშვენიერად“; „ცხადი“ და „უეჭველი“; „პირდაპირ“ და „უშუალოდ“; „ზერელე“, „მერყევი“ და „ცვალებადი“ და ა.შ. მაგალითად,

1.Ces longues chaines de raisons, toutes simples et faciles (Descartes 1990: 35).

„იმ გრძელი, ძალზე *მარტივი და ადვილი* საბუთების საფუძველზე (დეკარტი 2001: 35).

დეკარტის ნაშრომის „მატაფიზიკური მედიტაციები“-ს თარგმანის ორი ვერსია შერჩეული სინონიმებითაც სხვაობს ერთმანეთისაგან. ასე მაგალითად,

1...pourvu seulement que je me ressouvienne de l'avoir clairement et distinctement compris, on ne peut apporter aucune raison contraire qui me le fasse jamais revoquer en doute; et ainsi j'en ai une vraie et certaine science (Descartes 1990: 195).

„ოღონდ კი მახსოვდეს, რომ მე იგი ნათლად და გარკვეულად გავიგე, ვერავინ ვერ მომიყვანს მე საწინააღმდეგო საბუთს, რომელიც მაიძულებდა ეჭვი შემეტანა მასში, და, მაშასადამე, მე მაქვს მის შესახებ ჭეშმარიტი და სარწმუნო მეცნიერება“ (დეკარტი 1955: 75).

სინონიმურ წყვილში – ნათლად/გარკვეულად – არასწორი ფორმითაა წარმოდგენილი მეორე ზმნიზედა; (უნდა იყოს „გარკვევით“, და არა „გარკვეულად“, როგორც ეს სხვაგანაც გვხვდება ტექსტში გვ. 27, 37, 65); ქართულ თარგმანში „ცოდნასთან“ მიმართებით გამოყენებულ მეორე სინონიმურ წყვილს vraie/certaine, ჩვენი აზრით, მეტად შეესაბამება სინონიმური წყვილი ჭეშმარიტი/უტყუარი. (აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნულ წინადადებაში სიტყვის – la science – მნიშვნელობა უმაღლ „ცოდნა“, და არა „მეცნიერება“) . იმავე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„ოღონდ კი მახსოვდეს, რომ იგი ნათლად და გარკვევით გავიგე, შეუძლებელია რაიმე საპირისპირო საბუთის მოტანა, რაც მასში (ნათლად და გარკვევით შეცნობილში) დამაეჭვებდა, მაშასადამე, მის შესახებ, მართლაც, ჭეშმარიტი და უტყუარი ცოდნა მაქვს“ (დეკარტი 2001: 162).

ორ (მით უფრო ისეთ არამონათესავე ენებში, როგორცაა ფრანგული და ქართული) ენაში სიტყვის მნიშვნელობათა ველი და მასთან დაკავშირებულ სინონიმურ სიტყვათა რიგი მეტწილად დიდად სხვაობს ერთმანეთისაგან; ამდენად სიტყვის სემანტიკური ველის კონკრეტულობა/აბსტრაქტულობის ხარისხიც არ არის ჰომოგენური. მაგალითად,

Une horloge peut compter les heures et mesurer le temps plus justement que nous avec toute notre prudence (Descartes 1990: 79).

„საათი უფრო ზუსტად *ჩვენებს* და *ითვლის* დრო-ჟამს, ვიდრე ჩვენ მთელი ჩვენი გონიერებით“ (დეკარტი 2001: 69).

ფრანგულ ენაში დროის აღსანიშნავად გამოყენებულ სინონიმურ წყვილს compter/mesurer (დათვლა/გაზომვა), ადეკვატურობის თვალსაზრისით, ქართულ თარგმანში მეტად შეესაბამება სინონიმური წყვილი „ჩვენება-დათვლა“, ხოლო les heures/le temps (საათები/დრო) – სინონიმური წყვილი „დრო-ჟამი“.

ერთგვარი ობიექტური სინამდვილის ამსახველ სინონიმურ წყვილში ან რიგში შემავალ სიტყვებს შორის შეიძლება უმნიშვნელო, მაგრამ მაინც შესამჩნევი სტილისტური ნიუანსი იყოს. ეს ვითარება კარგად ჩანს სიტყვათა სემანტიკური დისტრიბუციის დროს მათი ურთიერთშენაცვლებით. „სინონიმებს, როგორც სტილისტურ საშუალებას, განსაკუთრებული როლი ენიჭება; სინონიმია ამრავალფეროვნებს მეტყველებას, ხდის მას უფრო ცოცხალსა და გამომსახველობითს, ასევე იძლევა საშუალებას გადმოგვცეს სინამდვილის გამოსახატავად აზრის ზედმიწევნითი ნიუანსები“ (Галкина-Федорук 1959: 13).

ტერმინოლოგიურ სისტემაში სინონიმის არსებობა ერთ-ერთ სადავო საკითხადაა მიჩნეული; პოლისემიის მსგავსად, სინონიმიაც მეტწილად უარყოფით ფაქტადაა გამოცხადებული. ამ თვალსაზრისს იზიარებს მკვლევართა ის ნაწილი, ვინც (კერძოდ: ო. დუხაჩევი, დ. ლოტე) თავიანთ შრომებში ტერმინთა სემასიოლოგიურ დახასიათებას და მათი სისტემური ურთიერთობის საკითხს ეხება. ამ მკვლევართა აზრით, ტერმინოლოგიაში ნიშანსა და აღსანიშნს შორის ურთიერთცალსახა დამოკიდებულება უნდა იყოს: ერთი აღსანიშნი ერთი ნიშნისათვის და პირუკუ: ერთი ნიშანი ერთი აღსანიშნისათვის ანუ, სხვაგვარად: ნიშანთა სისტემა ცნებათა სისტემის იზომორფული უნდა იყოს. როდესაც ნიშნისა და აღსანიშნის იზომორფულობაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, მხედველობაში გვაქვს ერთი ტერმინოლოგიური (ამ შემთხვევაში ფილოსოფიური) სისტემის ფარგლები.

მკვლევართა მეორე ჯგუფის (მაგალითად, შ. ძიძიგური, ა. ჩიქობავა) აზრით, სინონიმია ტერმინოლოგიაშიც ისეთივე დადებითი მოვლენა შეიძლება იყოს, როგორც საერთო-სალიტერატურო ენაში.

ქართულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში სინონიმები ჩნდება როდესაც ქართული ტერმინების გვერდით ფეხს იკიდებს საერთაშორისო ტერმინი. მაგალითად: „სიბრძნისმეტყველება/ფილოსოფია“, „განყენება/აბსტრაქცია“;

„განსაზღვრება/დეფინიცია“, „მოვლენა/ფენომენი“, „მოძღვრება/დოქტრინა“ და ა.შ. როდესაც ტერმინები არც მნიშვნელობით და არც კონტექსტით არ სხვაობენ ერთმანეთისაგან, მათ აბსოლუტურ სინონიმებს ანუ ლექსიკურ დუბლეტებს ეძახიან. ზოგი მკვლევარი (მაგალითად, ტოლიკინა ე., კაპანაძე ლ., გალკინა-ფედორუკი ე.) გამორიცხავს სინონიმის არსებობას ტერმინოლოგიაში და მხოლოდ დუბლეტების არსებობაზე საუბრობენ. ასეთი სიტყვები, როგორც წესი, ტოლფასი მნიშვნელობის მქონე სიტყვებია და ყოველგვარ კონტექსტში შეიძლება ჩაენაცვლონ ერთმანეთს ანუ ხასიათდებიან ნულოვანი პოზიციით. ტერმინოლოგიურ ლექსიკონში სინონიმების სტილისტური ანუ ემოციურ-ექსპრესიული ფუნქცია ნულამდია დაყვანილი.

ქართული ენა აბსტრაქტული ცნებების აღმნიშვნელი ტერმინებით მდიდარი ენაა; როდესაც ფრანგულენოვან ტექსტში სიტყვა თუ ტერმინი ერთი და იმავე აზრობრივი მნიშვნელობით გამოყენებულია ორჯერ ან მეტჯერ, თარგმანში აღნიშნული ვითარება შეიძლება წარმოვადგინოთ აბსოლუტური სინონიმური წყვილით. ეს ამრავალფეროვნებს ტექსტს, იმავდროულად ქართული ენის ლექსიკურ სიმდიდრეზეც მიუთითებს. მაგალითად,

Ne jamais prendre pour objet de recherches qu'un groupe de phénomènes [...] Nous faisons du crime ainsi défini l'objet d'une science speciale, la criminology (Durkheim 1999: 44).

„კვლევის ობიექტად უნდა შეირჩეს მხოლოდ ჯგუფი ისეთი მოვლენებისა [...] ამგვარად განსაზღვრული დანაშაულისაგან ვქმნით მეცნიერების საგანგებო საგანს კრიმინოლოგიას“ (დიურკემი 2004: 69-70).

აღნიშნული მოთხოვნისადმი განსხვავებულმა დამოკიდებულებამ განაპირობა დეკარტის ნაშრომის თარგმანის ორ ვერსიას შორის არსებული სხვაობაც. მაგალითად,

1 .Passons donc aux attributs de l'âme, et voyons s'il y en a quelqu'un qui soit en moi (Descartes 1990: 133).

„მაშ, გადავიდეთ სულის ატრიბუტებზე და დავხედოთ, არის თუ არა ამ ატრიბუტებს შორის ისეთი, რომელიც მქონდეს მე“ (დეკარტი 1955: 14).

იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

„იმ თვისებათაგან, რაც სულის ატრიბუტებად მივიჩნიე, ხომ არ მეკუთვნის რაიმე“ (დეკარტი 2001: 117).

2. *mais parce que ce (qualités) sont seulement de certaines modes de la substance* (Descartes 1990: 159).

„მაგრამ, რამდენადაც ისინი (თვისებები) სუბსტანციის ესა თუ ის სახეცვლილებებია“ (დეკარტი 1955: 40).

იმავე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსიაა:

„მაგრამ რადგან ჩამოთვლილი თვისებები მხოლოდ სუბსტანციის გარკვეული მოდუსებია“ (დეკარტი 2001: 135).

3. *Il ne faut pas craindre aussi qu'il se puisse rencontrer de la fausseté dans les affections ou volontés* (Descartes 1990: 148)

„არც ის არის საშიშარი, რომ ჩვენ წავაწყდეთ შეცდომას ვნებასა ან ნებელობაში“ (დეკარტი 1955: 30)

იგივე ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

„ასევე არ უნდა შეგვაშინოს მცდარობამ სურვილებში – ან აფექტებში“ (დეკარტი 2001: 128).

4. *Mais pour ce qui est des inclinations qui me semblent aussi m'être naturelles* (Descartes 1990 : 150).

„მაგრამ, რაც შეეხება იმ მიდრეკილებებს, რომლებიც ჩემი შეხედულებით აგრეთვე ბუნებრივია ჩემთვის“ (დეკარტი 1955: 32).

თარგმანის ჩვენი ვერსიაა;

„რაც შეეხება ბუნებრივ იმპულსებს – მიდრეკილებებს“ (დეკარტი 2001: 129).

მაგალითად მოტანილი წინადადებების სინონიმურ წყვილებში („თვისებები/ატრიბუტები“; „თვისებები/მოდუსები“; „სურვილები/აფექტები“; „იმპულსები/მიდრეკილებები“) უცხოური სიტყვისა და მისი „დამხვედური“ ეკვივალენტური ქართული სიტყვის ერთობლიობა ქმნის სინონიმებს, მათი მონაცვლეობა, ფორმათა ნაირგვარობა კი თარგმანის ენას ამრავალფეროვნებს.

სტილისტური სინონიმები ერთგვარი სემანტიკის მქონე სიტყვებია, ოღონდ სხვადასხვა ნიუანსთა მთელ გამას გვთავაზობს. რამდენადაც მეტად განსხვავდებიან ისინი (ასეთი სტილისტური სინონიმები) დედნის კონსტრუქციებისაგან, მით უფრო

ახალ, განსხვავებულ მნიშვნელობას იძენენ მათი კომპონენტები ახალ სინთეზში (ანუ თარგმანის ენაზე) და, სტილისტური მრავალფეროვნების თვალსაზრისით, თარგმანს ეს მეტ გამომსახველობით უნარს სძენს. მაგალითად,

...que l'étude des sciences amollit et effemine les courages plus qu'il ne les fermit et aguerrit (Descartes 1990: 193).

„რომ მეცნიერებების შესწავლა არ აწრთობს და არ აძლიერებს ადამიანთა სულებს, პირიქით, ისინი მათ ანაზებენ და ასათუებენ“ (დეკარტი 2001: 79).

...nous aurions plutôt occasion de prononcer tous les deux qu'ils sont non sages et non prudents (Descartes 1990: 179).

„შეგვიძლია ორივე ეს სიტყვა გამოვიყენოთ მათ მიმართ და ვთქვათ: ისინი არც ბრძენნი არიან და არც გონიერნი“ (დეკარტი 2001: 162).

მოსმობილ მაგალითებში ლექსიკური სინონიმური წყვილები („ბრძენნი/გონიერნი“, „განაზება/გასათუება“, „წრთობა/გაძლიერება“), თავის მხრივ, შეიძლება ასევე დაიყოს სემანტიკურ (მათ სხვაგვარად იდეოგრაფიულ სინონიმებსაც უწოდებენ) და სტილისტურ სინონიმებად. თუმცა, საერთოდ, სინონიმების ტიპების სრული გამიჯვნა რთულია, რადგან ხშირ შემთხვევაში ისინი ერთიმეორის როლში გვევლინებიან. ლ. ნოვიკოვს (Новиков 1982: 229-241) უფრო მართებულად მიაჩნია სემანტიკურ და სტილისტიკურ ფუნქციებზე საუბარი. სტილისტური სინონიმები, ფაქტობრივად, მართლაც ერთგვარი სემანტიკის მქონე, ოღონდ სხვადასხვა სტილისტური შეფერილობის ნიუანსების მქონე სიტყვებია.

სიტყვათა პოლისემიურობის გამო სინონიმები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს და თანაც, ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება სხვადასხვა სინონიმურ რიგში შედიოდეს. „ვინაიდან სინონიმები არ შეიძლება იყოს ურთიერთშეცვლადი ყოველ კონტექსტში, საჭიროა ზუსტად განვასხვაოთ მათი ნიუანსები, შესამების შესაძლებლობა და გამოყენების არე“ (Андреева 1955: 171). სხვა სინონიმური წყვილის შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვა, (მაგალითად, certaine) შეიძლება განსხვავებულად ვთარგმნოთ;

1...mais, d'autant que la raison me persuade déjà que je ne dois pas moins soigneusement m'empêcher de donner créance aux choses qui ne sont pas entièrement certaines et indubitables (Descartes 1990: 121).

„მაგრამ, რაკი გონება მარწმუნებს უკვე, რომ იმ საგნების დაჯერებას, რომლებიც არ არიან საესებით სანდო და უეჭველი, მე ვაღიარებ ვარ ვუფროსილდებოდე არა ნაკლებ“ (დეკარტი 1955: 2).

ზმნის უარყოფითი ფორმით წარმოდგენილი სინონიმური წყვილი ამ შემთხვევაში ქართულ თარგმანში უზმნოდაც შეიძლება გადმოვცეთ, ცხადია, უარყოფითი აზრობრივი ნიუანსის შენარჩუნებით. მაგალითად, ასე

„მაგრამ რაკი გონება უკვე მკარნახობს, რომ საკამათო და სადავო ნივთების სარწმუნოდ მიჩნევასაც ისევე საგულდაგულოდ უნდა ვუფროთხოდე“ (დეკარტი 2001: 108).

სტილისტური მრავალფეროვნების თვალსაზრისით, დედნის ამა თუ იმ კონტექსტის ერთი რომელიმე სიტყვა თარგმანში შეიძლება სხვადასხვა სიტყვით ანუ სინონიმური წყვილით გადმოვცეთ. მაგალითად,

1...que les corps mêmes ne sont pas proprement connus par les sens ou par la faculté d'imaginer, mais par le seul entendement, qu'ils ne sont pas connus de ce qu'il sont vus ou touchés (Descartes 1990: 143).

„თვით სხეულები ნამდვილად შეცნობილი არიან არა გრძნობებით ან წარმოსახვით, არამედ მხოლოდ გაგების უნარით, და ეს სხეულებიც შეიცნობიან არა იმით, რომ ისინი დაინახეს ან მათ შეეხნენ“ (დეკარტი 1955: 25).

ორჯერ ერთი და იმავე ზმნის (connaître) გამეორებას, ჩვენ ვამჯობინეთ აზრი სინონიმური წყვილით გადმოვცეცა თარგმანში. კერძოდ:

„თავად საგნები არ შეიმეცნებიან სახელდობრ გრძნობებით ანუ წარმოდგენის უნარით, არამედ მხოლოდ გონებით, და არ აღიქმებიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ვეხებით ან ვხედავთ“ (დეკარტი 2001: 124).

ტაგტოლოგიის თავიდან ასაცილებლად, ორიგინალის ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება მეტყველების სხვადასხვა ფორმით გადმოვცეთ თარგმანში; მაგალითად,

...et parce que je ne puis rencontrer aucune autre voie pour expliquer comment elle se fait, je conjecture de là probablement qu'il y en a; mais ce n'est que probablement (Descartes 1990: 200).

„და ვინაიდან მე ვერ ვპოულობ ვერავითარ სხვა გზას, რომელიც ამისხნიდა მის გაჩენას ამიტომ მე აქედან საეგებისოდ დავასკვნი, რომ სხეულები ალბათ არსებობენ, მაგრამ მხოლოდ საეგებისოდ“ (დეკარტი 1955: 80).

ორჯერ ერთი და იმავე ზმნიზედის (probablement) გამეორებას, უმჯობესია იდენტური აზრი სხვადასხვა მორფოლოგიური ფორმით გადმოვცეთ; მაგალითად ასე:

...რაკი გონებით ვერ ვნახულობ სხვა უფრო ნაყოფიერ საშუალებას ამის ასახსნელად, ამიტომ მხოლოდ აქედან ვვარაუდობ: აღბათ სხეული არსებობს; მაგრამ ეს მხოლოდ აღბათობაა“ (დეკარტი 2001: 166).

ცხადია, სინონიმური წყვილები ერთგვარ ობიექტურ სინამდვილეს ასახავენ და ერთ აღსანიშნზე მიუთითებენ, თუმცა სინონიმურ წყვილში ან რიგში შემავალ სიტყვებს შორის შეიძლება უმნიშვნელო, მაგრამ მაინც შესამჩნევი სტილისტური ნიუანსი იყოს. ეს კარგად ჩანს სიტყვათა სემანტიკური დისტრიბუციის დროს მათი ურთიერთშენაცვლებით. „სინონიმებს, როგორც სტილისტურ საშუალებას, განსაკუთრებული როლი ენიჭება; სინონიმია ამრავალფეროვნებს მეტყველებას, ხდის მას უფრო ცოცხალსა და გამომსახველობითს, ასევე იძლევა საშუალებას გადმოგვცეს სინამდვილის გამოსახატავად აზრის ზედმიწევნითი ნიუანსები“ (Гар 1962: 13).

Qui donc! moi qui semble concevoir avec tant de netteté et de distinction ce morceau de cire, ne me connais-je pas moi-même, non seulement avec bien plus de verité et de certitude, mais encore avec beaucoup plus de distinction et de netteté? (Descartes 1990: 142).

„ნუთუ მე, რომელიც, როგორც ჩანს, ასეთი სიწმინდით და გარკვეულობით შევიცნობ სანთლის ამ ნაჭერს, არ ვიცნობ ჩემს საკუთარ თავს მეტი გარკვეულობითა და სიწმინდით, არამცთუ უფრო ჭეშმარიტად და უფრო ცხადად“? (დეკარტი 1955: 23).

ორიგინალის ტექსტის სინონიმური წყვილები – *netteté/distinction, verité/certitude, distinction/netteté* – ქართული ენის ბუნების, სიტყვათა შეხამების უნარისა და თარგმანის ადეკვატურობის პრინციპის გათვალისწინებით, იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

„რა უნდა ვთქვა ჩემზე მე, ვისაც მგონია, რომ შევიცნობ ამ სანთელს ასე გარკვევით? ნუთუ მე არ ვიცნობ საკუთარ თავს არა მხოლოდ უფრო მეტი ჭეშმარიტებითა და უეჭველობით, არამედ უფრო მეტი გარკვეულობითა და სიცხადით?“ (დეკარტი 2001: 123).

სინონიმები გვხვდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც ამა თუ იმ ტერმინის როლში ე. წ. „ყოფითი სიტყვებია“ გამოყენებული. ასე მაგალითად, პროცესის აღმნიშვნელი სიტყვებიდან: „მსხვრევა“, „ნგრევა“ და ა. შ.; საგნის კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინებიდან: „სხეული“, „საგანი“, „კორპუსი“ და ა. შ.; მწკრივი თვისების კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინებიდან: „მყარი“, „მდგრადი“ და ა.შ.

Le corps politique, aussi bien que le corps de l'homme, commence à mourir dès sa naissance et porte en lui-même les causes de sa destruction (Rousseau 1996: 101).

„პოლიტიკური კორპუსი, ისევე როგორც ადამიანის სხეული, დაბადებიდანვე იწყებს კვლამს და საკუთარ თავში ატარებს ნგრევის მიზეზებს (რუსო 1997: 88].

სინონიმური წყვილი „სხეული/კორპუსი“ ერთგვარ ობიექტურ სინამდვილეს ასახავს და ერთ აღსანიშნზე მიუთითებს.

დეკარტის თხზულების თარგმანშიც, ერთგვარი ობიექტური სინამდვილის ამსახველი იგივე სიტყვა (un corps) სინონიმური წყვილით „სხეული/საგანი“ გადმოვეცით. მაგალითად,

que dans un corps amer ou doux il y ait le même goût ou la même saveur, et ainsi des autres; que les astres, les tours et tous les autres corps éloignés soient de la même figure (Descartes 1990: 211).

„თითქოს მწარესა ან ტკბილ სხეულში იმყოფებოდეს იგივე გემო და ა.შ.; თითქოს ვარსკვლავებს, კოშკებს და სხვა დაშორებულ სხეულებს იგივე აღნაგობა და სიდიდე ჰქონდეთ“ (დეკარტი 1955: 90).

იგივე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსიაა:

„რომ მწარე ან ტკბილ სხეულში არის სწორედ სიმწარისა და სიტკბოს გემო და ა.შ.; რომ მნათობებს, კოშკებს, და ყველა სხვა ნებისმიერ შორეულ საგნებს აქვთ ისეთივე სიდიდე და ფორმა“ (დეკარტი 2001: 174).

ამგვარად, ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა, რომ სამყაროსადმი ენობრივი მიდგომის სხვადასხვა ფორმათა არსებობა, ენის გონითი თვისებები და შესაძლებლობათა დიაპაზონი თარგმნის პროცესში ნათლად ვლინდება იმგვარ ლექსიკურ ურთიერთობათა მაგალითზეც, როგორიცაა სინონიმია. ფრანგულიდან ქართულად თარგმნილი ერთი და იმავე ტექსტის ორი ვერსიიდან მოხმობილი მაგალითები იმაზეც მეტყველებს, რომ აბსტრაქტული ტერმინებითა და ლექსიკური სინონიმებით მდიდარი ქართული ენა მზადაა გამოხატოს ურთულეს ფილოსოფიურ აზრთა უმახვილესი ნიუანსები. თქმულის ნათელი დასტურია თარგმანის ადეკვატურობის პრაგმატული კრიტერიუმები.

V. 3) ანტონიმის პრობლემა

ლინგვისტური ასპექტით თარგმანის ანალიზისას ასევე არსებითია იმ საკითხის განხილვაც, რომელიც ანტონიმის ანუ ერთი ენობრივი სისტემის წიაღში სიტყვათა შორის სემანტიკური სხვაობის საფუძველზე არსებულ მიმართებას ეხება. ენაში ანტონიმები ის სტილისტური საშუალებაა, რომელსაც ავტორი იყენებს სიტყვათა ისეთ ურთიერთობათა გადმოსაცემად, როდესაც ერთი ცნების მნიშვნელობა გამორიცხავს მეორე ცნების მნიშვნელობას. ენათმეცნიერებაში, საერთო ენის მასალაზე, ანტონიმების საკითხი დამუშავებული და შესწავლილია არა ერთი მეცნიერის, კერძოდ, ჯორჯანელის, კომისაროვის, გილბერის, აპრესიანის, ნოვიკოვის და სხვათა მიერ. მეცნიერების ენაში, ბუნებრივია, იგი ამ ფუნქციისაგან სრულიად დაცლილია. მას მხოლოდ ცნებათა გამოვლენის ფუნქცია აკისრია. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სამეცნიერო ენაში ანტონიმთა საჭიროება გაცილებით მეტია, ვიდრე საერთო ენაში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პროცენტულად მათი რიცხვი ტერმინოლოგიურ სისტემებში შეუდარებლად მეტია.

ანტონიმია საგანთა ობიექტური თვისებების ასახვა კი არაა, არამედ ლოგიკურ შესაძლებლობათა გამოვლენა ანუ იგულისხმება სიტყვათა ისეთი ურთიერთობა, როდესაც ერთი ცნების მნიშვნელობა გამორიცხავს მეორე ცნების მნიშვნელობას ე.ი. როდესაც საქმე გვაქვს ცნებათა დაპირისპირებასთან (კონტრარული ცნებები). ანტონიმებით გადმოიცემა ორი ერთმანეთის კონტრადიქტორული ცნებაც (ანუ როდესაც არ არსებობს საგანი, რომელიც ორივე ცნებაში მოიაზრება და ამავე დროს ყოველი საგანი ან ერთ ცნებაში მოიაზრება, ან მეორეში; მაგალითად, „წითელი/არაწითელი“). „ცნებები შედარების დროს წარმოიქმნება. ყოველთვის რომ სინათლე ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ვერ განვასხვავებდით სინათლესა და წყვდიადს. ჩვენს პლანეტაზე ყველაფერი შეფარდებითია და დამოუკიდებელი არსებობა იმდენად აქვს, რამდენადაც ეს ნივთი გასხვავდება სხვა დანარჩენი ნივთისაგან და რამდენადაც ისინი ერთმანეთთან კავშირში განიხილებიან. ყოველი ცნება საპირისპიროდ მდგომი ცნების ტყუპის ცალია და ამდენად მისი წარმოდგენა შეუძლებელია ამ საწინააღმდეგო ცნებასთან შეპირისპირების გარეშე. საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვები არკვევენ ცნებებისა და ენის ჩამოყალიბების პროცესებს პირველყოფილ პერიოდში“ (Гак 1962: 39-40).

ანტონიმური ზედსართავების სათანადოდ გამოყენება დაპირისპირების მოხდენილი საშუალებაა; ზედსართავ სახელებში ანტონიმთა სიუხვე, ქართული ენის

ლექსიკის სიმდიდრის მაჩვენებელია; თარგმანის ენაზე სწორად შერჩეული ანტონიმური წყვილი ფილოსოფიური ტექსტის აზრობრივი სიზუსტის, თარგმანის სრულფასოვნების ერთ-ერთი კრიტერიუმია. ანტონიმურ სიტყვათა სულ მცირე ნიუანსით განსხვავებამაც კი შესაძლოა აზრის ცვლილება გამოიწვიოს.

Qu'un paralytique veuille courir, qu'un homme agile ne le veuille pas, tous deux resteront en place (Rousseau 1996: 71).

„თუ დამბლადაცემული ადამიანი გაქცევას მოისურვებს, ცქვიტი კი – არა, ორივე ადგილზე დარჩება (რუსო 1997: 58).

Ce qui rend penible l'ouvrage de la législation est moins ce qu'il faut établir que ce qu'il faut détruire (Rousseau 1996: 63).

„კანონშემოქმედებით საქმიანობას იმდენად ის კი არ ართულებს, რაც დასამკვიდრებელია, არამედ ის, რისი დანგრევაც არის აუცილებელი“ (რუსო 1997: 35).

L'exemple de l'élection du doge de Venise confirme cette distinction, loin de la détruire (Rousseau 1996: 122-23).

„ვენეციის დოჯის არჩევნები ამ სხვაობას კი არ აბათილებს უმაღლეს ადასტურებს“ (რუსო 1997: 106).

...crainte d'en dire trop ou de n'en pas dire assez selon leurs vues, et de choquer les intérêts qu'ils avaient à concilier (Rousseau 1996: 41).

„...იმის შიშით, რომ არაფერი დააკლონ, ან არ წააჭარბონ და ერთმანეთს არ დაუპირისპირონ ის შესხედულებები, რომელთა შეთანხმებაც ეწადათ“ (რუსო 1997: 31).

Mieux l'Etat est constitué, plus les affaires publiques l'emportent sur les privées dans l'esprit des citoyens (Rousseau 1996: 106).

„რაც უფრო უკეთაა მოწყობილი სახელმწიფო, მოქალაქეების შეგნებაში საზოგადოებრივ საქმეებს კერძოსთან შედარებით მით უფრო მეტი უპირატესობა ენიჭება“ (რუსო 1997: 93).

...détourne son attention des vues générales pour la donner aux objets particuliers (Rousseau 1996: 67).

„...როდესაც ხალხი თავს არიდებს საერთო საკითხებს და მთელი ყურადღება კერძო საგნებზე გადააქვს“ (რუსო 1997: 67).

Son intérêt particulier peut lui parler tout autrement que l'intérêt commun (Rousseau 1996: 24).

„საკუთარმა კერძო ინტერესმა შესაძლოა მას საერთო ინტერესისაგან სრულიად განსხვავებული რამ შთააგონოს“ (რუსო 1997: 24).

მოხმობილ მაგალითებში ანტონიმური წყვილები ქართულ თარგმანში პრაგმატული თვალსაზრისით შევარჩიეთ. სხვადასხვა ძირისაგან ნაწარმოებ

სიტყვებში ანუ ლექსიკური ანტონიმის შემთხვევებში მკვეთრი დაპირისპირება უფრო საგრძნობია (ქართულში ასეთი, ანტონიმური წყვილებია: კეთილი/ბოროტი; „კარგი/ცუდი“; „მწარე/ტკბილი“; „მთა/ბარი“; „სითბო/სიცივე“; „გარკვეული/ბუნდოვანი“ და ა.შ.).

...**que dans un corps amer ou doux il y ait le même goût** (Descartes 1990: 211).

„თითქოს მწარეს ან ტკბილ სხეულში იმყოფებოდეს იგივე გემო“ (დეკარტი 1955: 90).

მეტი აზრობრივი სიცხადის მიზნით, მართებულად მივიჩნიეთ ანტონიმური წყვილი – „მწარე/ტკბილი“ – გაგვეძლიერებინა მეორე ანტონიმური წყვილით „სიმწარე/სიტკბო“. იგივე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„რომ მწარე ან ტკბილ სხეულში არის სწორედ სიმწარისა ან სიტკბოს გემო“ (დეკარტი 2001: 174).

სემანტიკურად სწორად შერჩეული ანტონიმების შემთხვევაში, საჭიროა თარგმანის ენის (ამ შემთხვევაში ქართულის) სტილისტურ ნორმათა მოთხოვნის გათვალისწინება.

je ne puis concevoir une montagne sans une vallée (Descartes 1990: 190).

„მე არ შემიძლია ვიაზრო მთა უბაროდ“ (დეკარტი 1955: 70).

ჩვენი აზრით, მაგალითად მოხმობილ წინადადებაში ანტონიმური წყვილის მეორე სიტყვის ფორმა უმჯობესია გადმოვცეთ უქონლობის გამომხატველი სხვა საშუალებით; მაგალითად,

„მე არ შემიძლია მოვიაზრო მთა ბარის გარეშე“ (დეკარტი 2001: 158).

ლექსიკური ანტონიმებისაგან განსხვავებით, საერთო ძირის მქონე სიტყვებში დაპირისპირება ისეთივე სიმკვეთრით არ გამოირჩევა. ზოგი მეცნიერი ამიტომაც ანტონიმის ამ ტიპს არც გამოყოფს, მიაჩნია რა, რომ „ამ მაწარმოებლებს არ შესწევთ უნარი ყოველთვის მოახდინონ ის დაპირისპირება, რომელიც ანტონიმურ წყვილებში გვაქვს“ (Булаховский 1953: 44-45).

Car il n'est pas en ma liberté de concevoir un Dieu sans existence, c'est-à-dire un être souverainement parfait, sans une souveraine perfection, comme il m'est libre d'imaginer un cheval sans ailes ou avec des ailes (Descartes 1990: 1900).

„მე არ შემიძლია ვიაზრო ღმერთი არსებობას მოკლებულად (ე.ი. უაღრესად სრული არსება უზენაეს სისრულეს მოკლებულად), აი როგორც შემიძლია წარმოვიდგინო ცხენი თუ მინდა უფროთოდ, თუ მინდა ფრთებიანად“ (დეკარტი 1955: 70).

ქართულად მეტყველი ადამიანისათვის უქონლობის აზრის გამოსახატავად შერჩეულ ანტონიმურ წყვილს – „უფროთოდ/ფრთებიანად“ – უმაღლესი „ფრთოსანი/არაფრთოსანი“ შეესაბამება; ასევე, უფრო მისაღები და ბუნებრივია „არსებობის გარეშე“ და არა „არსებობას მოკლებულად“:

„მე მართლაც არ ვარ თავისუფალი ღმერთი მოვიაზრო არსებობის გარეშე (ე.ი. უაღრესად სრულყოფილი არსებისა – უმაღლესი სრულყოფილების გარეშე), სამაგიეროდ თავისუფლად შემიძლია წარმოვიდგინო ფრთოსანი ან არაფრთოსანი ცხენი“ (დეკარტი 2001: 158-159).

ანტონიმთა შერჩევა ღიად არის დამოკიდებული ერთი მხრივ კონტექსტზე, მეორე მხრივ კი ქართული ენის სალიტერატურო სტილის ნორმით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისობაზე. ქართულად თარგმნისას, კონტექსტისა და ენის სტილისტურ ნორმათა გათვალისწინებით, შეიძლება სხვადასხვა ხერხს მივმართოთ. მაგალითად,

1. que je suis une chose qui pense et non étendue, et que la pierre au contraire est une chose étendue et qui ne pense point (Descartes 1990: 158).

„რომ მე ვარ მოაზროვნე და არა განფენილი საგანი, ხოლო ქვა წინააღმდეგ ამისა, არის განფენილი და არა მოაზროვნე“ (დეკარტი 1955: 40).

„რადგან ვარ მოაზროვნე, თუმცა განუფენელი რამ, ქვა კი განფენილია და არამოაზროვნე“ (დეკარტი 2001: 135).

2. le corps , de sa nature, est toujours divisible, et que l'esprit est entièrement indivisible (Descartes 1990: 216).

„სხეული თავისი ბუნებით ყოველთვის გაყოფადია ხოლო გონება სრულიად განუყოფელია“ (დეკარტი 1955: 95).

„სხეული თავისი ბუნებით ყოველთვის გაყოფადია, გონი კი აბსოლუტურად განუყოფადი“ (დეკარტი 2001: 178).

პირველ და მეორე მაგალითში, მართალია, ანტონიმური წყვილები ნაწარმოებია უარყოფითი ნაწილაკით „არა“ და უქონლობის გამომხატველი „უ“ აფიქსით, ასევე, სავესებით ნათელია მთარგმნელის განზრახვა – ანტონიმის სიტყვაწარმოების ასეთი

ტიპით გადმოსცეს აზრობრივი დაპირისპირება სიტყვათა შორის; მაგრამ სტილის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ბევრად უფრო ბუნებრივია დაპირისპირების მიზნით სხვა (ასევე უქონლობის გამომხატველი) ფორმის გამოყენება. მაგალითად, „განფენილი/არა განფენილის“ ნაცვლად – „განფენილი/განუფენელი“; ხოლო საერთო ძირის მქონე სიტყვების ამ წყვილში – „მოაზროვნე /არა მოაზროვნე“ – უარყოფითი ნაწილაკი „არა“, რომელიც სიტყვას წინ ერთვის და უმჯობესია მისგან (სიტყვისაგან) განცალკევებული არ იყოს. რაც შეეხება ანტონიმურ წყვილს – „გაყოფადი/განუყოფელი“ – იგი არასწორი ფორმითაა წარმოდგენილი, უნდა იყოს – „გაყოფადი/განყოფადი“.

არის შემთხვევები, როდესაც დედნის ორი (ან მეტი) ანტონიმური წყვილიდან ერთი შეიძლება უქონლობის გამომხატველი აფიქსით გადმოიცეს ქართულად, ხოლო მეორე ლექსიკური ანტონიმებით; მაგალითად,

...et de ce qu'entre ces diverses perceptions des sens les unes me sont agréables, et les autres désagréables, il n'y a point de doute que mon corps, ou plutôt moi-même tout entier, en tant que je suis composé de corps et d'âme, ne puisse recevoir diverses commodités ou incommodités des autres corps qui l'environnent (Descartes 1990: 230-231).

...და ვინაიდან გრძნობათა ამ ნაირ-ნაირი პერცეპციებისაგან ზოგიერთი სასიამოვნოა ჩემთვის, ზოგიერთი არასასიამოვნოა, ამიტომ ეჭვი არ არის, რომ ჩემს სხეულს ან უმაღლეს მთელ ჩემს მეს, რამდენადაც მე შედგენილი ვარ სხეულისა და სულისაგან, შეუძლია მიიღოს სხვადასხვანაირი შეება ან შევიწროება გარშემო არსებული სხეულებისაგან“ (დეკარტი 1955: 90).

მაგალითად მოხმობილ წინადადებაში ორიგინალის პირველი ანტონიმური უარყოფითი ნაწილაკი „არა“-თი გადმოვეცით, ხოლო მეორე წყვილის – *commodités/incommodités* – გადმოსაცემად ქართულ თარგმანში შერჩეულ კონტრადიქტორულ სიტყვათა (შეება/შევიწროება) ნაცვლად (თარგმანის ადეკვატურობის პრინციპისა და კონტექსტის გათვალისწინებით), ჩვენ შევარჩიეთ აზრობრივად სადარი სინტაგმა „დადებითი/უარყოფითი შთაბეჭდილება“ და იგივე წინადადება ვთარგმნეთ ასე:

...იქიდან კი, რომ ზოგიერთი ამ პერცეფციათაგანი ჩემთვის სასიამოვნოა, სხვები – არასასიამოვნოა, სრული უეჭველობით მარწმუნებს შემდეგში: ჩემი სხეული ან უმაღლეს თავად მე მთლიანად, რაკი შედგენილი ვარ სხეულისა და გონისაგან, ვემორჩილები იმ სხეულებს, მე რომ გარს მაკრავს და მათი გავლენით მექმნება დადებითი ან უარყოფითი შთაბეჭდილება“ (დეკარტი 2001: 174).

გარდა სიტყვათა სემანტიკური მნიშვნელობისა, ანტონიმურ წყვილთან მიმართებით ზოგჯერ გასათვალისწინებელია ისეთი მცირე ნიუანსიც, რომელიც უკავშირდება მეშველი სიტყვის (მაგალითად, ფრანგული *ou* კავშირის) თარგმნას.

1. Il se présente seulement encore ici une difficulté touchant les choses que la nature m’enseigne devoir être suivies ou évitées (Descartes 1990: 213).

„აქ ჩნდება კიდევ მხოლოდ ერთი სიძნელე იმ საგნების შესახებ, რომლებსაც მე, როგორც ბუნება მასწავლის, უნდა ვეწაფებოდე ან გავურბოდე“ (დეკარტი 1955: 92).

იმავე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„აქ ჩნდება ერთი დამატებითი სირთულე იმ ნივთების მიმართ, რომელთა შესახებ ბუნება მიჩვენებს, რომ მე მათ უნდა მივყვე თუ გავერიდო“ (დეკარტი 2001: 176).

2. ...que je suis entièrement indifférent à le nier ou à l’assurer (Descartes 1990: 180).

„რომ მე ინდიფერენტული ვარ დავადასტურო ან უარყო იგი“ (დეკარტი 1955: 61).

იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

„ერთნაირი გულგრილობით ვეკიდები ორივეს – უარყო თუ დავადასტურო ეს ყოველივე“ (დეკარტი 2001: 150).

მეორე წინადადების ანტონიმურ წყვილს – *nier/assurer*, მნიშვნელობის ადეკვატურობით, ქართულად საგსებით შეესაბამება ანტონიმური წყვილი „უარყოფა/დადასტურება“; პირველი წინადადების ანტონიმურ წყვილს *suivre/éviter*, ჩვენი აზრით, ქართულ თარგმანში ანტონიმურ წყვილ – „ვეწაფებოდე/გავურბოდე“–ზე მეტად, უფრო ანტონიმური წყვილი – „მივყვე/გაერიდო“ შეესაბამება, ხოლო, კონტექსტის მიხედვით, ორივე წინადადებაში „ან“-ს უმაღლეს კავშირი „თუ“ ეთანადება.

ფილოსოფიურ ტექსტში ანტონიმებად უცხო სიტყვების გამოყენების შემთხვევაში, აზრობრივი შესაბამისობის გარდა, ფონეტიკური ფორმის მართებულობაც უნდა გავითვალისწინოთ;

...qu’il y ait en moi une certaine faculté passive de sentir [...] or, cette faculté active ne peut être en moi (Descartes 1990: 207).

„რომ მაქვს რაღაც პასიური უნარი შეგრძნებისა... მაგრამ ეს აქტიური უნარი არ შეიძლება მოიპოვებოდეს ჩემში“ (დეკარტი 1955: 86-87).

თარგმანში სიტყვები passif (პასიური) და actif (აქტიური) აზრობრივად დედნის ადეკვატურია, მაგრამ ორთოგრაფიულად არასწორი ფორმითაა წარმოდგენილი; გაუგებარია ხსენებულ სიტყვათა „ვ“-იანი ფორმა, რომელიც ყურს უხეზად ხვდება. აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, იგივე წინადადების თარგმანი ბევრად ბუნებრივ ფორმას იღებს ქართულად. მაგალითად,

„სწორედ ჩემში არის შეგრძნების რაღაც პასიური უნარი.. ეს აქტიური უნარი, ცხადია, არ შეიძლება იყოს ჩემში“ (დეკარტი 2001: 171-172).

ანტონიმური წყვილი Affirmer/nier ქართულენოვან თარგმანში წარმო-დგენილია ანტონიმური წყვილით „ჰოჰყოფს-უარჰყოფს“ (დეკარტი 1955: 17,26,30).

ვინაიდან სიტყვა „ჰოჰყოფა“ (როგორც ნეოლოგიზმი) არ დამკვიდრდა ქართული ენის ლექსიკაში, affirmer ჩვენ ვთარგმნეთ – „ამტკიცებს დადებითად.“

Je suis une chose qui pense, c'est-a-dire qui doute, qui affirme, qui nie, qui connaît peu de choses, qui en ignore beaucoup, qui aime, qui hait, qui veut, qui ne veut pas (Descartes 1990: 144).

„მე ვარ ისეთი საგანი, რომელიც აზროვნებს, ე.ი. რომელიც ეჭვობს, რომელიც ჰოჰყოფს, რომელიც უარჰყოფს, რომელმაც იცის ცოტა რამ, რომელმაც არ იცის ბევრი რამ, რომელსაც უყვარს, რომელსაც სძულს, რომელსაც სურს, რომელსაც არ სურს“ (დეკარტი 1955: 26).

იგივე წინადადება ჩვენ ვთარგმნეთ ასე:

„მე ვარ ისეთი რამ, რომელიც აზროვნებს, ე.ი. რომელიც ეჭვობს, ამტკიცებს დადებითად, უარყოფს, უყვარს, სძულს, იცის ძალზე ცოტა, არ იცის ბევრი რამ, რომელსაც სურს, არ სურს“ (დეკარტი 2001: 125).

ზმნური შესიტყვებით გადმოცემული ანტონიმური წყვილის თარგმნისას, გასათვალისწინებელია ის ვითარება, რომ ასეთი ტიპის შესიტყვებები „ყოველი ენის ლექსიკური ფონდის ის ნაწილია, რომელიც სიტყვასიტყვით არ ითარგმნება [...] ასეთ შემთხვევაში უფრო მართებული იქნება შესაფერისი ფორმით იმავე მოტივაციის შენარჩუნება“ (ფანჯიკიძე 1995: 92) და მშობლიური ენის ადეკვატური საშუალებებით თარგმნა. მაგალითად,

...il m'a donné la liberté de donner mon jugement ou de ne pas donner sur certaines choses (Descartes 1990: 182).

„მან (ღმერთმა) მომცა თავისუფლება დავეცე მსჯელობა ან არ დავეცე იგი ამა თუ იმ საკითხზე“ (დეკარტი 1955: 63).

ზმნური შესიტყვება – donner le jugement sur quelque chose – ის აღნიშნული სიტყვასიტყვითი თარგმანი არ შეესაბამება ქართულის ბუნებას; იგივე ძალზე სადად და მარტივად შეიძლება ითარგმნოს, მაგალითად, ასე:

„ღმერთმა მე მიბოძა თავისუფლება, გამოვთქვა ან არ გამოვთქვა აზრი იმ ნივთებზე...“ (დეკარტი 2001: 152).

საერთოდ, სიტყვასიტყვით თარგმანს ანუ კალკს ხშირ შემთხვევაში ქართულისათვის არაბუნებრივი, მიუღებელი ფორმა აქვს; ქართული ენის მდიდარი ლექსიკა სრულიად თავისუფლად იძლევა ნებისმიერი აზრის ლაღად გადმოცემის საშუალებას. მაგალითად,

Or, entre ces idées, les unes me semblent être nées avec moi, les autres être étrangères et venir de dehors, et les autres être faites et inventées par moi-même (Descartes 1990: 149).

„რომ ამ იდეათა შორის ზოგიერთი დაბადებულია ჩემთან ერთად, სხვები უცხია და გარედან მომდის, კიდევ სხვები ჩემ მიერ არის შექმნილი“ (დეკარტი 1955: 31).

იდეასთან მიმართებით სხვა სიტყვების შერჩევა ვამჯობინეთ. იმავე წინადადების თარგმანის ჩვენი ვერსია ასეთია:

„მაგრამ იდეათა შორის ზოგიერთი თანდაყოლილი მენვენება, ზოგი შექმნილი, ნაწილი კი თავად ჩემ მიერ შექმნილი“ (დეკარტი 2001: 128).

თარგმანში ასევე სასურველია ანტონიმური ზმნებით გამოსატყული კილოს ნიუნსის გათვალისწინებაც. მაგალითად,

car, soit que je veille ou que je dorme deux et trois joints ensemble formeront toujours le nombre de cinq (Descartes 1990: 124).

...ვინაიდან, გინდ ფხიზლად ვიყუ, გინდ მეძინოს ორისა და სამის შეერთება ყოველთვის იქნება რიცხვი ხუთი“ (დეკარტი 1955: 5).

ვფიქრობთ, ბევრად უფრო ბუნებრივია ასეთი თარგმანი:

...*მღვიძავს* თუ *მძინავს*, ორს მიმატებული სამი მაინც ყოველთვის ხუთია“ (დეკარტი 2001: 110).

ამგვარად, ნებისმიერი ჟანრის ტექსტის დარად ფილოსოფიური ტექსტის, როგორც პროზაული ქსოვილის განსაკუთრებული კომპოზიციური ორგანიზაციის ფორმის ადეკვატურ თარგმანთან დაკავშირებით აღმოცენებული ლექსიკური პრობლემატიკა დიდად არის დამოკიდებული ორიგინალისა და თარგმანის ენათა სისტემის აგებულებასა და ცალკეული სიტყვების მნიშვნელობათა სემანტიკურ ველზე. „ლოგიკური თვალსაზრისით სიტყვა არის კონვენციური ნიშანი; ხოლო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ის არის ნიშანი, რომლის მნიშვნელობაც დგინდება გამოყენებით, ჩვევებით, ასოციაციურად; ლოგიკური თვალსაზრისით სიტყვის მნიშვნელობა უდავოდ დადგენილია თავდაპირველი გადაწყვეტილებით – რაღაც პირველადი დეფინიციით ან შეთანხმებით [...] ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სიტყვის მნიშვნელობა დადგენილი იქნა, როდესაც ჩვენ პირველად ვისწავლეთ მისი გამოყენება, როდესაც ჩვენ პირველად ჩამოვაყალიბეთ ლინგვისტური ჩვევები და კავშირები“ (პოპერი 2000: 28).

პირველ რიგში სიტყვა ჩვენ გვესმის როგორც შინაარსობრივი ფორმა. სიტყვის შინაარსი ინტუირებულ შთაბეჭდილებათა სიმრავლეა, რომელთაც თავს უყრის სიტყვა. სიტყვის შიდა ფორმა გულისხმობს სიტყვის მიერ გარკვეული მნიშვნელობის მიღების უნარს, ამა თუ იმ ასპექტით, ამა თუ იმ კონტექსტში სიტყვის შინაარსის წარმოდგენის უნარს. ფაქტიურად, სიტყვას, მის ბუნებას განსაზღვრავს შიდა ფორმა. ამ უკანასკნელის ქმნადობა იმ ველის გამხსნელია, რომელშიც სიტყვა წარმოაჩენს რაიმე მნიშვნელობას ანუ მნიშვნელობის წმინდა პირობაა და, შესაბამისად, გულისხმობს იმ თავისუფალ არეს, სადაც სიტყვა ახორციელებს თავის თავს: იძენს რაიმე მნიშვნელობას და ერწყმის სხვას. სიტყვის შიდა ფორმის ქმნადობა მიმართულია იმ ღიაობაზე, რომელშიც ყალიბდება კონტექსტი.

კონკრეტულ ლოგიკურ-სემანტიკურ კავშირში სინონიმთა, ანტონიმთა თუ პოლისემიური სიტყვის ამა თუ იმ მნიშვნელობის არჩევანს განსაზღვრავს კონტექსტი; მას, როგორც სემანტიზაციის ერთ-ერთ საშუალებას, თავიდანვე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან სიტყვა თავის ზუსტ მნიშვნელობას ფრაზულ გარემოცვასა და კონკრეტულ სიტუაციაში იძენს; აქედან გამომდინარე, თარგმნის დროს სიტყვათა სულ მცირე ნიუანსით განსხვავებამაც კი შესაძლოა აზრის ცვლილება გამოიწვიოს.

ფილოსოფიური ტექსტის თარგმანი ითხოვს ძალზე ფრთხილ მიდგომას პოლისემიური სიტყვისადმი, რომელიც ხშირად იცვლის მნიშვნელობას. კონტექსტის მიხედვით ორიგინალის პოლისემიური სიტყვის ამა თუ იმ მნიშვნელობას ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს თარგმანის ენაზე შერჩეული სიტყვა, რათა თარგმანმა მეორე სუბიექტში (მკითხველსა თუ მსმენელში) დედნის ადეკვატური ეფექტი გამოიწვიოს. ფაქტია, სინონიმურ სიტყვათა რიგი ამრავალფეროვნებს თარგმანის ენას და მთლიანი თხრობის სტილს უფრო მოხდენილს ხდის; ანტონიმია კი სამყაროს პრაქტიკული შემეცნებისა და ცნებათა ლოგიკურ სიბრტყეში შეფასების საკითხი უკავშირდება. აქედან გამომდინარე, თარგმანის ენაზე სინონიმთა და ანტონიმთა შერჩევაც ასევე ფრთხილ და დიფერენცირებულ მიდგომას ითხოვს; ეს განპირობებულია როგორც კონტექსტის აზრობრივი მოთხოვნებით, ისე სიტყვის სემანტიკური და სტილისტური შესაბამისობით იმ ენის ნორმებთან, რომელზეც ვთარგმნით.

ცხადია, თარგმანის ადეკვატურობის თვალსაზრისით, უპირველესია სიტყვისა თუ ფილოსოფიურ ცნებათა გამომხატველი ტერმინის მნიშვნელობის სიცხადე და მისი მისადაგებული დაკავშირება წინადადების აზრთან. ჩვეულებრივ, საერთო სალიტერატურო ენასა და ცოდნის ნებისმიერი დარგისათვის ნიშანდობლივ ტერმინოლოგიურ სისტემას შორის მუდმივი კონტაქტი არსებობს; ტერმინოლოგიური სისტემა ფუნქციობს ბუნებრივი ენის კანონების მიხედვით; შესაბამისად, ენობრივი ნიშნის ყველა ტენდენცია (პოლისემია, სინონიმია, ანტონიმია) მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი ამისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება. აქედან გამომდინარე, თარგმანის პროცესში სიტყვის თუ ტერმინის შერჩევისას უნდა ვხელმძღვანელობდეთ შემდეგი პრინციპით: „ენის გრძობა... დედაენით გაერთიანებული სოციუმისთვისებაა. ამდენად, იგი სუბიექტისთვისებაა (და არა ენისა), მაგრამ მისი საფუძველი არ არის სუბიექტი, იგი ობიექტური ბუნებისა უნდა იყოს“ (რამიშვილი 1995: 115).

მოხმობილი მაგალითები მოწმობს, რომ სიტყვა, გარდა იმისა რომ თავისთავად გარკვეული ლექსიკურ-გრამატიკული მთლიანობაა, თავის სემანტიკურ და ემოციურ დაფერილობას კონტექსტისაგან სესხულობს, მასში აღწევს თავის საბოლოო დაკონკრეტებას და ამდენად, მის ფონზე უნდა იქნეს განხილული, რადგან აზრის ნიუანსი გაცილებით მეტია, ვიდრე სიტყვა და გრამატიკული ფორმა.

დასკვნა

დეკარტის ნაშრომის „მეტაფიზიკური მედიტაციები“-ს თარგმანის ორი ვერსიის შედარებისას ჩვენი, როგორც პრაქტიკოსი მთარგმნელის, მიზანი არ ყოფილა შეუსაბამობათა საგულდაგულოდ აღნუსხვა; გვსურდა, მაგალითებით ცხადგვეყო ერთი ენიდან (ფრანგულიდან) მეორე არამონათესავე ენაზე (ქართულად) ადეკვატური თარგმანის შესაძლებლობა; კვლევის პროცესში პრობლემატიზებულ იქნა ფილოსოფიური ლიტერატურის ადეკვატურ თარგმანთან დაკავშირებულ კონკრეტულ (სტილისტურ, გრამატიკულ, ლექსიკურ) საკითხთა წრე; შევეცადეთ დაგვედასტურებინა ქართული ენის შესაძლებლობათა ფართო დიაპაზონი ფილოსოფიური აზრის ლაღად და ბუნებრივად გადმოსაცემად. სათარგმნი მასალის ტიპოლოგიის თვასაზრისით, შევეცადეთ ნათელგვეყო თანამედროვე ფრანგი მეცნიერის ჟ. ლადმირალის კლასიფიკაციის სისწორე და ახლებური ინტერპრეტაციის შედეგად (სათანადო აზროვნების სტილისა და შესაბამისი ენობრივი გამოხატულების განსაზღვრის საფუძველზე), დაგვედასტურებინა ფილოსოფიური ტექსტის, გონისმეცნიერებათა ერთ-ერთი სახეობის, ადგილის მართებულობა სათარგმნი მასალის ტრადიციულ კლასიფიკაციაში.

კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე:

1. ფილოსოფიური ტექსტი – კულტურულ-რაციონალური დისკურსი – თავისი პოლიფუნქციური ხასიათით და სხვადასხვა სტილთა ინტერფერენციით, პროზაული ქსოვილის განსაკუთრებული კომპოზიციური ორგანიზაციის ფორმაა; იგი ქმნის ცალკე ქვეჯგუფს, ერთგვარ შუალედურ რგოლს თარგმანის მხატვრულ და არამხატვრულ სახეთა შორის და უნდა განიხილებოდეს როგორც დამოუკიდებელი ფუნქციური სახესხვაობა ანუ დამოუკიდებელი ქვესისტემა სათარგმნი მასალის კლასიფიკაციაში.

2. ყოველი სათარგმნი მასალის დარად, ფილოსოფიური ტექსტის თარგმანი არ უნდა ახდენდეს დედნის ფოტოგრაფირებას; ფილოსოფიური ტექსტის ენა საერთო-სალიტერატურო ენის (როგორც მთელის) ერთი ნაწილი და დამოუკიდებელი ქვესისტემაა, რომელზეც ასევე ვრცელდება ენობრივი

კანონზომიერება. აქედან გამომდინარე: ფილოსოფიური თხზულების თარგმნის დროს აღმოცენებული სპეციფიკური ენობრივი პრობლემებიც – სტილისტური, გრამატიკული თუ ლექსიკური – აზროვნების ამ სტილისათვის ნიშანდობლივი თავისებურებების გათვალისწინებით უნდა გადაიჭრას. აბსტრაქტული ტერმინებით მდიდარი ქართული ენა მზადაა გამოხატოს ურთულესი ფილოსოფიური აზრები. თქმულის დასტურია თარგმანის ადეკვატურობის პრაგმატული კრიტერიუმები. მთავარია შინაარსის გადმოცემა თარგმანის ენის ლიტერატურული ნორმებისა და ტრადიციის შესაბამისი საუკეთესო ენობრივი საშუალებებით; აღნიშნული მოთხოვნა სათანადო ლინგვისტურ ცოდნასა და ენის აღლოსაც ითხოვს.

3. ქართული და ფრანგული ენების გრამატიკულ სისტემათა სხვაობა არ გახლავთ დაუძლეველი ბარიერი და არ გამორიცხავს აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნების შესაძლებლობას თარგმანში;

კერძოდ: ა). ქართულ ენაზე ფრანგული არტიკლით გამოხატული აზრობრივი ნიუანსების რეფერენციისას, არტიკლის რომელიმე ფორმით ექსპლიციტურად (ან იმპლიციტურად) ხაზგასმულ რაიმე სემანტიკურ თუ სტილისტურ ნიუანსთა გადმოსაცემად ქართულს მრავალი საშუალება აქვს.

ბ). თარგმნისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ვითარება, რომ ქართულში ზმნა წინადადების რეგულატორია და მეტი კატეგორიების შეთავსების უნარი აქვს. აზრის ადეკვატურად გადმოსაცემად, კონტექსტის კონკრეტული მოთხოვნის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს ფრანგული ზმნისათვის დამახასიათებელ დროთა ფუნქციები, ქრონოლოგიური მიმართებები და სათანადოდ აისახოს თარგმანის ენაზე.

გ). დასაშვებია გრამატიკული ცვლილებები და გადაჯგუფებები, ქართულ წინადადებაში სიტყვათა შედარებით თავისუფალი რიგი ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ სინტაქსური და სტილისტური მიზნებისათვის, აზრის სხვადასხვა ნიუანსის გადმოსაცემად. თარგმნისას არსებითია შემდეგი მოთხოვნა: სათანადო ფორმით შევუწყოთ ერთმანეთს სიტყვები, რათა მათ შორის ქართულისათვის ბუნებრივმა სინტაქსურმა მიმართებამ უზრუნველყოს აზრის სიცხადე. როდესაც

ქართული სიტყვები მოქცეულია უცხო სინტაქსის ყალიბში, კალკი განსაკუთრებით მძიმე ფორმას იღებს ქართულში.

4. ფრანგულისა და ქართულის სიტყვათა სემანტიკური ველის კონკრეტულობა/აბსტრაქტულობის ხარისხის არაჰომოგენურობის მიუხედავად, ქართული ენის მდიდარი ლექსიკა სრულიად თავისუფლად იძლევა ნებისმიერი აზრის ლაღად გადმოცემის საშუალებას. მთარგმნელის ამოცანაა იმ რესურსთა მოძიება, რომელიც მას ორიგინალის სადარი ასლის შექმნას შეაძლებინებს.

შესაბამისად, ა).კონტექსტისა და თხრობის ემოციური ტონის გათვალისწინებით, თარგმნილი ფილოსოფიური ტექსტი ისე უნდა იყოს აგებული, რომ მასში გამოვლინდეს როგორც მშობლიური, ისე უცხო ენის თავისებურებანი. თავიდანვე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს კონტექსტს, როგორც სემანტიზაციის ერთ-ერთ საშუალებას, ვინაიდან სიტყვა თავის ზუსტ მნიშვნელობას ფრაზულ გარემოცვასა და კონკრეტულ სიტუაციაში იძენს;

ბ). ფილოსოფიური ტექსტის თარგმანი ითხოვს ძალზე ფრთხილ მიდგომას პოლისემიური სიტყვისადმი, რომელიც ხშირად იცვლის მნიშვნელობას; დიფერენცირებულ მიდგომას ითხოვს სინონიმთა და ანტონიმთა შერჩევაც. თარგმანში აქტივიზებული ყოველი სიტყვა – დენოტაციური თუ კონოტაციური მნიშვნელობით – დედნის ეკვივალენტური უნდა იყოს. ადეკვატურობა ასეთ დროს უფრო იმ ენობრივი კოლექტივის სემანტიკური ნორმებითაა ნაკარნახევი, რომლის ენაზეც ითარგმნება ტექსტი. ეს განპირობებულია როგორც კონტექსტის აზრობრივი მოთხოვნებით, ისე სიტყვის შესამების უნარით ანუ ლოგიკურად და სემანტიკურად რომელ სიტყვებს ითხოვს და ეგუება იგი წინადადებასა თუ ფრაზაში. თარგმანის ენაზე სიტყვათა სულ მცირე ნიუანსით განსხვავებამაც კი შესაძლოა აზრის ცვლილება გამოიწვიოს.

5. გამოკვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფილოსოფიური ტექსტის თარგმანთან დაკავშირებულ ლინგვისტურ საკითხთა შესწავლისას, ისე თარგმანისა და ზოგადად თარგმნადობის პრობლემათა კვლევის შემდგომი გაღრმავების მიზნით. თეორიული თვალსაზრისით, ნაშრომი ღირებულია ფილოსოფიურ ტერმინთა ქართულად თარგმნის სემანტიკური და სტილისტური ადეკვატურობის კვლევის კუთხით. ნაშრომის ცალკეული მონაკვეთები, მისი

ძირითადი დებულებები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჰუმანიტარული ფაკულტეტის საუნივერსიტეტო კურსში – თარგმანის თეორია და პრაქტიკა; ასევე, დაესმარება ფილოსოფიური ლიტერატურის მთარგმნელებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ლ., *ვოლტერიანობა საქართველოში*. გამომც. „სახელგამი“, ტფილისი, 1933.
2. ასათიანი ლ., *რჩეული ნაწერები*. ტ. I, გამომც. „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1958.
3. ახვლედიანი ც., *რით აიხსნება ფრანგული ორთოეპიის დაცილება ორთოგრაფიისაგან ? უცხოური ენები სკოლაში*, №2, თბილისი, 1991.
4. ახვლედიანი ც., *წარმოთქმისა და ორთოგრაფიის თანაფარდობა*. უცხოური ენები სკოლაში, 1987, №4, თბილისი, 1987.
5. ბლანშო მ., *თარგმანის შესახებ*. კრ. *ქართულად ნათარგმანები*, რედ. მ. ხარბედია, გამომც. „არილი“, თბილისი, 2002.
6. ბუაჩიძე თ., *სიცოცხლის ფილოსოფია*. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1991.
7. ბუაჩიძე თ., *ფილოსოფიური ნარკვევები*. ტ. II, *თსუ გამომცემლობა*, თბილისი, 2005.
8. გამსახურდია კ., *რჩეული თხზულებანი 8 ტომად*. ტ. VII. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965.
9. გამსახურდია კ., *თხზულებათა 10-ტომეული*. ტ. VII. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983.
10. გაჩეჩილაძე გ., *მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი*. გამომც. „განათლება“, თბილისი, 1966.
11. დედაბრიშვილი გ., *რუსეთის გზით შემოსული უცხოური ფილოსოფიური თარგმნილი ლიტერატურა საქართველოში*. კრებ. *ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები* გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
12. დიურკემი ე., *რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები*. გამომც. „იოანე პეტრიწი“, თბილისი, 2004.
13. დიურკემი ე., *სოციოლოგიის მეთოდის წესები*. გამომც. „იოანე პეტრიწი“, თბილისი, 2004.
14. დეკარტი რ., *მეტაფიზიკური განაზრებანი*. საქ. მეც. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955.
15. დეკარტი რ., *მსჯელობა მეთოდის შესახებ*. *მეტაფიზიკური მედიტაციები*. გამომც. „ნეკერი“, თბილისი, 2001.

16. თევზაძე გ., *XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის სააზროვნო ვითარება საქართველოში. კრებ. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია. ტ. IV. გამომც. საქ. მეცნ. აკადემია, თბილისი, 2003.*
17. თევზაძე გ., *სოლომონ დოდაშვილი. გამომც. „დიოგენე“, თბილისი, 2005.*
18. კასირერი ე., *სტრუქტურულში თანამედროვე ლინგვისტიკაში. „მიმოხილველი“, თბ., თსუ გამომცემლობა, 1968.*
19. კასირერი ე., *რა არის ადამიანი, გამომც. „განათლება“, 1983.*
20. კეკელიძე კ., *მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი. „ლიტერატურული ძიებანი“, თბილისი, 1951.*
21. კეკელიძე კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია. თსუ გამომცემლობა, ტ. I, თბილისი, 1941.*
22. კეკელიძე კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია. თსუ გამომცემლობა, ტ. II, თბილისი, 1958.*
23. კეკელიძე პროკ., *აკაკი წერეთელი (ცხოვრება და მოღვაწეობა). გამომც. „საბლიტგამი“, თბილისი, 1953.*
24. კვაჭაძე ლ., *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. გამომც. „განათლება“, თბილისი, 1966.*
25. კოტეტიშვილი ვ., *აღმოსავლურ დასავლური დივანი. გამომც. „დიოგენე“, თბილისი, 2002.*
26. ლაბუჩიძე დ., *მამარდაშვილი. გამომც. „სანი“, თბილისი, 2003.*
27. მელიქიშვილი დ., *იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1975.*
28. მონტესკიე შ., *კანონთა გონი. გამომც. „მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“, თბილისი, 1994.*
29. ნათაძე მ., *ინგლისურ-ქართული და გერმანულ-ქართული თარგმანის შეპირისპირების ლინგვო-სტილისტური პრობლემები. გამომც. „განათლება“, თბილისი, 1986.*
30. ნათაძე ნ., *სიტყვა და სახე. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1986.*
31. ნატროშვილი გ., *უდაბნოში დაწერილი წიგნი. „მნათობი“, 12, თბილისი, 1969.*
32. ნიკოლაძე ნ., *ჩვენი მწერლობა. თხზულებანი ტ. I, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1962.*

33. ნუცუბიძე შ., *ქართული ფილოსოფიის ისტორია. საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, ტ. I, თბილისი, 1956.*
34. ნუცუბიძე შ., *ქართული ფილოსოფიის ისტორია. საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, ტ. II, თბილისი, 1958.*
35. *ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა. გამომც. „მერანი“ თბილისი, 1991.*
36. პასი ო., *თარგმანი – სიტყვიერება და სიზუსტე. კრ. „ქართულად ნათარგმანები“; რედ. მ. ხარბელია, გამომც. „არილი“, თბილისი, 2002.*
37. პოპერი კრ., *ვარაუდები და დარღვევები – მეცნიერული ცოდნის ზრდა. გამომც. „კვარი“, თბილისი, 2000.*
38. რამიშვილი გ., *ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1995.*
39. რამიშვილი გ., *სიტყვათა სემანტიკური კლასიფიკაცია. „უცხოური ენები სკოლაში“; №3, თბილისი, 1979.*
40. რუსო ჟ. ჟ. *საზოგადოებრივი ხელშეკრულება. გამომც. „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“, თბილისი, 1997.*
41. საყვარელიძე ნ., *თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული კვივალენტურობის პრობლემა. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1996.*
42. საყვარელიძე ნ., *თარგმანის თეორიის საკითხები (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები). თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2001.*
43. სახოკია თ., *ჩემი საუკუნის ადამიანები. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984.*
44. ტაბიძე გ., *თხზულებანი, ტ.12, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975.*
45. უზნაძე დ., *შრომები. ტ. VI. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1977.*
46. ფანჩულიძე დ., *ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1969.*
47. ფანჯიკიძე დ., *თარგმანის ახალი თეორიები და სტილის კვივალენტობის პრობლემა. გამომც. „განათლება“, თბილისი, 1995.*
48. ფანჯიკიძე დ., *თარგმანის თეორია და პრაქტიკა. გამომც. „განათლება“, თბილისი, 1988.*
49. ფუკო მ., *სიტყვები და საგნები. გამომც. „ლიოგენე“, თბილისი, 2004.*
50. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. გამომც. „ქართული ენციკლოპედია“, თბილისი, 1986.*

51. ქიქოძე გ., *რჩეული თხზულებანი. ტ. II. გამომც. „საბჭოთა საქართველო“*, თბილისი, 1964.
52. ქიქოძე გ., *წერილები, ესეები, ნარკვევები. გამომც. „მერანი“*, თბილისი, 1985.
53. შანიძე ა., *ქართული გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1953.*
54. შანიძე ა., *ქართული ენის გრამატიკა, სინტაქსი. გამომც. „სახელგამი“* თბილისი, 1953.
55. შანიძე ა. და სხვ. *ქართული ენა: გრამატიკა, ფონეტიკა გრაფიკა, ლექსიკა, პუნქტუაცია, მეტყველების განვითარება. გამომც. „განათლება“*, (მე-10 გამოცემა) თბილისი, 1983.
56. შანიძე ა., *სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1920.*
57. ჩიქობავა არნ., *ენათმეცნიერების შესავალი. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1952.*
58. ცაიშვილი ს., *რამდენიმე შტრიხი მოგონებათა ავტორის ცხოვრებიდან. (წინასიტყვა თ. სახოკიას წიგნისა „ჩემი საუკუნის ადამიანები“).* გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984.
59. ძიძიგური შ., *საენათმეცნიერო საუბრები. გამომც. „ნაკადული“*, თბილისი, 1982.
60. წიბახაშვილი გ., *თარგმანის სტილისტიკის ზოგიერთი საკითხი. „კრიტიკა“*, №2, თბილისი, 1975.
61. წიბახაშვილი გ., *თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2000.*
62. ჭავჭავაძე ი., *აი ისტორია. ნაწერების სრული კრებული 9 ტომად. ტ. V გამომც. „ქართული წიგნი“*, ტფილისი, 1927.
63. ჭავჭავაძე ი., *თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, გამომც. „სახელგამი“*, თბილისი, 1953.
64. ჭავჭავაძე ი., *თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, გამომც. „სახელგამი“*, თბილისი, 1955.
65. ჭელიძე ვ., *ცხოვრება ივანე მაჩაბლისა. ლიტერატურული პორტრეტები. გამომც. „მერანი“*, თბილისი, 1987.
66. ხახანაშვილი აღ., აღ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობა. *ქართული სიტყვიერების ისტორია. გამომც. ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ტფილისი, 1913.*
67. აბაკუმიძე 1954: Абакумов С.И., *Методика пунктуации, Москва, Учпедгиз., 1954.*

68. ანდრეევა 1955: Андреева В.Н., *Лексикология современного французского языка*, Москва, Учпедгиз., 1955.
69. არისტოვი 1959: Аристов Н.Б., *Основы перевода*, Изд. лит-ры на иностранных языках, Москва, 1959.
70. ახმანოვა 1966: Ахманова О.С., *Словарь лингвистических терминов*, Изд. Советская Энциклопедия, Москва, 1966.
71. არუთიუნოვა 1982: Арутюнова Н.Д., *Лингвистические проблемы референции. Новое в зарубежной лингвистике*, Вып 13, Прогресс, Москва, 1982.
72. ბალი 1991: Балли Ш. *Французская стилистика*, Изд. Иностранной литературы, Москва, 1961.
73. ბარხუდაროვი 1953: Бархударов Л.С., *Язык и перевод*, Вопросы общей и частной теории перевода. *Международ. отношения*, Москва, 1953.
74. ბარხუდაროვი 1962: Бархударов Л. С., *Общелингвистическое значение теории перевода*. сб. *Теория и критика перевода*, Изд. ЛГУ, 1962.
75. ბუდაგოვი 1953: Будагов Р.А., *Очерки по Языкознанию*. Изд-во Акад. Наука СССР, Москва, 1953.
76. ბულახოვსკი 1953: Булаховский Л.А., *Введение в языкознание*. Учпедгиз., Москва, 1953.
77. ბულიგინა 1981: Булыгина Г.В., *О границах и содержании прагматики*. Изд. АН СССР, *Серия лит. и яз.*, т. 40, №4, 1981.
78. ვანდრიესი 1937: Вандриес Ж., *Язык, Лингв. введение в историю*. Соцэкгиз, Москва, 1937.
79. ვინოგრადოვი 1947: Виноградов В.В. *Русский язык. Грамматическое учение о слове*. Учпедгиз Москва-Ленинград, 1947.
80. ვლახოვი 1980: Влахов С. Флорин С., *Непереводимое в переводе*. *Международ отношения*, Москва, 1980.
81. *Вопросы теории перевода в зарубеж. лингвистике*. *Международ. отношения*, Москва, 1978.
82. გაკი 1962: Гак В.Г., Львин Ю.И., *Курс перевода, франц. яз.*, Изд-во ИМО, Москва, 1962,
83. გალკინა-ფედორუკი 19: Галкина-Федорук, Е.М., *Синоними в русском языке*. РЯШ №3, Учпедгиз., Москва, 1959.
84. გალპერინი 1974: Гальперин И.Р., *Информативность единиц языка*. *Высшая школа*, Москва, 1974.
85. ჰეგელი 1974: Гегель Г.В.Ф., *Энциклопедия философских Наук*. т. I, Москва, 1974.
86. ჰუმბოლდტი 1985: Гумбольдт В.Ф., *Язык и философия культуры*. Прогресс, Москва, 1985.

87. დებორინი 1957: Деборин А.М., *Заметки о происхождении и эволюции научных понятий и терминов*. ВЯ, №4, 1957.
88. დანილენკო 1971: Дониленко В.П., *Исследования по русской терминологии*. Наука, Москва, 1971.
89. დანილენკო 1972: Дониленко В.П., *Терминология и норма*. Наука, Москва, 1972.
90. დანილენკო 1977: Дониленко В.П., *Русская терминология*. Наука, Москва, 1977
91. ეგერი 1978: Егер Г. *Коммуникативная и функциональная эквивалентность*. В кн.: *Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. Международные отношения*, Москва, 1978.
92. კადე 1978: Каде О., *Проблемы перевода в свете теории коммуникации*. В кн.: *Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. Международные отношения*, Москва, 1978.
93. კანტი 1969: Кант Им. *Критика чистого разума*. Наука, Москва, 1969.
94. კაშკინი 1964: Кашкин И.А., *Перевод и реализм*. сб. *Мастерство перевода*, Москва, 1964.
95. კაშკინი 1977: Кашкин И.А., *Для читателя современника*. *Художественная литература*, Москва, 1977.
96. კაშკინი 1959: Кашкин И.А., *Текущие дела*. сб. *Мастерство перевода*, Изд. *Советский писатель*, Москва, 1959.
97. კოლშანსკი 1984: Колшанский Г.В., *Коммуникативная функция и структура языка*. Наука, Москва, 1984.
98. კომისაროვი 1973: Комиссаров В.И., *Слово о переводе. Очерк лингвистического учения о переводе*, *Международные отношения*, Москва, 1973.
99. კომისაროვი 1980: Комиссаров В.Н. *Лингвистика перевода*. *Международные отношения*, Москва, 1980.
100. კრიპკე 1982: Крипке С. *Тождество и необходимость*. *Новое в зарубежной лингвистике*. Вып 13, *Прогресс*, Москва, 1982.
101. კრუპნოვი 1976: Крупнов В.Н., *В творческой лаборатории переводчика*. *Высшая школа*, Москва, 1976.
102. კუბი 1982: Куайн У. О. *Референция и модальность*. *Новое в зарубежной лингвистике*, Вып 13, *Прогресс*, Москва, 1982.
103. კურელა 1956: Курелла А. *Теория и практика перевода*. сб. *Мастерство перевода*, *Советский писатель*, Москва, 1959.
104. კუხარენკო 1979: Кухаренко В.Л., *Интерпретация текста*. *Просвещение*, Москва, 1979.

105. ლატიშვილი 1988: Латышев Л. К., *Перевод: Проблемы теории, практики и методики преподавания. Просвещение, Москва, 1988.*
106. ლატიშვილი 1986: Латышев Л. К., *Межъязыковые трансформации как средство достижения переводческой эквивалентности (Семантико-синтаксические проблемы теории языка и перевода). Просвещение, Москва, 1986.*
107. ლევი 1974: Левий И., *Искусство перевода. Советский писатель, Москва, 1974.*
108. ლილოვა 1985: Лилова А., *Введение в общую теорию перевода. Международные отношения, Москва, 1985.*
109. ლინსლი 1982: Линсли Л., *Референция и референты. Новое в зарубежной лингвистике, Вып 13, Прогресс, Москва, 1982.*
110. ლოტე 1961: Лотте Д.С., *Основы научно-технической терминологии. Наука, Москва, 1961.*
111. ლოტე 1937: Лотте Д.С., *Задачи и методы по упорядочению технической терминологии. Наука, Москва, 1937.*
112. ლუგოვსკაია 1985: Львовская З.Д., *Теоретические проблемы перевода. Наука, Москва, 1985.*
113. მარი 1909: Марр Н., *Иоанн Петрицкий грузинский неоплатоник, 11-12вв. СПб, 1909.*
114. ნოვიკოვი 1982: Новиков Л. А. *Семантика русского языка (синонимия). Высшая школа, Москва, 1982.*
115. ნოიბერტი 1978: Нойберт А., *Прагматические аспекты перевода. В кн. Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике, Международные отношения, Москва, 1978.*
116. ოსტინი 1999: Остин Дж. *Избранное. Изд. Дом Интеллектуальной Книги. Москва, 1999.*
117. პატნემი 1982: Патнем Х. *Значение и референция. Новое в зарубежной лингвистике, Вып 13, Прогресс, Москва, 1982.*
118. ფხაკაძე 1991: Пхакадзе И. Г. *Недостижимые достижимые миры. Изд. ТГУ, 1991.*
119. რაისი 1978: Райс К., *Классификация текстов и методы перевода. В кн. Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике, Международные отношения, Москва, 1978.*
120. რეიციკი 1973: Рейцак А. К. *Терминология и номенклатура. Вопросы разработки научно-технической терминологии, Рига, 1973.*
121. რეცკერი 1974: Рецкер Я. И. *Теория перевода и теоретическая практика. Международные отношения, Москва, 1974.*
122. რეფორმატსკი 1967: Реформатский А. А. *Что такое термин и терминология. Проблемы структурной лингвистики, Москва, 1967.*

123. როსელსი 1955: Россельс Вл., *Перевод и национальное своеобразие подлинника. Вопросы художественного перевода, т. I, Советский писатель, Москва, 1955.*
124. ფედოროვი 1958: Федоров А. В., *Введение в общую теорию перевода. Высшая школа, Москва, 1958.*
125. ფრეგე 1997: Фреге Г., *Избранные работы, Изд. Дом Интеллектуальной Книги, Москва, 1997.*
126. ჩერნიახოვსკაია 1976: Черняховская Л. А., *Перевод и смысловая структура. Международные отношения, Москва, 1976.*
127. ჩუკოვსკი 1964: Чуковский К. И., *Высокое искусство. Советский писатель, Москва, 1964.*
128. შვეიცერი 1973: Швейцер А. Д., *Перевод и лингвистика. Воениздат, Москва, 1973.*
129. შვეიცერი 1988: Швейцер А. Д., *Теория перевода. Статус, проблемы, аспекты. Наука, Москва, 1988.*
130. შვეიცერი 1985: Швейцер А. Д., *Социолингвистические основы теории перевода. В. Я. №5, 1985.*
131. ჰელიდეი 1978: Хеллидей М. А. К., *Место функциональной перспективы предложения в системе лингвистического описания. Новое в зарубежной лингвистике, Вып 8, Прогресс, Москва, 1978.*
132. *Энциклопедический философский словарь. Советская Энциклопедия, Москва, 1989.*
133. ბალი 1930 : Bally, Ch. *Traité de stylistique française 2 éd. 2v. Klincksieck, Paris; 1930.*
134. ბენვენისტი 1957-58: Benveniste, E. *La phrase relative, problème de syntaxe général, BSL, 1957-58.*
135. ბენვენისტი 1958: Benveniste, E. *Catégories de pensée et catégories de langue. Les études philosophiques 1958, №4, pp. 419-429.*
136. ბლუმფილდი 1955: Bloomfield, L. *Language, 2ed. Britannique, Londres, Henderson & Spalding, 1955.*
137. ბრეალი 1904: Bréal, M. *L'Essai de sémantique. Hachette, Paris, 1904.*
138. ბრეალი 1896: Bréal, M. *Mélanges de mythologie et de linguistique, Paris, 1896.*
139. ბიუსენსი 1943: Buysens, E. *Les langages et le discours. Essais de linguistique fonctionnelle, dans le cadre de la sémiologie, Bruxelles, Office de Publicité, 1943.*
140. ბიუსენსი 1960: Buysens, E. *Le signe linguistique, Revue belge de philologie et d'Histoire, 1960, №3.*
141. ბიუსენსი 1960: Buysens, E. *Le structuralisme et l'arbitraire du signe, Studii si cercetari lingvistici, 1960, №3.*

142. კანტინო: Cantineau, J. *Les oppositions significatives. Cah. FDS, №. 10, 152.*
143. კარი 1958: Cary, E. *Comment faut-il traduire?, Paris, 1958.*
144. კარი 1963: Cary, E. *Les grands traducteurs français, Genève, 1963; 9*
145. კარი 1956: Cary, E. *La Traduction dans le monde moderne, Université de Genève, 1956.*
146. კოენი 1944: Cohen, M. *Faits linguistiques et faits de pensée JDP, 1977, №4.*
147. ჩომსკი 1957: Chomsky, N. *Syntactic structures, La Haye, Mouton, 1957.*
148. დეკარტი : Descartes, R. *Œuvres choisies, Paris, Garnier frères.*
149. დეკარტი 1990: Descartes, R. *Méditations métaphysiques, Paris, Librairie Générale Française, 1990.*
150. დეკარტი : Descartes, R. *Discours de la méthode, Edition Lutetia.*
151. *Dictionnaire de philosophie. Editeur: Armand Colin, 1995.*
152. *Dictionnaire de philosophie. Editeur: Larousse, 2001.*
153. *Dictionnaire des philosophes. Editeur: Albin Michel, 1998.*
154. *Dictionnaire des mille œuvres clés de la philosophie. Editeur: Nathan, 2000.*
155. დიურკემი 1998 : Durkheim, E. *Les formes élémentaires de la vie religieuse, Paris, Quadrige/ PUF, 1998.*
156. დიურკემი 1999 : Durkheim, E. *Les règles de la méthode sociologique, Paris, Quadrige/ PUF, 1999.*
157. დიურე 1963: Duret C, *Trésor de l'histoire des langues, Cologne, 1613.*
158. ფრეი 1965: Frei, H. *Cahiers Saussure, Paris, 1965.*
159. ფრეი 1954: Frei, H. *Critères de délimitations, Word, 1954, № 2-3.*
160. *Grammaire Larousse du XX siècle, Paris.*
161. გირო 1956: Guiraud, P. *Les champs morpho-semantiques, BSL, 1956.*
162. ჰარისი 1954: Harris, Z. S. *Distributional structure, Word, 1954, № 2-3.*
163. იელმსლევ 1949: Hjelmslev, L. *Existe-t-il des catégories qui soient communes à l'universalité des langues humaines ? Actes du 6^e C. I. L., Paris, Klincksieck, 1949.*
164. ჰაიდეგერი 1971: Heidegger M. *On the way to Langage. N. Y., 1971.*
165. იუმპელტი 1955: Jumpelt, R. W. *Scientific terminology. Le Caire, Unesco, Centre de documentation scientifique pour le Moyen-Orient, 1955.*
166. ლადმირალი 1975 : Ladmiral, J. R. *Eléments de traduction philosophique, in Les Langues Modernes, № 2-3, 1975.*

167. ლადმირალი 1994: Ladmiral, J. R. *Traduire : théorèmes pour la traduction Paris, Gallimard, 1994.*
168. ლალანდი 1962: Lalande, A. *Vocabulaire technique et critique de la philosophie, Paris, 1962.*
169. ლანგი 1958: Lang, F. *A la recherche des principes de terminologie et de lexicologie, Babel, 1958, № 2.*
170. ლემერსიე 1806: Lemerrier, J. B. *Lettre sur la possibilité de faire de la grammaire un Art-Science , Paris, 1806.*
171. *Le petit Robert, I, Dictionnaire, 1990.*
172. მანდელბროტი 1954: Mandelbrot, B. *Structure formelle des textes et communication, Word, 1954.*
173. მარტინე 1949: Martinet, A. *La double articulation linguistique. Travaux du Cercle Linguistique de Copenhague, vol. V, 1949. [Double articulation].*
174. მარტინე 1960 : Martinet, A. *Elements de linguistique générale, Paris, 1960.*
175. მარტინე 1959: Martinet, A. *Quelques traits généraux de la syntaxe, Free University Quarterly, 1959 № 2.*
176. მატორე 1953 : Matoré, G. *La méthode en lexicologie (domaine français), Paris, Didier, 1953.*
177. მილერი 1956: Miller, G. A. *Langage et communication (traduction C. Thomas). Paris, P.U.F., 1956, VIII*
178. მონტესკიე 1922 : Montesquieu, Ch. *De l'Esprit des Lois, Paris, Librairie Garnier frères, 1922.*
179. მუნენი 1955 : Mounin, G. *Les Belles infidèles, Paris, Cahier du Sud, 1955.*
180. მუნენი 1976 : Mounin, G. *Linguistique et traduction, Bruxelles, 1976.*
181. მუნენი 1963 : Mounin, G. *Les problèmes théoriques de la traduction, Paris, 1963.*
182. ნაიდა: Nida, E. A. *Principles of translation exemplified by Bible translating, dans On translation.*
183. ნაიდა 1945: Nida, E. A. *Linguistics and Ethnology in translation problems, Word, 1945, № 2.*
184. პრიეტო 1957-58 : Prieto, L. J. *D'une asymétrie entre le plan de l'expression et le plan du contenu de la langue, BSL, 1957-1958.*
185. პრიეტო 1954: Prieto, L. J. *Signe articulé et signe proportionnel, BSL, 1954.*
186. ჟუაინი 1969: Quine W.V., *Speaking of Objects, 1,1969.*
187. რუსო 1996: Rousseau, J. J. *Du contrat social, Edition Mignot, Paris, 1996.*
188. რიკორი 2004: Ricoeur, P. *Sur la traduction, Bayard, 2004.*
189. საპირი 1953: Sapir, E. *Le langage, Introduction à l'étude de la parole 9 Trad. S. Guillemin), Paris, Payot, 1953 [Langage].*

190. სოსიური 1960: Saussure, F. de: *Cours de linguistique générale, 5^e éd., Paris, Payot, 1960.*
191. სერუსი 1933: Serrus, Ch. *Le parallélisme logico-grammatical, Paris, Alcan, 1933, XIV-514.* [Le parallélisme].
192. ტენიერი 1959: Tesnière, L. *Éléments de syntaxe structurale, Paris, Klincksieck, 1959.*
193. ულმანი 1952: Ulmann, S. *Précis de sémantique française, Berne, A. Francke, 1952.*
194. ვინე & დარბელნე 1958: Vinay, J. P. (& Darbelnet), *Stylistique comparée du français et de l'anglais, Paris, Didier&Montréal, Beauchemin, 1958,* [Stylistique comparée.]
195. ვოგტი 1949: Vogt, H. *Dans quelles conditions et dans quelles limites peut s'exercer sur le système morphologique d'une langue l'action du système morphologique d'une autre langue ? dans Actes du 6^e C.I.L., Paris, Klincksieck, 1949.*
196. ვარტბურგი 1946: Wartburg, W.V.: *Problèmes et méthodes de la linguistique. (Trad. P. Maillard). P., P.U.F., 1946.* [Problèmes et méthodes].
197. ზემბი 1972: Zemb, J. M. Le même et l'autre: les deux sources de la traduction, in J. R. Ladmiral, 1972.